

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ზურაბ გოცირიძე

ლოგოებისტემა, როგორც ინტრაკულტურული ნიშანი და მისი
ინტერპრეტაცია კულტურათშორისი კომუნიკაციის პოზიციებიდან

ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი



სარჩევი

შესავალი	3
თავი პირველი კვლევის თეორიული ბაზა	22
§1 ენა, ცნობიერება და აზროვნება	22
§ 2. ენობრივი ცნობიერებიდან – კულტურამდე („სამყაროს ენობრივი სურათი“, როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების ვერბალური მანიფესტაცია)	51
§ 3 ენობრივი ფაქტები, როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების შესწავლის წყარო	66
თავი 11 „ლოგოებისტემა კულტურის სემიოტიკურ სივრცეში“	77
§1. ლოგოებისტემა ,როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ძირითადი ოპერაციული ერთეული	77
§2. მყარი ენობრივი შედარება , როგორც ლოგოებისტემის სპეციფიკური ნაირსახეობა (გნოსეოლოგიური ფუნქცია და კატეგორიული ბუნება)	86
§ 3. შედარების მხატვრულ-ესთეტიკური სპეციფიკა	95
§4 მყარი ენობრივი შედარების ენობრივი მარკირება	111
თავი 3. ადამიანი სამყაროს ეთნოენობრივ ხატში (უნივერსალური პორტრეტი და მისი ნაციონალურ – სპეციფიკური ვარიანტები) და მყარი ენობრივი შედარებები როგორც კონცეფტ “ადამიანის ” ეთნოენობრივი ინტერპრეტაციის ემპირიული ბაზა	116
§1. ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება	125
§2. ადამიანი, როგორც ინტელექტუალური არსება	157
§ 3. ადამიანი, როგორც სულიერი არსება	161
§ 4. ადამიანი, როგორც სოციალური არსება	166
თავი 4 ლოგოებისტემა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პარმონიზაციის პრობლემები	176
დასკვნა	188
გამოყენებული ლიტერატურის სია	

შესავალი

“დღევანდელ დღეს გაგების პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რაც უდავოდ კავშირშია გეოპოლიტიკური თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციების გამწვავებასთან და წინააღმდეგობებთან, რომლებითაც ჩვენი ეპოქა აღსავსე. ეს პრობლემა თავს იჩენს ყოველთვის, როცა კრახს განიცდის მცდელობა, დამყარდეს ურთიერთგაგება რეგიონებს, ერებს, ბლოკებსა თუ თაობებს შორის; როდესაც არ არსებობს საერთო ენა, როდესაც ჩვევაში გადასული საკვანძო ცნებები გაღიზიანებას იწვევენ და მხოლოდ ამჟამფრებენ და აღრმავებენ იმ წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებს, რომელთა დასაძლევად საერთო ძალისხმევა იყო მიმართული. საკმარისია, გავისხენოთ თუნდაც ისეთი სიტყვები, როგორებიცაა “დემოკრატია” და “თავისუფლება” (Г.Гадамер, 1991, 43).

ეკონომიკური ცხოვრების გლობალიზაციის ცივილიზებული პროცესი უნიფიკაციის, სტანდარტიზაციის, კულტურათა “ვესტერნიზაციის” პროცესებს ასტიმულირებს. კულტურები აქტიურად ეჯახებიან ერთმანეთს, ეკონტაქტებიან, იკვეთებიან და კონფლიქტში შედიან ერთმანეთთან. ამგვარ პირობებში, შესაძლებელია, წარმოიშვას ეთნიკური იდენტობისა და კულტურული თვითკმარობის პრობლემა, ამიტომ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კულტურათშორის კომუნიკაციებთან დაკავშირებული საკითხები.

კულტურათშორისი ურთიერთობების პროცესში განსაკუთრებულ სირთულეს კომუნიკანტთა ცნობიერების სხვადასხვაობა ქმნის. სწორედ ესაა კომუნიკაციურ კონფლიქტთა (პარტნიორთა ურთიერთვერგაგების კონფლიქტები) ძირითადი მიზეზი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე მდგომარეობა, ერთი მხრივ, და შეცვლილი სამყაროს ობიექტური პირობები, მეორე მხრივ, როგორც ძველი, ასევე, თანამედროვეობისთვის აქტუალური პრობლემების გადააზრებას მოითხოვს. ამიტომ შემთხვევითი არაა ინტერესების გააქტიურება ისეთი ახალგაზრდა სამეცნიერო მიმართულებებისადმი, როგორებიცაა ეთნოფსიქოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტოლოგია, სამეტყველო აქტების თეორია, კულტურათშორისი კომუნიკაცია და ა.შ. გასული საუკუნის დასასრულისთვის ნიშანდობლივია ახალ სამეცნიერო პარადიგმაზე გადასვლა, რამაც მეცნიერთა ინტერესების ორბიტაში მოაქცია თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის აღქმისა და გადაცემის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ მოვლენათა ფართო წრე.

ახალ სამეცნიერო პარადიგმაში ენა განიხილება, როგორც ერის კულტურული კოდი, და არა როგორც მხოლოდ კომუნიკაციისა და შემეცნების იარაღი. ენის მეშვეობით ჩვენ ვიჭრებით არა მხოლოდ ერის თანამედროვე ცნობიერებაში, არამედ – ძველი დროის ადამიანების მსოფლადქმაშიც. ცნობილია, რომ წარსული წლების გამოძახილი დღესდღეობით ანდაზებში, მეტაფორებში, კულტურის სიმბოლოებშია შემონახული. ასევე, აშკარაა, რომ სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ადამიანამდე ლინგვისტური გზით აღწევს. ამიტომ ადამიანი უფრო მეტად ინტელექტუალური, სულიერი, სოციალური მოთხოვნილებებისთვის თავის მიერვე შექმნილი კონცეპტების საუფლოში ცხოვრობს, ვიდრე საგნების სამყაროში: ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მას სიტყვის საშუალებით მიეწოდება. ადამიანის წარმატება სამყაროში იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად ფლობს ის სიტყვას. აქ ვგულისხმობთ არა მარტო ენის კულტურის ფლობას, არამედ – ენის საიდუმლოებებში წვდომის უნარსაც. ფილოსოფოსების აზრით, ნივთიერი სამყაროს შეცნობა უკეთაა შესაძლებელი, თუ სიღრმემდე ჩავწვდებით ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის აღმნიშვნელ სიტყვას.

ანტროპოცენტრიზმის იდეა დღესდღეობით საყოველთაოდ მიღებული გახდა. მრავალი სამეცნიერო კონცეფციისათვის ადამიანის შესახებ წარმოდგენა ათვლის ბუნებრივ წერტილად აღიქმება. ახალი მეცნიერული პარადიგმის გამოჩენა კვლევის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს, ემპირიული მასალის აღწერის ახალი მეთოდების, ახლებური მიდგომის გამოყენებას მოითხოვს. ანტროპოცენტრისტული პარადიგმის არსი მკვლევართა ინტერესების გადატანას გულისხმობს შემეცნების ობიექტიდან სუბიექტზე.

ანტროპოცენტრისტული პარადიგმის მიერ პირველ ადგილზე ადამიანის წამოწევა იმ როლის აღიარებას ეფუძნება, რომელიც ენას მიუძღვის ადამიანის ფენომენის კონსტრუირებაში. ენა, რომელიც აზროვნების ყველა პროცესში იჭრება, ახალ მენტალურ სივრცეებს აყალიბებს, გამოჰყავს რა ადამიანი უშუალო დაკვირვების ობიექტის ფარგლებიდან. იგი ასახავს ადამიანის აზრის მოძრაობას და აგებს შესაძლებელ სამყაროებს, აღბეჭდავს რა საკუთარ თავში აზრის დინამიკას.

ეთნიკური თვითშემეცნება წარმოადგენს ეთნოსის წევრების მიერ მათი ჯგუფური ერთობისა და ანალოგიური ფორმირებებისგან განსხვავებულობის გაცნობიერებას. ეთნოლინგვისტიკის მიზანს მეცნიერები ისტორიულ

რეტროსპექტივაში ხედავენ, ანუ – ეროვნული სტერეოტიპების გამოვლენაში, და სამყაროს სურათის “ხალხური” ვარიანტის აღმოჩენაში.

ზოგადთეორიულ საკითხებში ცალკეული განსხვავების მიუხედავად, ყველა აღნიშნულ მიმართულებას საერთო ანტროპოცენტრისტული ხედვა აერთიანებს. ადამიანი, როგორც ენობრივი პიროვნება, არ წარმოადგენს განყენებულ ცნებას. იგი კონკრეტული კულტურის მატარებელია, კონკრეტული სოციუმის წარმომადგენელია, რაც განსაზღვრავს მის ეთნოლინგვოსოციალურ სტატუსს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კულტურის შეცნობის გასაღები ანტროპოცენტრისტული პარადიგმის სფეროშია საძიებელი. კონფლიქტური სიტუაციების უმეტესობა, რომლებიც “ინოფონებთან” ურთიერთობისას წარმოიშობა, კომუნიკანტების ეროვნულ-კულტურული მახასიათებლების იგნორირებითაა გამოწვეული. ახლახან შექმნილი მიმართულება – “ლინგვოკონფლიქტოლოგია” – მიზნად ისახავს, შეისწავლოს შესაძლო კონფლიქტური სიტუაციები და მათ თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკური ღონისძიებები დასახოს. ამ გზაზე პირველი და აუცილებელი პირობაა ამა თუ იმ ერის ცნობიერების კარგი ცოდნა. ენობრივი ცნობიერება, რომელიც გარკვეული კონცეპტების სახით კულტურის ძირითად ცნებებს აფიქსირებს, სამყაროს ერთიან სურათად წარმოგვიდგენს. უნდა აღინიშნოს, რომ, “სამყაროს მატერიალური საფუძვლის ერთიანობის” მიუხედავად, სამყარო სხვადასხვა კულტურის მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება, რაც სინამდვილის ენობრივი მანიფესტაციების ფორმებში ვლინდება. ვვარაუდობთ, რომ ეთნოენობრივი მენტალობის გაგება ენობრივი ცნობიერების ბაზაზეა შესაძლებელი. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს, რომელსაც „ინფორმაციის საუკუნეს“, ხოლო თვით საზოგადოებას „ინფორმაციულ საზოგადოებას“ უწოდებენ, თან ახლავს სამეცნიერო-კულტურული რევოლუციით გამოწვეული მრავალი პრობლემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის რაოდენობის მზარდი სიჭარბე და ადამიანის შესაძლებლობების შეზღუდულობა.

ამან გამოიწვია ინფორმაციული ნაკადების თავისებური რეგულირების აუცილებლობა, რის შედეგადაც წარმოიშვა ისეთი მეცნიერული დისციპლინები, როგორებიცაა ინფორმატიკა, ინფორმოლოგია, კომუნიკაციის თეორია და ა.შ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინფორმატიკის კვლევის ძირითად მიმართულებას პირველადი ტექსტების გადამუშავების შედეგად ისეთი მეორადი ტექსტების მიღება წარმოადგენს, რომლებიც ტექსტების უკიდვანო სივრცეში

თავისებურ კომპასებად გვევლინებიან და საინფორმაციო-საძიებო სისტემის (რომელზეც დაფუძნებულია თვით ინტერნეტიც) ბაზას ქმნიან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის მექანიზმების შესწავლას. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ კულტურა, ასევე, დაკავშირებულია სელექციის პრობლემასთან და, რიგი ავტორების აზრით (ი. ლოტმანი, ა. აგრანატი და სხვა), წარმოადგენს მასში არსებული ვერბალური და არავერბალური ტექსტების ერთობლიობას, აქტუალურად უნდა მოგვეჩვენოს ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის, ანუ საზოგადოების ინფორმაციული მომსახურების ისტორიულად რელევანტური ფორმების შესწავლა.

„ინფორმაციული მომსახურების“ დამწერლობისწინა ეტაპი გარკვეულ ანალოგიებს ამჟღავნებს დღევანდელ სიტუაციასთან. თუ გავიზიარებთ ბ. ლინკოლნის პოზიციას, რომელსაც შემოაქვს ცნებები „მკითხველი“ და „ინფორმაციის მომხმარებელი“ და, პირველთან შედარებით, მეორე კატეგორიის მაღალ სტატისტიკურ მაჩვენებელს, უნდა ვაღიაროთ ინფორმაციის გადამცემთა უპირატესობა (ისევე, როგორც დამწერლობამდელ კულტურებში) „ავტორებთან“ მიმართებაში. ისევე, როგორც მოხრობელი ძველად, პირველადი ტექსტის გადამმუშავებელი ინფორმოლოგიც, ფაქტობრივად, ტექსტის ინტერპრეტატორად გვევლინება, თუმცა განსხვავდება მისგან პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. როგორც დ. ლიხანოვი აღნიშნავდა, მოხრობელს (ხოლო, დამწერლობის წარმოშობის შემდეგ, შუასაუკუნოვან გადამწერსაც) ავტორთან მიახლოებული უფლებები ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა ტექსტის ამა თუ იმ ელემენტების შეცვლის, გამოტოვების და გადამმუშავების უფლებაში, თუმცა მათი მოქმედება არ იყო რეგლამენტირებული შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმებით.

ცნობილია, რომ, დამწერლობის არარსებობის შემთხვევაში, „საზოგადოების ინფორმაციული გამთლიანების ფუნქცია“ (უმბერტო ეკოს ტერმინი) ფოლკლორს ეკისრება. ვ. პროპისა და პერმიაკოვის გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ფოლკლორულმა ტექსტებმა სტანდარტიზაციის ისეთ ხარისხს მიაღწიეს, რომ მოახერხეს, ადამიანის მეხსიერების შეზღუდულობის პირობებში, მაქსიმალურად მობილური გაეხადათ ინფორმაციის მიღების და გადაცემის პროცესი. კლიშეს თეორიიდან გამომდინარე, ფოლკლორული ტექსტების სტრუქტურა თავისებურ მოცემულობას წარმოადგენდა, რომელიც შინაარსობრივი ელემენტებით ივსებოდა. ის ფაქტი, რომ მოხრობელს გარკვეული თავისუფლება გააჩნდა, სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა კლიშეს

თეორიას. მოხრობლის ოსტატობა იმით ფასდებოდა, რომ არსებული სტანდარტიზაციის პირობებში მას სხვა ტექსტის აქტუალიზაცია უნდა მოეხერხებინა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტექსტი მოეყოლა კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული ტიპის მსმენელისთვის.

„ფოლკლორული“ ტექსტების ინტრატიპოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლოგოეპისტემებს, რომლის ნაირსახეობებს პარემიები ანუ ანდაზები, მყარი ენობრივი შედარებები და სხვა სტერეოტიპები წარმოადგენენ. ჩვენი ინტერესი ამ ფენომენის მიმართ შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

1. ისინი, ჩვენი აზრით, წარმოადგენენ კაცობრიობის ისტორიაში პირველ ინფორმატიკულ ტექსტებს;
2. ისინი სამყაროს შესახებ მიღებული პოზიტიური ცოდნის აკუმულირებას ახდენდნენ და სოციალური ქცევის რეგლამენტაციას იძლეოდნენ;
3. მათი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია მენტალობის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის დანახვა (რისთვისაც შესაბამის ენებს მოვიხმობთ);
4. შესაძლებლობა გვაძლევს, ტიპოლოგიურ პლანში გავიზიაროთ კონცეპტ „ადამიანთან“ დაკავშირებული სპეციფიკური ნიუანსები.

ანტროპოცენტრისტული მიდგომა ფოლკლორული სტერეოტიპების შესწავლაზე დიდ იმედებს ამყარებს: დღის წესრიგში დგას ფრაზეოლოგიური აბრევიაციის უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური პრინციპების გამოვლენა; ეთნოეროვნული სტერეოტიპების ეროვნულ-კულტურული კომპონენტების ფიქსირება; მყარ ენობრივ შედარებებში რეალიზებული კულტურული კოდების, ეტალონების აღწერა; იმ ფენომენების გამოვლენა, შესწავლა და აღწერა, რომლებიც, ერთი მხრივ, ასახავენ, ხოლო, მეორე მხრივ, განაპირობებენ სამყაროს ეროვნული სურათის სპეციფიკას; ლოგოეპისტემებში გამოვლენილი უძველესი არქეტიპული წარმოდგენებისა და კულტურის საბაზო კონცეფტების ინტერპრეტაცია და სხვა.

ფუნქციონალურ-სემანტიკური თვალსაზრისით, პარემიოლოგიური სისტემის შიგნით ყურადღებას იქცევს ის მოვლენა, რომელსაც „ფრაზეოლოგიური ანუ მყარი ენობრივი შედარება“ ეწოდა. შედარების აღნიშნული ტიპის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას აღწარმოებადი კლიშირებული ფორმა აქვს, რაც მას ინდივიდუალურ-საავტორო შედარებისგან განასხვავებს. უდიდესი მნიშვნელობა მის პრეცედენტულ ხასიათს ენიჭება, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ მასზე, როგორც თავისებურ კულტურულ კოდზე, ვისაუბროთ.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ლოგოეპისტემის ნაირსახეობებს – ფრაზეოლოგიურ ანუ მყარ ენობრივ შედარებებს – სისტემური ხასიათი აქვთ. ისინი, ფაქტობრივად, ყველა იმ ძირითად ლექსიკურ-სემანტიკურ ველს მოიცავენ, რომლებიც სამყაროს ეროვნულ სურათს ქმნიან. მოცემული გამოკვლევის **ობიექტს** ლოგოეპისტემის სპეციფიკური ნაირსახეობები, ფრაზეოლოგიური ანუ მყარი ენობრივი შედარებები, იგივე კომპარატივები წარმოადგენენ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კონცეფტთან “ადამიანი” და შესაბამისი ენობრივი ცნობიერების სტერეოტიპებს ასახავენ.

ნაშრომის მიზანია:

1. საზოგადოების ინფორმაციული გამოთვლიანების ტიპოლოგიური მექანიზმების გამოკვლევა;

2. ინფორმაციისა და კულტურის ცნებების შეჯერება და კულტუროლოგიური სელექციის პრობლემის ანალიზი;

3. ლოგოეპისტემების, როგორც სამყაროს ხედვისა და პრაქტიკულ რეკომენდაციათა ერთობლიობის, შესწავლა;

4. ეროვნული ცნობიერების გამომსახველი ლოგოეპისტემების კომპლექსური კროსკულტურული შესწავლა ენობრივი სტერეოტიპების (მყარი ენობრივი შედარებების) ბაზაზე და კონცეფტ “ადამიანთან” დაკავშირებული უნივერსალური და ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის გამოვლენა;

სადისერტაციო **ნაშრომის მიზანი** გულისხმობს ეროვნული ცნობიერების გამომსახველ ლოგოეპისტემების კომპლექსურ კროს-კულტურულ შესწავლას ენობრივი სტერეოტიპების (მყარი ენობრივი შედარებების) ბაზაზე და კონცეფტ “ადამიანთან” დაკავშირებული უნივერსალური და ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის გამოვლენას. სადისერტაციო **ნაშრომის მიზანს**, აგრეთვე, საანალიზო კულტურების იმ ეთნომენტალური ენობრივი ცნობიერების კვლევა წარმოადგენს, რომელიც აისახება კონცეფტოსფეროში “ადამიანი” და რეალიზდება ფრაზეოლოგიური ანუ მყარი შედარებების ფორმით. წინამდებარე ნაშრომის მიზანმა ცალკეული კერძო ამოცანები გამოკვეთა:

1. ლინგვოკულტურული პოზიციიდან კონცეფტოსფერო “ადამიანის” ხასიათისა და ეთნომენტალური ბუნების დადგენა.

2. ფრაზეონომინაციის ძირითადი პრინციპების გამოვლენა და კულტურის ბირთვულ ნაწილში ფრაზეოლოგიური შედარებების შედწევის გამოკვლევა.

3. კონცეფტების აზრობრივი და ემოციურ-ფსიქოლოგიური შესაბამისობა-შეუსაბამობის განსაზღვრის კრიტერიუმების დამუშავება კულტურათშორისი კომუნიკაციების ასპექტში.

4. “ადამიანის” კონცეფტუალურ-სემანტიკური ველის შემადგენლობის დადგენა

და მისი ველისშიდა ორგანიზაციისა და ველის ერთეულებსა და სხვა ველებს შორის ურთიერთმიმართებების ხასიათის განსაზღვრა.

5. სოციო-ლინგვოკულტუროლოგიური კონსტრუქტების აღწერის ახლებური მიდგომის გამომუშავება ენის ტრადიციული, წმინდა ლინგვისტური პროცედურებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების მომიჯნავე დარგების (კომუნიკაციის თეორია, კოგნიტოლოგია, ფსიქოლოგია, რეკლამის თეორია, ფილოსოფია და ა.შ.) მეთოდებისა და ცნებების გამოყენებით.

6. სტერეოტიპთა აღნიშნული სახეობის ფუნქციონირების პრაგმაკომუნიკაციური თავისებურებების განსაზღვრა.

7. მყარ ენობრივ შედარებათა ბაზაზე კონცეფტ “ადამიანის” რეპრეზენტაციის ეთნოლინგვისტური სპეციფიკის გამოვლენა;

8. იმ კრიტერიუმების განსაზღვრა და დამუშავება, რომლებიც სტერეოტიპთა სისტემის სხვა ერთეულებთან მიმართებაში მყარი ენობრივი შედარებების სპეციფიკურობას გამოავლენენ;

წინამდებარე ნაშრომის მიზნობრივ პროგრამაში აღნიშნული ამოცანების გადაჭრის გზები შემდგენაირად გვესახება:

ა) ვადგენთ ინფორმაციული სელექციის პრინციპებს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურის ინფორმაციული ველის კომპლექტაციის მექანიზმებს;

ბ) ვიკვლევთ კულტურისთვის ღირებული ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის დამწერლობამდელი პერიოდის თავისებურებებს;

გ) განვიხილავთ კულტურული ინფორმაციის მატარებელი ტექსტების ტიპოლოგიას და ვადგენთ ლოგოეპისტემების სპეციფიკას აღნიშნულ სისტემაში.

დ) პარემიოლოგიურ სისტემებში გამოვყოფთ ერთეულებს, რომლებიც გამოხატავენ შესაბამის კულტურაში მიღებულ პოზიტიურ და ნეგატიურ წარმოდგენებს.

ე) აღნიშნული ერთეულების სხვა კულტურის შესაბამის მასალასთან შედარებისას შესაძლებელი ხდება, დავადგინოთ ნაციონალურ-სპეციფიკური და უნივერსალური ნიშნები, რომლებიც ეთნომენტალობასთანაა დაკავშირებული.

საკვლევი მასალის მრავალპლანიანობამ განაპირობა ნაშრომში გამოყენებული მეთოდების ფართო სპექტრი: კონცეფტუალური მოდელირების მეთოდი; განზოგადების, ანალოგიის, ლინგვისტური აღწერის მეთოდები; სტრუქტურულ-აღწერითი მეთოდი; ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდი; შეპირისპირებით-ტიპოლოგიური, კროს-კულტურული და კონფრონტაციული ანალიზი. ემპირიული მასალის დასამუშავებლად კვლევის კომპლექსური მეთოდიკის გამოყენება გახდა საჭირო. მასალის სპეციფიკა განაპირობებდა მეთოდების ხასიათს. ასე, მაგალითად, დაკვირვებისა და აღწერის მეთოდმა შესაძლებლობა მოგვცა, განგვესაზღვრა საანალიზო ერთეულთა ბუნება; ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდმა შესაძლებელი გახდა ინდივიდუალური ენობრივი ცნობიერებისა და საერთო ენობრივი ცნობიერების ფაქტების გამიჯვნა; კროს-კულტურული და კონფრონტაციული ანალიზის მეთოდი დაგვეხმარა, გამოგვევლინა შესადარებელი კულტურებისთვის საერთო და სპეციფიკური ეროვნულ-კულტურული ცნებითი კატეგორიები; სემანტიკური მოდელირების მეთოდმა საშუალება მოგვცა, სისტემურად აღგვეწერა კონცეფტ “ადამიანის” მაკონსტრუირებელი ცნებითი კომპონენტები.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საყრდენს შეადგენს ენის ფილოსოფიის, ლინგვოკულტუროლოგიის და კოგნიტური ლინგვისტიკის დებულებანი, რომლებიც სამყაროს კატეგორიზაციის და კონცეფტუალიზაციის პროცესებს, სხვადასხვა მენტალურ სტრუქტურებში ფიქსირებულ მონაცემთა ენობრივი მექანიზმებით რეპრეზენტაციის პრინციპებს განსაზღვრავს. წინამდებარე კვლევის ემპირიულ მასალას პარემიული ტექსტების ქართული, ინგლისური და რუსული კორპუსი წარმოადგენს, რომელიც შესაბამისი ლექსიკოგრაფიული (პ. უმიკაშვილი, ა. ლლონტი, თ. სახოკია, ლ. ლებედევა, ნ. შადრინი, პ. უილსტაჩი, როსამუნდ მუნი და სხვ.) და სამეცნიერო წყაროებიდან (ა. თაყაიშვილი, ვ. პერმიაკოვი და სხვა) მოვიპოვეთ. შესასწავლი მასალის ძირითად წყაროებად გამოყენებულია, აგრეთვე, ფრაზეოლოგიური შედარებების შემცველი ისეთი ლექსიკონების მონაცემები, როგორებიცაა სპეციალური (ლ. ლებედევის „მყარი შედარებების ლექსიკონი“, ა. ნაზარიანის „ფრანგული ენის მყარი შედარებები“, ნ. შადრინის „რუსულ-ინგლისური მყარი ენობრივი შედარებების ლექსიკონი“, უილსტაჩის «Dictionary of Similes» და სხვ.) ; ასევე, ზოგადი და ფრაზეოლოგიური ლექსიკონები (ვ. დალის, მოლოტკოვის, მოკიენკოსი და "Collins Cobuild Dictionary of Idiom", London, 1995; "Brewer's dictionary of Phrase & Fable",

განმარტებითი, სემანტიკური და ასოციაციური ლექსიკონები. ემპირიული მასალა მიღებულ იქნა, აგრეთვე, მხატვრულ ტექსტთა იმ კორპუსის ანალიზის შედეგად, რომლებიც მყარი ენობრივი შედარებების სხვადასხვა ფორმას შეიცავენ. ემპირიული მასალა საშუალებას იძლევა, ინფორმაციის ფიქსაციის, შენახვისა და გადაცემის მექანიზმები ახლებური კუთხით წარმოვაჩინოთ. გამოკვლევებისთვის მასალად გამოვიყენეთ მყარ ენობრივ შედარებათა ლექსიკონები, მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურა. კონკრეტული საინფორმაციო მასალის არარსებობის შემთხვევაში დავეყრდენით იმ ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგებს, რომელიც ქართული ასოციაციური ლექსიკონის შემდგენელთა ჯგუფმა მოგვაწოდა. სემანტიკურ-კონცეფტუალური ველი „ადამიანი“ წარმოდგენილია, როგორც მნიშვნელობათა გარკვეული სისტემა თავისი შინაგანი იერარქიით და გვევლინება სამყაროს ეროვნული სურათის თავისებური ფრაგმენტის სახით.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის ტვინი რეალურ სინამდვილეს მთლიანად კი არა, მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავს. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში შეუძლებელია ეთნოენობრივი ცნობიერების სრული სურათის ჩვენება, ამიტომ გადავწყვიტეთ, შემოვიფარგლოთ კონცეფტოსფერო „ადამიანის“ ლოგოეპისტემის სპეციფიკური ნაირსახეობის – ფრაზეოლოგიური ანუ მყარი ენობრივი შედარებების (იგივე კომპარატივების) ბაზაზე კვლევით. ეს არჩევანი შეიძლება აიხსნას როგორც აღნიშნული კონცეფტის უნივერსალურობით (რაც საშუალებას გვაძლევს, შედარების ერთიან საფუძველზე ვილაპარაკოთ), ასევე – ანტროპოცენტრიზმის თავისებური გავლენით (რომელიც სამართლიანად აყენებს ადამიანს კვლევის ცენტრში).

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის სპეციფიკის შესწავლამ სამეტყველო პროცესში ვერ ჰპოვა ჯეროვანი ასახვა თანამედროვე მეცნიერებაში, ასევე შესაბამის გადაწყვეტას მოითხოვს ეროვნული ენობრივი ცნობიერებისა და სამყაროს სურათის შიდაენობრივი სეგმენტაციის ურთიერთმიმართება.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობა დაკავშირებულია, აგრეთვე ინტერპრეტაციასთან, როგორც სამეტყველო ურთიერთობის თეორიის განსაკუთრებულ შემთხვევასთან, რომლის გათვალისწინებაც აგვარიდებს გაუგებრობით გამოწვეულ ხშირ კონფლიქტებს .

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, ჩვენი თვალსაზრისით, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს კვლევა გვაწვდის ინფორმაციას მისი ფასეულობების შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის, მოწესრიგდეს კულტურათშორისი კომუნიკაციების სისტემა. აქტუალურად გვესახება ენის მეშვეობით კულტურული სივრცის სემანტიზაციის კვლევის ამოცანაც, რამდენადაც ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს. მეორე მხრივ, ენას, რომელზედაც ხორციელდება აზროვნება, შეუძლია, განსაზღვროს გარესამყაროს შეცნობის საშუალებები.

თუ იმ ფაქტს გაგიოვალისწინებთ, რომ არც ცნობიერების (როგორც ადამიანის მენტალური რეალობის) ფენომენი, არც მისი შინაარსის კონსტრუირების პრობლემა და არც ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის სპეციფიკა სამეტყველო პროცესში საკმარისად არ ასახულა არც ქართულ და არც უცხოურ ლინგვისტიკაში, შეიძლება წინამდებარე გამოკვლევა აქტუალურად მივიჩნიოთ.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ხალხის ენისა და კულტურის მჭიდრო კავშირის შესწავლის აუცილებლობით, შესაბამისი კულტურის ღირებულებათა ენობრივი გამოხატულების კვლევის მნიშვნელობით თანამედროვე ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე შემდეგი ფაქტორებითაა გაპირობებული:

1. სტერეოტიპებთან დაკავშირებული კროსკულტურული მენტალური ქცევითი ნორმების სრული შეუსწავლელობით;
 2. კონცეფტ “ადამიანთან” დაკავშირებული სამყაროს ეთნოსპეციფიკური ინტერპრეტაციის მნიშვნელობით კულტურათშორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის საკითხში და ამისი მექანიზმების უქონლობით;
 - 3) ეთნოენობრივი ცნობიერების პრიორიტეტების ამსახველი ღირებულებითი კრიტერიუმების გამოვლენის აუცილებლობით;
 - 4). კროსკულტურული ანალიზის მეთოდის სრულყოფის აუცილებლობით;
 - 5). ლოგოპისტემის ნაირსახეობის – მყარი ენობრივი შედარებების – სპეციფიკის განუსაზღვრელობით სტერეოტიპთა თეორიის თვალსაზრისით.
- სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე როგორც თემის არჩევანს, ასევე – გამოკვლევაში განხილულ მრავალ მოვლენას უკავშირდება:

1. პარემიოლოგიური კორპუსი, როგორც ნებისმიერ კულტურაში არსებული სამყაროზე წარმოდგენისა და მისი ხედვის ერთიანი სისტემა, არასდროს განხილულა ინფორმაციის თეორიის ჭრილში;

2. პარემიოლოგიური სისტემების შინაგანი სტრუქტურირება არ ყოფილა განხილული კონცეფტუალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით;

3. ნაშრომში პირველადაა განხორციელებული კონცეფტ “ადამიანის” კომპლექსური დისციპლინათშორისი ინტერპრეტაცია ლოგოეპისტემის სპეციფიკური ნაირსახეობის – ფრაზეოლოგიური ანუ მყარი ენობრივი შედარებების – ბაზაზე;

4. გამოკვლეულია ვერბალურ მნიშვნელობათა სისტემისა და ენის მატარებელთა ეთნოკულტურული კომპეტენციის თანაფარდობა;

5. განსაზღვრულია ლოგოეპისტემა – ფრაზეოლოგიურ ანუ მყარ ენობრივ შედარებებში რეალიზებული კულტურული კოდები და ეტალონები, რომლებიც შესაბამისი კულტურების წარმომადგენელთა მენტალობასა და ენობრივი ცნობიერების სპეციფიკას ასახავენ;

6. ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა, რომელიც გამოხატულია ლოგოეპისტემებში (ფრაზეოლოგიურ ანუ მყარ ენობრივ შედარებებში), პირველად არის ვერიფიცირებული განსახილველ განსხვავებულ კულტურათა (ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული) მასალის

მეშვეობით. ეს კი საშუალებას იძლევა, დავინახოთ მოვლენა დისტანციიდან და დავიჭიროთ ის ნიუანსები, რომლებიც ინტრაკულტურული ანალიზისას გვეკარგება;

7. კონცეფტოსფერო “ადამიანი” პირველადაა წარმოდგენილი ეთნოფსიქოლინგვისტიკისა და კულტურათშორისი კომუნიკაციების კონტექსტში ; განსაზღვრულია აღნიშნული ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკა და პრაგმატიკა განსახილველი კულტურების მენტალურ - ქცევით ნორმებთან კავშირში.

ანტროპოცენტრისტულმა პარადიგმამ პირველი რიგის ამოცანად წამოაყენა ენის შესწავლა მისი კავშირების მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. სემანტიკასა და სინტაქტიკას შეენაცვლა პრაგმატიკა, რამაც განაპირობა ლინგვისტიკის ინტერესთა სფეროში კომუნიკაციის პროცესის მონაწილე ენობრივ პიროვნებათა ინტერაქციული ურთიერთქმედების შესწავლა, რომლის დროსაც მათი სამეტყველო ინტენციები ვლინდება. ენობრივი ნიშნების უკან

დგას ადამიანი, რომელიც მათი საშუალებით ცდილობს, მიაღწიოს გარკვეულ მიზანს, გამოიწვიოს მსმენელთა (კომუნიკანტთა) სასურველი რეაქცია. აღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე, პოპულარული ხდება ისეთი სამეცნიერო დისციპლინები, როგორებიცაა სამეტყველო აქტების თეორია და ლინგვისტური პრაგმატიკა. პირველი გვთავაზობს კომუნიკაციური სიტუაციის ორიგინალურ მოდელს. კომუნიკაციური აქტის ტრადიციულ ცნებით აპარატს (ადრესანტი, ადრესატი, გამონათქვამი, გარემოებანი და ა.შ.) სამეტყველო აქტების თეორია ამდიდრებს სამეტყველო აქტის მიზნისა და შედეგის კატეგორიებით. სამეტყველო აქტი განიხილება, როგორც მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება ენობრივი ნიშნების გამოყენების გზით.

რაც შეეხება ლინგვისტურ პრაგმატიკას, ის, ფაქტობრივად, ინტერაქციულ ფაქტორს ეყრდნობა და ენობრივი ნიშნის გამოყენების პრაგმატული მექანიზმების თავისებურებებს აანალიზებს.

ენობრივი პიროვნების წინა პლანზე წამოწევამ, რაც ანტროპოცენტრისტული პარადიგმის ჩამოყალიბების შედეგია, კულტურული იდენტობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. რამდენადაც ენობრივი პიროვნების ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურის ჩარჩოებში ხდება, მეცნიერებმა მიზნად დაისახეს იმ ენობრივი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც „ენობრივი პიროვნების” „კულტურულ პიროვნებად” ქცევას უწყობს ხელს. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ისეთი ლინგვოკულტურული ნიშნების შესწავლა, როგორებიცაა „ლინგვოკულტურემები”. ამ უკანასკნელთა სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის ერთიანობას წარმოადგენენ და შეიცავენ როგორც ენის, ასევე – კულტურის სემანტს. ლინგვოკულტურემა წარმოადგენს ერთგვარ კოდს, თავისებურ მატრიცას, რომელიც ასახავს აზროვნების წესს, წარმართავს მენტალური და ენობრივი რეპრეზენტაციების შინაარსსა და ფორმას.

თანამედროვე საინფორმაციო სისტემების განვითარება სხვადასხვა სემიოტიკური სისტემის კოდების ურთიერთქმედების შესაძლებლობას განაპირობებს, რამაც კრეოლიზებული ანუ პოლიფაქტურული ტექსტების შექმნა გამოიწვია. აღნიშნული ტიპის ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა სემიოტიკურ ფაქტურას – სიტყვას, მუსიკას, გამოსახულებას, გრაფიკას და მათ სხვადასხვა კომბინაციას აერთიანებს, ზემოქმედების უდიდეს პოტენციალს შეიცავს, რაც, თავისთავად, კვლევის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ენობრივ ცნობიერებასთან და სამყაროს ხატთან დაკავშირებული პრობლემები კულტურათმორისი კომუნიკაციისა და მეტყველების ონტოგენეზის საკითხებთან ერთად გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს თანმედროვე გამოკვლევებში. ნიშნობრივი კომუნიკაცია და მისი ნაირსახეობა – სამეტყველო ურთიერთობა – ცნობიერების სახეებით ოპერირების პროცესს წარმოადგენს, რომელზედაც კომუნიკანტები ნიშნის სხეულებით (აღსანიშნებით) მიუთითებენ. ენობრივ ცნობიერებათა ერთიანობა სამეტყველო ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს, ნაწილობრივი ერთიანობა კი, შესაძლოა, გახდეს კომუნიკაციური კონფლიქტების, პარტნიორთა ურთიერთგაუგებრობის ძირითადი მიზეზი, რაც ხშირად გამოწვეულია კომუნიკანტთა განსხვავებული ეროვნული კუთვნილებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურათმორისი ურთიერთობა ცნობიერების ანომალურ პირობებში ფუნქციონირების შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც არ არსებობს კომუნიკანტთა ცნობიერების ოპტიმალური თანხვედრა.

კულტურათმორისი ურთიერთობის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს კომუნიკანტების ცნობიერებათა ოპტიმალური ერთიანობა, რომლის უქონლობაც კომუნიკაციური კონფლიქტების პირდაპირ საფუძველს წარმოადგენს.

შესაბამისად, კულტურათმორისი ურთიერთობის თეორიის შემუშავება შემდეგი ამოცანის გადაჭრას უკავშირდება: ენობრივი ცნობიერების ნაციონალ-კულტურული სპეციფიკის ფიქსაცია და განსაზღვრა და, რაც მთავარია კულტურათმორისი ურთიერთობების მეთოდების შექმნა კომუნიკაციური კონფლიქტების პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული პრობლემის კვლევისას რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა: პირველი უკავშირდება ორი კულტურის ექვივალენტურ სიტყვათა ასოციაციური ველების შეპირისპირებას, რაც საშუალებას იძლევა, დაფიქსირდეს და განისაზღვროს აღნიშნულ სიტყვებთან ასოცირებული ცნობიერების სპეციფიკური სახეები.

ამგვარი ცნობიერების სახეების ზოგადი და სპეციფიკური ნაწილების ფიქსაცია, განაპირობებს კულტურათმორისი ურთიერთობების მეთოდების ჩამოყალიბებას.

ამგვარი ფიქსაციის მკაფიო მაგალითია ჯ. კიშის, არმსტრონგის, მილროისა და პაიპერის (Kiss G.R., Armstrong G., Milroy R., Piper J., An associative thesaurus of English and its Computer Analysis“) და ი. კარაულოვის “Русский ассоциативный словарь”)

მეორე მიდგომა უკავშირდება ენობრივი ცნობიერების კვლევის სხვადასხვა ასპექტს, როგორებიცაა სიტყვის მნიშვნელობის აღწერის შესაძლო

გზები (ა . ზალევსკაია) , მეტაფორის , როგორც აზროვნების პროცესის ანალიზის უნივერსალური შესაძლებლობის შესწავლა (კ. ალექსევი), ენობრივი ცნობიერების გარეგანი ფორმების ინტენტ-ანალიზის სხვადასხვა მეთოდით გამოკვლევა(ნ. პავლოვა), დინამიკური ვიზუალიზაციის პრობლემა (ნ. ამაევი), სამეტყველო შეცდომები (ა.კაზანსკაია)

მესამე მიმართულება ენობრივი ცნობიერების ეთნოკულტურულ ასპექტებს განიხილავს და მოიცავს მენტალიტეტისა და ეროვნული ხასიათის თავისებურებებს, აგრეთვე, ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა სახეობრივი აზროვნებისა და კომუნიკაციური ქცევის სპეციფიკის პრობლემებს

გუკავშირებთ რა წინამდებარე გამოკვლევას კულტურათშორისი კომუნიკაციის პრობლემატიკას, აღვნიშნავთ, რომ კულტურათშორისი კომუნიკაციისა და სამეტყველო ურთიერთობების პრობლემები პირდაპირ კავშირშია ენობრივი ცნობიერების თემასთან. როგორც გ. გადამერი ამბობს, „არ სჭირდება მტკიცება იმ თეორიას, როლის მიხედვითაც ყოველგვარი გაგება ენობრივ პრობლემას წარმოადგენს და რომ გაგება ხორციელდება (ან არ ხორციელდება) ენის მეშვეობით” (Г.Гадмер, 1991, 43).

გაგების პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ადამიანს-ანტროპოცენტრისტული კვლევების სუბიექტსა და ობიექტს. ანტროპოცენტრისტული მიდგომის დამსახურება იმაში მდგომარეობს , რომ „ადამიანს ” ინდივიდუალური და სოციალური მახასიათებლების ერთობლიობაში განიხილავს, რეალური კომუნიკაციის პროცესში, რომლის დროსაც ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერების აქტიური ურთიერთქმედება ხორციელდება.

გვევლინება რა კომუნიკაციის პროცესში როგორც ინდივიდუალურ პიროვნებად, ასევე – გარკვეული კულტურის ჩარჩოებში ჩამოყალიბებულ ინდივიდად (ე.წ. „კულტურულ პიროვნებად“), ადამიანი გარკვეული ეთნოენობრივი სტერეოტიპების მატარებელს წარმოადგენს.

ამდენად, კულტურათშორისი კომუნიკაციების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ დადებით და უარყოფით თვისებათა ცოდნა, რომელთაც ერის კოლექტიური ცნობიერება თავისი შეფასების კრიტერიუმებში გამოხატავს. ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საშუალებას იძლევა განვაზოგადოთ სამყაროს სურათის ცალკეული სეგმენტების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის პრინციპები, ხოლო მეთოდოლოგია გამოვიყენოთ კულტურათშორისი კონფლიქტების შესაძლო ზონების

გამოსავლენად. მასში პირველად არის შემოთავაზებული ენობრივი ცნობიერების ფაქტების ეთნო-ფსიქო-კულტუროლოგიური ინტერპრეტაციის მოდელი ფრაზეოლოგიური შედარებების ბაზაზე. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება საშუალებას მოგვცემს, შევადაროთ არა მხოლოდ კონკრეტულ კულტურასთან დაკავშირებული „ადამიანის“ კონცეფტუალური ველი, არამედ განსახილველი კულტურების შესაბამისი კონცეფტოსფეროები, რაც, საბოლოო ჯამში, კულტურათშორისი ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული რეკომენდაციების საფუძვლად იქცევა. ნაშრომის *თეორიული ღირებულება* იმითაც განისაზღვრება, რომ ის, გარკვეულწილად, აფართოებს და განაზოგადებს კონცეფტუალიზაციისა და კატეგორიზაციის პროცესის თეორიულ კვლევას. თეორიული მნიშვნელობა გააჩნია ლოგოპისტიკის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ნიშნის, ინტერპრეტაციას. ამასთანავე, თეორიული მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულთან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა კომუნიკაციის პრობლემების კვლევისას მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობაში მდგომარეობს. მისი დებულებები შეიძლება გახდეს სპეცკურსებისა და სპეცსემინარების შინაარსის ნაწილი ისეთ დარგებში, როგორებიცაა კულტუროლოგია, ეთნოფსიქოლინგვისტიკა, სამეტყველო აქტების თეორია, ტექსტის თეორია, კოგნიტოლოგია და ა.შ. სადისერტაციო კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას, აგრეთვე, პიარ-ტექნოლოგიებსა და პროპაგანდის თეორიაში.

ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობს: ენა უზრუნველყოფს ადამიანის შესაძლებლობას, გადავიდეს აზროვნების ფორმებით ოპერირების დონეზე, რომლებიც ვერბალური ფორმების სემანტიკაში ექსპლიციტრდებიან. აზროვნება არამარტო ცნობიერების სახით არსებობს, არამედ კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში გამოისახება, რომლებშიც ექსპლიციტრდება აზროვნების ეს ფორმები. აზროვნებისა და ენობრივი სტრუქტურების მიმართება და მათი როლი სამყაროს შეცნობაში საშუალებას გვაძლევს, სხვა მკვლევართან ერთად ვივარაუდოთ “აზროვნების შუალედური ენის” არსებობა, რომელიც აზროვნებისა და ენის ურთიერთკავშირს ახორციელებს და განისაზღვრება, როგორც “მენტალური კონსტრუირების ენა”. ეს ენა, თავის მხრივ, “შუალედურ კოდად” გვევლინება უნივერსალურ საგნობრივ, შინაარსობრივ კოდებსა და რეალურ მეტყველებას შორის.

ენის მენტალური კონსტრუირების ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტს წარმოადგენს კონცეპტი, რომელიც მენტალურ რეალობაში გვევლინება, როგორც ცოდნა, ანუ ინფორმაციის ერთობლიობა რეალურ სამყაროში არსებულ აქტუალურ და შესაძლო ვითარებაზე ემოციების, განცდებისა და ასოციაციების კონტექსტში.

კონცეპტის, როგორც მენტალური წარმონაქმნის გაცნობიერება შესაძლებლობას გვაძლევს, არამარტო აღვადგინოთ კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყარო, მისი ფსიქიკა, არამედ მოვახდინოთ მისი ეთნომენტალური მახასიათებლების დადგენა. სამყაროს ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს “სამყაროს სურათის” გარკვეული მონაკვეთის შესახებ ინფორმაციის კონსტრუირებას.

იდეოგრაფიულად ორგანიზებულ ენობრივ ერთეულებსა და კონცეპტუალურ სისტემას შორის არსებული კავშირის დადგენა შესაძლებლობას გვაძლევს ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია განვიხილოთ, როგორც კონცეპტუალური მოდელის რეპრეზენტაცია, რომელიც მოიცავს ცოდნას და “ღირებულებრივ” გამოცდილებას, დაგროვილს აღნიშნული სოციუმის მიერ. ამასთანავე, კონცეპტუალური მოდელი ადგილს შემდგომი შესაძლებლობებისთვის ღიად ტოვებს.

ყოველივე ზემოთქმული შესაძლებლობას გვაძლევს, წინამდებარე ნაშრომი იმ გამოკვლევებს მივაკუთვნოთ, რომლებიც მენტალურისა და ენობრივი ფენომენების ურთიერთქმედებას ეძღვნება.

წარმოდგენილ ნაშრომს საფუძვლად უდევს, ასევე, ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, იმ ერთეულების კროსკულტურული კვლევა, რომლებშიც ეთნოენობრივი ცნობიერება მანიფესტირდება, საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები კულტურათშორისი ურთიერთობების ჰარმონიაში მოსაყვანად.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები განაპირობებენ ნაშრომის არქიტექტონიკას, ხოლო სტრუქტურა განსაზღვრავს ჩვენ მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის თანმიმდევრობას. „სიუჟეტის” ლოგიკური განვითარება შემდეგნაირად გვესახება:

პირველი თავი –“ კვლევის თეორიული ბაზა “ - განიხილავს ენის, აზროვნებისა და კულტურის ურთიერთმიმართებას და შედგება შემდეგი პარაგრაფებისაგან:

§1. ენა, ცნობიერება და აზროვნება;

§ 2. ენობრივი ცნობიერებიდან – კულტურამდე („სამყაროს ენობრივი სურათი“, როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების ვერბალური მანიფესტაცია) ;

§3. „ ენობრივი ფაქტები, როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების შესწავლის წყარო ”.

აღნიშნული პრობლემების განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს, თეორიული საფუძვლები დაეუდოთ ლოგოეპისტემის ანალიზს.

მეორე თავში – „ ლოგოეპისტემა კულტურის სემიოტიკურ სივრცეში” -- გამოვეყოფთ შემდეგ პარაგრაფებს:

§1.ლოგოეპისტემა, როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ძირითადი ოპერაციული ერთეული ;

§ 2. „მყარი ენობრივი შედარება, როგორც ლოგოეპისტემის სპეციფიკური ნაირსახეობა;

§ 3. შედარების მხატვრულ-ესთეტიკური სპეციფიკა;

§4 მყარი ენობრივი შედარების ენობრივი მარკირება.

ლოგოეპისტემის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ნიშნის სპეციფიკა, მისი არაერთგვაროვნებითაცაა განპირობებული. მის ინტრატიპოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისეთ ნაირსახეობას, როგორიცაა მყარი ფრაზეოლოგიური ანუ ენობრივი შედარება. ამ უკანასკნელის შედარება ლოგოეპისტემის სხვა ტიპოლოგიურ ნაირსახეობებთან შესაძლებლობას გვაძლევს, საკვლევი ფენომენის სპეციფიკა გამოვეკვეთოთ.

მესამე თავში – „ადამიანი სამყაროს ეთნოენობრივ ხატში” (უნივერსალური პორტრეტი და მისი ნაციონალურ-სპეციფიკური ვარიანტები) მყარი ენობრივი შედარებების ბაზაზე” –განხილულია კონცეფტ “ადამიანის” მაკონსტრუირებელი ძირითადი პარამეტრები და მასთან დაკავშირებული ენობრივი სტერეოტიპები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება, ქართველების, ინგლისელების და რუსების ეთნოეროვნულ მენტალობაში უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ცნობიერების ფაქტები გამოვავლინოთ. თავი შედგება შემდეგი პარაგრაფებისაგან: §1.ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება ;

§2. ადამიანი, როგორც ინტელექტუალური არსება ; 3. ადამიანი, როგორც სულიერი არსება ; 4. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, რომლებიც

ქართული „ინგლისური და რუსული მყარი ენობრივი შედარებების საფუძველზე“ განიხილავს „ადამიანის“ ლინგვოაქსიოლოგიას.

მეოთხე თავი – „ადამიანის“ უნივერსალური პორტრეტი და მისი ნაციონალურ - სპეციფიკური ვარიანტები მყარი ენობრივი შედარებების ბაზაზე“ – განაზოგადებს კონკრეტული კვლევის მასალებს და შესაბამისი დასკვნების სახით აყალიბებს.

ჩვენი ინტენციონალური პროგრამის “პრეზენტაციის” შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია კონკრეტული მასალის ანალიზზე გადასვლა.

თავი I.

კვლევის თეორიული ბაზა

წინამდებარე ნაშრომის საყრდენი პრობლემატიკა მოიცავს რიგ საკითხს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია საკვლევი კონკრეტული ემპირიული მასალის ინტერპრეტაციისთვის. ასეთად გვესახება: ენის, ცნობიერებისა და აზროვნების ურთიერთმიმართება; კულტურისა და სამყაროს სურათის დამოკიდებულება ენობრივ ფენომენთან; ეროვნული მენტალობის განმსაზღვრელი კოგნიტიური ბაზის აღწერის პრობლემა და აზროვნების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გამომხატველი ენობრივი ფორმების დადგენის პრობლემა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი პრობლემები ურთიერთდაკავშირებული და, გარკვეულწილად, ურთიერთგანმსაზღვრელიცაა, რაც აუცილებელს ხდის მათ განხილვას ერთიანი კონცეფტუალური პარადიგმის ჩარჩოებში.

§1 ენა, ცნობიერება და აზროვნება

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია დავაზუსტოთ ის შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია ტერმინების „აზროვნება“ და „ცნობიერება“ გამოყენებასთან. მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორებიცაა ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია და ენათმეცნიერება, აღნიშნული ტერმინი თავისი სპეციფიკური შინაარსობრივი ნიუანსებით გამოირჩევა, რაც მათი სიღრმისეული შინაგანი დამოკიდებულების გათვალისწინებას გულისხმობს. წინამდებარე ნაშრომში „ცნობიერებად“ მოვისხენიებთ სინამდვილის ასახვის მთელ პროცესს ადამიანის ნეირომენტალურ სისტემაში; „აზროვნებას“ კი ვუწოდებთ სინამდვილის ასახვის პროცესს ცნებების, განსჯისა და დასკვნების ფორმით. ტერმინების ასეთი განმარტების შემთხვევაში აზროვნება ცნობიერების იმ ნაწილს შეადგენს, რომელიც, აზროვნების გარდა, მოიცავს სინამდვილის ისეთი ფორმებით ასახვასაც, როგორებიცაა ემოციური, ესთეტიური, კონკრეტულ-გრძნობითი. არ დავგავიწყდეს, რომ ტერმინი „ცნობიერება“ მეცნიერებაში სხვა მნიშვნელობითაც იხმარება – ესაა იდეების, შეხედულებების, მრწამსის, მსატვრული სახეების სისტემა, რომელიც დამახასიათებელია მთლიანად საზოგადოების, მისი კლასების, სოციალური ფენებისა და ცალკეული ადამიანებისათვის; ამ მეორე მნიშვნელობით ტერმინი „ცნობიერება“ ახლოს დგას „იდეოლოგიასა“ და „მსოფლმხედველობასთან“.

ბოლო დრომდე მეცნიერები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ენისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებას და, ძირითადად, სწავლობდნენ ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას. ხშირად, როდესაც ლაპარაკი იყო ენისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებაზე, გულისხმობდნენ ენისა და აზროვნების ურთიერთობას. სიტყვის მნიშვნელობის პრობლემაც კი აზროვნებასთან და არა ცნობიერებასთან აღმოჩნდა მიბმული, მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტებისათვის ძალზე კარგად იყო ცნობილი ენობრივი ერთეულების ემოციური და ესთეტიური მნიშვნელობები, რომლებიც, ლოგიკურთან ერთად, ქმნიან ენის სემანტიკას.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ენისა“ და „ცნობიერების“ ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, ფაქტობრივად, პირველადი ფორმულირების ეტაპს ვერ გასცდა. ბევრი რამ რჩება გაურკვეველი და

საკამათო როგორც ლინგვოფილოსოფიური აბსტრაქციის, ასევე, ლინგვოფილოსოფიური დაკვირვებების დონეზე.

ცნობილია, რომ სინამდვილე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, შეიძლება დაიყოს ოთხ ურთიერთმომქმედ სისტემად: ა) ბუნების სისტემად, ბ) საზოგადოების სისტემად, გ) ცნობიერების სისტემად, დ) ენის სისტემად. ფუნქციონალურად ბუნების სისტემა წინ უსწრებს საზოგადოებრივ სისტემას. ფუნქციონალურად ცნობიერებისა და ენის სისტემები მეორადია ბუნების სისტემებთან და საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ მხარეებთან შედარებით. ცნობიერებისა და ენის სისტემები წარმოიშვნენ საზოგადოებასთან ერთად და მისი ყოფიერების აუცილებელ მხარეებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებულნი და გადახლართულნი – ადამიანის საქმიანობასთან. „ენის და ცნობიერების“ პრობლემა მეცნიერების წინაშე აყენებს თეორიული საკითხების მთელ რიგს. მათ შორის, შემდეგს: როგორია ენის ფუნქციები ცნობიერებასთან მიმართებაში? როგორია ცნობიერების ფუნქციები ენასთან მიმართებაში? როგორია ენის ფუნქციები აზროვნებასთან მიმართებაში? როგორია აზროვნების ფუნქციები ენასთან მიმართებაში? ეს ოთხი ძირითადი კითხვა კონკრეტულ შინაარსს შეიძენს, თუ საკუთრივ ენას და მეტყველებას შევუპირისპირებთ ერთმანეთს.

ენის ფუნქციები ცნობიერებასთან კავშირში საკმაოდ პრინციპულ ხასიათს ატარებს. ენა საშუალებას აძლევს ცნობიერებას, გახდეს პრაქტიკული, ჭეშმარიტი ფენომენი როგორც პიროვნებისთვის, ასევე – სხვა კომუნიკანტთათვის. ეს ნიშნავს, რომ ენა თვით ცნობიერების აქტების ჩამოყალიბების იარაღად გვევლინება. მხოლოდ თითოეული აქტის, „სულის თითოეული მოძრაობის“ სიტყვასთან გაერთიანებით და სიტყვით გამოხატვის შედეგად ახორციელებს ამ აქტს სინამდვილეში, პრაქტიკულად. ცნობიერების აქტების სიტყვაში გამოხატვის გარეშე ისინი თვით ენის მატარებლისთვის რჩება გაურკვეველი და მიულწევადი და უცნობი – სხვებისთვის.

ენის მეორე ფუნქცია ცნობიერებასთან მიმართებაში გამოიხატება შემდეგში: ენა არის მისი გამოხატვის საშუალება. საზოგადოების ცნობიერების შინაარსი ფიქსირდება და გამოიხატება ლექსიკით და ენის გრამატიკული წყობით. თუმცა, ამგვარად ფიქსირდება და გამოიხატება საზოგადოებრივი ცნობიერების არა მთლიანი შინაარსი, არამედ მხოლოდ მისი განვითარების და საქმიანობის ის შედეგები, რომლებიც ენობრივი სტრუქტურის ელემენტებს განეკუთვნებიან და

პიროვნების გარეშე, განზოგადებულად, არის მათში ფიქსირებული. ცალკეული ადამიანის მოქმედი ცნობიერების შინაარსი გამოიხატება ენის ელემენტების ორგანიზაციით მეტყველების ნაკადში.

ენა არის პირობა და ცნობიერების მოქმედების პროცესების მოდელირების საშუალება. ენის გამოყენება მეტყველებაში, სამეტყველო ინტენციის განვითარება განაპირობებს ცნობიერების შინაარსის გახსნას და ამით უზრუნველყოფს ამ შინაარსის გაგებას არა მარტო მსმენელის ან მკითხველის, არამედ ნათქვამის ავტორის მიერ. ამგვარად, ენა საკუთარი ცნობიერების მოქმედების შემეცნების პირობად იქცევა.

ამით ენა საკუთარი ცნობიერების მოქმედებაზე კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. ცნობიერების აქტების ობიექტური გაანალიზების შედეგად ენა იძლევა შესაძლებლობას, შეუფარდოს თავისი მოქმედება ცნობიერების მიერ სამყაროს ცალკეული უბნების ასახვის თვისებებს და ნიშნებს: შეიძლება მოხდეს სამეტყველო მოდელის შედარება მოდელირებად ობიექტთან და ამით ჩნდება თვით მოდელისა და მის უკან მდგომი ცნობიერების მოქმედების კორექტირების საშუალება.

ადამიანის ცნობიერების წარმოშობისა და განვითარების საქმეში ენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა პირობამ. მხოლოდ ენამ შექმნა წინაპირობები, განზოგადებულიყო გრძნობითი ასახვები და მათს ბაზაზე აგებულიყო სამყაროს ლოგიკური ასახვა. ეს უკანასკნელი კავშირში იყო შრომითი შემოქმედების შედეგებთან, როგორც შეგნებული მოქმედების წინაპირობასთან.

როგორც უკვე ითქვა, პრობლემა „ენა და ცნობიერება“ შეიძლება და უნდა იყოს გააზრებული არა მარტო როგორც ენის ზემოქმედების პრობლემა ცნობიერებაზე, არამედ როგორც ცნობიერების ზემოქმედების პრობლემა ენაზე. ცნობიერების ფუნქცია ენასთან მიმართებაში მოითხოვს შემდგომ გამოკვლევებს. მოუხედავად ამისა, უკვე ახლა შეიძლება მონიშნოს ამ ფუნქციებიდან მთავარი.

ცნობიერება, მისი მოქმედება და განვითარება გვევლინება ერთ-ერთ მთავარ პირობად, რომელიც უშუალოდ იწვევს ცვლილებას ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში. რასაკვირველია, ეს ცვლილებები გამოწვეულია ენის ფუნქციონირების სოციალური პირობებითაც, ანუ მასზე საზოგადოების ზემოქმედებითაც. თუმცა ყველა ეს ზემოქმედება ხორციელდება არა უშუალოდ, არამედ ცნობიერების გავლით; იმან კი, რაც შედის ცნობიერების მოქმედების

ველში, შეიძლება ასახვა ჰპოვოს სიტყვათა მნიშვნელობასა და მათ კავშირებში. აზრების, ემოციების, ცნობიერების, გუნება-განწყობის სფეროში ცვლილებებმა შეიძლება წარმოშვას ახალი მნიშვნელობა და ენიდან ამოშალოს ძველი, ანუ ცნობიერებისათვის არააქტუალური; გადაანაწილოს სიტყვაში არსებული მნიშვნელობები და მნიშვნელობათა სერიები. როგორც ჩანს, ცნობიერების უკონტროლო მონაწილეობის შემთხვევაში, წარმოიშობა და კვლავწარმოიშობა გრამატიკული მნიშვნელობებიც.

ცნობიერება – ეს არის მეტყველების პირობა და მისი განვითარების ანუ კონკრეტულ ფრეიმებში ფუნქციონირების ძირითადი მიზეზი. თვით ენის მექანიზმს არ გააჩნია სამეტყველო მოძრაობის ინერცია. ენობრივი მექანიზმი არ აღიძვრება მეტყველების ფუნქციონირებასთან ერთად და, რეალურად, მეტყველებაში ფუნქციონირებს მხოლოდ ცნობიერების მოქმედების წყალობით. „აზრი-ტექსტი“-ს ტიპის „აღმძვრელი“ მოდელის შექმნის მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან განხილვიდან გამორიცხავენ მეტყველების აგების ერთადერთ მამოძრავებელ ძალას – მოქმედი ცნობიერების ძალას. ბუნებრივია, ცნობიერების მუშაობის ტიპების ცვალებადობა – სიტუაციური, პიროვნული, ისტორიული და სხვა – ცვლიან მის ზემოქმედებას სამეტყველო სტრუქტურებზე, შედეგად იცვლება ასეთი სტრუქტურების ტიპებიც. ხაზობრივად განვითარებული მეტყველება იქცევა ცნობიერების მოქმედების თავისებურ ნიშნობრივ მოდელად და ამ შემოქმედების ზოგიერთი მხარის ობიექტური შესწავლის შესაძლებლობას ქმნის.

ნათქვამიდან გასაგები ხდება ცნობიერების კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია ენასთან მიმართებაში – ენობრივი და სამეტყველო სტილების ჩამოყალიბების ფუნქცია. სამეტყველო სტრუქტურების ტიპები, რომლებიც სწორედ ასეთი ტიპის მდგრადი სისტემების (ანუ მეტყველების სტილების) საფუძველს შეადგენს, ყოველთვის ცნობიერების მუშაობითაა განპირობებული.

საჭიროა ხაზი გაესვას ცნობიერების კიდევ ერთ ფუნქციას: იგი აკონტროლებს მეტყველების განფენას, მასში ენობრივი ელემენტების შერჩევას და მათ შორის კავშირების გამოყენებას, ენის ნორმების დაცვას და გადახვევას. იგი განსაზღვრავს წარმოქმნილი სამეტყველო სტრუქტურის შესაბამისობის ხარისხს მის შინაარსთან, მეტყველების სტრუქტურებს შორის

კავშირების ლოგიკურობა/არალოგიკურობის ხასიათს და შინაარსის შესაბამისობას რეალურ სიტუაციასთან და ა.შ.

პრობლემა „ენა და აზროვნება“, თავისი არსით, უნდა წარმოადგენდეს პრობლემის „ენა და ცნობიერება“ თუმცა უმთავრეს, მაგრამ მაინც ერთ-ერთ მხარეს. არადა, მოხდა ისე, რომ სწორედ პრობლემა „ენა და აზროვნება“ წამოვიდა წინა პლანზე და, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად დაჩრდილა პრობლემა „ენა და ცნობიერება“. როგორც ჩანს, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ლოგიკურ-გრამატიკული მიმართულების, ხოლო უფრო ადრე – კარტეზიანული, რაციონალისტური ფილოსოფიური და მასზე დამყარებული გრამატიკების გავლენა.

შესაძლოა, სწორედ „ენისა და აზროვნების“ და არა „ენისა და ცნობიერების“ პრობლემისადმი ჰიპერტროფირებული ინტერესით უნდა აიხსნას ის, რომ ლინგვისტური თეორიის უმნიშვნელოვანესმა საკითხმა – სიტყვის მნიშვნელობის არსმა – მეცნიერებაში ცალმხრივი გაშუქება ჰპოვა. ეს ცალმხრივობა გამოიხატა იმაში, რომ სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ ცნებებთან (რომლებიც გამოხატულია სიტყვებით) იქნა გაიგივებული, ან კიდევ მისი მნიშვნელობა გამოცხადდა სტრუქტურულ-ენობრივ ფენომენად, რომელიც მიაკუთვნეს მხოლოდ და მხოლოდ ცნებებს, თითქოს ცნობიერების მოქმედებაში ცნებების გარდა არაფერია და თითქოს სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების სემანტიკა ცნებების შესახებ ინფორმაციის გარდა არაფერს შეიცავს.

თუკი აზროვნება ადამიანის გონებაში სინამდვილის ასახვის პროცესია ცნებების, განსჯის, დასკვნების ფორმით და თუ ეს პროცესი წარმოადგენს ცენტრალურ და არა ერთადერთ მიმართულებას შემეცნების პროცესისა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრობლემა „ენა და აზროვნება“ შეიძლება და უნდა განიხილებოდეს პრობლემის „ენა და ცნობიერება“ გააზრების ანალოგიურად.

როგორია, ამ შემთხვევაში, ენის ფუნქციები ადამიანების აზროვნებასთან მიმართებაში?

პირველი და მთავარი ფუნქცია – მონაწილეობა აზრის ფორმირებაში. აზროვნება, როგორც ცნობიერებაში სინამდვილის განზოგადებული ასახვის პროცესი, მოითხოვს მუდმივ საყრდენს სიტყვისა და წინადადების სახით. ასეთი საყრდენის გარეშე არც განსჯა, არც დასკვნა და არც მათი შემადგენელი კომპონენტი – შემეცნება – არ ხორციელდება.

აზრის ჩამოყალიბების პროცესში თვით ენა გამოხატავს ინფორმაციას მის შესახებ, ანუ „აზრთა გაცვლის“ საშუალებას იძლევა. აზრის მუშაობის შესახებ ინფორმაციის გამოხატვას კოლოსალური მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ურთიერთობის პროცესში და გვევლინება ამ პროცესის ერთ-ერთ საფუძვლად და პირობად მის წარმატებით განხორციელებაში. მოსაუბრის მიერ ენობრივი საშუალებებით გამოხატული აზრის მუშაობის შესახებ ინფორმაციის აღქმის შემდეგ მსმენელი ან მკითხველი იღებს შესაძლებლობას (რასაკვირველია, გარკვეული დანაკარგებით), წარმოიდგინოს ეს საქმიანობა.

ამგვარად, ენის მესამე ფუნქცია აზროვნებასთან მიმართებაში – ეს არის მკითხველში ან მსმენელში ავტორის სიტყვის მოსმენის ან წაკითხვის დროს მეტ-ნაკლებად ადეკვატური აზრის აღძვრა.

ჩამოყალიბების, გამოხატვის, აზრის აღძვრის დროს ენა ადამიანს აძლევს საშუალებას, ფართოდ და ღრმად გაიცნოს სამყარო, უფრო სრულად და სწორად გადაამუშაოს მასზე მოცემული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ენა შემეცნების იარაღს წარმოადგენს.

აზროვნებასთან მიმართებაში ენის ფუნქციების ჩამოთვლის დროს არ შეიძლება არ დავასახელოთ ისეთი თავისებური და ნაკლებშესწავლილი ფუნქცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მოდელირების ფუნქცია. აზროვნების პროცესის შესაბამისად და მის დანაწევრებასთან ერთად თავს იჩენს ნათქვამის განშლის პროცესი. ნათქვამის ლექსიკური და გრამატიკული ელემენტები ისევე, როგორც მათ შორის კავშირები, თავისებურ მოდელს წარმოადგენს.

ერთ-ერთი ასეთი ფუნქცია უზრუნველყოფს ენობრივი ერთეულების, როგორც ნიშნების, ფუნქციონირებას. ენობრივი ნიშანი წარმოადგენს მატერიალურის და იდეალურის ერთობლიობას. მაგრამ იდეალური ნიშანში არსებობს, მოქმედებს, ვითარდება მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს, მოქმედებს, ვითარდება ადამიანის აზრი, რომელიც ფიქსირდება ნიშნების მნიშვნელობებში. თუ ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა – ეს არის უნარი, გამოხატოს და აღძვრას ინფორმაცია რაიმეს შესახებ და ეს „რადაცა“ აღმოჩნდება ნივთი, საგანი, მოვლენა – ერთი სიტყვით, ობიექტური სამყაროს ფაქტი, რომელსაც აზრი აცნობიერებს ან ეს „რადაც“ თვით აზრი აღმოჩნდება, მაშინ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში აუცილებელი ხდება აზრის აქტიური მონაწილეობა მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში. იმისათვის, რომ სიტყვაში გაჩნდეს შესაძლებლობა,

გამოიხატოს ინფორმაცია რაიმეს შესახებ, რაც განსხვავდება თვით სიტყვისგან, აუცილებელია აზრის მონაწილეობა,

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ არ ვლაპარაკობთ ცნობიერების როლზე ზოგადად, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი ერთეულების ნიშნობრივ ფუნქციას. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ენობრივი ნიშნებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობების სისტემის ფორმირებაში აზროვნება თამაშობს განუსაზღვრელად უფრო დიდ როლს, ვიდრე ცნობიერების სხვა შემადგენელი ნაწილები. ეს ნათელი გახდება, თუ ავიღებთ გრამატიკული ცოდნის სისტემას, ვთქვათ, მეტყველების ნაწილების ან ლექსიკური მნიშვნელობების ტერმინოლოგიის სფეროში. პრინციპში, არაფერი შეიძლება გქონდეს საწინააღმდეგო იმ ვარაუდის შესახებ, რომ აქ განხილული ენობრივი ნიშნების არსის უზრუნველყოფის ფუნქცია დამახასიათებელია არა მარტო აზროვნებისათვის, არამედ მთლიანად ცნობიერებისათვის. ადამიანის ცნობიერება და, პირველ რიგში, აზროვნება ენობრივი მექანიზმის ნიშნობრივი ბუნების მთავარ პირობად გვევლინება.

მეორე, ენისათვის და მისი მეცნიერული გაგებისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი აზროვნების ფუნქცია ნათლად იგრძნობა სემანტიკასთან დაკავშირებით. აზროვნება – ეს არის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების განვითარების მთავარი იარაღი.

აზროვნება ენასთან მიმართებაში გამოიყენება, როგორც ენობრივი ერთეულების შერჩევის იარაღი მეტყველების ასაგებად. მეტყველების აგების ყოველ ნაბიჯზე ადამიანს ესაჭიროება არა ნებისმიერი, არამედ კონკრეტული სიტყვები, მათი კავშირები, ფორმები და კატეგორიები. წინადადების არა ნებისმიერი, არამედ გარკვეული მოდელები და ტიპები. ენის საჭირო ელემენტის შერჩევა, გარკვეულწილად, განპირობებულია ენის იმ ელემენტებით, რომლებიც უკვე მონაწილეობენ სამეტყველო ჯაჭვში. ამავე დროს, ეს განპირობება არის არა ხისტი, არამედ – შესაძლო. როგორც წესი, იგი რამდენიმე წინადადებისგან მხოლოდ ერთის შერჩევის საშუალებას ტოვებს და ამ შერჩევას ახორციელებს მეტყველების ავტორი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თავისი აზრის კარნახს ემორჩილება.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ აზროვნება ახორციელებს მეტყველებაზე კონტროლს და ასეთი კონტროლის განხორციელების იარაღს წარმოადგენს.

როგორც დაერწმუნდით, დამოკიდებულება ცნობიერებასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებს შორის განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. არსებულ თვალსაზრისთა და მოცემულობათა ანალიზი საკვლევი ფენომენის გააზრების სამ ვარიანტს გვაძლევს:

ა). ცნობიერების ფენომენისადმი გულუბრყვილო მიდგომის ამსახველი ცნობიერების ინტროსპექტული განსაზღვრა, როგორც ამოსავალი და ყველა ინდივიდისთვის გასაგები; ბ). ნეიროფსიქიკურ და ნეიროპათოლოგიურ გამოკვლევებთან დაკავშირებული ცნობიერების ემპირიულად განსაზღვრული ცნება, რომელიც კლინიკურ და ექსპერიმენტურ ფსიქოლოგიაში გამოიყენება; გ) ცნობიერების ინტენციური და ეპისტემოლოგიური გაგება, რომელიც თანამედროვე თეორიაში შემეცნების შესაძლებლობის განჭვრეტის პირობად განიხილება და თავის თავში რამდენიმე „ინტენციურ“ საფეხურს მოიცავს. ცნობიერების მეტაორგანული ფუნქცია რეალურ სამყაროში ადამიანის მოღვაწეობის სფეროს გაფართოებაში მდგომარეობს, მისი შინაგანი გეგმებისა და წარმოდგენების თანახმად გარემომცველი სამყაროს შესაცვლელად.

ცნობიერების ფენომენმა, როგორც ადამიანის მენტალურმა რეალობამ, მისი შინაარსის სტრუქტურირების პრობლემამ, აგრეთვე ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის სპეციფიკამ მეტყველების წარმოშობის პროცესში ვერ ჰპოვეს ყოველმხრივი გაშუქება ლინგვისტიკაში. მითითებულ პრობლემასთან მუშაობა აუცილებელს ხდიდა პრინციპულად მნიშვნელოვანი პრობლემის – ცნობიერებისა და აზროვნების ურთიერთმიმართების გარკვევას. აღნიშნული ურთიერთმიმართება მეცნიერების საკმაოდ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას იწვევს. განსაკუთრებით ანტაგონისტურია იმ მეცნიერთა შეხედულებანი, რომელთაც ბ. სერებრენიკოვი „ვერბალისტებსა“ და „ანტივერბალისტებს“ უწოდებს.

ერთადერთი დებულება, რომელსაც ცნობიერებისა და აზროვნების პრობლემების შესწავლით დაკავებული ყველა მეცნიერი იზიარებს, არის განსახილველ ობიექტთა შორის უეჭველი კავშირი. ვერბალისტების პოზიციის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს იდეა „აზროვნებისა და ენის კავშირების ურღვევობის შესახებ და აზროვნების აქტების მხოლოდ ენის საშუალებით და მისსავე ბაზაზე წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ“ (В.Морковкин , Морковкина А., 1997, 12). ვერბალისტების რიცხვს შესაძლებელია მივაკუთვნოთ

ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან მ. მიულერი, ვ. ფონ ჰუმბოლტი, ფ. შლეიერმახერი, ფ. დე სოსიური, ა. რეფორმატსკი და სხვ.).

მათგან განსახვავებით, ანტივერბალისტები არავერბალური აზროვნების პრინციპულ შესაძლებლობას ამტკიცებენ. არგუმენტებად მოჰყავთ მძლოლის ქმედება საჭესთან, ხელსაქმე, ჭადარაკის პარტიის თამაში, აგრეთვე, ყრუ-მუნჯთა აზროვნება, რომლებიც, ა. რუდნევის თქმით, ამ პროცესს მგრძნობელობითი შეგრძნებების ბაზაზე ახორციელებენ. ანტივერბალისტების რიცხვს ნ. უინკინს, ე. პიაჟეს, ბ. სერებრენიკოვს, პ. გალპერინს და სხვ. მიაკუთვნებენ.

არსებობს მესამე შეხედულებაც, რომელიც ენისა და აზროვნების განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მსჯელობის ლოგიკა ასეთია: „მართლაც, თუ შევთანხმდებით, რომ აზროვნების ტიპები გამოიყოფა გამომდინარე იქიდან, თუ რა წარმოგვიდგება ერთეულის სახით, რომლის საშუალებითაც აზროვნების ერთიანი პროცესი იყოფა გადაადგილებების და კომბინირების უნარის მქონე მონაკვეთებად, გასაგები ხდება: ასეთი ერთეულები შესაძლებელია იყოს მხოლოდ საკუთრივ აზროვნებისათვის იზომორფული მოვლენები. რამდენადაც აზროვნებას ინფორმაციული ბუნება გააჩნია, ამდენად სახეები, ქმედებები, ფორმები, ფერები, ბგერები და ა.შ. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განიხილებოდეს აზროვნების ერთეულებად, თუ ისინი წარმოგვიდგებიან სახეცვლილი ფორმით და აზროვნების ფენომენოლოგიურ ბუნებას ეთავსებიან, ანუ, თუ ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც გარკვეული ინფორმაციული ბლოკები” (В.Морковкин , Морковкина А., 1997,15-16).

როგორც არ უნდა იყოს, ყველა წარმოდგენილი შეხედულება მაინც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ცნობიერება და აზროვნება სხვადასხვა ფენომენია, თუმცა – მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან. ძნელია იმის მტკიცება, რომ აზროვნება მხოლოდ სიტყვების საშუალებით ხორციელდება, მაშინ, როდესაც ცნობიერების ენობრივ ბუნებაზე საუბარი საგნებით დასაშვებია. როდესაც „ენობრივ ცნობიერებაზე” ვსაუბრობთ, რომელიც რიგ შემთხვევებში „ცნობიერების” სინონიმად გვევლინება, უნდა გავითვალისწინოთ ის ასპექტი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მეტყველების წარმოშობასა და აღქმასთან, რომლის გვერდის ავლაც კვლევისას ლინგვისტს არ შეუძლია და რომლის განხილვითაც მივდივართ ეროვნული კონცეპტოსფეროს შესწავლამდე, რადგან „ენა ანივთებს მენტალურს” (Гийом , 1992, 71).

ბუნებრივია, რომ ენობრივი ცნობიერება ვერ იქნება ანალიზის ობიექტი მისი მარეალიზებელი პროცესების მიმდინარეობისას. ის შეიძლება გამოკვლეულ იქნეს როგორც წარსული, ყოფილი საქმიანობის პროდუქტი და ა.შ. ის შეიძლება იქცეს ანალიზის ობიექტად მხოლოდ ტრანსფორმირებისას, ცნობიერების სუბიექტისგან განყენებული საგნებისა და კვაზისაგნების კულტურულ ფორმებში. ზემოთ თქმული ეხმაურება ა. პოტეზნიას ცნობილ იდეას, რომლის მიხედვითაც „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენი აწმყო მდგომარეობა არ ექვემდებარება ჩვენსავე დაკვირვებას, და რომ ჩვენ მიერ საკუთარ თავში დანახული უკვე წარსულს ეკუთვნის” (А.Потебня, 1989, 153).

საინტერესოა, რომ უდიდესი ფსიქოლოგები ლ. ვიგოტსკი და ა. ლეონტიევი აღიარებდნენ ცნობიერების ენობრივ, სამეტყველო ბუნებას: „გქონდეს ცნობიერება, ნიშნავს ფლობდე ენას. ფლობდე ენას, ნიშნავს ფლობდე მნიშვნელობებს. მნიშვნელობა არის ცნობიერების ერთეული (იგულისხმება ენობრივი, ვერბალური მნიშვნელობა). ასეთი გაგების შემთხვევაში ცნობიერება არის ნიშნობრივი” (Л.Выготский, 1993,16).

ამ მოსაზრებას ალექსეი ლეონტიევი ავითარებს. იგი ამტკიცებს, რომ, თუ ენა აღიქმება, როგორც ურთიერთობისა და განზოგადების ერთობა, როგორც მნიშვნელობათა სისტემა, რომელიც წარმოჩინდება როგორც ვერბალურ, ასევე, საგნობრივ ფორმაში, მაშინ „ენობრივი ცნობიერება”, ანუ ცნობიერება, რომელიც განიხილება როგორც მნიშვნელობებით განპირობებული, ძალიან ახლოა თანამედროვე რუსულ ფსიქოლოგიაში მიღებულ „სამყაროს ხატის” გაგებასთან. სწორედ სამყაროს ხატის მეშვეობით აღიქვამს ადამიანი სამყაროს, რომელსაც იგი საკუთარ თავში ატარებს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ცნობილი სტრუქტურალისტის გიიომის სიტყვები: „ადამიანის მიერ დანახული სამყარო არის დამუშავების საფუძველზე დანახული სამყარო და ამ დამუშავებას ვუქვემდებარებთ აწმყოში მოქცეულ სამყაროს” (Гийом 1992, 144). შესაბამისად, ადამიანის ენა, როგორც კარგად შენიშნა ზ. ტურაევამ, „არის ზედაპირული სტრუქტურა, რომელშიც ტექსტების მეშვეობით ფიქსირდება სამყაროს მოდელი, რომელსაც ჩვენ ცნობიერებაში ვატარებთ” (З.Тураева; 1994,105).

ავსტრალიელ მკვლევარ ა.ვეუბიციკაიას აზრით, ენობრივ ცნობიერებას მრავალი სხვადასხვა დონე გააჩნია და ის მოიცავს როგორც ზედაპირზე მყოფ ფაქტებს, ასევე – ისეთებს, რომლებიც ძალიან ღრმად არის დამალული

(А.Вежбицкая, 1996, 244), სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნობიერებას სიდრმისეული სტრუქტურა გააჩნია. ამასთან, ი. ზიმნაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია იმის დღის სინათლეზე გამოტანა, რაც სიდრმეში დევს... „ენობრივი ცნობიერება არის მოაზროვნე, მოსაუბრე, მოურთიერთე ადამიანის, როგორც სოციალური არსების – პიროვნების – ინდივიდუალური, კოგნიტიური ცნობიერების არსებობის ფორმა” (И.Зимняя, 1993, 51).

ამრიგად, ცნობიერებას (ენობრივ ცნობიერებას) გააჩნია ენობრივი ბუნება, მანიფესტირებს ენის საშუალებით. ენა კი, ლეიბნიცის იდეის მიხედვით, საუკეთესო გამოხატულებაა ადამიანის აზრისა. ამასთან მიმართებაში, კიდევ რამდენიმე შეხედულებას მოვიყვანო. ლ.შჩერბას მიაჩნდა, რომ „ენა არის ადამიანის საქმიანობა, რომელიც ყოველწამს მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ, საკუთარი აზრებისა და გრძნობების ყველაზე კარგი და მოხერხებული გამოხატვისაკენ” (Л.Щерба, 1974,102).

ლენტიევი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ენა არის ის, რაშიც და რისი საშუალებითაც არსებობს ცნობიერება საზოგადოებაში, განიხილავს მას, როგორც ადამიანური ქცევის გარკვეულ სახეს: „ადამიანური ქცევა ფსიქოლოგიური (ბიოლოგიური) ფაქტია, როგორც ადამიანის ორგანიზმის გამოვლინება, და, ამავდროულად, სოციოლოგიურიც, როგორც ისეთი გამოვლინება, რომელიც დამოკიდებულია ამ ორგანიზმის სხვა ორგანიზმებთან ურთიერთქმედების პირობებში არსებობაზე” (Леонтьев А., 1993,17).

როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ნ. უფიმცევა, „ენობრივი და არაენობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესი უდევს სათავეში ურთიერთობის ფორმირების პროცესებს, მაგრამ, ამასთან, თვითონ ცნობიერების ფორმირების პროცესი მხოლოდ ურთიერთობაშია შესაძლებელი (Н.Уфимцева, 1993, 59).

ცნობიერების კატეგორიის თავისებურ განმარტებას იძლევა დ. გუდკოვი. ვინაიდან ენობრივი ცნობიერების მისეული ინტერპრეტაცია დაკავშირებულია კულტურათმორისი კომუნიკაციის თეორიასა და პრაქტიკასთან, რაც უშუალოდ უკავშირდება წინამდებარე ნაშრომის პრობლემატიკას, თავს უფლებას მივცემთ, შედარებით დაწვრილებით განვიხილოთ მისი ძირითადი დებულებები.

ამოსავალ დებულებად ავტორი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებისთვის სინამდვილის აღქმის კატეგორიზაციასა და შეფასებებში განსხვავებები პირდაპირ კავშირშია ამ საზოგადოებების ენობრივ

და კულტურულ განსხვავებებთან. ამასთან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, აპელირებს რა ა. პელინენკოსა და ი. იაკოვლენკოსთან, კულტურაში არაფერია ისეთი, რასაც არ მოიცავს ადამიანური მენტალობა. მენტალობის მთელი შინაარსი (ცნობიერი და არაცნობიერი, ექსპლიციური და იმპლიციური) ჩვენთვის სიცოცხლეს იძენს სემიოზისის პროცესში გაშუალებისას და კონკრეტული ეთნოკულტურული ერთობის ნიშნობრივი სისტემის ფარგლებში კოდირებას ექვემდებარება. ნებისმიერი კულტურის სემიოტიკური სისტემის საბაზო კოდს და საფუძველს ეთნიკური ენა წარმოადგენს. ცნობიერება მისი გარე, ექტერიორიზებული ფორმაა, როგორც სოციალური გამოცდილება, ადამიანური კულტურა. ავტორი იზიარებს ვიგოტსკის სკოლის შეხედულებას, რომ სოციალური გამოცდილების შემცველი და განზოგადებისა და გადაცემის ძირითადი ერთეული არის მნიშვნელობა, რომელიც ცალსახად არ ემთხვევა ენობრივ მნიშვნელობას. მას მოჰყავს შმელიოვის სიტყვები: „ადამიანისთვის ქცევის წარმართველ რეალურ კატეგორიათა სიმრავლე არ დაიყვანება ნაცნობ ენობრივ მნიშვნელობათა სიმრავლეზე. არ არის გამორიცხული, რომ შესაბამისი კოგნიტიური ერთეული ინახებოდეს სუბიექტის გამოცდილებაში ვერბალიზაციის გარეშე, მისი გარკვეული ნიშნით ფიქსაციის გარეშე... სიტყვის მნიშვნელობა ცოდნის საცავი კი არ არის, არამედ ინდივიდუალურ ცნობიერებაში ცოდნის პრეზენტაციისა და აქტუალური შენარჩუნების ფორმაა” (А.Шмелев., 2002,50,51).

აღნიშნული შეხედულების ავტორი აკავშირებს კოგნიტიური ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის მონაცემებს, რომლებიც, დ. გუდკოვის აზრით, საკმაოდ დამაჯერებელ მტკიცებულებებს გვაძლევს საიმისოდ, რომ მრავალრიცხოვანი კონცეფტები, რომელთაც არ გააჩნიათ ეროვნულ ენობრივ სისტემაში ვერბალური გამოხატულების საშუალებები, არსებობენ ეროვნულ კონცეფტოსფეროში და ეროვნულ ინტელექტუალურ საქმიანობას ისეთივე ხარისხით განაპირობებენ, როგორც ენობრივი ნიშნით გამოხატული კონცეფტები (მაგალითის სახით მას მოჰყავს ლექსიკური ლაკუნის მაგალითი რუსულ ენაში: ადამიანს, რომელიც ცრუობს, ეწოდება მატყუარა, ხოლო ადამიანს, რომელიც სიმართლეს ლაპარაკობს – ლექსიკური შესატყვისი არ გააჩნია, თუმცა ეს არ უშლის რუსული ენის მატარებლებს ხელს, აღნიშნული კონცეფტი გამოიყენონ (Д.Гудков, 2003,337).

ეს სხვადასხვა მეცნიერს საშუალებას აძლევს, ამტკიცოს ენობრივი და კოგნიტიური ცნობიერების განსხვავებებულობა. საზი გაუსვას იმას, რომ ჩვენი

ცნობიერების არცთუ სრული შინაარსი შეიძლება იყოს ვერბალიზებული და გამოხატულა ჰპოვოს ენობრივი დონის ერთეულებში.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა ენისა და ინტუიციის ურთიერთმიმართების შესახებ. ენა როგორც წესი ჩამორჩება ინტუიციას. ფილოსოფიისთვის ყველაზე ძნელი იმის გამოთქმაა, რაც აშკარაა. „ჩვენი ეპოქა უსწრებს სიტყვების ჩვეულებრივ გამოყენებას“ (N.Whitehead ,1990. 377).

მსგავსი არავერბალიზებული, კოგნიტიური ერთეულები, რომლებიც ენობრივ ცნობიერებას არ მიეკუთვნებიან და „ლოკალიზდებიან“ ცნობიერების „ნათელი ზონის“ მიღმა, როგორც ი. რუჟიციკი მიიჩნევს „მიეკუთვნებიან არაცნობიერს და გაუცნობიერებელს“ (И.Ружицкий., 1995,36)

ექსპლიციტური და ექსპლიციტურებადი მენტალური ოპერაციები კოგნიტიური ელემენტებითა და სტრუქტურებით, რომლებიც გაუცნობიერებელ დონეს განეკუთვნება, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ისინი ცნობიერების „ნათელ ზონაში“ შედიან, ანუ სხვადასხვა ენობრივ დონეზე კოდირდებიან. როგორც თ. დრიდზე აღნიშნავს, „ენობრივი ცნობიერება ცნობიერების ისეთი დონეა, რომელზეც სახეები, წარმოდგენები, აზროვნებითი სტრუქტურები ენობრივ გაფორმებას იძენენ.“ (Т.Дридзе., 1976, 97). ეს, გეიგერის აზრით, განსაზღვრავს იმას, რომ „ენობრივი ცნობიერება წარმოგვიდგება ცნობიერების ყველა სხვა ფორმის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობად (Г.Эйгер, 1990, 23). რადგან „სწორედ მეტყველება წარმოადგენს ფსიქიკური აქტივობის ყველა სხვა სახის საფუძველს“ (А.Немов, 2007, 78).

“ენობრივი” და „კოგნიტიური“ ცნობიერებების კატეგორიების შედარებითი ანალიზის შეჯამების შედეგად დ. გუდკოვი მიდის დასკვნამდე, რომ ენობრივი ცნობიერება არ არის კოგნიტიური ცნობიერების იდენტური, არასოდეს არ არის სრული თანხვედრა ინდივიდუალური ცნობიერების კოგნიტურ ერთეულებსა და მიღებულ ენობრივ მნიშვნელობებს შორის, რაც, ავტორის აზრით, აქტუალურია არამარტო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ცნობიერებისთვისაც (Д.Гудков, 2003,38).

ცნობიერება, (პირველ რიგში კი ცნობიერების ენობრივი დონე), დ. გუდკოვის აზრით, საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენს და გამოვლინდება დისკურსში, რომელიც წარმოჩინდება როგორც აუცილებელი, მენტალობისათვის იმანენტურად ჩვეული მისი თვითექსტერიორიზაცია. ავტორი ეყრდნობა ი. კარაულოვის და ვ. პეტროვის მიერ მოცემულ დისკურსის განსაზღვრებას,

რომელიც განმარტავს მას, როგორც “რთულ კომუნიკაციურ მოვლენას”, რომელიც, ტექსტის გარდა, კიდევ მოიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც („ცოდნა სამყაროს შესახებ, შეხედულებები, დამოკიდებულებანი, ადრესატის მიზნები” (Ю.Караулов, В.Петров., 1989, 8).

თუკი ასე გავიგებთ, დისკურსი საკუთარ თავში მოიცავს ცოდნის იერარქიის რთულ სისტემას, ერთდროულად წარმოგვიდგება როგორც სოციალური, იდეოლოგიური და ლინგვისტური ფენომენი, „ენობრივი გამოყენება, როგორც სოციალურ ურთიერთობათა და პროცესთა ნაწილი” (Е.Менджерицкая, 1997, 131-133).

„დისკურსის” ცნებიდან გუდკოვი გადადის ენობრივი ცნობიერებისა და ლინგვოკულტურული საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების განხილვაზე. „როდესაც რუსულ ენობრივ ცნობიერებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ენობრივ პიროვნებათა გარკვეული ერთობა, რომელთა თითოეული წევრის ცნობიერებასაც საკუთარი ინდივიდუალური არსებობა გააჩნია”. „მოცემული ანტინომიის მოხსნის საშუალებას “მრავალადამიანიანი პიროვნების” ცნება გვაძლევს” (Д.Гудков, 2003, 40). ეს ტერმინი ნასესხებია ნ. ტრუბეცკისგან, რომელიც მიიჩნევდა, რომ “ყოველი კერძოდამიანიური პიროვნება შესაძლებელია იყოს (ამავდროულად) რომელიღაც მრავალადამიანიური პიროვნების ინდივიდუაცია” (Н.Трубецкой, 1995, 105).

აღნიშნულ აზრს გუდკოვი იმას უკავშირებს, რომ ენობრივი ცნობიერების დანახვა მხოლოდ მის ინდივიდუალურ ფორმებშია შესაძლებელი; ყოველი ენობრივი პიროვნების სტრუქტურის იმ ინვარიანტული ნაწილისათვის მიმართვისას, რომელიც ერთია ლინგვოკულტურული საზოგადოების ყველა წევრისათვის და (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად) გვაძლევს საშუალებას, კლასიფიცირდეს, როგორც მოცემულ საზოგადოებას მიკუთვნებული, ანუ ხელს უწყობს ამ უკანასკნელის თვითიდენტიფიკაციას.

რუსული ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილის აღწერის მცდელობისას, ავტორი აყენებს საკითხს ზოგადად ეთნიკური ენობრივი ცნობიერების შესახებ და გვთავაზობს ტერმინს „ლინგვოკულტურული საზოგადოება” (ლკს), რომელიც იკვეთება ცნებებთან „ეთნოსი”, „ნაცია” და რომლებთან მიმართებაშიც ინტეგრალური მნიშვნელობა აქვთ „კულტურულ მთლიანობაში შემავალ ინდივიდთა გაერთიანებულ ჯგუფებს.”

კულტურის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი და, მაშასადამე, ეთნიკური დიფერენციაციის მაჩვენებელი ენაა. ამასთან დაკავშირებით, სწორედ რომ არ იქნება უადგილო ნ. ტოლსტოის სიტყვების გახსენება, რომ „ენა ეთნოსის ძირითადი, ყველაზე ნათელი და მყარი მაჩვენებელია” (Н.Толстой, 1995,34).

ეთნიკურ ერთობლიობაში ენა ადამიანებს კონცეფტების საშუალებით აერთიანებს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული კულტურული საზოგადოებანი ერთ ენას იყენებენ, ხოლო პირიქით, ხალხი, რომელიც აცნობიერებს თავის კულტურულ ერთიანობას, სხვადასხვა ენას იყენებს. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ. გუდკოვი, ნორმას მაინც ენის, კულტურის, ეთნოსის ერთიანობა წარმოადგენს. როდესაც ის იყენებს ტერმინს „ლინგვოკულტურული საზოგადოება” და არა „ეთნოსი,” აქცენტს აკეთებს ასეთი ერთობის არა ბიოლოგიურ, გენეტიკურ, გეოგრაფიულ მხარეზე (რაც ეთნოსის ცნებას უკავშირდება ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც არ უნდა განიმარტოს ის), არამედ მის წევრთა ენობრივ და კულტურულ ერთობაზე.

ლინგვოკულტურული ცნობიერების ერთ-ერთ მთავარ მაინტეგრირებელ //მადიფერენცირებელ ნიშნად ავტორს მის წევრთა ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილის მთლიანობა მიაჩნია. „კულტურულ-ენობრივი საზოგადოება არის სწორედ ინდივიდუუმთა ის ასოციაცია, რომელიც დაფუძნებულია მოცემული ენის მატარებლების ვერბალურ-ასოციაციურ სტრუქტურათა ინტერსუბიექტურობასა (მსგავსება) და ტრანსპერსონალურობაზე (გააზრებულობა). (Л.Чернейко, В.Долинский, 1996, 32).

იზიარებს რა ამ მოსაზრებას, გუდკოვი მიიჩნევს, რომ ამ სტრუქტურათა მთლიანობა ემყარება ლინგვოკულტურული საზოგადოების ინვარიაციულ კოლექტიურ შეხედულებათა მთლიანობას. კოლექტიური ცნობიერების ერთობას განსაზღვრავს რაღაც ერთიანი, განსაკუთრებული სახით ორგანიზებული ცოდნისა და წარმოდგენების ფონდი, რომელსაც ავტორი უწოდებს კოგნიტურ ბაზას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სინამდვილის მოვლენათა, სოციალური ქცევის მოდელის აღქმის მადეტერმინირებელი ნორმებისა და შეფასებების სისტემის აღქმის ალგორითმის ერთობას.

ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა სხვადასხვა შეხედულებანი ცნობიერებასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებს შორის კავშირის შესახებ და მივედით დასკვნამდე სპეციფიკური კატეგორიის „ენობრივი ცნობიერება” არსებობის შესახებ. აზროვნების დამოკიდებულება მისი რეპრეზენტაციის ვერბალურ

ფორმებთან (საკითხის ისტორიის პოზიციიდან) შეიძლება გამოხატულ იქნეს ტ. ფესენკოსგან ნასესხები შემდეგი პარადიგმით, რომელიც განსხვავებულ კონცეფციებს ასახავს:

1) აზროვნება უდრის ენას. ლაპარაკი სინონიმურია ხმამაღალი აზროვნებისა, გამოუხატავი აზროვნება კი – საკუთარ თავთან ლაპარაკისა. ეს კონცეფცია ფრიად განსხვავებულ შეხედულებებს აერთიანებს, პლატონიდან – ბიჰევიორისტებამდე.

2) აზროვნება არის ენა, მაგრამ ენა არ არის აზროვნება. მოცემული კონცეფცია გამომდინარეობს პოსტულატიდან, რომ აზროვნება (ანუ პროცესი ფსიქოფიზიოლოგიურ და ნეიროფიზიოლოგიურ დონეებზე) ხორციელდება თავისი ენის ფორმებში (რაც ფსიქოლოგთა ტერმინოლოგიაში „შინაგან მეტყველებად“ იწოდება და რომლის პრედიკატური სტრუქტურა „გადაკოდირდება მეტყველებაში“. ამ კონცეფციაში წარმოდგენილია ორი შეხედულება: ა) სამყაროს წვდომა ხდება მხოლოდ აზროვნებაში, ენის დაუხმარებლად, თუმც ამ უკანასკნელს შეუძლია, სხვა ნიშნობრივი სისტემის მსგავსად, შეასრულოს აზროვნების დასაყრდენის როლი („ინდიფერენტული მიდგომა“), ბ) ენა მხოლოდ ხელს უშლის აზროვნების ფიქსაციასა და შეცნობილის გადაცემას („სკეპტიკური მიდგომა“).

3) ენა არის აზროვნება, მაგრამ აზროვნება არ არის ენა. აზროვნება და ლაპარაკი განიხილება, როგორც ერთი პროცესის ორი საპირისპირო მხარე. ენისა და ინტელექტის განვითარება ურთიერთგანპირობებულია, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის შედეგს. აზროვნება შესაძლებელია ენის გარეშე, ლაპარაკი კი აზროვნების გარეშე გამორიცხულია.

4) აზროვნება არ არის ენა, და არც ენაა აზროვნება. აზროვნება და ენა ქცევის სხვადასხვა ტიპია, რადგან ადამიანი ჯერ ფიქრობს და მხოლოდ შემდეგ ამბობს.

5) აზროვნების ტიპები სხვადასხვაგვარია და სხვადასხვაგვარად არის ენასთან დაკავშირებული. თ. ფესენკო იზიარებს უკანასკნელ შეხედულებას როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური აზროვნების რეალობის შესახებ, რამდენადაც რეალური სინამდვილის ასახვის პროცესი ადამიანის ტვინის ნეირონულ კავშირებში აბსტრაქციის ორ საფეხურად რეალიზდება – როგორც გრძნობადი აზროვნება და როგორც ლოგიკური, რომლებიც სხვადასხვანაირად ესადაგება ბუნებრივ ენას. შესაბამისად, ადამიანის ფიქრს (აზრს) არ გააჩნია რეპრეზენტაციის რაიმე კონკრეტული და ერთადერთი ვარიანტი.

თავისი ბუნებით ადამიანის ფიქრი (აზრი) გულისხმობს, ერთის მხრივ, მისგან დამოუკიდებელ მატერიალურ სამყაროს, მის მიერ ასახულს და, მეორეს მხრივ – მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს. ფესენკოს აზრით, „ბუნებრივ ენას არ გააჩნია აზრის წარმოშობის ფუნქცია. ის წარმოადგენს ენის მატარებლის აზრის გამოვლენის საშუალებას, იძლევა ცნობიერების რეკონსტრუქციის გასაღებს” (Т.Фесенко,1999,12).

რეალური სინამდვილე ადამიანის ტვინში აისახება, როგორც აზროვნების პროცესში ამ სინამდვილეზე დაგროვილი ცოდნა, რეპრეზენტირებული ენის მატერიალურ ფორმებში.

ენა საშუალებას აძლევს ადამიანს, გადავიდეს აზრის ისეთი ფორმებით ოპერირების დონეზე, რომლებიც ექსპლიციტური ვერბალურ ფორმათა სემანტიკაში. ამგვარად, აზროვნება არა მარტო აზრის ფორმებში არსებობს, არამედ რეალიზდება კონკრეტულ, აზრის ამ ფორმების მაექსკლიპიცირებულ, ვერბალურ ფორმებში. აზრობრივი და ენობრივი სტრუქტურების ურთიერკავშირისა და სინამდვილის შეცნობაში მათი როლის შესწავლამ საშუალება მისცა თ. ფესენკოს, სხვა მკვლევართა შემდეგ (ნ. უინკინი, ი. სტეპანოვი და სხვ.), მოეხდინა პოსტულირება „აზრის შუალედური ენის” არსებობისა, რომელიც განისაზღვრება „მენტალურ წყობათა ენად” და განიხილება, როგორც „შუალედური კოდი” უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და რეალურ მეტყველებას შორის და ახდენს აზრობრივი კოდის შინაარსის ვერბალურ ნიშნებში „ტრანსკოდირებას”.

ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტად თ. ფესენკოს კონცეფტი მიაჩნია (Т.Фесенко ,1999,12). ადამიანის მენტალობაში ის არსებობს, როგორც აქტუალური ან სავარაუდო ვითარების შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის ერთობლიობა რეალურ სამყაროში; ემოციების, განცდების, ასოციაციებისა და ა.შ. კონტექსტში. მისი გაცნობიერება, როგორც მენტალური წარმონაქმნისა, გვაძლევს საშუალებას, არა მარტო კონცეფტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს, მისი ფსიქიკის სამყაროს რეკონსტრუქცია მოვახდინოთ, არამედ მისი ეთნომენტალური დახასიათებაც ვაწარმოოთ.

ი.სტეპანოვის მიხედვით, კონცეფტს განვიხილავთ როგორც ადამიანის ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტის ინტერპრეტაციას მის მენტალურ სამყაროში. ვერბალურ მნიშვნელობათა სისტემა, ინტერპრეტაციულ რეჟიმში, შეესაბამება ენის მატარებლის ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის

კონცეფტუალური შინაარსით შევსება ხალხის მენტალიტეტის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თვისებას წარმოადგენს. სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეფტუალურ სისტემაში, პირველ რიგში, გარკვეულ სამყაროზე ან „სამყაროს სურათზე“ ინფორმაციის კონსტრუირებას ნიშნავს. უდავოა, რომ საბაზო კონცეფტები უფრო მოცულობითია, ვიდრე ომონიმური ენობრივი კორელატები, რადგან მათი გაცნობიერება მთელ იდეოგრაფიულ სფეროზე ვრცელდება, „გვაროვნული ცნების“ სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებით გამოხატვის ჩათვლით. იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამოთქმების კონცეფტუალურ სისტემასთან უდავო კავშირი გვაძლევს საშუალებას, ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია განვიხილოთ, როგორც კონცეფტუალური მოდელის რეპრეზენტაცია, რომელიც მოიცავს ყოველგვარ ცოდნას სამყაროს შესახებ და მოცემული სოციუმის მიერ დაგროვილ ფასეულ გამოცდილებას. პრაქტიკულად, ნებისმიერი კონცეფტი შეიძლება გადავთარგმნოთ ერთი ენიდან მეორეზე და წარმოვადგინოთ სხვა ენობრივი „შეფუთვით“. ამასთან, მთარგმნელებმა უნდა „გადააკოდონ“ ენის მატარებლის სრული „კოგნიტური შინაარსი“.

კონცეფტების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენენ „კულტურული კონცეფტები“, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერბალური საშუალებებითაა გამოხატული და გააჩნია საკუთარი, მნიშვნელობებით განპირობებული სემანტიკური ფორმა, რომელიც ეთნოკულტურულადაა, დეტერმინებული, რადგანაც მასში გამოხატულია ყველა კონოტატიური, მოდალური, ემოციური, ექსპრესიული, პრაგმატული და სხვა შეფასებანი. „კულტურული კონცეფტები“ (სხვა ტერმინოსისტემაში – „კულტურის საკვანძო კონცეფტები“) წარმოადგენენ სამყაროს სურათის ბირთვულ (საბაზო) ერთეულებს, რომლებსაც ეგზისტენციალური მნიშვნელობა გააჩნიათ როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისათვის, ასევე – მთლიანად ლინგვოკულტურული საზოგადოებისთვის.

კონცეფტები, დ. ლიხაჩევის თქმით, ადამიანის ცნობიერებაში წარმოიშობა არა მხოლოდ როგორც შესაძლებელ მნიშვნელობებზე მინიშნებები, არამედ როგორც მთლიანობაში ადამიანის წარსული ენობრივი გამოცდილების გამოძახილი – პოეტური, სამეცნიერო, ისტორიული და ა.შ. (ციტ. წიგნიდან: Лингвокультурология, 2004, 51).

კულტურის საკანძო კონცეფტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებაში, ამიტომ მათი გამოკვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

აღნიშნული პრობლემების კვლევა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ისეთი კონცეფტების ანალიზთან, როგორებიცაა „ეროვნული ხასიათი“ და „სამყაროს სურათი“ („ხატი“ – სხვა ტერმინოსისტემაში).

ეროვნული ხასიათის კვლევა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ გერმანელ რომანტიკოსებთან იღებს, თავდაპირველად დაკავშირებული იყო წეს-ჩვეულებების, სარწმუნოებრივი სისტემების, ოჯახური ცხოვრების თავისებურებების, აღზრდის მეთოდების, ეკონომიკური ორგანიზაციის სპეციფიკის შესწავლასთან (შესაბამისი კულტურული პარადიგმის ჩარჩოებში).

ისევე, როგორც ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებს, ეროვნული ხასიათის ფენომენის კვლევასაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ფსიქოანალიზის თეორიამ, რომლის ჩარჩოებშიც განხორციელდა აღნიშნული ფენომენის სისტემური ანალიზის პირველი მცდელობა.

ექიმი-ფსიქოანალიტიკოსი ა.კარდინერი შეეცადა, ფსიქოანალიტიკური კონცეფცია ეთნოლოგიის სფეროში ჩატარებული სავსე გამოკვლევების შედეგებისთვის დაეკავშირებინა, რის საფუძველზეც შექმნა განმაზოგადებელი თეორია საბაზისო კონცეფტით „ძირითადი პიროვნული სტრუქტურა“.

თავისი თეორიის ფარგლებში მან შემოგვთავაზა ბავშვის აღზრდის პრაქტიკის, პიროვნების ტიპის (რომელიც დომინანტურია ამა თუ იმ კულტურისათვის) და სოციალური ინსტიტუციების (რომელიც დამახასიათებელია შესაბამისი კულტურისათვის) ურთიერთკავშირის მოდელი. „ინსტიტუცია“ კარდინერს ესმოდა, როგორც ინდივიდის ზრდისა და განვითარების პროცესზე ზეგავლენის საშუალება.

ა. კარდინერის აზრით, მოცემული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პიროვნების ფსიქოლოგიური წყობა განაპირობებს მის წევრთა ქცევითი რეაქციების თავისებურებებს, წარმოადგენს კულტურის (ან საზოგადოების) დამაკავშირებელ ღერძს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ტერმინებს ის სინონიმური მნიშვნელობით იყენებს, რაც განპირობებულია იმით, რომ თავის კვლევაში ის ეყრდნობოდა ეთნოგრაფიულ (თითქმის სრულიად იზოლირებულად მცხოვრებ ტომთა) გამოკვლევებს, რომლებშიც ეს ორი მოვლენა ნაკლებადაა დიფერენცირებული.

ა. კარდინერის მოსაზრებები ეფუძნებოდა იმ აზრს, რომ „ძირითადი პიროვნული სტრუქტურის” (რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია მოცემული კულტურის ყველა წარმომადგენლისათვის) არსებობა ამა თუ იმ ენასა თუ კულტურაში აისხნება იმით, რომ მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ერთიანი კულტურული პრაქტიკა.

ოჯახური ცხოვრების მოდელი, ჩვილთა მოვლა, ბავშვთა აღზრდა, რომლებიც პირველად საზოგადოებრივ ინსტიტუციებს წარმოადგენენ, განსხვავებულია სხადასხვა კულტურისათვის და შედარებით ერთგვაროვანია ერთი კულტურის შიგნით, რაც განაპირობებს საზოგადოების ყველა წევრში ხასიათის მსგავსი ნიშნების (ე.ი. ფსიქოლოგიური მახასიათებლების) ჩამოყალიბებას.

ამ პირველად საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან ადაპტაციის პროცესში აღმზრდის ფსიქიკა თავისებურ კორექციას ექვემდებარება, რის შედეგადაც თავისებურად დეფორმირდება მისი ფსიქიკური, „ეგო”, სტრუქტურა.

სწორედ აღნიშნული დეფორმაციის შედეგს წარმოადგენს მოცემული საზოგადოების „ძირითადი პიროვნული სტრუქტურა”.

მითოლოგია, ხელოვნება, ფოლკლორი, პოლიტიკური დაწესებულებები, ეკონომიკური სისტემა, მეორადი საზოგადოებრივი ინსტიტუციები წარმოადგენენ ინდივიდისთვის ადრეულ ბავშვობაში მიყენებული ტრავმების თავისებური კომპენსაციის მცდელობას. ვინაიდან მოცემული საზოგადოების წევრთათვის მიყენებული ტრავმები ძირითადად მსგავსია, მსგავსია კომპენსაციის გზებიც (Kardiner A., Lipton R., 1945).

ეროვნული ხასიათის აღნიშნული კონცეფცია, რომელიც ფსიქონალიზის თეორიისა და ეთნოგრაფიული მასალის სინთეზის მცდელობას ეფუძნება, ვერ გამოდგა წარმატებული, ვინაიდან ვერ მოხერხდა არათუ ბავშვთა აღზრდის პრაქტიკისა და პიროვნების სტრუქტურის უშუალო კავშირის დასაბუთება, არამედ ეჭვქვეშ დადგა საერთოდ ამგვარი კავშირის არსებობა.

მოცემულ კონცეფციაში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის შეეცადა კ. დიუბუა, რომელმაც შემოიტანა „მოდალური პიროვნების” ცნება. იგი გულისხმობს პიროვნების ყველაზე გავრცელებულ ტიპს, ანუ ტიპს, რომელსაც განეკუთვნება მოცემული საზოგადოების უმრავლესობა და უბრალო სტატისტიკით დგიდება. აღნიშნული მიმართულებით წარმოებული კვლევა ძირითადად ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდურობას, კერძოდ, რორშაქის ტესტს

(მელნის ლაქების გაურკვეველი კონტურების ინტერპრეტაცია), დაუმთავრებელი წინადადებებისა და თემატური აპერცეფციის ტესტებს ეყრდნობა.

თავდაპირველი პოპულარობის მიუხედავად, აღნიშნული კონცეფცია ვერ დადასტურდა ექსპერიმენტულად. კვლევებმა გვაჩვენა, რომ არც ერთ კულტურაში არ დომინირებს პიროვნების რომელიმე ერთი ტიპი განსაკუთრებულად.

როგორც ფ. ბოჩი აღნიშნავს, ეროვნული ხასიათის კვლევას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სოციალურმა შეკვეთამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომში ჩართვას უკავშირდება. ამერიკის სამხედრო წრეების უმაღლეს ემელონებში წარმოიშვა აზრი, რომ მტრის ფსიქოლოგიის ცოდნას მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც საომარი მოქმედებების დაგეგმვისას, ასევე – ომისშემდგომ პერიოდშიც. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს სპეციალისტებმა მოკავშირეთა ფსიქოლოგიის შესწავლაც, ვინაიდან მომავლში მათთან შესაძლო დაპირისპირებას ვარაუდობდნენ. სამხედროები, აგრეთვე, მიიჩნევდნენ, რომ ამერიკული ეროვნული ხასიათის ცოდნა ხელს შეუწყობდა მათ საბრძოლო სულისკვეთების ამადლებაში. (Boch Ph, 1980, 108).

ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით ცნობილი ამერიკელი ანტროპოლოგები რ. მიდი, კ. კლაკსონი, რ. ბენედიქტი და სხვები ვაშინგტონში გადავიდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ნაციონალური ხასიათის გამოკვლევაში. მ. მიდის ცნობით, ჯერ კიდევ 1943 წელს ვაშინგტონის სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებაში მივლინებული იყო ფსიქოლოგთა და ანტროპოლოგთა ჯგუფი, რომელიც ეროვნულ ხასიათს, კულტურათა შესწავლის ტექნოლოგიას იკვლევდა. კულტურათა სპეციფიკის შესწავლასთან ერთად დგინდებოდა დისტანცია მათ შორის.

მიუხედავად სამხედრო შეკვეთის დიდი მნიშვნელობისა, ამერიკის საუკეთესო ანტროპოლოგებს ძალიან გაუჭირდათ დავალების შესრულება, რადგან აქამდე მათი კვლევის ობიექტს საკმაოდ იზოლირებულად მცხოვრები პრიმიტიული ხალხები წარმოადგენდნენ და მათ მიერ შემუშავებული მთელი სამეცნიერო ბაზა სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა „ცივილიზებურ“ ნაციათა კვლევისას). ამასთან დაკავშირებით, ცივილიზებულ კულტურათა წარმომადგენლების ეროვნული ხასიათის გამოსაკვლევად მ.მიდმა კოლეგებთან ერთად შეიმუშავა დისტანციური ანალიზის მეთოდი , რომელიც თანამედროვეობასთან

დაკავშირებულ დოკუმენტთა ანალიზის ისეთ მცდელობას წარმოადგენდა, თითქოს კვლევის ობიექტი გასული საუკუნეების კულტურა ყოფილიყოს. (Mead M., Metraux Ph, 1953).

ორმოციანი წლების დასაწყისში შემოთავაზებული, ეროვნული ხასიათის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები, ძირითადად, ორ მთავარ მიმართულებად ჯგუფდება: კულტურულ-ცენტრირებული და პიროვნულ-ცენტრირებული. პირველ მიმართულებას სამ მეთოდოლოგიურ მიდგომას მიაკუთვნებენ. პირველში ცნება „ეროვნული ხასიათი“ შედარებით სუსტად არის დაკავშირებული ადამიანის ინდივიდუალურ პიროვნებასთან. პრაქტიკულად, ერწყმის ცნებას „ქცევის კულტურული მოდელი“. ასე, მაგალითად, მ. მიდმა ეროვნული ხასიათის კვლევის სამი ძირითადი ასპექტი გამოყო: 1) საჯარო ინსტიტუციების ზოგიერთი კულტურული კონფიგურაციის შედარებითი აღწერა, 2) ჩვილთა მოვლის და ბავშვთა აღზრდის შედარებითი ანალიზი, 3) ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი პიროვნებათშორისი ურთიერთობების შესწავლა. ისეთებისა, როგორებიცაა მშობელსა და შვილს, ან თანატოლებს შორის ურთიერთობები. ამგვარ მიდგომას გამოხატავს რ.ბენედიქტის ნაშრომი „ქრიზანთემა და ხმალი“ და მიზნად ისახავს იაპონური ხასიათის ინტერპრეტაციას. თავად ამერიკელების აზრით, მეორე მსოფლიო ომში ყველაზე ეგზოტიკური მოწინააღმდეგე მათ ჰყავდათ იაპონიის სახით. იაპონიის მთავრობის, მათი ჯარისკაცების მოქმედება, ფანატიზმი, პარადოქსული ქცევა ტყვეობაში –ამერიკელებში ყველაფერი განცვიფრებას იწვევდა. იაპონური ხასიათის სპეციფიკა მეცნიერებმა იაპონურ ოჯახებში ბავშვების აღზრდის თავისებურებებში დაინახეს, რაც გარკვეულ ასაკობრივ ეტაპზე აღზრდის მეთოდების მკვეთრი ცვლით გამოიხატებოდა. დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომის ჩარჩოებში ეროვნული ხასიათი წარმოჩინდება, როგორც კულტურის შიგნით ქცევის მოდელებისა და ფასეულობების დანაწილებისა და რეგულირების განსაკუთრებული საშუალება. მეორე მეთოდოლოგიური მიდგომა აერთიანებს იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც ეროვნულ ხასიათს ხსნიან, როგორც მოცემული საზოგადოების შიგნით დამკვიდრებულ მოცემულობებს, ფასეულობათა და რწმენათა სისტემას. ასე მაგალითად, ე.ფრომმა წამოაყენა „სოციალური პიროვნების“ კონცეფცია, რომელიც მოიაზრებოდა იდეების (რწმენის, განწყობის, ღირებულებების, გრძნობების) მეტ-ნაკლებად გააზრებულ სისტემად . მისი კონცეფციის

თანახმად, გერმანიაში ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობა ამ ქვეყანაში პიროვნების, ე.წ. ავტორიტარული ტიპის, სიჭარბემ. ამ ტიპის პიროვნება მოკრძალებული და თავმდაბალია ზემდგომებთან, მაგრამ ქვეშევრდომებთან ქედმაღლურად და მბრძანებლურად იქცევა. ამ მიდგომის ზოგიერთმა მომხრემ, კერძოდ, გ. გორერმა, იაპონელთა ეროვნული ხასიათის კვლევისას, კვლავ მიმართა ტერმინს „ძირითადი პიროვნული სტრუქტურა“. აღიქვამდა რა რუსებსა და იაპონელებს მომავალში მოწინააღმდეგეებად, გორერი შეეცადა ჩასწვდომოდა მათ ეროვნულ ხასიათს. მისი აზრით, რუსების ტრადიცია ჩვილების მჭიდროდ გახვევისა საფუძველია იმისა, რომ ისინი ძლიერები და თავშეკავებულები იზრდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ადვილად დაიზიანებდნენ თავს დროის იმ მონაკვეთში, როდესაც მათ ხსნიან, ბანენ და აქტიურად ეთამაშებიან. ბავშვების გადახვევის ასეთი მეთოდის წინააღმდეგობრივ მხარეებს – უძრაობის ხანგრძლივ პერიოდს და აქტიურობის და ინტენსიური სოციალური ურთიერთობის ხანმოკლე დროს – გორერი საინტერესოდ უკავშირებს რუსული ეროვნული ხასიათის ასპექტებს და რუსულ საგარეო პოლიტიკასაც. მისი აზრით, ბევრი რუსი განიცდის დეპრესიისა და თვითგვემის ხანგრძლივი პერიოდების შუალედში ხანმოკლე სულიერ აღმაფრენას და სოციალური აქტივობის აფეთქებას. იგივე ტენდენცია ახასიათებს ამ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებას: ძლიერი გარე ავტორიტეტების მორჩილების ხანგრძლივი პერიოდები იცვლება ინტენსიური რევოლუციური აქტივობის კაშკაშა პერიოდებით (Gorer G., 1943, 287-92).

გორერისგან განსხვავებით, რუსული საზოგადოების სპეციფიკური სურათი დახატა კ. კლაკჰონმა: მისი აზრით, ეს არის თბილი, ადამიანური, ძალიან დამოკიდებული, სოციალური ერთობისკენ მსწრაფი, ემოციურად არასტაბილური, ძლიერი, უდისციპლინო პიროვნება, რომელიც საჭიროებს ძლიერ ავტორიტეტს. ტრადიციული რუსული პიროვნების ტიპს კლაკჰონი უპირისპირებს „საბჭოელი პიროვნების იდეალურ ტიპს“ და შედეგად იღებს მახასიათებელ ნიშან-თვისებათა შემდეგ კრებულს: ტრადიციული რუსული ტიპი – თბილი, ექსპანსიური, ალალი, გულისხმიერი, ლოიალური, „დამოკიდებულად პასიური“; საბჭოელი – ორმაღური, კონტროლირებადი, ცრუ, მოწესრიგებული, ზემდგომების მიმართ ლოიალური, ორიენტირებული პრაქტიკულ აქტივობაზე (ციტ. : Kaplan B., 1961).

ეს მიდგომა აშკარად შეზღუდული იყო, რადგან განწყობა და ფასეულობები არ არის პიროვნების იდენტური, ისინი მხოლოდ მის მეტნაკლებად ზედა

პლასტებს ასახავს, ხოლო ვრცელი არაცნობიერი ფენები გაუანალიზებელი რჩება. გარდა ამისა, არ შეიძლება ეროვნულ თვისებათა მთელი მრავალფეროვნების ერთ „მოდალურ პიროვნებად“ დაყვანა.

ეროვნული ხასიათის კვლევის მესამე მიმართულება კულტურულ-ცენტრირებული მიდგომის ჩარჩოებში ორიენტირებული იყო კულტურული პროდუქციის (ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის) ანალიზის შედეგად ეროვნულ ნიშან-თვისებათა აღმოჩენაზე. ეს მიმართულება ემყარებოდა შემდეგს: იმისთვის, რომ გაუგო ერს, საჭიროა (და საკმარისიცაა), გარკვეულწილად, ჩასწვდე მისი ელიტის მსოფლმხედველობას, რადგან ის მთელი ხალხის მსოფლმხედველობასთანაა კავშირში, თუმცა უფრო გასაგები ფორმითაა გამოხატული. უდავოა, ელიტის მსოფლმხედველობა ასახავს ერისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ფასეულობათა დომინანტებს, მაგრამ, რამდენად ადაკვატურია ეს ასახვა, გაურკვეველი რჩება.

კულტურულ-ცენტრირებული მიდგომის სამივე მიმართულება ერთიანდება სოციო-კულტურულ ფენომენტა ფსიქოლოგიურ პერსპექტივაში აღწერის იდეის საფუძველზე. პიროვნულ-ცენტრირებულ მიმართულებას უნდა შეექმნა თეორიული ბაზა: პირველ რიგში, ადამიანური ქცევის თავისებურებების და განსხვავებების ფსიქოლოგიური განმარტებისა, და მხოლოდ შემდეგ – ამ ხალხის ინსტიტუციების, ფასეულობებისა და ნორმების. ღიად რჩებოდა საკითხი, შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ რომელიმე საზოგადოებაში გარკვეული ტიპის დომინირების შესახებ. ამ მიმართულების გამორჩეულმა წარმომადგენლებმა ა. ინკელსმა და დ. ლევენსონმა სცადეს ეროვნული ხასიათის აღწერა „მოდალური პიროვნული სტრუქტურის“ ცნების საშუალებით. მათი შეხედულებით, „ეროვნული ხასიათი შეესაბამება მოცემული საზოგადოების მოზრდილ წევრთათვის მოდალურ, მათში მყარად გამჯდარ პიროვნულ თვისებებს (პიროვნების ტიპებს).“ (Inkels A., Levenson D., 1969, 1983).

მეცნიერთა თვალსაზრისით, ეროვნული ხასიათის კვლევა უნდა წარმოადგენდეს, ამა თუ იმ საზოგადოებაში, გარკვეულ პიროვნულ მახასიათებლებთა გავრცელების დონეს, ხოლო „მოდალურ პიროვნებას“ ის ტიპი წარმოადგენს, რომელსაც მოცემული საზოგადოების წევრთა უმეტესობა მიეკუთვნება. უდავოდ მიაჩნდათ, რომ ყველა ერში განსხვავებული ტიპებია წარმოდგენილი, მაგრამ ერთნი გხვდებიან უფრო ხშირად, სხვები – უფრო იშვიათად, ზოგი კი – თითქმის ერთეულ შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ

რიგ შემთხვევებში ემპირიული მონაცემებიც ამტკიცებდნენ მოდალური პიროვნებების არსებობას, ნათელი გახდა, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, შიდაკულტურული განსხვავებები სხვადასხვა ფენებსა და კლასებს შორის, შესაძლოა, უფრო დიდი ყოფილიყო, ვიდრე – კულტურათშორისი. მეორე მხრივ, გამოდიოდა, რომ „მოდალური პიროვნება” ერის ერთი ნაწილის ნიშანთვისებათა კომპლექსია ერის მეორე ნაწილის საპირისპიროდ. მაშასადამე, ეროვნული ხასიათის (როგორც ერის ყველა წევრის ქცევითი, ემოციური და სხვა მახასიათებლების ერთობლიობის) საკითხი ან უნდა მოხსნილიყო, ან სულ სხვაგვარად დასმულიყო. ამან ინკელსი და ლევენსონი პესიმისტურ დასკვნამდე მიიყვანა: „შემეცნების და კვლევის მეთოდების დღევანდელ შეზღუდულ მდგომარეობაში არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რომელიმე ერს გააჩნია ეროვნული ხასიათი” (Inkels A., Levenson D., 1969, 428).

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ, ეროვნულ ხასიათზე საუბრისას, ერთნი გულისხმობდნენ ტემპერამენტს, მეორენი – პიროვნულ თვისებებს, მესამენი – ღირებულებრივი ორიენტირებს ერთობლიობას, ხელისუფლებასთან დამოკიდებულებას და ა.შ. შედეგად, მიუხედავად განსხვავებული მიდგომებისა და სამოცწლიანი კვლევებისა, მივიდეთ ის, რომ დღეს გვაქვს განსხვავებული შეხედულებები არა მარტო ეროვნული ხასიათის რაობაზე, არამედ იმაზეც, საერთოდ არსებობს თუ არა ასეთი რამ. ან არის თუ არა ის უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებელი, ვიდრე პიროვნების ის ელემენტები, რომლებიც აერთიანებენ ან ყოფენ ადამიანებს მთელ სამყაროში (Berry I., Poortinga Y. H., Segall M., Dasen P., 1992).

აღნიშნულ სირთულეებს კიდევ უფრო აღრმავებს ის გარემოება, რომ ჩვენს დროში შეინიშნება ფსიქოლოგიიდან „ხასიათის” თემის განდევნა და ინტერგალური ცნების „ხასიათი” შეცვლა „პიროვნულ თვისებათა” ცნებით. ამის შედეგად „ეროვნული ხასიათის” ცნება სულ უფრო იშვიათად გვხვდება ფსიქოლოგიასა და კულტურულ-ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში.

ეროვნული ხასიათის განსაზღვრის საქმეში განცდილი მარცხის შედეგად, კულტუროლოგები და ანთროპოლოგები ეთნიკურ საზოგადოებათა ფსიქოლოგიურ თავისებურებათა აღსანიშნავად სულ უფრო ფართოდ ხმარობენ „მენტალობის” ცნებას. ეს ტერმინი, რომელიც სათავეს „ანათა” ფრანგული სკოლიდან იღებს, გამოიყენება „კოლექტიურ წარმოდგენათა”, კოლექტიური არაცნობიერის საპირისპირო მოვლენის აღსანიშნავად. ამ სკოლის

წარმომადგენელთა აზრით, „მენტალობა“ სახეთა სისტემაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის წარმოდგენებს სამყაროს შესახებ, საკუთარი ადგილის შესახებ ამ სამყაროში და, მაშასადამე, განსაზღვრავს ადამიანების ქცევასა და ქმედებას (Дюни, 1991, 52).

ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ვ. კოლესოვი ხალხური მენტალიტეტის შესწავლის ორსაუკუნოვან ისტორიაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ პირველმა მკვლევარებმა – სოციოლოგებმა და კულტუროლოგებმა შენიშნეს მენტალური სხვაობანი პირველყოფილ და თანამედროვე ხალხებს შორის, თუმცა „სულის ფორმებსა“ და „მენტალურ ფუნქციებზე“ საუბრობდნენ და არა თვითონ მენტალიტეტზე. შემდგომში ფსიქოლოგებმა აღმოაჩინეს მსგავსებანი ამდაგვარ „სულის ფუნქციებსა“ და ბავშვის მიერ სამყაროს აღქმას შორის და დაიწვეს საუბარი მენტალიტეტზე. შემდეგ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ბოლო, როდესაც მოხდა შუასაკუნების აზროვნების ტიპის განსაზღვრა და მისი რამდენიმე განმასხვავებელი თვისების გამოყოფა, რამაც ბიძგი მისცა შუასაკუნების ადამიანის მენტალიტეტის შესწავლას.

60-ანი წლების ბოლოს მენტალიტეტის პრობლემატიკის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გამოიკვეთა, რომლის წარმომადგენლებიც მენტალიტეტის გამოვლინებას ეროვნული ენების კატეგორიებსა და ფორმებში ეძებდნენ. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი გამოკვლევები ადრე არ არსებობდა. საკმარისია, დავასახელოთ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის კლასიკად ქცეული შრომები, რომლებიც აღნიშნული მიმართულების კვლევებს თეორიულ საფუძვლად დაედო, პოტენზიას ენის სიმბოლური და ბოდუენ დე კურტენეს სახისმეტყველებითი ფორმები. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მენტალობის პრობლემა სამეცნიერო კონცეფციად ფრანგმა კონცეფტუალისტებმა აქციეს, რომელთა მიხედვით „გონება-იდეს“ მიმართება ნებისმიერი კვლევის საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მეცნიერის ამოცანას შეადგენს იმ კავშირის გამოვლენა, რომელიც არსებობს სიტყვა-ტერმინსა და საგან-ნივთს შორის.

როგორც ვ. კოლესოვი აღნიშნავს, ფრანგული ეპისტემა, როგორც მენტალობის ერთეული, ზედაპირული ხასიათისაა და ვერ სწვდება ქვეცნობიერის სიღრმეებს, როგორც ამას აკეთებს გერმანული ფილოსოფია. შემოაქვთ რა კონცეფტის, როგორც მენტალობის ერთეულის, კატეგორია

(რომლის არსი ჰერმენევტიკული ანალიზის შედეგად შეიცნობა), ისინი ქვეცნობიერის შრემდე აღწევენ.

ამრიგად, პრობლემა წარმოიშვა ფრანგული კონცეფტუალიზმის ფარგლებში, გაფორმდა ინგლისურ-ამერიკულ ნომინალიზმში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა გერმანულ-რუსულ რეალიზმში (В. И. Колесов, 2004,)

ავტორს აღნიშნული ტერმინის განსაზღვრების სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენელთა ვარიანტები მოჰყავს. ასე მაგალითად, შუა საუკუნეების საზღვარგარეთის ისტორიის მკვლევარი მიიჩნევს, რომ წარსული დროის ადამიანთა სამყაროს სურათი შინაგანად წინააღმდეგობრივია და მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული (ასაკი, სქესი, სოციალური ფენა). ამიტომ უმჯობესია, მენტალობის გამოვლინებაზე კონკრეტულად ვისაუბროთ. ეს არის ცალკეულ ადამიანთა გონება დანარჩენებთან მიმართებაში.

განსხვავებულად უდგებიან ამ საკითხს სოციალური ფსიქოლოგები: მენტალობა არის ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი ფსიქიკური ცხოვრების სპეციფიკა, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად განპირობებულია მოცემულ ისტორიულ მომენტში (ცოდნა+რწმენა). ეს არის ეროვნული ხასიათი მის განვითარებაში.

როგორც პროფესორი სემიონოვი განმარტავს, „მენტალობა – ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხანგრძლივი გუნება-განწყობა, გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ღირებულებების, ნორმებისა და მიმართებების ერთობლიობა, გამოვლენილი კოგნიტურ, ქცევით და ემოციურ ფორმებში, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ სოციალური ჯგუფებისა თუ მათი წარმომადგენლებისათვის.“

ეთნოლოგისათვის მენტალიტეტი არის ეთნიკურ წარმოდგენათა სისტემა პრიორიტეტების, ქცევის ნორმებისა და მოდელების შესახებ, რომლებიც ეფუძნება სოციალურ გარემოში ჩამოყალიბებულ გაუცნობიერებელ კომპლექსებს (ეთნიკურ კონსტანტებს). ეს არის ღირებულებათა სისტემა, რომელიც ქმნის კულტურის არსებობის სივრცეს. მაშასადამე, საქმე ეხება ეთნიკურ მონაცემებს, რომლებიც გარკვეულ ეთნიკურ გარემოში იხვეწება

მენტალიტეტი არის ეთნოსის ცნობიერების საყოველთაოდ მიღებული განწყობა, ერთგვაროვანი რეაქცია გარემოს არაერთგვაროვან გამოვლინებაზე.

კულტუროლოგიის მენტალობა არის პიროვნების კულტურული ადჰერენცია, რომელიც მოიცავს ენას, გონებას, ცნობიერებას, აზრს, „მე“-ს. მენტალიტეტი მხოლოდ პოზიტიური ნიშნით არ არის მარკირებული.

გაცნობიერება-არჩევანის გარეშე უმაღლესი მენტალიტეტი თავის გამოვლილებაში წარმოგვიდგება ინსტინქტის-ინტუიციის დონეზე. მენტალიტეტი ვიწრო გაგებით არის, პირველ რიგში, ენა, სიტყვები.

ადმოსავლური კულტურის მკვლევრისათვის, ფილოსოფოსისათვის და ფილოლოგისათვის მენტალიტეტი სამყაროს გულუბრყვილო სურათია, რომელიც მთლიანობისკენ, მაგრამ არა სისრულისკენ, მიისწრაფის (როგორც სამყაროს მეცნიერული სურათი). ის პრაგმატულია, ესთეტიკურად გაფორმებული და სურვილის (ოცნების) მოდალობით მოქმედებს. ლოგიკა აქ მეორე პლანზეა, ვინაიდან აზროვნებენ არა ცნებებით, არამედ პროტოტიპებით. ეს არის კონკრეტული არადისკურსიული აზროვნება მენტალური წარმოსახვითი სიმბოლოებით. მენტალობა, საბოლოო ჯამში, არის სემანტიკური, აზრობრივი ველების სისტემა.

აჯამებს რა აღნიშნული ფენომენისადმი ვიწრო უწყებრივ მიდგომებს, ვ. კოლესოვი ასკვნის, რომ: „მენტალიტეტი თავისი ნიშნებით წარმოადგენს სამყაროს გულუბრყვილო სურათს თავისი ღირებულებითი ორიენტირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობენ. კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ეფუძნება ეთნიკურ მიმართებებს და ისტორიულ ტრადიციებს, ვლინდება ცალკეული წარმომადგენლის გრძნობებში, ნებასა და გონებაში ენისა და აღზრდის ერთიანობის საფუძველზე და ეროვნული სულიერი კულტურის ნაწილს წარმოადგეს” (В.И.Колесов, 2004,14).

კოლესოვი მიიჩნევს, რომ მენტალობის ენობრივი მოდელი ასახავს რუსული ფილოსოფიის ძირითად მიმართებას, რომელიც ინტუიციურად აცნობიერებდა რუსული მენტალობის სიტყვიერ ღირსებას, დაფუძნებულს ხალხური კულტურის იმ ძირითადი კონცეფტების ლოგიკურ გაშლა-განვითარებაზე, რომლებიც გენოტიპშია ჩადებული და ქვეცნობიერის დონეზე არსებობს. ამ თვალსაზრისით, მენტალობა გაისაზღვრება როგორც მსოფლადქმა, ასახული მშობლიური ენის ფორმებსა და კატეგორიებში, რომელიც შემეცნების პროცესში აერთიანებს ეროვნული ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ და ნებელობით თვისებებს მათს ტიპიურ გამოვლინებებში (В.И.Колесов .2004,15).

კოლესოვს მიაჩნია, რომ მენტალობის ენობრივი მოდელი რუსული ფილოსოფიის ძირითად განწყობას ასახავს, რომელმაც ინტუიციურად გააცნობიერა ხალხური კულტურის კონცეპტების ლოგიკურ განვითარებაზე დაფუძნებული რუსული მენტალობის ღირსება, კონცეპტებისა, რომლებიც გენოტიპშია ჩადებული და ქვეცნობიერის დონეზე არსებობენ. ამგვარად მენტალობა განისაზღვრება როგორც შემეცნების პროცესში ეროვნული ხასიათის ინტელექტუალური, სულიერი, ნებელობითი თვისებების ერთობლიობა მის ტიპურ გამოვლინებებში, როგორც „სამყაროს ჭვრეტა მშობლიური ენის კატეგორიებით და ფორმებით,“ (В. И. Колесов, 2004, 15).

მოცემული თავის მიზანია კონკრეტული მასალისთვის აუცილებელი თეორიული წინამძღვრების განსაზღვრა.

1. ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ენობრივი და კოგნიტური ცნობიერება არ არის ერთი და იგივე, თუმცა მათი შინაარსი ძირითად ნაწილში იკვეთება. ენობრივ ცნობიერებას ენობრივი ბუნება გააჩნია და ენის, როგორც ადამიანის აზრის საუკეთესო გამოხატულების, საშუალებით ვლინდება. მეორე მხრივ, ჩვენი ცნობიერება ენობრივი დონის ერთეულებით მთლიანად ვერ გამოიხატება.

2. ენობრივი ცნობიერება წარმოადგენს ლინგვოკულტურული საზოგადოების, ანუ საერთო კულტურით გართიანებული ადამიანების ჯგუფის საფუძველს. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ერთიანობა, კოგნიტიურ ბაზად წოდებული, ცოდნისა და წარმოდგენების სპეციალური სახით ორგანიზებული ფონდით განისაზღვრება.

3. ადამიანის მენტალური სამყარო რეალიზდება კულტურის ძირითად კონცეფტებში, რომლებიც სამყაროს სურათის საბაზო ერთეულებს წარმოადგენენ. ეროვნული ხასიათისა და სამყაროს სურათის კვლევა უნდა ეყრდნობოდეს კულტურის ძირითად კონცეფტებს, რომლებიც კოლექტიური, ენობრივი ცნობიერების ბუნების მანიფესტაციას წარმოადგენენ.

4. ჩვენ გამოვდივართ მენტალიტეტის, როგორც „სამყაროს გულუბრყვილო სურათის“, გაგებიდან, რომელშიც ასახულია მისი ღირებულებრივი ორიენტირები, ხოლო მენტალობას განვიხილავთ, როგორც სამყაროს ასახვას მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, როგორც ინტელექტუალურ, სულიერ და ნებელობით თვისებათა ერთობლიობას მის ტიპურ გამოვლინებებში, ფიქსირებულს შემეცნების პროცესის შედეგად.

§ 2. ენობრივი ცნობიერებიდან – კულტურამდე

(„სამყაროს ენობრივი სურათი“, როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების ვერბალური მანიფესტაცია)

ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკის ახსნის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად სამართლიანადაა მიჩნეული ვ. ფონ ჰუმბოლტის თეორია, რომლის მიხედვით კულტურის ეროვნული ხასიათი სამყაროს თავისებურ ასახვაში ჰპოვებს გამოხატულებას. ენა და კულტურა, როგორც ერთგვარად დამოუკიდებელი ფენომენები, ენობრივი ნიშნების მნიშვნელობებით არიან დაკავშირებულნი, რომლებიც ენისა და კულტურის ონტოლოგიურ მთლიანობას განაპირობებენ [Гумбольдт,1984,72]. . ენისა და კულტურის ავტონომიურ სისტემებად აღიარება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სუბსტანციური, ასევე, ფუნქციონალური თვალსაზრისით, არ გამოირიცხავს მათ მჭიდრო ურთიერთკავშირს როგორც უშუალო, ასევე, გაშუალებული სახით. პირველ შემთხვევაში ვგულისხმობთ, რომ ორივე ფენომენი დაკავშირებულია აზროვნებასთან და სწორედ მისი საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს. წარმოადგენს რა აზროვნების განუყოფელ კომპონენტს, ანუ სამყაროს ლოგიკურ-რაციონალურ გააზრებას, ენა მონაწილეობს სულიერი შემოქმედების ყველა გამოვლინებაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სიტყვა შემოქმედების უშუალო ინსტრუმენტი. ენობრივი ნიშნობრივი სისტემა, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების მატერიალიზაციას ახდენს, შეიცავს ინფორმაციას სამყაროს შესახებ. ენა და კულტურა აერთიანებს ნებისმიერ ეთნოსს, განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იმყოფებოდნეს იგი. ენა და კულტურა განასხვავებენ ერთ ეთნოსს მეორისგან და, ამავედროულად, შეიცავენ ურთიერთობის და დაახლოების გზებს. ენა, აზროვნება და კულტურა იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ, პრაქტიკულად, ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. ერთიანობაში ისინი დაკავშირებულნი არიან რეალურ სამყაროსთან და უპირისპირდებიან მას, ასახავენ და, იმავედროულად, ზემოქმედებენ მასზე. სიტყვა ასახავს არა სინამდვილის საგანს, არამედ მის ხედვას, რომელიც თავს მოხვეულია ენის მატარებლის ცნობიერებაში ამ საგანზე არსებული წარმოდგენით. სამყაროს სურათის ელემენტები ენის მატარებელთა ყოფით

ცნობიერებაში ორ დიდ კლასად შეგვიძლია გაგვით: ის, რაც რეალურად ან სავარაუდოდ არსებობს (არსებობდა, შეიძლებოდა ეარსება, ყოფილიყო, უნდა ყოფილიყო და ა.შ.) და ის, რაც ამ ჩამონათვალთან მიეკუთვნება ფასეულობებს, ანუ ისეთ ნივთებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანთა საზოგადოებების ცხოვრებაში (მიწა, ოჯახი, ბავშვები, სიყვარული, სიკეთე, სიმამაცე და ა.შ.) ამგვარი დაყოფა ადამიანური ცნობიერების არაერთგვაროვნებიდან მომდინარეობს. ყოველი ფასეულობა ყალიბდება, როგორც ადამიანური დაინტერესების პროდუქტი. საქმიანობის პროცესში, ობიექტური სამყაროს ასახვისას, ადამიანი შეცნობილის შედეგებს სიტყვაში აფიქსირებს. ენობრივ ფორმაში გამჟღავნებულ ცოდნათა ეს ერთობლიობა წარმოადგენს იმას, რასაც სხვადასხვა კონცეფციაში „ენობრივი შუალედური სამყარო“ ან „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“ ეწოდება. ყოველი ენა მის მატარებელს უყალიბებს სამყაროს გარკვეულ ხატს, რომელიც სწორედ ამ ენისთვის დამახასიათებელ ცნებათა თავისებური სემანტიკური ქსელებითაა წარმოდგენილი. ეს დასტურდება როგორც ასოციაციური ექსპერიმენტებით, ასევე, იმ სირთულეებით, რომლებიც კულტურათშორის კომუნიკაციასა და თარგმანის პროცესში წარმოიშობა. კულტურულ-ენიკური კომპონენტი, რომელიც მისი მატარებლების ე.წ. „სამყაროს გულუბრყვილო სურათს“, როგორც ყოფითი ცნობიერების ფაქტს, ასახავს, ენის ლექსიკური ერთეულების მეშვეობით აღიქმება, თუმცა თვით ენა უშუალოდ სამყაროს არ ასახავს. ის ასახავს მხოლოდ ამ სამყაროს კონცეფტუალიზაციას (წარმოდგენას) ეროვნული ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, გამოთქმა „სამყაროს ენობრივი სურათი“ საკმაოდ პირობითია. მხოლოდ ენობრივ სემანტიკაზე დაფუძნებული სამყაროს სურათი საკმაოდ სქემატურია, ვინაიდან მისი ფაქტურა იქმნება განმასხვავებელი ნიშნებისაგან, რომლებიც საფუძვლად უდევს საგნების, მოვლენების და მათი თვისებების კატეგორიზაციას. ადეკვატურობის მიზნით ხდება სამყაროს სურათის კორექტირება მის შესახებ მოპოვებული ემპირიული ცოდნით, რომელიც საერთოა ამ ენის მატარებელთათვის. ენა კულტურის შემადგენელი ნაწილი და მისი ინსტრუმენტია, ის ჩვენი სულიერების სინამდვილე, კულტურის სახეა. იგი გაშიშვლებული სახით წარმოაჩენს ეროვნული მენტალობის სპეციფიკას. ენა არის მექანიზმი, რომელმაც კაცობრიობას ცნობიერების სამყარო დაანახა. როგორც კ. ლევი-სტროსი აღნიშნავდა, ენა ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს

კულტურის პროდუქტს, მის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს და მისი არსებობის პირობას [Леви-Стросс 1983, 184]. უფრო მეტიც, ის კულტურის არსებობის სპეციფიკური ფორმა და კულტურული კოდების ფორმირების ფაქტორია. ენისა და კულტურის დამოკიდებულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მთელისა და ნაწილის მიმართება. ენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც კულტურის კომპონენტი და როგორც მისი იარაღი, რაც სრულიად განსხვავებული რამეა. ამავდროულად, ენა ავტონომიური ფენომენია ზოგადად კულტურასთან მიმართებაში და ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი სემიოტიკური სისტემა. ვინაიდან ენის მატარებელი, იმავდროულად, კულტურის მატარებელიცაა, ენობრივი ნიშნები კულტურის ნიშნების ფუნქციებსაც ასრულებენ და კულტურის პრეზენტაციის საშუალებას წარმოადგენენ. სწორედ ეს განსაზღვრავს ენის ფუნქციას, გამოხატოს მისი მატარებლების მენტალობის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა. როგორც ვ. კარასიკი აღნიშნავს, ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკის მოდელირება ენობრივი ნიშნის იდიომატურობის გზით და სამყაროს სურათის (მათ შორის, სამყაროს ენობრივი სურათის) მეშვეობით ხორციელდება. [Карасик,2002, 16]. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სამყაროს ენობრივი სურათის ინტერპრეტაცია ლინგვოკულტუროლოგიაში და კომუნიკაციის თეორიაში საკმაოდ აქტუალურია.

ოპოზიცია „ცნობიერება“- „ენობრივი ცნობიერება“- სთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია ოპოზიცია „სამყაროს სურათი“-„სამყაროს ენობრივი სურათის“ განხილვა. ამ უკანასკნელ ოპოზიციასთან დაკავშირებით ა. ლეონტიევი აღნიშნავს, რომ „სამყაროს სურათი“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგივოთ ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა „სამყაროს ენობრივი სურათი“ და „სამყაროს კოგნიტური სურათი“. ცნებაში „სამყაროს სურათი“ ის გულისხმობს გარესსამყაროს ასახვას ადამიანის ფსიქიკაში, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობებით და კოგნიტური სქემებითაა განპირობებული და ექვემდებარება შეგნებულ და გაცნობიერებულ რეფლექსიას (Леонтьев А.А.,1993,18).

როგორც აღვნიშნეთ, სამყაროს სურათი და სამყაროს ენობრივი სურათი ერთი და იგივე არ არის. ეს უკანასკნელი, გ. კოლშანსკის აზრით, იქმნება მეორადი იდეალური სამყაროს ენობრივი არსებობით, ენობრივი ფორმით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამყაროს ენობრივი სურათი წარმოგვიდგება, როგორც

სამყაროს ზოგადი სურათის სიღრმისეული შრე (Колшанский Г.В.,1990,18). ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს (აღქმისა და ორგანიზაციის) კონცეფტუალიზაციის განსაკუთრებულ სახეს, ამიტომ მნიშვნელობები, რომლებიც გამოიხატება ენაში, ქმნის შეხედულებათა ერთიან სისტემას, რომელიც თავისებურ კოლექტიურ ფილოსოფიას წარმოადგენს და როგორც აუცილებელი იძულებით არის თავს მოხვეული ენის მატარებელთათვის. სამყაროს სურათის სტატუსის შესწავლა, როგორც ა. მელნიკოვა აღნიშნავს, უკავშირდებოდა მისი ნაირსახეობების – „სამყაროს მეცნიერული სურათისა“ და „სამყაროს ზოგადმეცნიერული სურათის“ – კვლევას. ამ ნაირსახეობათა შიგნით ის გამოყოფს კვლევის სხვადასხვა მიმართულებას, რომელთა თანახმადაც: სამყაროს სურათს შუალედური ადგილი უჭირავს ორ პოლუსს – მეცნიერებასა და მსოფლმხედველობას ან მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის;

1) სამყაროს სურათი წარმოადგენს მსოფლმხედველობას (მსოფლადქმას) და მოიცავს სოციალური პრაქტიკის ტიპს და ფილოსოფიური რეფლექსიის ნაირსახეობას (სამყაროს სურათის ნეონატურალისტური კონცეფცია);

2) სამყაროს სურათი წარმოადგენს სამეცნიერო ცოდნის ნაირსახეობას (სამყაროს სურათის ნეონატურალისტური კონცეფცია) (Мельникова А., 2003, 21) .

საინტერესოა, რომ თვით ტერმინი „სამყაროს სურათი“ ფიზიკოსებმა წამოაყენეს სამყაროს ფიზიკური სურათის აღსანიშნავად, რომელშიც გულისხმობდნენ გარეშე საგნების შინაგანი სახეების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზე ლოგიკურად შეიძლება მივიღოთ ცნობები ამ საგნების ქცევის შესახებ. შინაგანი სახეები, ანუ გარე საგნების სიმბოლოები, რომელთაც მეცნიერები ქმნიან, უნდა იყოს ისეთი, რომ რეალობას შეესაბამებოდეს.

აღნიშნულ ტერმინს – „სამყაროს სურათი“ კიდევ ერთი გამოჩენილი ფიზიკოსი მაქს პლანკი იყენებდა, რომელიც მასში გულისხმობდა „სამყაროს სურათს“, რომელსაც ქმნიდა ფიზიკის მეცნიერება და რომელიც ასახავდა ბუნების სხვადასხვა კანონზომიერებას. ის მიიჩნევდა, რომ ამ ფენომენის შინაარსი განისაზღვრება ენერჯიის შენახვისა და გარდაქმნისა და ენტროპიის ზრდის პრინციპებით. ის მუდმივად მდიდრდება ფიზიკის განვითარებასთან ერთად და, იმავდროულად, თავისუფლდება ანტროპომორფული ელემენტებისაგან.

სხვადასხვა კონცეფციაში სამყაროს მოდელი ან სამყაროს სურათი განიხილება, როგორც ადამიანისა და გარემოს შესახებ ინფორმაციის გადამუშავების შედეგი (კოული და სკრიბნერი); როგორც არსებული წარმოდგენების შემოკლებული და გამარტივებული ასახვა (ტ. ცივიანი); როგორც ობიექტური სამყაროს მეორეული ასახვა ადამიანის ცნობიერებაში (გ. კოლშანსკი); როგორც სამყაროს შესახებ არსებული უზოგადესი წარმოდგენების მენტალურ წარმოდგენათა ჯამი (უტრობინა); როგორც ინტეგრალური სისტემა, რომელიც ხასიათდება მისი შემქმნელი მნიშვნელობებისა და წარმოდგენების მოწესრიგებულობითა და ერთიანობით (ე. კუბრიაკოვა); როგორც იდეალური კონცეფტუალური წარმონაქმნი, რომელიც ობიექტივიზირებულია ცნობიერების ნებელობის და სასისოცხლო აქტივობის ნაკვალევში – ტექსტების სხვადასხვა სახის (ვერბალურ, არქიტექტურულ, მუსიკალურ და ა.შ.) ნიშნობრივ წარმონაქმნებში (ვ. პოსტოვალოვა).

ყოველი კულტურა თავისებურად ახდენს სამყაროს კონცეფტუალიზაციას, თავისებურად ანაწევრებს მას, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა ენას თავისი სამყაროს სურათი გააჩნია, რომელიც აიძულებს ენობრივ პიროვნებას, თავისი გამონათქვამის შინაარსი ამ სურათს შეუსაბამოს. სწორედ ამაში ვლინდება ენაში დაფიქსირებული სპეციფიკურად ადამიანური აღქმა სამყაროსი. ენა არის უმნიშვნელოვანესი საშუალება ადამიანის მიერ სამყაროს შესახებ ცოდნის ფორმირებისა.

ასახავს რა თავისი მოღვაწეობის პროცესში ობიექტურ სინამდვილეს, ადამიანი სიტყვაში აფიქსირებს თავისი შემეცნების შედეგებს. ეს უკანასკნელი, ენობრივი სახით წარმოდგენილი, არის ის, რასაც სხვადასხვა კონცეფციაში ეწოდება „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“, „ენობრივი შუალედური სამყარო“ და, ყველაზე ხშირად, „სამყაროს ენობრივი სურათი“. სამყაროს (მათ შორის, ენობრივი) სურათის ცნება ემყარება ადამიანის წარმოდგენას სამყაროს შესახებ. თუ სამყარო ადამიანი და გარემოა მათ ურთიერთქმედებაში, მაშინ სამყაროს სურათი წარმოადგენს ადამიანის და გარემოს შესახებ ინფორმაციის გადამუშავებას.

ეს თვალსაზრისი შეესაბამება კოგნიტოლოგების პოზიციას, რომელთა თანახმადაც ჩვენი კონცეფტუალური სისტემა, ენობრივი სამყაროს სახით ასახული, დამოკიდებულია კულტურულ და ფიზიკურ გამოცდილებაზე და უშუალოდ უკავშირდება მას.მარტინ ჰაიდეგერის აზრით, სიტყვა „სურათთან“

დაკავშირებით ჩვენ, ჩვეულებრივ, ვგულისხმობთ რაღაცის ასახვას, თუმცა „სამყაროს სურათი“ არსობრივად ნიშნავს არა სურათს, რომელიც ასახავს სამყაროს, არამედ სამყაროს, გაგებულს, როგორც სურათი“ [Хайдеггер, 1986,96].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამყაროს სურათი მას ესმის, როგორც გარესამყაროს ასახვა ადამიანის გონებაში. აღნიშნული მიდგომის მომხრეები (ა. ლეონტიევი, ნ. უფიმცევა, დ. გრინი და სხვ.) ცნებებს „ცნობიერება“ და „სამყაროს სურათი“ ერთმანეთთან ძალზე ახლო მდგომებად, თითქმის იდენტურებად მიიჩნევენ.

სამყაროს სურათი უყალიბდება ადამიანს სოციალიზაციის პროცესში და არ შეიძლება ნაციონალურ-კულტურული კვალის მატარებელი არ იყოს. სამყაროს სურათს, როგორც სინამდვილის რეალურ ასახვასა და ენობრივ სამყაროს, როგორც ამ სინამდვილის ასახვის ფიქსაციას შორის დამოკიდებულება საკმაოდ რთულია. სამყაროს სურათი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ლოკალური, ტემპორალური, რაოდენობრივი, ეთიკური, ესთეტიკური და სხვა სახის პარამეტრებით. მის ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენენ ენა, ტრადიციები, ბუნება, აღზრდა, ლანდშაფტი და სხვ. სამყაროს ენობრივი სურათი არ დგას ერთ სიბრტყეზე ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა სამყაროს დარგობრივი სურათები (მაგ. ფიზიკური, ქიმიური და ა.შ.).

ის წინ უსწრებს და განაპირობებს მათ, ვინაიდან სამყაროს აღქმა და გააზრება ადამიანის მიერ შესაძლებელია მხოლოდ ენის საფუძველზე, რომელშიც დაფიქსირებულია საზოგადოებრივი გამოცდილება.

ა. აპრესიანი ხაზს უსვამდა სამყაროს ენობრივი სურათის წინარემეცნიერულ ხასიათს და მას გულუბრყვილო სურათს უწოდებდა. მისი აზრით, სამყაროს ენობრივი სურათი ავსებს ჩვენს წარმოდგენას სინამდვილეზე, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს ამავე სინამდვილის ასახვის დამახინჯებულ ფორმას. (А.Апресян,1995,124)

ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობას თან ახლავს შეცდომები და ცდომილებები .. სამყაროს კონცეფტუალური სურათი მუდმივად იცვლება, მაშინ, როდესაც სამყაროს ენობრივი სურათი უფრო კონსერვატულია და კიდევ დიდხანს ინახავს ამ შეცდომათა ნაკვალევს.

ტერმინი „სამყაროს ენობრივი სურათი“ სხვა არაფერია, თუ არა მეტაფორა, ვინაიდან სინამდვილეში ეროვნული ენის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებშიც დაფიქსირებულია უნიკალური საზოგადოებრივ-ისტორიული

გამოცდილება ადამიანთა გარკვეული ეროვნული ერთობისა, უქმნის ამ ენის მატარებლებს არა ობიექტურისგან განსხვავებული განუმეორებელ სამყაროს სხვა სურათს, არამედ ამ სამყაროს სპეციფიკურ შეფერილობას, განპირობებულს საგანთა, მოვლენათა და პროცესების ეროვნული ღირებულებით და მათდამი თავისებური დამოკიდებულებით, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული ხალხის ეროვნული კულტურის, საქმიანობის, ცხოვრების წესის სპეციფიკითაა განპირობებული.

გარესამყარო სტერ-მინასოვას კონცეფციაში სამყაროს სამგვარი სურათითაა წარმოდგენილი: სამყაროს რეალური სურათი, სამყაროს ცნებითი ანუ კულტურული სურათი და სამყაროს ენობრივი სურათი. სწორედ სამყაროს კულტურული სურათია განსხვავებული სხვადასხვა ხალხებში ,რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით, როგორებიცაა გეოგრაფია, კლიმატი, სოციალური მოწყობა, რწმენა, ტრადიციები ცხოვრების წესი და ა.შ (Тер-Минасова,2000, 41).

სამყაროს ენობრივი სურათი, თავის მხრივ, რეალობას სამყაროს კულტურული სურათის მეშვეობით ასახავს. ს. ტერ-მინასოვა ხაზს უსვამს სამყაროს ენობრივი და კულტურული სურათების თანაფარდობის სირთულეს, რაც განპირობებულია სინამდვილის სპეციფიკური გარდატეხით ენასა და კულტურაში (Тер-Минасова,2000, 46) .

ჟ. ლაკოვის გეშტალტების თეორიამ საკმაოდ ბევრი მომხრე შეიძინა. გეშტალტები ენის სიღრმისეული შინაარსობრივი ერთეულებია. გარდა იმისა, რომ ენაში რეალიზდებიან, ისინი შეადგენენ ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის საფუძველს, მართავენ შემეცნების პროცესს, განსაზღვრავენ მოტორული აქტების სპეციფიკასა და ხასიათს. გეშტალტების სიღრმისეული ხასიათი ენასთან მიმართებაში რამდენიმე სახით ვლინდება. ასე, მაგალითად, ზედაპირულ ენობრივ დონეზე ერთი და იგივე გეშტალტი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მნიშვნელობით და მხოლოდ სპეციალურ კვლევას შეუძლია დაადგინოს მათი ერთიანობა. ჟ. ლაკოვმა გვაჩვენა , რომ ომი და კამათი აღიწერება ერთსა და იმავე ტერმინებში და, შესაბამისად, ერთნაირად არიან გააზრებულნი, ანუ დაკავშირებულნი არიან ერთსა და იმავე გეშტალტთან.

ამრიგად, გეშტალტები არიან სიღრმისეული წარმოდგენები, რომლებიც განეკუთვნებიან ადამიანის სიღრმისეულ ფსიქიკას ზოგადად და, როგორც

მთლიანობა, წარმოადგენენ ბუნებრივი ენის კატეგორიულ ფარგლებს მიღმა არსებულ, ანუ ტრანსცედენტულის შინაარსობრივ სიდიდეებს. გეშტალტები დევს უშუალოდ გამონათქვამის ზღვარს მიღმა და ორგანულად არიან მასთან დაკავშირებულნი. რეალური ენობრივი მონაცემების საფუძველზე რეკონსტრუირებული გეშტალტები თავად ხდებიან უახლესი ტრანსცედენტულის შინაარსობრივი სიდიდეები (G.Lakoff,1990,128).

ამრიგად, „სამყაროს ენობრივი სურათის ცნება” დაკავშირებულია ხალხის, ეთნოსის, ნაციის ცნებებთან და პიროვნების ეროვნული ხასიათის გააზრებასთან. რა აერთიანებს ადამიანებს ერთ ხალხად?

რა განსაზღვრავს ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას?

შემადგულებელ და გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენს ისტორია, რომელიც განსხვავებულია სოციალურ მესხიერებაში, კულტურაში. ისტორიული კონტექსტი განაპირობებს კონცეფტ „ხალხის” ორგვარ გაგებას:

- 1) როგორც ეთნიკური (ეთნოგენეტიკური) მთლიანობისა და
- 2) როგორც ეთნოსოციალური მთლიანობისა.

ეთნოსი გაგებულია, როგორც სოციალური ჯგუფი, რომლის წევრებსაც აერთიანებთ ეთნიკური თვითშეგრძნება და რომელიც ეფუძნება მის წარმომადგენელთა წარმოდგენას საკუთარ წარმოშობაზე, გენეტიკურ კავშირზე ამავე ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან. ამ საკითხების გაშუქებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური და ეროვნული კულტურების ცნებებს. ეთნიკური (ხალხური) კულტურა ეროვნული კულტურის უძველესი პლასტია და, ძირითადად, მოიცავს ყოფით სფეროს, წეს-ჩვეულებებს, ხალხურ რეწვას, ფოლკლორს და ა.შ.

ყველა ხალხს გააჩნია თავისი ეთნიკური სიმბოლოები (კიმონო –იაპონელებს, ჩოხა – ქართველებს, ტოგა-რომაელებს და ა.შ.) შესაბამისად, ყველა კულტურის წარმომადგენლებს გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი ხასიათის თვისებები: ინიციატივიანობა- ამერიკელებს, რაციონალურობა – გერმანელებს, ემოციურობა – იტალიელებს და ა.შ. ნაციონალური კულტურა უფრო რთული წარმონაქმნია. ეს არის სუბკულტურის ნაირსახეობა, სიმბოლოთა , რწმენის , ღირებულებათა , ქცევის ნორმათა და ნაირსახეობათა ერთობლიობა, რომლებიც დამახასიათებელია პიროვნების სულიერი ცხოვრებისათვის , ამა თუ იმ ქვეყანაში , სახელმწიფოში (Тер-Минасова,2000, 43) .

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენა, აზროვნება და კულტურა დაკავშირებული არიან რეალურ სამყაროსთან და უპირისპირდებიან მას, ასახავენ და, იმაგდროულად, ზემოქმედებენ მასზე.

ს.ტერ-მინასოვას აზრით, გზა რეალური სამყაროდან ცნებამდე და შემდეგ მის სიტყვიერ გამოხატულებამდე სხვადასხვა ხალხებში განსხვავებულია, რაც განპირობებულია ამ ხალხების ცხოვრების წესის სპეციფიკით, ისტორიის, გეოგრაფიის თავისებურებით და, შესაბამისად, მათი საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების არაერთგვაროვნებით. (Тер-Минасова, 2000, 40) .

ეთნიკური კულტურა საწყისი ეტაპია ნაციონალურის, თუმცა ეს უკანასკნელი არ დაიყვანება მასზე. მისი სიმდიდრე ეფუძნება დამწერლობასა და განათლებას, თავს იჩენს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში.

ეთნიკური და ნაციონალური კულტურის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია. ეთნიკური კულტურა ხალხური ენის საფუძველია, სიუჟეტების, ხელოვნების ნიმუშების წყაროა. ეთნიკური კულტურა კონსერვატიულია, მისთვის უცხოა ცვლილებები, მაშინ, როდესაც ნაციონალური კულტურა მუდმივ მოძრაობაშია. რაც უფრო ღიაა ნაციონალური კულტურა სხვა კულტურებთან დიალოგისათვის და კავშირებისათვის, მით უფრო განვითარებული და მდიდარია.

თუ ეთნიკური კულტურები ცდილობენ შეინარჩუნონ განსხვავება ლოკალურ ადგილობრივ კულტურათა შორის, ნაციონალური კულტურები მათ ნიველირებას ახდენენ. კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება აახლოებს ხალხებს, ახდენს მათი ცხოვრების წესის სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას.

რას წარმოადგენს ეროვნული ხასიათი და არსებობს ის თუ არა? რამდენად მართებულია ტიპური ნიშნების განზოგადება ეროვნულ მასშტაბში, როდესაც ვიცით, რომ ადამიანები განსხვავებულები არიან (შეად. ინგლისური პარემია-“ It takes all sorts to make a world “ –სამყარო განსხვავებული ადამიანებისგან შედგება).

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ხალხი ერთმანეთის მსგავსი ადამიანებისგან შედგება?

თუ ეროვნულ ხასიათში იგულისხმება თვისებათა სტერეოტიპული კომპლექსი, რომელსაც ერთი ერი (და, ხშირ შემთხვევაში, არცთუ ისე კეთილგანწყობილი) მეორეს მიაწერს ?

ადამიანი გარკვეული ეროვნული მენტალობის და ენის მატარებელია, რომელიც ამავე ერის სხვა წარმომადგენლებთან დაკავშირებულია ერთობლივი საქმიანობით და, რაც მთავარია, ენობრივი აქტივობით. თანამედროვე მკვლევართათვის საინტერესოა არა ზოგადად ადამიანი, არამედ ადამიანი ენაში, ვინაიდან ადამიანი ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია შეგვიყვანოს მენტალობის სფეროში, რადგანაც ის განსაზღვრავს სამყაროს დანაწევრებას ამა თუ იმ კულტურაში. ის მოგვითხრობს ადამიანზე ისეთ რამეს, რის შესახებაც ადამიანს, შესაძლოა, წარმოდგენაც არ ჰქონდეს.

უცნობ (უცხო) კულტურასთან კონტაქტისას ადამიანს მისდამი გარკვეული დამოკიდებულება უყალიბდება. სხვა კულტურის წარმომადგენელი, როგორც წესი, განიხილება როგორც «უცხო». ამ ტერმინის არსი ნათელი და გასაგები ხდება, თუ დავუპირისპირებთ კონცეფტებს საკუთარი – მშობლიური და უცხო – არაშენიანი .

რომ გავიგოთ ტერმინ “კულტურათა კონფლიქტი“-ს არსი, უნდა ჩავწვდეთ ტერმინ „უცხო“-ს შინაარსს. გასაგები ხდება, რომ სწორედ მშობლიური კულტურა აერთიანებს ადამიანებს და, მეორე მხრივ, მიჯნავს სხვა უცხო კულტურებისგან, სხვა ქვეყნების კულტურებისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მშობლიური ენა ერთდროულად ფარიცაა, რომელიც იცავს ხალხის ეროვნულ თვითმყოფადობას და, მეორე მხრივ, ყრუ კედელია, რომელიც გვმიჯნავს სხვა კულტურებისაგან. ამრიგად, მთელი სამყარო იყოფა ჩვენიანებად, რომელთაც აერთიანებს ენა და კულტურა და სხვებად, რომლებმაც არ იციან შენი ენა და კულტურა.

წინამდებარე ნაშრომისთვის უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ცნება „კონცეფტთან“ დაკავშირებულ შიდაენობრივ და გარეენობრივ საწყისთა თანაფარდობის განსაზღვრა. ამ კუთხით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პავლიონისის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონცეფტი შეიძლება გამოხატული იყოს ან არ იყოს ენობრივი ფორმით და იწყებდეს თავის არსებობას ჯერ კიდევ არავერბალური სახით. პავლიონისის მიიჩნევს, რომ ჩვენს ცნობიერებას ინფორმაციის მყარი მარკერი ესაჭიროება, რასაც მივყავართ კონცეფტის ენობრივი ერთეულის საშუალებით გამოხატვამდე, რომელიც,

პირველ რიგში, აღნიშნულის ბირთვულ ნაწილს ესადაგება. თუმცა ბირთვთან ერთად კონცეფტს პერიფერიული ნაწილიც გააჩნია, საკმაოდ ბუნდოვანი საზღვრებითა და უამრავი თანამდევით ასოციაციური კავშირით. პირველ რიგში, ისინი, შეიძლება, რეალიზებულ (გაგებულ) იქნან სხვა ენობრივ ნიშანთა და მათ კომბინაციათა ოპერაციების შედეგად, და მეორე – გრამატიკულ საშუალებათა სპეციფიკურ ნაკრებთა გამოყენების მეშვეობით და ა. შ. წარმოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ კონცეფტს შეიძლება ჰქონდეს ლექსიკური გამოსატყულება, მაგრამ არ არის აუცილებელი, ენობრივ სივრცეში დაკავშირებული იყოს მხოლოდ ერთ სიტყვასთან. შესაძლოა, ის უკავშირდებოდეს სიტყვათწარმოში ბუდეთა მთელ რიგს, რომელთა ამოსავალი ლექსემებიც სინონიმურ ჯაჭვს წარმოადგენენ. ამასთან, სინონიმური რიგის წევრები ქმნიან კონცეფტუალური პარადიგმის ბირთვს, სხვა ერთფუძიანი სიტყვები კი – მის პერიფერიას (Павиленис,1986,327) .

ენობრივ ფორმაში გამჟღავნებულ ცოდნათა ერთობლიობა წარმოადგენს იმას, რასაც სხვადასხვა კონცეფციებში „ენობრივი შუალედური სამყარო“ ან „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“ ეწოდება. უფრო ხშირად სწორედ ეს უკანასკნელი ტერმინი გხვდება. სამყაროს სურათის ცნება (მათ შორის, ენობრივისაც) ეფუძნება ადამიანის წარმოსახვებს სამყაროს შესახებ. თუ სამყარო არის ადამიანი და გარემო მათ ურთიერთქმედებაში, მაშინ სამყაროს სურათი გარემოსა და ადამიანზე ინფორმაციის გადამუშავების შედეგია. სამყაროს სურათი სამყაროს სურათის სარკისებრი ასახვა კი არ არის, არამედ სამყაროს თავისებური ინტერპრეტაციაა, რომელიც ცალკეული ურთიერთგანსხვავებული ინდივიდის მიერ ხორციელდება. სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ სამყაროს სურათი დინამიკური მოვლენაა და მუდმივ დაზუსტების პროცესში იმყოფება. ამრიგად, უნდა ითქვას, რომ კოგნიტური ლინგვისტიკის წარმომადგენლები მართაღნი არიან, როდესაც ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეფტუალური სისტემა, მანიფესტირებული სამყაროს ენობრივი სურათის სახით, დამოკიდებულია ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებაზე და უშუალოდ დაკავშირებულია მათთან.

სამყაროს სურათის სტრუქტურულ ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ კულტურის საბაზო კონცეფტებს, რომლებიც წარმოადგენს კულტურით განსაზღვრულ ბირთვულ ერთეულებს, რომელთაც ეგზისტენციალური

მნიშვნელობა გააჩნიათ როგორც კონკრეტული ენობრივი პიროვნებისათვის, ასევე, ლინგვოკულტურული მთლიანობისთვის საერთოდ.

კულტურის საბაზო კონცეფტებად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ცნებები, როგორცაა სინდისი, ბედი, ნება, ცოდვა, თავისუფლება, კანონი, სამშობლო და სხვა. კონცეფტები ჩნდება ადამიანის ცნობიერებაში არა მარტო როგორც მინიშნება შესაძლო მნიშვნელობაზე, არამედ როგორც გამოხმაურება წინარე გამოცდილებაზე –პოეტური, პროზაული, სამეცნიერო, ისტორიული, სოციალური.

ა.გურგენიჩის აზრით, მიზანშეწონილია, გაიმიჯნოს „კულტურის კონცეფტი“ და „კულტურის სტერეოტიპი“. ეს უკანასკნელი სუბიექტურ შეფასებას წარმოადგენს მაშინ, როდესაც „კულტურის კონცეფტი“ შეიცავს სამყაროსადმი ობიექტურ დამოკიდებულებას. ამასთანავე, სიტყვა, რომ ჩაითვალოს კულტურის კონცეფტად, უნდა იყოს საყოველთაოდ მიღებული, აღწარმოებადი [Гуревич,1990, 47].

პირველივე შეხედვით თვალნათლივ ჩანს, რომ კულტურულ-სპეციფიკური კონცეფტები ნებისმიერ ენაში გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ასე, მაგალითად, კულტურულ-სპეციფიკურად შეიძლება ჩაითვალოს რუსული „კარტოშკა“, რომელიც ითვლება ღარიბული კვების ატრიბუტად, მაშინ, როდესაც ბელორუსებისთვის ეს არის ჩვეულებრივი ეროვნული საკვები, მეორე პური, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, პირველზე მნიშვნელოვანია.

გარესამყაროს საგნები და მოვლენები ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენილია შინაგანი ფორმის სახით. ა. ნ. ლეონტიევის აზრით, არსებობს განსაკუთრებული მეხუთე კვაზიგანზომილება, რომელშიც ეძლევა ადამიანს გარემო სინამდვილე. ეს არის შინაარსობრივი ველი, მნიშვნელობათა სისტემა. აქედან გამომდინარე, სამყაროს სურათი არის სახეთა სისტემა ([Леонтьев,1993, 92) .

სამყაროს სურათსა (როგორც რეალური სამყაროს ასახვას) და სამყაროს ენობრივ სურათს (როგორც ამ ასახვის ფიქსაციას) შორის არსებობს რთული დამოკიდებულება. სამყაროს სურათი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სივრცითი (მაღლა – დაბლა, მარჯვენა – მარცხენა, აღმოსავლეთი – დასავლეთი, შორს მყოფი – ახლოს მდებარე და ა.შ.), ტემპორალური (დღე – ღამე, ზამთარი – ზაფხული), რაოდენობრივი, ეთიკური და სხვა პარამეტრით. მის ჩამოყალიბებაზე

გავლენას ახდენს ენა, ტრადიციები, ბუნება, ლანდშაფტი, აღზრდა, განათლება, სხვადასხვა სოციალური ფაქტორი.

ვინაიდან ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობა არ არის დაზღვეული შეცდომებისგან, სამყაროს მისეული სურათი მუდმივ ცვალებადობას განიცდის, მაშინ, როდესაც სამყაროს ენობრივი სურათი, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ დიდხანს ინარჩუნებს ამ ცდომილებათა კვალს. ასე, მაგალითად, ხშირად გაგვიგონია გამოთქმა „სული კბილით უჭირავს“, რომელიც დაკავშირებულია წარმოდგენასთან, რომ სულს შეუძლია გამოსვლა სხეულიდან, რისთვისაც მან უნდა გაიაროს პირის ღრუ. ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ამისთვის ხელის შეშლა. უკანასკნელი ზღუდის ფუნქციას კბილები ასრულებენ, რომლებიც ცდილობენ ააცილონ ადამიანს ტრაგიკული ხვედრი. ბუნებრივია, მოვლენების ასეთი ასახვა ადამიანის არსებობის ადრეულ სტადიას უკავშირდება, თუმცა აქ საქმე გვაქვს მოვლენების მეტაფორულ გადააზრებასთან. სამყაროს ენობრივი სურათი აყალიბებს ადამიანის სამყაროსადმი მიმართებას. ის განსაზღვრავს მისი ქცევის ნორმებს და სამყაროსადმი დამოკიდებულებას. ყველა ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზაციის (კონცეფტუალიზაციის) გარკვეულ სისტემას. მათში გამოხატული მნიშვნელობები თავს იყრიან შეხედულებათა ერთიან სისტემაში, ერთგვარ კოლექტიურ ფილოსოფიაში, რომელსაც თავს ახვევენ, როგორც აუცილებელს, ენის მატარებლებს.

სწორედ ენის შინაარსობრივ მხარეში (ნაკლებად, გრამატიკაში) ვლინდება ამა თუ იმ ეთნოსის სამყაროს სურათი, რომელიც ყველა კულტურული სტერეოტიპის საფუძვლად იქცევა. მისი ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, თუ რით განსხვავდებიან ნაციონალური კულტურები, თუ როგორ ავსებენ ისინი ერთმანეთს მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ამ სიტყვების ყველა მნიშვნელობა კულტურულ-სპეციფიკური იქნებოდა, სრულიად შეუძლებელი გახდებოდა კულტურულ განსხვავება-თავისებურებათა კვლევა, ამიტომ ნაციონალურ-კულტურული ასპექტების შესწავლისას აუცილებელია ენობრივ ერთეულთა უნივერსალური თვისებების გათვალისწინებაც.

ამრიგად, სამყაროს კულტურული და ენობრივი სურათები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და მუდმივი ურთიერთქმედების მდგომარეობაში

იმყოფება. ისინი სათავეს იღებენ სამყაროს რეალური სურათიდან, ანუ, უფრო ზუსტად, გარე სამყაროსგან, რომელიც ადამიანს აკრავს.

ბუნებრივია, სამყაროს კულტურული სურათი პირველადია ენობრივ სურათთან შედარებით. ის უფრო სრულია და მდიდარი. მაგრამ სწორედ ენობრივი სურათი ახდენს სამყაროს ეროვნული სურათის ვერბალიზაციასა და რეალიზაციას, ინახავს მას და გადასცემს თაობიდან თაობაში. ენა არ აფიქსირებს ყოველივეს, რაც სამყაროს ეროვნულ ხედვაში არსებობს, თუმცა ყველაფრის აღწერა ხელეწიფება.

აუცილებლობის შემთხვევაში ენა სესხულობს უცხო ენობრივი გარემოდან სხვა ენობრივი აზროვნებისთვის დამახასიათებელ სიტყვებს ცნებების გამოსახატავად. ასე, მაგალითად, ინგლისური ენიდან ცნებასთან ერთად შემოვიდა სიტყვები კომპიუტერი, ვისკი, დილერი, იმპინმენტი, ფაილი და ა.შ.

შედარებით რთულია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ცნება მეტნაკლები დეტალიზაციით არის წარმოდგენილი სხვადასხვა ენაში. ასე, მაგალითად, დროის მონაკვეთებს შორის საზღვარი არ ემთხვევა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა წარმოდგენაში. ინგლისურენოვანთათვის დილა არის მონაკვეთი შუაღამიდან შუადღემდე, მაშინ, როდესაც ქართველებისთვის დროის მონაკვეთი, რომელიც მოსდევს შუაღამეს, არის ღამე. ამიტომ ვამბობთ: „ღამის პირველ საათზე“ და არა „ღილის პირველ საათზე.“

ევროპული ქვეყნების უმეტესობისთვის დღე სტრუქტურირდება სადილთან დაკავშირებული შესვენებით, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს და, როგორც წესი, თორმეტსა და ორ საათს შორის დროის მონაკვეთში ხორციელდება. დროის მონაკვეთს ამ შესვენებამდე (ღამის 12 საათიდან შუადღემდე) უწოდებენ დილას. დროის მონაკვეთს ამ შესვენებიდან სამუშაო დღის დასასრულამდე აქვს სპეციალური სახელწოდება „afternoon“, რომლის ზუსტი ეკვივალენტი ქართულს არ გაჩნია, ვინაიდან ქართული „ნაშუადღევს“ არ არის მიბმული სამუშაო დღის სტრუქტურირებასთან და დროის მონაკვეთს თორმეტი საათის შემდგომ პერიოდს უკავშირებს. თუ ქართული დღე-ღამის მონაკვეთების მოდელირებისას მნიშვნელოვანია გაღვიძებისა და საქმიანობის დაწყების მომენტი, დასავლეთევროპული მოდელისთვის – შუაღამე და შუადღე (და მასთან დაკავშირებული შესვენება). შესაძლოა, აქედან მომდინარეობს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ქართველები ძალზე თავისუფლად ეპყრობიან დროს, ვინაიდან თვით დროის აღმნიშვნელი მონაკვეთები ეფუძნება არა

ასტრონომიულ დროს, არამედ ადამიანის საქმიანობის პერიოდებს. ისეთი, ერთი შეხედვით უნივერსალური და მარტივი მოვლენა – კალენდარული წლის სეზონებად დაყოფაც კი შეიძლება განსხვავებული იყოს. ასე, მაგალითად, ჩვენში მიღებული სისტემა ოთხი სამთვიანი სეზონის გამოყოფისა არ შეესაბამება ინგლისურ სისტემას, რომლის მიხედვითაც ზამთარი და ზაფხული მოიცავს ოთხ-ოთხ თვეს, ხოლო გაზაფხული და შემოდგომა – ორ-ორს! ქართული გაზაფხულის თვე მაისი ინგლისელთათვის არის ზაფხულის თვე, ხოლო შემოდგომის თვე ნოემბერი – ზამთრის. სპეციფიკურია ისეთი მოვლენის ასხვა, როგორიცაა „თითი“. ინგლისურში ამ სიტყვის დასახელებისას საჭიროა დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება – ხელის თუ ფეხის თითი და, თუ ხელის –კერძოდ, რომელი თითი. როგორც ცნობილია, ხელის ყველა თითს, გარდა ცერისა, ინგლისურში ეწოდება „fingers“; ხოლო ცერას – „thumb“-. ფეხის თითები ინგლისურში აღინიშნება სიტყვა „toes“-ით. ასეთივე მდგომარეობაა გერმანულშიც, სადაც ხელის და ფეხის თითები სპეციალური ლექსემებით გამოიხატება.

სამყაროს ენობრივი სურათის შესწავლის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამყაროს კონცეფტუალური სურათის პრობლემასთან, რომელიც ასახავს ადამიანის და მისი ყოფის სპეციფიკას, მისი არსებობის პირობებს და მის დამოკიდებულებას სამყაროსთან. სამყაროს ენობრივი სურათი ახდენს ადამიანის ცალკეული სურათების ექსპლიცირებას და ასახავს სამყაროს ზოგად სურათს. ადამიანის საქმიანობა, რომელიც მოიცავს სიმბოლურ ანუ კულტურულ სამყაროს, ერთდროულად უნივერსალურიცაა და ნაციონალურ-სპეციფიკურიც. მისი ეს თვისებები განაპირობებენ როგორც სამყაროს სურათის სპეციფიკურობას, ასევე – მის უნივერსალობას. ამრიგად, ენის ამოცანა არის არა მარტო შეტყობინების გადაცემა, არამედ გადასაცემი ინფორმაციის შინაგანი ორგანიზაცია. იქმნება თავისებური „მნიშვნელობათა სივრცე“ – ენაში დაფიქსირებული ცოდნა სამყაროს შესახებ, რომელშიც ჩაწულია კონკრეტული ენობრივი მთლიანობის ნაციონალურ-კულტურული გამოცდილება. ამ ენის მატარებლები ქმნიან თავიანთ სამყაროს და სამყაროს ენობრივი სურათი წარმოგიდგება, როგორც სამყაროს შესახებ ცოდნის ერთობლიობა, რომელიც ლექსიკაში, ფრაზეოლოგიასა და გრამატიკაში აისახება. სამყაროს ენობრივი სურათი სხვადასხვა ფერით იქმნება, რომელთა შორის გამორჩეულია მითოლოგიები, ხატოვანი და მეტაფორული პლასტები. ჩვენი მსოფლადქმა

ხშირად იმყოფება სამყაროს ენობრივი სურათის ტყვეობაში. ყველა კონკრეტული ენა შეიცავს ეროვნულ თვითმყოფად სისტემას, რომელიც განაპირობებს აღნიშნული ენის მატარებელთა მსოფლმხედველობას და ქმნის მათ სამყაროს სურათს. ამრიგად, სამყაროს ენობრივ სურათში ჩვენ ვგულისხმობთ ღირებულებრივ ორიენტაციათა სისტემას, რომელიც კოდირებულია ენობრივ ერთეულთა ასოციაციურ-ხატოვან კომპლექსებში და, შესაძლებელია, აღდგენილ იქნას მეცნიერთა მიერ ამ ასოციაციურ-ხატოვანი კომპლექსების ინტერპრეტაციით, მათი განმაპირობებელი კულტურის კონცეფტებისა და ნიშნების მეშვეობით. სხვადასხვა კულტურის ხალხების სამყაროს სურათის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს გავიგოთ, თუ როგორ ხდება კულტურულ ღირებულებათა კოდირება, რაც, თავის მხრივ, გაგვიადვილებს კულტურათშორისი კომუნიკაციის სრულყოფას და ტექსტობრივი ინფორმაციის დეკოდირების პროცესს.

§ 3 ენობრივი ფაქტები, როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების შესწავლის წყარო

ზემოთ განხილული ტრიადის: *ენა-აზროვნება-კულტურა* ანალიზი თვალნათლივ გვარწმუნებს, რომ სულ უფრო მეტ მხარდამჭერს იძენს მოსაზრება ენის რეალური ფუნქციონირების პროცესში შესწავლის აუცილებლობის შესახებ. განსაკუთრებით პოპულარულია ნაშრომები, რომლებშიც ენა განხილულია, როგორც კულტურულ-ისტორიული ინფორმაციის შენახვის საშუალება. ამგვარი მიდგომით ენა გვევლინება, როგორც თაობების დამაკავშირებელი რგოლი, როგორც თავისებური საცავი და გარეენობრივი კოლექტიური გამოცდილების გადაცემის საშუალება. როგორც ცნობილია, ენის კუმულაციური ფუნქცია ყველაზე აშკარად ლექსიკის სფეროში ვლინდება, ვინაიდან ეს უკანასკნელი უშუალოდ დააკავშირებული გარესამყაროს საგნებთან და მოვლენებთან. ლექსიკური სისტემა მეტადაა განპირობებული მატერიალური სამყაროს კატეგორიებითა და სოციალური ფაქტორებით. თვით

ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის არსებობა ხშირად პრაქტიკული მოთხოვნილებებით იხსნება .

ენის კუმულაციური ფუნქციის ქრესტომათიულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს „სიტყვის ლინგვისტურ-ქვეყანათმცოდნეობითი თეორია“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კვლევის ახალ მიმართულებას.

აღნიშნული მიმართულების საკვანძო კონცეფტს „ფონობრივი ცოდნის“ კატეგორია წარმოადგენს. ვ. კოსტომაროვმა და ე. ვერშჩაგინმა არამარტო დაასაბუთეს ფონობრივი ცოდნის არსებობის ობიექტურობა, არამედ გამოავლინეს ლექსიკური სემანტიკის კავშირი ენის კუმულაციურ ფუნქციასთან, რომლის თანახმად ენობრივი ერთეულები ადამიანის მიერ შეცნობილი სოციალურ სინამდვილის შესახებ ცოდნის საცავს წარმოადგენენ. ავტორები საინტერესო ინტერპრეტაციას უკეთებენ ენისა და მეტყველების დიქტომიას და პირველს მარტო უწოდებენ, ხოლო მეორეს – საკომუნიკაციო სისტემებს მიაკუთვნებენ. გარდა იმისა, რომ ავტორებმა გამოავლინეს ფონობრივი ცოდნის ლინგვისტური მხარე, მათ დაადგინეს, რომ სიტყვათა სამანტიკა მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობით არ ამოიწურება. სიტყვები, რომლებიც ეკვივალენტურია ცნებით ნაწილში, შეიძლება განსხვავდებოდნენ თავისი სემანტიკის სხვა ნაწილში. ფონობრივი ცოდნა განსაზღვრავს არა მარტო სიტყვის ადგილს ლექსიკურ სისტემაში, არამედ მის მეტყველებაში გამოყენებას.

აღნიშნულ თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურათმცოდნეობის კომუნიკაციის პროცესის ინტერპრეტაციას. ავტორებმა სიტყვათა სტრუქტურაში გამოავლინეს ეროვნულ-კულტურული შინაარსი და ამასთან დაკავშირებით შემოგვთავაზეს სამი ქვეჯგუფი:

- 1) უეკვივალენტო;
- 2) კონტრაციური;
- 3) ფონობრივი.

პირველი ჯგუფი გამოიყოფა ენის სისტემაში შესაბამისი ლექსიკური ელემენტის არსებობა / არარსებობის საფუძველზე, მეორე – სუბიექტური ინფორმაციის არაერთგვაროვნების საფუძველზე ობიექტური ინფორმაციის დამთხვევის ფონზე, ხოლო მესამე გულისხმობს შესაბამისი ლექსემის გააზრების კოლექტიურ (ჯგუფურ) გამოცდილებას.

სიტყვა-ნიშნის (რომელსაც კიდევ რაღაც დამატებითი მნიშვნელობაც გააჩნია) შინაგანი მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად ჩვენ უნდა ვაღიაროთ კულტურული კომპონენტის არსებობაც (Комлев Н.Г., 1969, 5).

აღნიშნული ტიპის ნაშრომების გვერდით, რომლებიც ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის კულტურული კომპონენტის გამოვლენაზე არიან ორიენტირებულნი, ჩნდება გამოკვლევები, რომლებიც „ფონობრივი ცოდნის“ ბუნების გამოსავლენად სხვა ლინგვისტურ მასალას ეყრდნობიან.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის ლინგვო - ქვეყანათმცოდნეობით თეორიას კი არ გამორიცხავენ, არამედ თავისებურად ავსებენ სხვა მიდგომებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ამ კუთხით მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის ენობრივი ცნობიერების ფაქტებს ასახავენ. სანამ უშუალოდ შევეხებით აღნიშნულ მოვლენას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასთან უშუალოდ დაკავშირებული ორი კატეგორიის – „შეფასების“ და „სტერეოტიპის“ განხილვა.

„სამყაროს სურათის“ და „სამყაროს ენობრივი სურათის“ დიქტომიას თუ დაუბრუნდებით, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუხვათ, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც სამყაროზე გულუბრყვილო წარმოდგენებს ასახავს, პირველის ნაწილს წარმოადგენს და არ არის დროში გაყინული, ხოლო პირველი თვით აზროვნების ინტერპრეტაციულ შესაძლებლობებს უკავშირდება. ეროვნული ენობრივი ცნობიერების სტრუქტურაში შეფასებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და გარემო სინამდვილესთან ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა დამოკიდებულებას ასახავს.

თუ სიტყვები, როგორც ენის ნომინაციური ერთეულები, მხოლოდ ირიბად ასახავენ შეფასებით დისკურსიულ მნიშვნელობებს, მყარი ენობრივი შედარებები პირდაპირ კომუნიკაციის დონეს უკავშირდებიან.

ამ ფენომენთან დაკავშირებით შესაძლებელია „ეროვნულ - სუბიექტურ მოდალობაზე“ ვილაპარაკოთ, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივ ცნობიერებაში დაფიქსირებული შეფასება კოლექტიურ სუბიექტს – ხალხს ეკუთვნის და, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მეორე კოლექტიური სუბიექტის – მეორე ხალხის შეფასებას. მართალია, შეფასებითი მნიშვნელობა სხვა ენობრივ ერთეულებსაც შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ შესაბამისი კულტურის აქსიოლოგიურ სისტემასთან ყველაზე მჭიდროდ სწორედ მყარი ენობრივი შედარებები არიან დაკავშირებულნი.

ენობრივი ზემოქმედების პრობლემის შესწავლის პროცესში ე.შუბერტი გამოყოფს სფეციფიკურ დისკურსიული ზემოქმედების ერთეულებს, რომლებიც განსხვავდებიან ნომინატიური ერთეულებისგან. მათ რიცხვს მკვლევარი მიაკუთვნებს „პარემიოლოგიურ ერთეულებს“, მყარ შედარებებს, დისკურსიულ იდიომებს, სტერეოტიპებს (მათ შორის, სოციალურ სტერეოტიპებს, რომლებიც პიროვნების აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპებში ვლინდება). „უმეტეს შემთხვევაში სტერეოტიპიზირებული კლიშეები უკვე შეიცავენ დადებით ან უარყოფით შეფასებას და შესაბამის ზეგავლენასაც ახდენენ“ (Шуберт Э., 2006, 11).

მიუხედავად აღნიშნულ ჯგუფში შემავალ ერთეულთა არაერთგვაროვნებისა, მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ნომინატიური და დისკურსიული პლანების დაპირისპირება და სტერეოტიპიზირებულ კლიშეებში შეფასებითი მნიშვნელობის აღიარება.

შეფასების პრობლემა, რომელიც სხვადასხვა მეცნიერების ინტერესთა სფეროში შედის, ფილოსოფიურ პრობლემებსაც მოიცავს, რომელთა შორის ძალზე საინტერესოა ენობრივი და აქსიოლოგიური სტრუქტურების ურთიერთდამოკიდებულება. „შეფასების“ კატეგორიის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით რამდენიმე მიმართულება არსებობს: ლოგიკურ-ფილოსოფიური (ჯ. მური, ა. ივინი, პ. ჰოელ-სმიტი და სხვ.), ფუნქციონალურ-სემანტიკური (ე. ვოლფი, ე. კლობუკოვა), რომელიც შეფასების ფუნქციის სხვადასხვა დონის ერთეულებით გამოხატვის საკითხებს სწავლობს, ფუნქციონალურ-კონოტაციური (ვ. შახოვსკი, ვ. გაკი, ვ. თელია), რომელიც შეფასების პრობლემატიკას სემანტიკის კონოტაციურ ასპექტს უკავშირებს, ლექსიკოგრაფიულ-დესკრიფციული (ი. მელჩუკი, ი. აპრესიანი, გ. სკლიარევსკი), რომელიც ადგენს შეფასებითი მნიშვნელობების გავლენას კომუნიკანტებზე, ფსიქოლინგვისტური (ა. ზალევსკაია, ე. მიაგოვა), რომელიც შეფასებას განიხილავს, როგორც ორმხრივ ფენომენს. წინამდებარე ნაშრომის პრობლემატიკასთან ახლოსაა ი. კარაულოვისა და იაკოვლევას პოზიცია, რომლებიც შეფასებას განიხილავენ, როგორც სამყაროს სურათის შემადგენელ ნაწილს. შეფასების პრობლემას საინტერესოდ განიხილავს ა. სერგეევა, რომელიც თვლის, რომ შეფასება წარმოადგენს რეალური სამყაროს ასხვას სუბიექტური მოდალობის პრიზმაში. სწორედ შეფასებაში იქმნება სამყაროს ღირებულებათა სურათი, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აღქმასა და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს

(Сергеева Л.А., 2003, 4). ისეთი ცნებების ანალიზისას, როგორებიცაა „კონცეფტი“, „ღირებულება“, „შეფასება“, „შეფასებითი სემანტიკა“ ა. სერგეევა გამოთქვამს მართებულ მოსაზრებას, რომ „შეფასება“ განისაზღვრება სამყაროს არა ონტოლოგიური, არამედ სუბიექტური სეგმენტაციით. ამასთანავე, „შეფასება“ განიხილება, როგორც სუბიექტის განსაკუთრებული ღირებულებრივი დამოკიდებულების გამოვლინება ობიექტის მიმართ, რომლის სპეციფიკა გაცნობიერებულ მიზანმიმართულობაში მდგომარეობს. ეს გულისხმობს სუბიექტის გარკვეულ პოზიციას, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულების ხასიათს, ანუ თვალსაზრისს, რომელიც საფუძვლად ედება შეფასებას (Сергеева Л. А., 2003, 47).

შეფასების საფუძვლად შეიძლება იქცეს მოთხოვნილებები, ინტერესები, პიროვნების ან სოციალური ჯგუფის განწყობა, სტანდარტები, წესები, საზოგადოებრივი იმპერატივები ან აკრძალვები, მიზნები ან პროექტები, გამოსახულნი ნორმის სახით. ბუნებრივია, საქმიანობის ყველა სფეროს საკუთარი ნორმატივების სისტემა გააჩნია, რაც საფუძველს აძლევს ავტორს, განაცხადოს: „შეფასების სკალა განისაზღვრება, როგორც ორდინატთა თავისებური ღერძი, რომელიც ასახავს შეფასებითი პარადიგმების აგების რაოდენობრივ-ხარისხობრივ პრინციპს, რომელიც წარმოიშობა „შედარებისა“ და „არჩევის“ ლოგიკური ოპერაციების შედეგად“ (Сергеева Л.А., 2003, 72).

შეფასების კატეგორიასთან დაკავშირებულ თვალსაზრისთა შეჯერება საშუალებას გვაძლევს, გამოვეყნოთ ის დებულებები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომის შემდგომი ანალიზისთვის რელევანტურად გვეჩვენება:

1) შეფასებით ნომინაციას არაერთგვაროვანი ხასიათი აქვს და სხვადასხვა დონის მექანიზმებითაა წარმოდგენილი (იხ. შეფასების გამოხატვა აფიქსაციით, ლექსიკური მნიშვნელობით, სამეტყველო ფიგურებით, პარემიებით, ფრაზული ტექსტებით და ა.შ.). მყარ ენობრივ შედარებებს, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სპეციფიკური ადგილი უჭირავთ ამ იერარქიაში;

2) მყარი ენობრივი შედარებები წარმოადგენენ ცნობიერების ტიპობრივ ერთეულებს, რომლებიც ენობრივ სტრუქტურაში არიან დაფიქსირებულნი;

3) მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც ენობრივი ფორმით არიან წარმოდგენილნი, ასახავენ შესაბამისი კულტურის შეფასებით სკალას, რაც საშუალებას იძლევა, ამა თუ იმ ხალხის ენობრივი ცნობიერების სიღრმეში შევადწინოთ;

4) შეფასების კატეგორია დაკავშირებულია ნორმის ცნებასთან, რომელიც, ერთი მხრივ, გვევლინება როგორც სამაგალითო მოდელი, ხოლო, მეორე მხრივ – როგორც კონსერვატული წინაღობა, რომელიც საზოგადოების განვითარებას აფერხებს.

ნორმის კატეგორია წარმოადგენს „შეფასების“ კატეგორიის ბირთვულ კომპონენტს და, თავის მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული სტერეოტიპის ცნებასთან. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელის არსებობა გვაძლევს საშუალებას, ნორმის შესახებ ვისაუბროთ. მიუხედავად თითქოსდა სუბიექტური ხასიათისა, შეფასება ყოველთვის ობიექტურ სინამდვილესთან არის დაკავშირებული, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, აღქმის ტიპიურობას და სტერეოტიპული წარმოდგენების ჩამოყალიბებას განსაზღვრავს. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი აღნიშნული ფენომენის მიმართ. ცნება „სტერეოტიპი“, უოლტერ ლიპმანის ინტერპრეტაციით, შემდგენაირად განისაზღვრება: „სტერეოტიპი არის ისტორიული ერთობის მიერ სამყაროს შეცნობის პროცესში მიღებული ინფორმაციის აღქმის, ფილტრაციის და ინტერპრეტაციის ნიმუში, რომელიც წინარე სოციალურ გამოცდილებას ეფუძნება“ (Липпман У., 1922, 1).

აღნიშნულმა განსაზღვრებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზოგადოებრივი მეცნიერებების ისტორიაში და მრავალ ინტერპრეტაციას დაუდო სათავე. სტერეოტიპების მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში რიგ ფაქტორთანაა დაკავშირებული. პირველ რიგში, ინფორმაციის ეკონომიურობის პრინციპთან. უ. ლიპმანის კონცეფციის მიხედვით, კაცობრიობის კულტურა მთლიანად წარმოადგენს გარემოს სხვადასხვა მოდელზე დაკვირვებას, შერჩევას და რეორგანიზაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტერეოტიპების ფორმირება წარმოადგენს ძალების ეკონომიას, ვინაიდან მცდელობა, დაინახო ყველა საგანი და მოვლენა თავიდან და დეტალებში და არა როგორც გარკვეული ტიპები და განზოგადებები, საკმაოდ დამდღელია, ხოლო დაკავებული ადამიანისთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი. სტერეოტიპები განიხილება, როგორც ინფორმაციის დამუშავების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ადამიანს უადვილებს სამყაროში ორიენტაციას. ნიშან-თვისებებს, რომლებსაც სტერეოტიპები შეიცავენ, ადამიანები იყენებენ მოვლენათა ამა თუ იმ კლასისთვის მიკუთვნების შეფასებისას და მათთვის გარკვეული თვისებების მისაწერად (Кириллина А., 2002, 256).

გონებრივი ძალისხმევის ეკონომიის გარდა, სტერეოტიპებს უკავშირდება მეორე ფუნქციაც, რომელსაც უ. ლიპმანმა „მონიშვნის“ ფუნქცია უწოდა. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სოციალური კატეგორიზაციის პროცესთან და იმ სტრუქტურების წარმოქმნასთან, რომლებზეც ორიენტირებულნი არიან ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლიპმანის აზრით, სტერეოტიპები არიან ადამიანის თავში არსებული მოწესრიგებული და კულტურით დეტერმინირებული სამყაროს სურათები, რომლებიც, ერთი მხრივ, ზოგავენ მის ძალისხმევას რთული სოციალური ობიექტების აღქმისას და, მეორე მხრივ, იცავენ მის ღირებულებებს, პოზიციას და უფლებებს (Липпман У., 1922, 21).

აღნიშნული განსაზღვრება ჩვენთვის საინტერესოა სამყაროს ერთიანი სურათის სტრუქტურირებისა და მისი სამყაროს ცალკეულ სურათებად დაყოფის თვალსაზრისით. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ სტერეოტიპებს გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული კუმულაციური ფუნქცია. მეორე მხრივ, სტერეოტიპები გვევლინებიან არა მარტო როგორც ინფორმაციის უბრალო მატარებლები, არამედ – როგორც სოციალური გამოცდილების ფიქსაციის ფორმა. სოციოლოგიაში, როგორც ცნობილია, სტერეოტიპიზაცია განიხილება, როგორც შემეცნების რაციონალური ფორმა, როგორც კატეგორიზაციის უნივერსალური საშუალების კერძო შემთხვევა. სოციალური კატეგორიების შექმნისას ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მახასიათებლებზე, რომელთა დახმარებით ადამიანებს, რომლებიც ერთსა და იმავე ჯგუფს მიეკუთვნებიან, აღიქვამენ, როგორც მსგავსებს. სოციოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი, „რესურსების დაზოგვის თეორია“, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს სტერეოტიპიზაციის პროცესს და მის შესაძლებლობას, უზრუნველყოს ინდივიდები ინფორმაციის მაქსიმუმით მინიმალური ინტელექტუალური აქტივობის პირობებში. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სტერეოტიპები თავიდან გვაშორებს რთულ სოციალურ სამყაროზე რეაგირების აუცილებლობას. სტერეოტიპი, ამავედროულად, სოციალურ რეალობაზე წარმოდგენის უმარტივესი ფორმაა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიუღწეველია უფრო მაღალი, უფრო ზუსტი და ინდივიდუალიზირებული წარმოდგენა. სტერეოტიპიზაცია ხშირად განიხილება, როგორც სოციალურად ღირებული ინფორმაციის გაცნობიერების საშუალება.

„სამყაროს მონიშვნის“ ფუნქციზე საუბრისას მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სტერეოტიპების სისტემა შეიძლება შეადგენდეს ჩვენი პირადი ტრადიციის

ბირთვს და ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობის დაცვის საშუალებას. ისინი წარმოადგენენ სამყაროს მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ და არაწინააღმდეგობრივ სურათს, რომელშიც მოხერხებულადაა დაწყობილი ჩვენი წეს-ჩვეულებები, გემოვნება, შესაძლებლობები და იმედები. სტერეოტიპული სურათი, ლიპმანის აზრით, შეიძლება არასრული იყოს, მაგრამ ეს შესაძლებელი სამყაროს სურათია, რომელსაც ადამიანები რეალობად აღიქვამენ. ამ სტერეოტიპების სამყაროში ადამიანებს და საგნებს მათთვის განკუთვნილი ადგილები უჭირავთ და აღქმისას მოულოდნელობის წინაშე არ გვაყენებენ. სტერეოტიპების სისტემა არა მარტო დიდი მრავალფეროვნების და მოუწესრიგებელი რეალობის მასზე მოწესრიგებული წარმოდგენით შეცვლის საშუალებაა, არამედ – აღქმის შემოკლებული და გამარტივებული გზაც. სტერეოტიპები სავსეა ჩვენი გრძნობებითა და მიდრეკილებებით, პოზიტიური და ნეგატიური შეფასებებით, ასოცირდება შიშთან, სურვილებთან, მისწრაფებებთან, სიამაყესთან და იმედებთან (Липман У., 1922, 44).

მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპებს დიდი მწუშვნელობა აქვთ, ისინი, როგორც წესი, უარყოფით მოვლენებთან ასოცირდება. საკმაოდ პოპულარულია მოწოდება „დავამსხვრიოთ სტერეოტიპები“, რაც კარგად გამოხატავს საზოგადოების წევრთა უმრავლესობის დამოკიდებულებას აღნიშნული მოვლენის მიმართ. მიზეზი შეიძლება ვეძებოთ სოციალური ურთიერთობების დინამიკურობაში, რის შედეგადაც ახლად წარმოქმნილი ღირებულებები წინააღმდეგობაში მოდიან უკვე არსებულთან. ის ფაქტი, რომ ცვალებადობას განიცდიან სტერეოტიპებიც, მეტყველებს იმაზე, რომ სტერეოტიპები ყოველთვის საჭიროა. აუცილებელია მხოლოდ, რომ საზოგადოებრივ რეალიათა და ენობრივ ასახვას შორის რეალური თანაფარდობა არსებობდეს, ვინაიდან, როგორც პროფესორი მაცუმოტო აღნიშნავს – „სტერეოტიპები უძვირფასესი მენტალური საყრდენია, რომელიც გვეხმარება სამყაროს შესახებ ინფორმაციის ორგანიზაციაში“ (Мацумото, 2002, 11).

როგორც ერთი ავტორიზმი გვამცნობს, „სტერეოტიპები იმიტომ იქცევიან სტერეოტიპებად, რომ გააჩნიათ საფუძველი“. მართლაც, სტერეოტიპად რომ იქცეს, მოვლენამ უნდა მიიღოს სოციალური სანქცია, ასახავდეს კოლექტიურ თვალსაზრისს და წარმოადგენდეს გარკვეულ ნორმატიულ მოდელს. სწორედ ეს განაპირობებს მის სიცოცხლისუნარიანობას.

სტეროტიპების ტიპოლოგიაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ ის დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთან, რომლებიც სამყაროს სურათის მრავალსპექტურობას ასახავენ და კაცობრიობის გამოცდილების უშრეტობაზე მეტყველებენ.

მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპის პრობლემა აქტუალურია სხვადასხვა მეცნიერებისათვის, მისი დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია ჯერ არ შექმნილა. ლიდერები ამ სფეროში – სოციოლოგები და ფსიქოლოგები – თავიანთ კლასიფიკაციებს აფუძნებენ ფაქტებზე, რომლებიც ამ დისციპლინებისთვისაა რელევანტური. ასე წარმოიშვა სტერეოტიპების დაყოფა: ა). ჯგუფური პრინციპის მიხედვით (ინდივიდუალური, ჯგუფური, ნაციონალური); ბ). სქესის მიხედვით (გენდერული) ; გ). ასაკის მიხედვით (საბავშვო, მოზარდთა და ა.შ.) ; დ) როლებრივად – კომუნიკაციური სიტუაციიდან გამომდინარე. პოპულარობა მოიპოვა სტერეოტიპების დაყოფამ ქცევისა და ცნობიერების სტერეოტიპებად. ქცევის სტერეოტიპი წარმოადგენს სოციო-კულტურული ჯგუფის და მასში შემავალი ინდივიდების მყარ, რეგულარულად განმეორებად ქცევას, რომელიც განპირობებულია ამ ჯგუფში მოქმედ ღირებულებრივ-ნორმატიული სისტემით.

ცნობიერების სტერეოტიპები წარმოადგენს ღირებულებრივ-ნორმატიული სისტემის შესახებ იდეალური წარმოდგენების ფიქსაციას, რომლებიც ქცევის სტერეოტიპების საფუძველს ქმნიან. ცნობიერების სტერეოტიპები ქმნიან ქცევის მოდელებს, ხოლო ქცევის სტერეოტიპები ნერგავენ ამ მოდელებს ცხოვრებაში.

დავუბრუნდეთ ჩვენს თემატიკას და განვიხილოთ სტერეოტიპისა და ენობრივი ნიშნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სტერეოტიპები დამახასიათებელია ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროსათვის, მათ შორის – ენობრივისთვისაც.

ამ უკანასკნელისთვის ნიშანდობლივია ის ფუნქციები, რომლებიც ძირითადად სტერეოტიპების ფორმირებისთვის – კუმულაციური ფუნქცია, ნორმატიულობა, ეკონომიურობის ტენდენცია, მნიშვნელობის უნივერსალობა და სხვა.

ენის საშუალებით აისახება კულტურულ-სოციალური გამოცდილება, რომელიც ენობრივი საშუალებებით ფიქსირდება. სტერეოტიპები განსხვავებული სახით არსებობენ და ვერბალური და არავერბალური ფორმით შეიძლება იყვნენ წარმოდგენილნი. ენობრივი სტერეოტიპები შეიძლება სიტყვის, ფრაზეოლოგიზმის, პარემიის და თვით ტექსტის სახით იყოს წარმოდგენილი (იხ. ნაშრომები კლიშეს თეორიაში). ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტუაციები და

ადამიანთა ურთიერთობის ასპექტები ხშირად მეორდება და ამიტომ სტერეოტიპული ხდება. თავის მხრივ, ცხოვრებისეული სიტუაციების გამეორებადობამ წარმოშვა შაბლონური ფრაზების მთელი წყება, რომლებმაც ლიტერატურაში მიიღეს სახელწოდება „სტერეოტიპული გამონათქვამები“, „კლიშე“, „ურთიერთობის მყარი ერთეულები“, „ფრაზეოლოგიზირებული ერთეულები“ და ა.შ. ფრაზეოლოგიზირებული ერთეულების წარმოქმნა ენის პრაგმატიკითაა განპირობებული, რომელიც კომუნიკაციაზეა ორიენტირებული და სტანდარტის მოთხოვნილებას წარმოქმნის. თვით ენის ისეთი ვირტუალური ერთეული, როგორცაა სიტყვა ლექსიკაში, წარმოადგენს სტერეოტიპს, რომელიც ასახავს ადამიანის გამოცდილების განზოგადებას, კონდენსირებულს მინიმალურ ენობრივ ნიშანში. შედარებით რთულ ენობრივ ნიშანთა შორის სამეცნიერო ლიტერატურაში პოპულარულია ანდაზები და სიტყვა-თქმანი, რომელთა დანიშნულებაა ადამიანის ფსიქიკაზე, მის აზრებზე, ნებელობაზე და გრძნობებზე ზემოქმედება და, შედეგად, მისი სოციალური და ინდივიდუალური ქცევის რეგულირება. ბევრი ანდაზა და გამონათქვამი აღიქმება ენობრივი სოციუმის მიერ, როგორც იმპერატიული ხასიათის, სოციალურად ღირებული, ინტერპრეტაცია. აქ იმპერატივი გვევლინება როგორც სამეცნიერო აქტივობა, რომლის მეშვეობითაც ადრესანტი თავს ახვევს მოსაუბრეს თავის თვალსაზრისს. იმპერატივი შეიძლება იყოს აქტივობის გამომწვევი ან ამკრძალავი და შეიცავდეს ინსტრუქციულ და ინტერდიქციულ ფუნქციებს.

შედარებით უფრო რთულ შემთხვევებს წარმოადგენენ ტექსტები. სტერეოტიპიზაციისკენ მიდრეკილება განსაკუთრებით დამახასიათებელია ინფორმაციის მასობრივი საშუალებებისთვის, რომლებმაც დროის მწვავე დეფიციტის პირობებში უნდა უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმაციით მომარაგება და, შეძლებისდაგვარად, მოახვიონ მას ავტორისეული ხედვა. სტერეოტიპების შექმნა და დამკვიდრება ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა უმნიშვნელოვანეს ფუნქციად ითვლება.

სტერეოტიპულობის ტენდენცია ნაკლებად დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურისათვის, თუმცა საწინააღმდეგო ტენდენციის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლიტერატურული მიმდინარეობა.

სტერეოტიპისა და შეფასებითობის კატეგორიებს ჩვენ შევეხეთ ძირითადი საკვლევი მასალის პრეზენტაციისთვის შესაბამისი ფონის შესაქმნელად. სანამ

უშუალოდ მყარ ენობრივ შედარებებზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევაჯამოთ ზემოთქმული:

1) წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად უდევს ენის, როგორც ცნობიერების მატერიალიზაციის ერთ-ერთი ფორმის გაგება, რომელიც აძლევს ადამიანს საშუალებას არამარტო სწორად გაერკვეს გარემო სინამდვილეში, არამედ გააცნობიეროს თავისი კულტურის სპეციფიკა;

2) სამყაროს მატერიალური ერთიანობა საშუალებას გვაძლევს გარე სინამდვილე განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელიც სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტებისგან იქმნება და მთლიანობაში სამყაროს ენობრივ სურათში ერთიანდება;

3) საბაზო კონცეფტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ენობრივი ფაქტებისა და ეთნოენობრივი ინფორმაციის დამოკიდებულება, რომელიც ეროვნულ-კულტურული სივრცეების ფარგლებში ვლინდება და მოიცავს კულტურის ფენომენზე ეროვნულ-კულტურული თანამეგობრობის წევრთა ყველა არსებულ და პოტენციურად შესაძლებელ წარმოდგენას;

4) ენა, რომელიც სამყაროს აღქმის ორგანიზებას ახდენს, მუდმივ ურთიერთქმედებაშია სამყაროს კულტურულ სურათთან. კულტურის, როგორც სამყაროს ხატის, შინაარსი გამომდინარეობს იმ გამოცდილებიდან, რომელსაც ადამიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს, მაგრამ კომუნიკაციურად ღირებული ინფორმაცია მხოლოდ ენის საშუალებით ხორციელდება;

5) ენის კუმულაციური ფუნქცია ახორციელებს კავშირს თაობათა შორის, წარმოადგენს არაენობრივი კოლექტიური გამოცდილების გადმოცემის საშუალებას და ვლინდება სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების: სიტყვების, გამონათქვამების, ტექსტების სახით, რომლებიც, მიუხედავად დონეებრივი სხვაობისა, ინფორმაციას ვერბალური ფორმით გამოხატავენ. ლინგვისტური სტრუქტურების ენობრივი ფორმა ახდენს გარეენობრივი მოვლენების ნომინაციას და ტაქსონომიზაციას;

6) წმინდა ენობრივ მოდელებთან ერთად არსებობენ მოდელები, რომლებიც ერთ კომპლექსში აერთიანებენ ენობრივ და კულტურულ მნიშვნელობებს და ლინგვოკულტურემებად იწოდებიან. სწორედ ასეთებად მივიჩნევთ მყარ ენობრივ შედარებებს, რომლებიც შეფასებით და სტერეოტიპულ მახასიათებლებს შეიცავენ.

7) შეფასება, რომელიც ეროვნულ-სუბიექტურ მოდალობას შეიცავს და კოლექტიურ სუბიექტს – ხალხს ეკუთვნის, გვევლინება, როგორც ეთნიკური თვალსაზრისი;

8) შეფასებასთან ერთად, რომელიც სამყაროს შიდაენობრივ აქსიოლოგიას ასახავს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტერეოტიპების შესწავლას, რომლებიც სამყაროს შესახებ ინფორმაციის გადამუშავების და პრეზენტაციის ისეთ ფორმას წარმოადგენენ, რომელიც ადამიანს სამყაროში ორიენტაციას უადვილებს;

9). სტერეოტიპების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შექმნისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მყარი ენობრივი შედარებების სპეციფიკა, რომელიც გამოწვეულია სტერეოტიპული და შეფასებითი მნიშვნელობების თავმოყრით ტიპიზირებულ ენობრივ სტრუქტურაში.

თავი 11 „ლოგოეპისტემა კულტურის სემიოტიკურ სივრცეში“

§1. ლოგოეპისტემა, როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ძირითადი ოპერაციული ერთეული

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ მენტალობა, როგორც სამყაროს თავისებური ხედვა, როგორც ადამიანთა სულიერი ერთიანობის უხილავი მინიმუმი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ნებისმიერი საზოგადოების არსებობა. აღვნიშნეთ, აგრეთვე, ეროვნული კულტურის კონცეფტების ემპირიული შესწავლის შესაძლებლობა. ეს უკანასკნელნი, შესაძლოა, აღწერილნი იქნენ მათი ენობრივი მანიფესტაციების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია იმ კომპლექსური ერთეულების ანალიზი, რომლებიც ერთდროულად ენობრივსა და კულტურულ კოდს წარმოადგენენ. გლობალიზაციის ეპოქის ენობრივ მოვლენათა ეთნოკულტურულ თავისებურებათა შესწავლა რამდენიმე მიმართულების მიერ ხორციელდება: ლინგვოკულტუროლოგიის, ქვეყანათმცოდნეობის, ეთნოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულების ფარგლებში ხორციელდება კომპლექსური ინტერსტრატული ერთეულების შემოტანა,

რომლებიც შინაარსობრივ პლანში დაკავშირებულნი არიან როგორც ენობრივ მნიშვნელობასთან, ასევე, კულტურულ შინაარსთან .

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აღინიშნება მზარდი ინტერესი ენისა და კულტურის ურთიერთქმედების პრობლემების მიმართ. ენობრივი ერთეულების კულტურული ღირებულებების, ანუ „კულტურული ცოდნის“ ექსპლიცირება მიიჩნევა ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად. ასევე, პირველი რიგის ამოცანად განიხილება კვლევის ორი მიმართულების – „ენობრივი ერთეულიდან კულტურის ერთეულამდე“ და „კულტურის ერთეულიდან ენობრივ ერთეულამდე“ – ჰარმონიზაცია. ამ ორი მიმართულების ჰარმონიზაცია საშუალებას გვაძლევს, ერთის მხრივ, დავადგინოთ შესაბამისი ენობრივი საშუალებები, რომლებიც დისკურსში ამა თუ იმ კულტურულ ერთეულს გამოხატავენ და, მეორე მხრივ, მიგვანიშნებენ კულტურის აღნიშნული ერთეულის პრაგმატულ ფუნქციებზე სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში.

კვლევის ახალმა დარგმა მოითხოვა შესაბამისი ცნებით - ტერმინოლოგიური აპარატი, რომელიც გაითვალისწინებდა ენათმეცნიერულ და კულტუროლოგიურ საწყისებს. ცნებითი აპარატის ფორმირებისას გამოიკვეთა სამი ძირითადი კონკურენტული ტერმინი: „კონცეფტი“ „ლინგვოკულტურემა“ და „ლოგოპისტემა“.

„კონცეფტი“ განისაზღვრება, როგორც კულტურის ანაბეჭდი ადამიანის ცნობიერებაში, ანუ, თუ რა სახით შედის კულტურა ადამიანის მენტალურ სამყაროში. მეორე მხრივ, „კონცეფტი“ არის ის, რისი საშუალებითაც რიგითი, უბრალო ადამიანი, რომელიც არ ქმნის კულტურულ ღირებულებებს, ხდება კულტურის ნაწილი (В.Карасик, 1992).

„კონცეფტის“ პრინციპული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს ენისა და კულტურის სინთეზური კვლევის საფუძველს, თვითონ უშუალოდ არ განეკუთვნება არც ენობრივ (როგორც ლოგოპისტემა) და არც კულტურის სფეროს. კონცეფტი მენტალური ერთეულია, ცნობიერების ნაწილი. ამ შემთხვევაში, სწორედ ადამიანის ცნობიერებაა ენისა და კულტურის დამაკავშირებელი. ენისა და კულტურის ურთიერთგავლენის შესწავლა არასრული იქნებოდა ამ დამაკავშირებელი ელემენტის გარეშე. ცნობიერებას მიეწოდება კულტურული ინფორმაცია, რომელიც მასში იფილტრება, გადამუშავდება და სისტემატიზირდება, ხოლო ცნობიერება პასუხს აგებს იმ ენობრივ საშუალებათა არჩევაზე, რომლებშიც კონკრეტულ

კომუნიკაციურ სიტუაციაში და კონკრეტული კომუნიკაციური მიზნების განხორციელებისას ექსპლიცირდება ეს ინფორმაცია. „კონცეფტი“ წარმოადგენს ერთეულს, რომელიც აერთიანებს სამეცნიერო კვლევებს კულტურის, ცნობიერებისა და ენის სფეროში, ვინაიდან განეკუთვნება ცნობიერებას, დეტერმინირებულია კულტურით და მატერიალიზდება ენაში .

ცნობილი ფილოლოგი დ. ლიხაჩოვი გვთავაზობს, რომ „კონცეფტი“ განვიხილოთ, როგორც მნიშვნელობის ალგებრული გამოსახულება, რომლითაც ენის მატარებლები ოპერირებენ წერით და ზეპირ მეტყველებაში. ადამიანები ან ვერ ასწრებენ, ან ვერ ახერხებენ და თავისებურად განმარტავენ (გამომდინარე განათლების დონიდან, პირადი გამოცდილებიდან, პროფესიული თუ სოციალური სტატუსიდან) მას და ამიტომ არ შეუძლიათ მოიცვან მნიშვნელობა მთელი სისრულით (Лихачев,1997:281) .

ტერმინი „ლინგვოკულტურემა“, რომელიც ვ. ვორობიოვს უკავშირდება, მისი განსაზღვრებით, არის კომპლექსური დონეებსშორისი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (ცნებითი და საგნობრივი) შინაარსის დიალექტიკურ ერთიანობას (Воробьев,1997:44-45) .ლინგვოკულტურემა, როგორც უფრო სიდრმისეული ერთეული, ვიდრე სიტყვა, მოიცავს როგორც წმინდა ენობრივ წარმოდგენას („ აზრის ფორმას“) , ასევე, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ექსტრალინგვისტურ კულტურულ გარემოს.

ლინგვოკულტურემას კონოტაციური მნიშვნელობა აქვს (ზოგჯერ რამდენიმეც) , რომლის აქტუალიზაცია ყოველთვის არ ხდება, განსაკუთრებით, უცხოენოვანთა ცნობიერებაში. ის ცოცხლობს ენაში, სანამ არსებობს ის კონტექსტი, რომელმაც აღნიშნული მოვლენა წარმოშვა. ვ. ვორობიოვის აზრით, ლინგვოკულტურემა მყარი ასოციაციური კავშირების მეშვეობით როგორც საკუთრივ ენობრივი წარმოდგენის, ასევე, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული არაენობრივი კულტურული გარემოს (სიტუაციის, რეალიის) აკუმულირებას ახდენს.

ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით, ლინგვოკულტურემები შეიძლება სიტყვით, შესიტყვებით, წინადადებით და ტექსტით იყვნენ წარმოდგენილნი. ენობრივი ერთეულის კულტურული შემადგენლის ცოდნა მოლაპარაკის ლინგვოკულტუროლოგიურ კომპეტენციაზე მეტყველებს. ლინგვოკულტურემის ცნების შემუშავებისას ვ. ვორობიოვი ობიექტის აღწერის ძირითად ერთეულად

ლინგოკულტუროლოგიურ ველს განიხილავს, რომელიც, თავის მხრივ, მის ერთეულთა – ლინგოკულტურემათა – იერარქიულ სისტემას წარმოადგენს. ასეთი ველები სამყაროს ეთნიკურ სურათს ქმნიან, ხოლო მათი შეპირისპირება წარმოაჩენს ენებსა და კულტურებში მსგავსებებსა და განსხვავებებს (B.Воробьев,1997,34).

ლინგოკულტუროლოგიური ველი, როგორც ლინგოკულტურემათა სტრუქტურა, ფორმირდება ნიშნების, მნიშვნელობებისა და კულტურის საგანთა კლასების შესახებ შედარებითი ცნებების ერთიანობით. ინვარიანტული მნიშვნელობის მქონე ლინგოკულტურემათა იერარქიული სტრუქტურა გარკვეული კულტურული სფეროს მახასიათებელ შესაბამის კულტურულ ცნებებს ასახავს. ველს გააჩნია გარკვეული ინვარიანტული შინაარსი. მასში გამოიყოფა ბირთვი (ინვარიანტული ლინგოკულტურული აზრის გადმომცემი ლექსემა), ცენტრი (ძირითად ცნებათა, რეალემათა კლასები და პერიფერია (მეორადი სემანტიკური ფუნქციის მქონე სიტყვა-ცნებები) (B.Воробьев,1997 ,74-75).

კულტურემები, რომლებსაც ენობრივი გამოსატულება გააჩნიათ, სინამდვილის გარკვეულ ელემენტს შეეფარდებიან და გარკვეული რეალის – საგნის, სიტუაციის, ფუნქციის, ადათის, ქცევის ფაქტის და ა.შ – აღსანიშნად გამოიყენებიან. როგორც ენის ერთეულები, კულტურემები განსხვავებულნი არიან მათი სტრუქტურული კომპონენტების დონეზე: ფორმის, შინაარსისა და რეალის ასპექტში.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ვ. გაკი მიიჩნევს, რომ კულტურემები, რომელთაც ენობრივი გამოსატულება გააჩნიათ, დაკავშირებულნი არიან სინამდვილის გარკვეულ ელემენტთან, რათა გამოსატონ და აღნიშნონ გარკვეული რეალიები – საგნები, სიტუაციები, ფუნქციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის ფაქტები და ა.შ. (B.Гак,1998 ,142).

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ეთნოფსიქოლინგვისტი ი. სოროკინი მისი აზრით, კულტურემების/მენტალემების ცირკულაცია გლობალური კომუნიკაციური ქსელის (ეთნოსის) შიგნით ხორციელდება. აღნიშნული ერთეულები ხასიათდებიან ჰომოგენურობით, სტაბილურობით და ტელეოლოგიურობით და მიგვანიშნებენ სემიოტიკურ-კულტუროლოგიურ თავდაცვის საშუალებებზე, რომლებიც საშუალებას აძლევენ ლინგოკულტუროლოგიურ მთლიანობას, შეინარჩუნონ თავისი უნიკალურობა და მთლიანობა [Ю.Сорокин,1994, 8-9].

„კონცეფტისა“ და „ლინგოკულტურების“ პარალელურად, ლინგოკულტუროლოგიის ერთეულის ნომინაციისას გამოიყენება ტერმინი „ლოგოპისტემა“. ლოგოპისტემა ასახავს რეალიათა სპეციფიკას და სისტემატიზაციას საგანთა კლასის შიგნით, რომლებიც კონკრეტულ ნიშანთანაა დაკავშირებული, ესე იგი, არსებობს, როგორც შინაარსობრივი ერთეული. ის შეიძლება გამოხატული იქნას სიტყვით, შესიტყვებით და მთელი ტექსტით (იხ. პრეცედენტული ტექსტი).

ტერმინი „ლოგოპისტემა“ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ვ. კოსტომაროვმა. აღნიშნულ ცნებაში (რომელიც დაკავშირებულია ბერძნულ „ლოგოს“-თან – „სიტყვა“ და „ეპისტემე“-სთან – „ცოდნა“) ის გულისხმობს ენობრივ გამონათქვამსა და საზოგადოებრივ მეხსიერებაში დაფიქსირებულ სამყაროს ასახვის კვალს ენის მატარებელთა ცნობიერებაში მსოფლიო და მშობლიური კულტურის სულიერი ღირებულებების შექმნის და გაცნობიერების პროცესში.

ლოგოპისტემა წარსულის ხმაა, რომელიც აწმყოში გვეხმის. „თუ კულტურულ მეხსიერებას მივმართავთ, რომლის მატარებლებადაც ისინი გვევლინებიან, ლოგოპისტემები შესაძლებლობას გვაძლევენ, ახალი შინაარსი გამოვხატოთ სამყაროს სურათის პრიზმაში.

სოციალურ-კულტურული ისტორიის ხალხის მენტალობაში ასახვისას მოსაუბრე მიმართავს სხვის აზრს, რომლის მატარებლები შეიძლება იყვნენ აღიარებული ავტორიტეტები და რომლებიც ასახავენ საყოველთაოდ მიღებულ ღირებულებებსა, და უცილობელ არგუმენტებს.

„ლოგოპისტემების არაერთგვაროვნება დაკავშირებულია ენობრივ ფორმასთან, როგორც ლოგოპისტემებში აკუმულირებული ცოდნის წარმოდგენის საშუალებასთან. თვით ცოდნა კი, როგორც ლოგოპისტემის ფაქტი, შინაარსისა და მნიშვნელობების სფეროს განეკუთვნება. ლოგოპისტემა გვევლინება, როგორც ნიშანი, რომელიც მოითხოვს ორ დონეზე გააზრებას: ენობრივ დონეზე – „აღმნიშვნელის“ და კულტურის დონეზე – „აღსანიშნის“ (В.Костомаров,1999, 55).

ვ.კოსტომაროვი ლოგოპისტემას სხვადასხვა პოზიციიდან ახასიათებს: ლინგვისტიკის თვალსაზრისით, მას ენობრივი გამოხატულება გააჩნია და, შესაძლებელია, გამოხატულ იქნას როგორც სიტყვით, შესიტყვებით, ასევე, წინადადებით, აბზაცით. მას ახასიათებს კონკრეტულ ენასთან მიმართება;

წარმოადგენს მითითებას პირველად (წარმომშობ) ტექსტზე, სიტუაციაზე, ცოდნაზე, მოვლენაზე, ინფორმაციაზე, რომლებიც მის უკან დგანან; ლოგოპისტიკმა კომუნიკაციის პროცესში კი არ იქმნება, არამედ მზა სახით მეორდება, თუმცა, შეიძლება, სახე იცვალოს ცნობადობის ფარგლებში. როგორც ცოცხალ, ასევე, ლიტერატურულად დამუშავებულ მეტყველებაში, ლოგოპისტიკები წარმოადგენს „მზა ინტელექტუალურ-ემოციურ ბლოკებს“, რომლებიც გამონათქვამს სიდრმესა და გამომსახველობას მატებენ.

ლოგოპისტიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანთა ნორმალურ ურთიერთობაში, ახალი ტექსტების სტრუქტურირებაში, განსაკუთრებით, პუბლიცისტიკაში და მხატვრულ ნაწარმოებებში, რადგან მათ შეუძლიათ მოკლედ, სხარტად და ხატოვნად გამოხატონ რაღაც მნიშვნელობა. თანაც – არა პირდაპირ, არამედ აღნიშნული ხალხისთვის დამახასიათებელ ზოგადკულტურულ ცოდნაზე მითითებით.

როგორც ცნობილია, მატერიალურად ლოგოპისტიკმა შეიძლება წარმოდგენილი იქნას ციტატით, ანდაზით, გამონათქვამით, ფრაზეოლოგიზმით, აფორიზმით, „მოლაპარაკე სახელით“, ტექსტის სათაურით, მისი მთავარი ფრაზით, ფრთიანი გამონათქვამით.

ლოგოპისტიკმა ასრულებს სიგნალის როლს, რომელიც გვაიძულებს გავიხსენოთ გარკვეული ფონური მნიშვნელობის ტექსტი, ინფორმაცია, ტექსტის მიღმა მდგარი კოგნიტიური შინაარსი, რაიმეს/ვინმეს სიმბოლო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლოგოპისტიკის და პრეცედენტული ფენომენის ცნება კორელაციურ კავშირში იმყოფებიან.

პრეცედენტულობა ფონური ცოდნის უმნიშვნელოვანეს დახასიათებას წარმოადგენს. ფონური ან ზოგადი ცოდნა აღიქმება, როგორც სამყაროს შესახებ ინფორმაციის ფლობა, რომელიც განპირობებულია გარკვეული ლინგვოსოციოკულტურული საზოგადოების წევრობით და მოიცავს, აგრეთვე, მაკრო და მიკრო პრესუპოზიის ცოდნას. ფონური ცოდნის ვერბალური კომპონენტი გულისხმობს მოცემული ეთნოსოციუმის კულტუროსფეროში შემავალი ფაქტების, სახელების, გამონათქვამების, პრეცედენტული ტექსტების ფლობას.

ლოგოპისტიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანების ნორმალურ ურთიერთობებში, ახალი ტექსტების სტრუქტურირებაში, განსაკუთრებით – პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ტექსტებში, რადგანაც შეუძლიად მოკლედ,

მკაფიოდ, ხატონად გამოხატონ რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ მიანიშნონ მოცემული ხალხისთვის დამახასიათებელ საერთო კულტურულ ცოდნაზე.

ლოგოებისტემა წარმოადგენს ენის მატარებელთა ცნობიერებაში სინამდვილის ენობრივ ასახვას მათ მიერ მშობლიური და მსოფლიო კულტურის ფასეულობათა შემეცნების შედეგად

ლოგოებისტემებში შედის არა პირადი ცოდნა, არამედ საზოგადოების წევრთა წარმოდგენები ამავე საზოგადოებაზე, რომლებიც რეგულარულად აქტივირდება მათ მეტყველებაში. ერთი მხრივ, ლოგოებისტემა არის ყოველი ენობრივი საზოგადოებისთვის აღქმის მოდელების ფუნქციონირების შედეგი, მეორე მხრივ კი, ის ინარჩუნებს და განაგრძობს ამ მოდელებს, ქმნის შესაძლებლობებს მათი თაობიდან თაობამდე გადაცემისა. თავის მხრივ, ეს განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა ენობრივ და კულტურულ ერთობას.

ამრიგად, ლოგოებისტემები წარმოადგენენ ფასეულ ლინგვისტურ და ქვეყანათმცოდნეობით ერთეულებს და გააჩნიათ განსაკუთრებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა უცხო ენის სწავლებისას.

ევერშაგინი და ვ. კოსტომაროვი უცხოელთათვის რუსული ენის სწავლების დროს, ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის შემუშავებისას, სახს უსვამდნენ ენის ეროვნულ-კულტურული სემანტიკის შესწავლის საჭიროებას, რომელიც ყველაზე კარგად ვლინდება ენის ე.წ. ექსტრალინგვისტური სინამდვილის გამომხატველ კონსტრუქციულ ერთეულებში – სიტყვებში, ფრაზეოლოგიზმებსა და ენობრივ აფორიზმებში, ფრთიან გამონათქვამებში და ა. შ.

ენის კონსტრუქციულ ერთეულები არიან რა კულტურის ხანგრძლივი განვითარების შედეგი, გამოხატავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ საზოგადოებრივ გამოცდილებას, ამიტომ მნიშვნელოვანნი არიან არა მარტო როგორც ურთიერთობის საშუალებები, არამედ, როგორც სხვადასხვა საზოდაგოებრივად ღირებული ცნობის წყაროები” (В. Костомаров, 1999, 4).

ფრაზეოლოგიზმები , რომელთა რიცხვს ავტორები მყარ ენობრივ შედარებასაც მიაკუთვნებენ, წარმოგვიდგებიან საგნებისა და მოვლენების ნიშნებად, ხოლო ანდაზები, თქმები და ფრთიანი გამონათქვამები საგნებს შორის გარკვეულ სიტუაციათა ან დამოკიდებულებათა ნიშნებს წარმოადგენენ ([В. Костомаров, 1999, 7) და თავად ახდენენ ამ სიტუაციების მოდელირებასა და მონიშვნას. ენობრივი აფორიზმები, კონკრეტულ სიტუაციაში,

წარმოადგენენ ვარიანტს, თავად სიტუაცია კი – ინვარიანტს (В. Костомаров, 1999 ,22).

გ.პერმიაკოვი ვარაუდობს, რომ სიტუაციის მოდელი არსებობს იმპლიციტურად და მოცემულ გამონათქვამებთან დაკავშირებულ კონტექსტში ინახება (Пермяков Г,1988, 85).

ამრიგად, ლოგოეპისტემა განიხილება, როგორც ტექსტის ლინგვოკულტურულ ასპექტში აღწერის ერთეული, როგორც ტექსტის სიმბოლიკის ემბლემა. ლოგოეპისტემა მიანიშნებს იმაზე, რომ სიტყვა, რომელიც გარკვეული პრეცედენტული გამონათქვამის ელემენტს წარმოადგენს, თავის თავში ატარებს ფონურ ცოდნას, სიგნალს, რომელიც გვახსენებს მთელ ტექსტს. პრეცედენტულ ტექსტებს, რომლებიც წარმოადგენენ პირველადი ტექსტის რეპრეზენტანტებს, შეუძლიათ დამოუკიდებელ სამეტყველო ერთეულებად ფუნქციონირება.

არსებობს პრეცედენტული ტექსტების ფუნქციონირების ორი ვარიანტი: ნომინატიური სემანტიკის ან კომუნიკაციური სემანტიკის დომინაციით. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველ პლანზე გამოდის კომუნიკაციური ფუნქცია, პრეცედენტულ ტექსტებს შეუძლიათ ფუნქციონალური მნიშვნელობის შეცვლა, ანუ ნომინატიური სემანტიკის სფეროდან კომუნიკაციური სემანტიკის სფეროში გადასვლა, რაც იწვევს უკვე იდიომატიზირებული ერთეულის კომუნიკატიურ-ფუნქციონალური პოტენციის ზრდას და ახალი სამეტყველო სტერეოტიპის ჩამოყალიბებას.

როგორც ლ. შჩერბა აღნიშნავდა, ენას „მზა შაბლონების უზარმაზარი ასორტიმენტი გააჩნია, მზა ფრაზების და მზა ფიქრებისა ც კი. ყოველდღიური ურთიერთობის პროცესში ადამიანს არ რჩება დრო განსაკუთრებული ენათშემოქმედებისათვის და, უმეტეს შემთხვევაში, ის მზა ფრაზებით სარგებლობს” (Щерба Л.,1957,131).

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ლოგოეპისტემა საერთო სახელწოდებაა ისეთი ენობრივი ერთეულებისა, როგორებიცაა სიტყვა, შესიტყვება, ფრაზოლოგიზმი, ფრთიანი გამონათქვამი და პრეცედენტული ტექსტი, რომლებიც ქვეყანათმცოდნეობით და კულტურულ ინფორმაციას განსაზღვრავენ. თუმცა ე. ვერეშჩაგინი და ვ. კოსტომაროვი ამტკიცებენ, რომ ლოგოეპისტემები არ დაიყვანება ცნობილ ლინგვისტურ კატეგორიებამდე: ეს არც სიტყვაა და არც სიტყვათშეთანხმება, ან ფრაზოლოგიზმი თუ კლიშე, არც მეტაფორაა და არც ალეგორია და ა.შ. ეს ცოდნაა, „რომელიც სიტყვას – მის დაფარულ

შინაგან ფორმას, მის ინდივიდუალურ ისტორიას, მის საკუთარ კავშირებს კულტურასთან” მოაქვს ((B.Костомаров,1999 ,22).

პრეცედენტული ტექსტის საფუძველზე წარმოშობილი ლოგოპისტემები სხვადასხვა კულტურულ ფუნქციას ასრულებენ: ადაპტაციურს, რომელიც ადამიანის მიერ ბუნებისადმი დამოკიდებულებასა და მისი სულიერი ცხოვრების სრულყოფას უკავშირდება; კომუნიკაციურს, რომელიც ადამიანური ურთიერთობების პირობებისა და გარემოს ფორმირებას ახდენს; ინტეგრაციულს, ანუ კულტურის მეშვეობით სოციალური ერთიანობის შეკვრის ფუნქციას და სოციალიზაციის ფუნქციას, რომელიც პიროვნებას საშუალებას აძლევს, ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ციტატები, ფრთიანი სიტყვები და გამოთქმები, ინტერტექსტემები, ტექსტური რემინისცენციები, ლოგოპისტემები წარმოადგენენ ინტერტექსტუალობის სიგნალებს და უშუალოდ არიან დაკავშირებულნი პრეცედენტული ტექსტების არსებობისა და ფუნქციონირების ძირითად (ლინგვოსემიოტიკურ) ფორმებთან. ინტერტექსტუალობის სიგნალებს აშკარა და ფარული გამოსატვის ფორმები გააჩნიათ.

ფართვ გაგებით, პრეცედენტული გამონათქვამები (ლოგოპისტემები, როგორც იდიომატიზირებული ერთეულები) დამოუკიდებელ ტექსტურ რეპრეზენტაციულ ერთეულებს წარმოადგენენ ინდივიდის მენტალურ ლექსიკონში. „რადგანაც ლექსიკონი არის ადამიანის გამოცდილების გადამუშავების პროდუქტი, მის ზედა იარუსზე უნდა ინახებოდეს განსხვავებული ერთეულები – დაწყებული ცალკეული სიტყვაფორმებით, დამთავრებული ტიპური ფრაზებით, რომელთა გამოყენების სიხშირესაც მიყვავართ ამ უკანასკნელთა მთლიანობის „განცდამდე” შემადგენელ ელემენტებად მათი დაყოფის გარეშე” (Залеvская A., 1990, 76). მთლიანი ერთეულები, მზა გამონათქვამების სახით, შეიცავენ ინფორმაციას ურთიერთობის შესაძლებელი სიტუაციის შესახებ და გააჩნიათ, პრეცედენტული გამონათქვამიდან გამომდინარე, ინდივიდის ცნობიერებაში არსებული კავშირების სტრუქტურის პრესუპოზიცია.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხატვრულ ტექსტში ფუნქციონირებს, ლოგოპისტემა მყარი ეროვნული სიტყვიერი ხატის ანალოგიურია. როდესაც მას მეტყველების დონეზე განიხილავენ, ის ეროვნულ-სოციოკულტურულ სტერეოტიპად იქცევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლოგოპისტემები, წარმოადგენენ რა ენის აღწერისა და გათავისების საშუალებებს, იმავდროულად

წარმოგვიდგებიან, როგორც ეროვნული კულტურის ამსახველი გარკვეული არტეფაქტების ნიშნები, სიმბოლოები, სიგნალები.

ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ სამივე ტერმინის მიღმა დგას საკმაოდ სოლიდური არგუმენტები, თუმცა ვაცნობიერებთ იმასაც, რომ აღნიშნული მოვლენის გამოყოფის საფუძველი სამივე შემთხვევაში შინაარსობრივად საკმაოდ ერთმნიშვნელოვანია. ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს ენისა და კულტურის დამაკავშირებელ კომპლექსურ ერთეულთან, რომელსაც პრეცედენტული ხასიათი აქვს, წარმოადგენს ლინგვომენტალურ სტერეოტიპს, რომლის მიღმაც დგას ფიქსირებული ენობრივი სტრუქტურა. განსხვავებით ლინგვოკულტურემისგან და ლოგოეპისტემისგან, კონცეფტი მენტალური ერთეულია, აქცენტირებულია ცნობიერების ფაქტორზე და გამოსატულია სიტყვით. მაშინ, როდესაც ორი დანარჩენი, შესაძლოა, შესიტყვებით ან მთელი ტექსტით გამოიხატებოდეს. ვინაიდან მყარი ენობრივი შედარება თავისი სტრუქტურით სამკომპონენტიანია, ტერმინოლოგიური არჩევანი უნდა გავაკეთოთ ლინგვოკულტურემასა და ლოგოეპისტემას შორის. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ორივე ტერმინის გამოყენება, მაგრამ უპირატესობას ვანიჭებთ „ლოგოეპისტემას“, ვინაიდან ამ უკანასკნელში ხაზგასმულია ენისა და კულტურის კავშირი ცოდნასთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლოგოეპისტემის სპეციფიკურ ნაირსახეობად მივიჩნით მყარი ენობრივი შედარება, რომლის ანალიზიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ლოგოეპისტემის კატეგორიული სპეციფიკა და კონკრეტულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გავარკვიოთ მყარ ენობრივ შედარებათა როლი და ადგილი კულტურის სემიოტიკურ სივრცეში.

§ 2. მყარი ენობრივი შედარება, როგორც ლოგოეპისტემის სპეციფიკური ნაირსახეობა (გნოსეოლოგიური ფუნქცია და კატეგორიული ბუნება)

როგორც არაერთხელ თქმულა, იმ სიტყვათა შორის, რომელთაც ჩვენ ყოველდღიურ მეტყველებაში ყოველგვარი ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გარეშე ვიყენებთ, თავისი მაღალპროდუქტულობითა და სიხშირით ყურადღებას

იქცევს ლექსება „შედარება“. ჩვენ იმდენად გასაგებად მიგვაჩნია აღნიშნული სიტყვის სამეტყველო მნიშვნელობა, რომ არც კი ვფიქრობთ მის სპეციალურ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობაზე. არადა, ამ ტერმინის მიღმა ისეთი რთული და მნიშვნელოვანი ცნება დგას, რომ მას თავს ვერ აარიდებს პრობლემასთან დაკავშირებული ვერც ერთი სერიოზული გამოკვლევა. უფრო მეტიც, შედარების, როგორც მენტალური ანუ აზროვნებითი ოპერაციის, გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ არა მარტო თანამედროვე მეცნიერების განვითარება, არამედ, საერთოდ, ადამიანის, როგორც homo sapiens-ის ჩამოყალიბების პროცესი. შედარება და იდენტიფიკაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მიუხედავად იმისა, თუ რა ასაკში იმყოფება ადამიანი, რა საქმიანობას ეწევა, რომელ ერს ან კულტურას მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ნათელია აღნიშნული ოპერაციის როლი და ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. მოვლენის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ასპექტია შედარების შინაარსობრივი ბუნების ანალიზი, რაც მოითხოვს შესაბამის სამეცნიერო დისციპლინებთან (ლოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, პოეტიკასთან და ა.შ.) კოორდინაციას, რომელთაც, ასევე, თავისი ინტერესების სფეროში მოაქციეს ეს ცნება. აღნიშნული სიტყვის არატერმინოლოგიური გამოყენება იმდენად გავრცელებულია, რომ სპეციალური კონტექსტის გარეშე რთულია იმის გარკვევა, იგულისხმება ცნება „შედარება“-ში გარკვეული მენტალური ოპერაცია, თუ ადგილი აქვს სიტყვის პოეტიკის კონტექსტში ჩართვას. ვინაიდან აღნიშნულ მოვლენებს წინამდებარე ნაშრომისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვთ, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით მისი კატეგორიული ბუნების განსაზღვრის მცდელობას. ამ სიტყვის დეფინიცია შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან სემას, რომელთა წინა პლანზე წამოწევა შეიძლება დაუკავშიროთ იმ ინტერდისციპლინარულ მოთხოვნებს, რომელზედაც ორიენტირებულია განსაზღვრება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოვლენის ლინგვისტური განსაზღვრებისას ყურადღება გამახვილებულია სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მხარეზე, კულტუროლოგიური დეფინიციისას – მოვლენების აღქმისა და ხედვის ეროვნულ სპეციფიკაზე, ლოგიკურისას – შედარების ჭეშმარიტება-მცდარობის ასპექტზე და ა.შ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ სხვადასხვა დეფინიცია, რათა მათი შედარების შედეგად შევეცადოთ დავადგინოთ საკვლევი მასალის კატეგორიული ბუნება. მოვიყვანოთ აღნიშნული ცნების სხვადასხვა განმარტებას. ასე, მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ:

„შედარება (სახელი) შეადარებს, შეედრება; (ზმნათა მოქმედებისა) – რა შედარებაა! (საუბ.) – შედარება არ შეიძლება, დიდი განსხვავებაა” / ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986, 476/. საკვლევი მასალის სპეციფიკასთან უფრო ახლოს დგას ზმნის „შეადარებ“ განმარტება, რომელიც ლექსიკონში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: შეადარებ-ს (აწმ. ადარებს) გრძმ. 1. შეაპირისპირებს ერთმანეთთან მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად – შეაჯერებს, შეამოწმებს. 2. შეატოლებს, გაუტოლებს, მიახმავებს. პოეტმა ქალი მზეს შეადარა.=მდრ შეუდარებს, შეედრება, შედარება, შედარებული, შესადარებელი, შეუდარებელი” (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1936, 472). როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ლექსიკოგრაფიულ წყაროში შედარების ტერმინოლოგიური მნიშვნელობა არ ფიქსირდება.

ტერმინი „შედარება“ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება : „შედარება ინტელექტუალური მოღვაწეობის ყველაზე ძველი ნაირსახეობაა, რომელიც წინ უსწრებდა თვლას “ (ე. სეპირი); „შედარება ყველაზე უნივერსალური, ყველაზე ნათელი და, ამავდროულად, ყველაზე დაფარული ელემენტია , რომელიც გამოვლენას მოითხოვს და განსაზღვრავს შემეცნების ფორმას და განაპირობებს მისი შინაარსის მრავალფეროვნებას “ (მ. ფუკო); „შედარება წარმოადგენს გარესამყაროს და სულიერი ღირებულებების შეცნობის ლოგიკურ ხერხს “ (ნ. კონდაკოვი), „შედარება გავრცობილი მეტაფორაა“ (რ. ბლეკი).

განსაზღვრებათა არაერთგვაროვნება განსახილველი მოვლენის მრავალპლანიანობაზე მეტყველებს, მაგრამ ვერ გვაახლოვებს შედარების ლინგვოკულტუროლოგიური სტატუსის განსაზღვრის ამოცანასთან , რომელიც რამდენიმე კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემას მოითხოვს : 1) უდევს თუ არა შედარების ენობრივ სტრუქტურას საფუძვლად გარკვეული მოდელი ?

2) გააჩნიათ თუ არა შედარებებს აღწარმოებადი ხასიათი ?

3) როგორ არის შედარების ენობრივი ფორმა დაკავშირებული მის კულტურულ ფუნქციასთან ?

4) როგორია შედარებათა ტიპები ენობრივი თვალსაზრისით ?

შედარებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ადამიანის შემეცნების პროცესში. საკმარისია გავიხსენოთ ა. პოტენიას აზრი, რომლის თანახმადაც თვით შემეცნების პროცესი შედარების პროცესია.

„შედარებისას, როდესაც ვაგლენტ მსგავსების ნიშნებს უცნობსა და ნაცნობს შორის, ვაკავშირებთ აბსტრაქტულსა და კონკრეტულს, ჩვენ შევიმეცნებთ გარესამყაროს და, იმავდროულად, მხატვრულად ვახასიათებთ მას, რითაც გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას, ვაძლევთ მას შეფასებას (Лебедева Л.А., 2003, 3).

როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, შესაბამის ენებში არსებობს სპეციალური მოდელები, რომლებიც ენობრივ შედარებას გამოხატავენ: ინგლისურში – კონსტრუქციული ელემენტით „as“, რუსულში – „как“, ქართულში – „როგორც“ და ა.შ. შესაბამისი ენობრივი სტრუქტურების არსებობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შედარებას საფუძვლად შესაბამისი ენობრივი სტრუქტურა უდევს, რომელიც შესაბამისობას პოულობს სხვა ენების მოდელებშიც. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს უნივერსალიასთან. მიუხედავად სტრუქტურული მოდელის უნივერსალობისა, ლინგვისტურ ლიტერატურაში ჯერაც შეინიშნება ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება, გვხვდება ტერმინები: „მყარი ენობრივი შედარება“, „ფრაზეოლოგიური შედარება“, „კომპარატიული შედარება“, რაც შესაბამის კომენტარს მოითხოვს .

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავმიჯნოთ სტრუქტურული მოდელისა და მხატვრული სახის აღწარმოებადობის პრობლემა. საკითხის ამგვარი დაყენება უკავშირდება ინდივიდუალური და ენობრივი შედარებების გამიჯვნას. მიუხედავად იმისა, რომ მათ საფუძვლად უდევთ ერთი და იგივე სტრუქტურული მოდელი, ისინი განსხვავდებიან ნიშნობრიობით და პრეცედენტულობის ხარისხით. ენობრივი შედარების შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კულტურის კოდთან, რომელიც შედის ამა თუ იმ ენის კონცეფტოსფეროში. რაც შეეხება ინდივიდუალურ შედარებას, ჩვენ წინაშეა მხატვრული სახე, რომლის მოქმედების არეალი კონკრეტული ტექსტით განისაზღვრება. პრეცედენტულ ფენომენს, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს შემდეგი მოვლენები:

1) ფონობრივი მოვლენები, რომლებიც კარგადაა ცნობილი მოცემული ეროვნულ-ლინგვოკულტურული თანამეგობრობის წევრთათვის და გააჩნია ზეპიროვნული ხასიათი. ისინი პრეცედენტულ ფენომენს კარგად იცნობენ, რადგან აქვთ მოცემული მენტალურ-ლინგვალური კომპლექსის აღქმის საერთო და აუცილებელი, ეროვნული კულტურით დეტერმინირებული, მინიმიზირებული ვარიანტი.

2) ინტერტექსტუალურობა. პრეცედენტული მოვლენები აქტუალურია კოგნიტურ და ემოციურ პლანში, მათ უკან ყოველთვის დგას მათი აღქმის თავისებური ინგარიანტული წარმოდგენა, რომელიც პრეცედენტულ ტექსტზე ყველა აპელაციას „გამჭვირვალედ“, გასაგებად და კონოტაციურად შეფერილად აქცევს.

3) განმეორებადობა , რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ლინგოკულტურული თანამეგობრების წევრები მუდმივად უბრუნდებიან პრეცედენტულ მოვლენებს.

პრეცედენტულობის ცნების შემოტანამ შესაძლებელი გახადა პრეცედენტული ხასიათის შედარებების გამოჭენა ინდივიდუალურ - საავტორო შედარებებისაგან, რომელთაც ლოკალურ-ტექსტობრივი ხასიათი აქვთ.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ყველა შედარების საფუძველს ესა თუ ის ენობრივი მოდელი წარმოადგენს, მაგრამ პრეცედენტულობის ფუნქცია მხოლოდ იმ ნაწილს გააჩნია , რომელიც აღწარმოებადობით ხასიათდება. ენობრივი და კულტუროგენური მნიშვნელობების შეთავსება მიგვანიშნებს მოვლენის სპეციფიკურობაზე, რაც შესაბამის კატეგორიებში ინტერპრეტაციას მოითხოვს. მოვლენათა შორის, რომელთაც ტრადიციულად უკავშირებენ შედარებას, ყველაზე რელევანტურია სიტყვა,შესიტყვება, ფრაზეოლოგიზმი და ტექსტი.

შედარება თავისი სტრუქტურით სამკომპონენტიანია: 1). თემა ანუ შედარების საგანი; 2). შედარების საყრდენი კომპონენტი, ანუ მისი მხატვრული სახე; 3). მაკავშირებელი კომპონენტი, რომელიც მიგვითითებს იმ საერთოზე, რაც შედარების სხვა კომპონენტებს გააჩნიათ. ბუნებრივია, ეს გამორიცხავს შედარების ლექსემის დონეზე განხილვას. მეორე მხრივ, არც შესიტყვება შეესაბამება შედარების ბუნებას, ვინაიდან არ გააჩნია ერთიანი კოდური მნიშვნელობა. მკვლევართა შორის პოპულარულია აზრი, რომ მყარი ენობრივი შედარება ფრაზეოლოგიზმების ნაირსახეობას წარმოადგენს.

ფრაზეოლოგიზმების განსაზღვრებისას რამდენიმე პარამეტრს გამოყოფენ. ფრაზეოლოგიზმი განიხილება, როგორც მასობრივად აღწარმოებადი შესიტყვება, რომლის მნიშვნელობა არ დაიყვანება მასში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობაზე. ამ თვალსაზრისით, შედარება განსხვავდება კლასიკური ტიპის ფრაზეოლოგიზმებისგან იმით, რომ მისი შინაარსი შეიძლება გამოვიყვანოთ მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობებიდან. ასე, მაგალითად, შედარება „ბურთივით მრგვალი“ პირდაპირ მიუთითებს შესაბამის ფორმაზე.

ამავდროულად, შესაძლებელია, იყოს შედარებები (განსაკუთრებით, ინდივიდუალური), რომელთა მნიშვნელობა მეტაფორითაა გამოხატული და მასში შემავალ სიტყვათა შინაარსი არ გამომდინარეობს ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობებიდან (“მარწყვივით ქალი “) . ამრიგად, სემანტიკური მთლიანობის თვალსაზრისით, შედარება ყველაზე ახლოს დგას ფრაზეოლოგიურ შეხამებებთან, რომლებიც კლასიკური იდიომებისგან იდიომატურობის შედარებით დაბალი ხარისხით გამოირჩევიან. ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებად მათი ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ენების განმარტებით ლექსიკონებში ცნების განმარტება საკმაოდ ვრცელია, ვერც მათში ვერ ვპოულობთ მისაღებ ტერმინოლოგიურ დეფინიციას, რომელიც მყარი შედარების ბუნებას შეესაბამება. მიუხედავად ყურადღების გამახვილებისა შედარების ელემენტებზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე , ცალკეული სტრუქტურული მახასიათებლებზე და ა. შ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მონაცემები არ არის საკმარისი მყარი შედარების თეორიული ინტერპრეტაციისთვის. დახმარებისთვის შევეცადოთ, მივმართოთ მომიჯნავე მეცნიერებების მონაცემებს.

ყველაზე ზოგადი სამეცნიერო დისციპლინა, როგორცაა ფილოსოფია, შედარებაში გულისხმობს ობიექტის შეპირისპირებას მსგავსებისა და განსხვავების ნიშნების დადგენის მიზნით, რაც შემდგომში განზოგადების საფუძველს წარმოადგენს და უდიდეს როლს თამაშობს ანალოგიაზე დაფუძნებული დასკვნების მიღებაში (Simmel 1981,43). გაცილებით უფრო ინფორმატიულია ნ. კონდაკოვის „Логический словарь-справочник“-ში მოცემული ინტერპრეტაცია, რომელიც ჩვენი ლინგვისტური განმარტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. შედარება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ლოგიკურ ოპერაციას გარესამყაროს შესაცნობად. ნებისმიერი საგნის ან მოვლენის შეცნობა იმით იწყება, რომ ჩვენ მას გამოვარჩევთ საგნისგან და ვადგენთ მის მსგავსებას მონათესავე საგნებთან. შემეცნება წარმოადგენს პროცესს, რომელშიც განსხვავება და მსგავსება განუყოფელ მთელს შეადგენენ. შემეცნების აღნიშნული მეთოდის მნიშვნელობა მით უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შედარება ორგანულად შედის ადამიანის კონკრეტულ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ნ.კონდაკოვის თქმით, აღნიშნული ლოგიკური ქმედების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი, თუნდაც უმარტივესი ცნების წარმოშობა. ასე, მაგალითად, მათემატიკასთან მიმართებაში როგორც რიცხვის, ასევე, ფიგურის ცნება მხოლოდ და მხოლოდ გარესამყაროდანაა აღებული და არ წარმოშობილა ადამიანის თავში წმინდა აბსტრაქტული აზროვნების შედეგად. საჭირო იყო საგნების არსებობა, რომელთაც გარკვეული ფორმა გააჩნდათ და მათი შედარება, რომ ჩვენ ფიგურის ცნებამდე მივსულიყავით. (Н. И. Кондаков, 1975, 567).

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არა მარტო ადამიანის ბუნებას მოეთხოვება აღნიშნული ლოგიკური ოპერაციის ფლობა, არამედ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ კიბერნეტიკულ გამომთვლელ მანქანებსაც. ამერიკელი მათემატიკოსის ე. ბერკლის აზრით, გამომთვლელ მანქანას უნდა შეეძლოს ორი რიცხვის შედარება და ამით დადგენა, უდრიან თუ არა ისინი ერთმანეთს. უფრო მეტიც, გამომთვლელ მანქანას ამოცანად უსახავენ რამდენიმე რიცხვის შედარებას, რომლებიც განლაგებულია ორ ან მეტ პერფორენტაზე; იმის გარკვევას, რომელია მათ შორის უმცირესი (ან უდიდესი). ამ რიცხვის გამოსავალ ლენტზე დაფიქსირდება გამომთვლელი მანქანის არითმეტიკული მოწყობილობა. ამის გამო, გარდა მაჯამებლისა და გამომთვლელისა, ის შეიცავს შემადარებელ მოწყობილობასაც. სიმბოლოების შედარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს ანუ ოპერაციას წარმოადგენს, რომელსაც ელექტრონულ-ციფრული გამომთვლელი მანქანა ახორციელებს. კომპიუტერის პროგრამაში ხდება ცალკეულ სიმბოლოთა ურთიერთმიმართების დადგენა და შესადარებელი ერთეულების მსგავსება-განსახვავების განსაზღვრა. ასე, მაგალითად, მთარგმნელი მანქანის დამმასსოვრებელ მოწყობილებაში ანუ მის ელექტრონულ ლექსიკონში შეყვანილი იყო 100 000 ფრაზა, სიტყვა და მორფემა ინგლისურ ენაზე, რომელთაც ამდენივე ერთეული შეესაბამება რუსულ ენაზე. გამომთვლელი მანქანა, რომელიც მოძიებისა და შედარების პრინციპებს ეფუძნება, ადარებს სიმბოლოებს, რომელიც პერფორენტიდან შემოდის, საკუთარი ლექსიკონის სიმბოლოებს, ხოლო შემდეგ, ადგენს რა მსგავსებებს, მის რუსულ ეკვივალენტს ბეჭდავს.

ცნობილი კიბერნეტიკოსი დ. მაკევეი ავტომატების „დაბალ“ და „მაღალ“ დონეებად დაყოფის საფუძველად მიიჩნევს მათს უნარს, შეადარონ და, შესაბამისად, განაზოგადონ შემავალი სიგნალები. „დაბალი“ დონის

ავტომატები სიგნალების მხოლოდ ფილტრაციას და ტრანსკოდირებას ახდენენ, მაგრამ მათ არ გააჩნიათ შინაგანი მექანიზმი, რომელიც შეადარებს სისტემის მდგომარეობას, გარემოს ზემოქმედების ხასიათს. „მაღალი“ დონის ავტომატები კი შეიცავენ ისეთ მექანიზმს, რომლის მიზანი გარემოდან მიღებული სიგნალების შედარებაა შესაბამის საცდელ პროგრამებთან. ეს განაპირობებს ამ უკანასკნელთა ცვლის საკმაო მოქნილობას გარემოდან მიღებული სიგნალის შესაბამისად (Д.Маккей.,1956,69)

შედარების დიდ მნიშვნელობაზე, შემეცნების თეორიის თვალსაზრისით, მეტყველებს მისი კავშირი საყოველთაო და უნივერსალურ კატეგორიებთან. როგორც ცნობილია, სხვადასხვა საგანთა ან მოვლენათა შედარების საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა აღნიშნულ საგანთა ან მოვლენათა ზოგადი თვისებები ან ნიშნები დავადგინოთ. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ საკვლევ მოვლენათა ან საგანთა ზოგადი ნიშნებისა და თვისებების დადგენა აღნიშნული კლასის მოვლენათა განვითარების კანონზომიერებათა შეცნობის პირველ საფეხურს წარმოადგენს. საყოველთაო ანუ უნივერსალური კატეგორიის გამოყოფას სწორედ შედარების პროცედურა უდევს საფუძვლად.

უნდა აღინიშნოს, რომ შედარება გამოიყენება არა მარტო განზოგადების პროცესში, არამედ ანალოგიის, ინდუქციის, ტრადუქციისა და დედუქციის შედეგად მიღებულ დასკვნებში. საინტერესოა, რომ სწორი დასკვნის მიღება საგანთა ან მოვლენათა შედარებისას მოითხოვს რიგი აუცილებელი პირობის შესრულებას, რაც კლასიკურ ლოგიკაში ჩამოყალიბდა: პირველ რიგში, უნდა შედარდეს მხოლოდ ერთგვაროვანი ცნებები, რომლებიც ერთგვაროვან საგნებსა და მოვლენებს ასახავენ. უაზრობაა ისეთი მოვლენების შედარება, რომელთაც შეხების წერტილები არ გააჩნიათ, მაგ. ლეკვი და პირამიდა ან ფანქარი და ველოსიპედი და ა.შ. საგნებთან მოვლენების შედარება უნდა მოხდეს ისეთი ნიშნების საფუძველზე, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედარების შედეგად მიღებული დასკვნები, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად ინფორმატიული იქნება. მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს შედარების როლი შემეცნების პროცესში, უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო შედარება არ გვაძლევს ამომწურავ ცოდანს საკვლევო ობიექტის შესახებ.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მარტო შედარება არ იძლევა ჩვენი შემეცნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას და ამიტომ შედეგები, რომელთაც

აღნიშნული მეთოდით მიიღება, უნდა განვიხილოთ, თუმცა როგორც აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ – როგორც მოსამზადებელი სამუშაო ჭეშმარიტი შეცნობის პროცესში, რამდენადაც შედარებისას საქმე ეხება მიღებული განსხვავების დაყვანას იგივეობრიობამდე (Герель, 1929, 201). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვლენის შეცნობა არ დაიყვანება სხვა მოვლენებთან მისი მსგავსება-განსხვავების ფაქტის დადგენამდე, არამედ გულისხმობს მის შინაგან არსში წვდომასაც. შედარება ლოგიკური შემეცნების სხვა მეთოდებთან – ანალიზთან, სინთეზთან, განზოგადებასთან და ა.შ. – ურთიერთქმედებასაც მოითხოვს. როგორც ცნობილია, შედარება საგნის შეცნობის ერთ-ერთი ხერხია იმ შემთხვევაში, როდესაც ცნების განსაზღვრა შეუძლებელია, ან საჭიროებას არ წარმოადგენს. ეს ხერხი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენთვის საინტერესო ცნება შეგვიძლია შევადაროთ მის მსგავს ცნებებს, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოცემული ცნების შინაარსს.

შედარების ლოგიკური მეთოდის შესაფერისი ცოდნა მნიშვნელოვანია ყველა მეცნიერებისათვის. ასე, მაგალითად, შედარების ხერხების ცოდნა და მათი შესაბამისი დანერგვა სამეცნიერო მოღვაწეობაში შედარებითი მეთოდის მაღალეფექტური გამოყენების საშუალებას იძლევა, თუნდაც, ენათმეცნიერებაში, რომლის ძირითად ამოცანას ორი ან რამდენიმე ენის სტრუქტურათა მსგავსება-განსხვავების დადგენა წარმოადგენს. ეს მეთოდი, როგორც ბ. გოლოვინი აღნიშნავს, მოითხოვს მუდმივ და გააზრებულ შეპირისპირებას, რომელმაც უნდა მოიცვას როგორც ცალკეული ელემენტები, ასევე, მთელი ენობრივი კატეგორიები, მაგალითად: ზმნა რუსულ და ზმნა ინგლისური ენაში. (Б.Н.Головин, 1973,11).

ჩვენ შევეცადეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა შედარებასთან დაკავშირებულ გნოსეოლოგიურ ასპექტზე და წარმოგვეჩინა მისი როლი სამყაროს შეცნობის პროცესში. შედარებას, როგორც ლოგიკურ ოპერაციას, უნივერსალური ხასიათი აქვს და განეკუთვნება ზოგადსაკაცობრიო ცნებით კატეგორიას. ნებისმიერ კულტურაში შედარებას ერთი და იგივე ფუნქცია აქვს. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ამ მოვლენის კონკრეტულ-ენობრივი მანიფესტაციები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენის შეპირისპირებით ანალიზს სხვადასხვა ენობრივ მასალაზე. თუ დავეუბრუნდებით შედარების ანალიზს, ლოგიკის პოზიციებიდან, შევამჩნევთ, რომ აღნიშნული დარგის სპეციალისტები მხოლოდ მენტალურ სფეროს ეხებიან და მის ბაზაზე აკეთებენ

შესაბამის დასკვნებს. ჩვენ არ ვაყენებთ ეჭვქვეშ აღნიშნული დასკვნების მართებულობას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სამყაროს შეცნობა არამარტო ლოგიკური კატეგორიებით ხდება. ადამიანის ცნობიერების ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს მისი გრძნობითი წყარო წარმოადგენს. საგანთა ან მოვლენათა ემოციური წვდომა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ლოგიკური ინტერპრეტაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ემოციური და კოგნიტური ინფორმაცია არ უდრის ერთმანეთს. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომთან მიმართებაში შედარების, როგორც ემოციური ინფორმაციის, მნიშვნელობა არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე მისი ცნებით-ლოგიკური ასპექტი. ვინაიდან შედარების მხატვრული სპეციფიკა ყველაზე ნათლად მონათესავე მოვლენების ე.წ. სამეტყველო ფიგურების ფონზე შეიძლება წარმოვიდგინოთ. საჭიროდ მიგვაჩნია, სპეციალური პარაგრაფი მივუძღვნათ ამ საკითხის განხილვას.

§ 3. შედარების მხატვრულ-ესთეტიკური სპეციფიკა

წინა პარაგრაფში, როდესაც საუბარი გვქონდა იმ წესებზე, რომლებიც შედარების, როგორც ლოგიკური მეთოდის, გამოყენებას არეგულირებენ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შეიძლება შედარდეს მხოლოდ ერთგვაროვანი ცნებები და უაზრობაა ისეთი მოვლენების შედარება, რომელთაც შეხების წერტილები არ გააჩნიათ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანი ყოველთვის არ ითვალისწინებს ლოგიკის რეკომენდაციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ შევძლებდით ისეთი არალოგიკური შედარების გათავისებას, როგორიცაა სამშობლო და „დაბინდული ქლიავის ფერი“.

„გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?“

ეს ჩემი სამშობლოს ფერია...”

მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ არსებობს ადამიანური მოღვაწეობის ისეთი სფეროები, სადაც შესაძლებელია, შედარების საფუძველს არაშეთავსებადი ცნებების დაპირისპირება ქმნიდეს.

სწორედ ასეთ სფეროს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც სამყაროს და მასში არსებული მიმართებების თავისებური ხედვა გააჩნია.

მხატვულობის ლოგიკა კლასიკური ლოგიკისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ის შესაძლებელს ხდის საერთო სრულიად განსხვავებულ მოვლენებში დაინხოს.

პოეტური ლექსიკონი, რომლის ავტორიც ა. კვიატკოვსკი გახლავთ, ტერმინ „შედარებას“ განმარტავს, როგორც ხატოვან გამონათქვამს, რომელიც ისეთი ორი საგნის, მდგომარეობის ან ცნების შეპირისპირებაზეა დამყარებული, რომელთაც საერთო ნიშანი გააჩნიათ, რომლის ხარჯზეც ხდება პირველი კომპონენტის მხატვრული მნიშვნელობის გაძლიერება” (А.Квятковский, 1966,280)

თუ შევადარებთ საკვლევი ტერმინის ლოგიკურ და ლიტერატურულ ინტერპრეტაციებს, დავინახავთ, რომ ორივე განმარტების საფუძველს ორი ან მეტი ცნების, საგნის ან მოვლენის დაპირისპირება წარმოადგენს, მსგავსება-განსხვავებების დადგენის მიზნით. თუ პირველ შემთხვევაში შესადარებელი კომპონენტების შერჩევა გარკვეული შეთავსებადობის პრინციპით რეგულირდება, მეორე შემთხვევაში, როგორც ა. კვიატკოვსკი აღნიშნავს, ასეთი რეგლამენტაციები არ არსებობს, ვინაიდან შედარების პოეტიკა საკმაოდ რთული და დღემდე დაუმუშავებელია (А.Квятковский, 1966 ,280).

პოეტური შედარების სპეციფიკა განსაკუთრებით კარგად ჩანს მოვლენების იმ ჯგუფის ფონზე, რომლებიც შედარებას ენათესავენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნებისმიერი საგნის ან მოვლენის შეცნობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია მისი შედარება ტიპოლოგიურად მსგავს საგანთან ან მოვლენათა ჯგუფთან. აღნიშნული ოპერაციის შედეგად ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა არა მარტო დავადგინოთ მსგავსება ან განსხვავება, არამედ უფრო ღრმად შეგვიძლია ჩავწვდეთ ჩვენთვის საინტერესო ფენომენის არსს. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შედარების კატეგორიის განხილვა მისი მონათესავე კატეგორიების ფონზე.

როგორც ცნობილია სამეცნიერო გამოკვლევებში, შედარება, როგორც პოეტური მეტყველების ფიგურა, განიხილება მოვლენათა იმ რიგში, რომლის შემადგენლობაშიც შედის შემდეგი სტილისტური ფიგურები: მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოქე, ლიტოტესი, ჰიპერბოლა, პარალელიზმი და ა. შ. როგორც ა. კვიატკოვსკი აღნიშნავს, პოეტური გამომსახველობის მრავალფეროვან საშუალებათა სისტემაში შედარება წარმოადგენს საწყის სტადიას, რომლიდანაც თანმიმდევრული ტრადიციისა და განშტოების საშუალებით გამოედინება ყველა დანარჩენი ტროპი – პარალელიზმი, მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოქე,

ჰიპერბოლა, ლიტოტა და სხვა. შედარებაში უნდა ვეძებოთ პოეტური სახის სათავეები (А.Квятковский, 1966, 280).

მოკლედ დავახასიათოთ ტროპების ნაისახეობები და შევეცადოთ, მათ ფონზე გამოვკვეთოთ შედარების სპეციფიკური ნიშან-თვისებები. ტროპის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ალეგორია. ისევე, როგორც სხვა ნაირსახეობები, ალეგორიაც ტროპის ძირითად ნიშანს – გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობას შეიცავს. ტერმინი „ალეგორია“, რომელიც ბერძნულ გადაკრულ თქმას უკავშირდება, გამოხატავს სიტყვასა თუ სიტყვათა რიგს, რომელშიც განყენებული აზრის, ცნების თუ მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა გადმოცემული. როგორც ა. და რ. ჭილაიები აღნიშნავენ, ალეგორიაში ნათქვამია ერთი, ნაგულისხმევია მეორე. მეტაფორისგან განსხვავებით, ალეგორიაში სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობითაც არის ნახმარი, მასში ძნელად მოსაძებნია ნამდვილი ობიექტი. ალეგორიულია: ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი, ზოგჯერ სხვა ჟანრობრივი ნაწარმოებებიც. ალეგორიის მიზანია ავტორის აზრის შენიღბვა (ა. ჭილაია, რ. ჭილაია, 1984, 13).

როგორც ვხედავთ, ალეგორია, როგორც მხატვრული გამოხატვის ხერხი, სხვადასხვა ჟანრობრივი სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ, შედარებისაგან განსხვავებით, ის მეტყველების ფაქტია და არ გააჩნია ენობრივი სტატუსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შედარებას შესაბამისი ენობრივი სტრუქტურა გამოხატავს, მაშინ, როდესაც ალეგორიას რაიმე სახის ფიქსირებული სტრუქტურული მაჩვენებელი არ გააჩნია, რაც მისი ენობრივი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას მოგვცემდა. ასევე, განსხვავებულია შედარება ტროპის ისეთი ნაირსახეობისგან, როგორცაა პერიფრაზი (იხ. ბერძ. perifrasis – ხელახალი თხრობა) და რომლის დანიშნულებაცაა სახის ან მოვლენის სახელწოდების შეცვლა მათი თავისებურების აღწერით. აღნიშნული ტერმინი გამოხატავს, აგრეთვე, იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება ცნობილი ნაწარმოების ანალოგიური ფორმის შექმნა, ჩვეულებრივ, იუმორისტული ან სატირული მიზნით. ა. და რ. ჭილაიების აზრით, პერიფრაზი პაროდისგან იმით განსხვავდება, რომ ცნობილი ავტორის სტილი და ნაწარმოების ფორმა გამოყენებულია სხვა ობიექტის გასაკვიდავად. ისევე, როგორც ალეგორიას, პერიფრაზსაც არ გააჩნია ფიქსირებული ენობრივი მანიფესტაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მის ენობრივ სტატუსზე გვესაუბრა. ამიტომ პარალელი შედარებასთან მხოლოდ გადატანით მნიშვნელობასთან დაკავშირებით შეიძლება გავავლოთ. ისევე,

როგორც ალეგორიასა და პერიფრაზს, თავისი კონკრეტული ენობრივი სტრუქტურა არ გააჩნია ტროპების ისეთ ნაირსახეობას, როგორცაა ირონია. ეს უკანასკნელი (ბერძ. *eironeia* – მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა-დან მომდინარეობს) წარმოადგენს თავაზიანობით შენიღბულ დაცინვას. ირონიისთვის დამახასიათებელია დამცინავის თავშეკავებულობა, სიმშვიდე, სერიოზული ტონი, გარეგნულად გამოსატული პატივისცემა და ა.შ. ირონია, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე, ტექსტში ჩნდება მხოლოდ ქვეტექსტთან მიმართებაში და ეს მიმართება უნდა იყოს დაპირისპირებითი: თანხმობის და შექების, აღტაცების მიღმა დაფარულია წინააღმდეგობა და ლანძღვა. ისევე, როგორც ალეგორიას და პერიფრაზს, ირონიასაც გარეგნულად გამოსაცნობი ნიშნები, ფიქსირებული სტრუქტურები არ გააჩნია. ამიტომაცაა, რომ ირონია რთული გასაშიფრია და, როგორც წესი, ადრესატი ირონიულ ტექსტს პირდაპირი მნიშვნელობით იღებს. ირონიის გასაგებად ადრესატმა უნდა იცოდეს ავტორის ინტენცია ან უნდა ხედებოდეს მას. ირონიის გაშიფრვისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტონაციას. ირონიის რეალიზება ხდება პარადოქსის, გროტესკის, ჰიპერბოლის საშუალებით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ირონიას ისევე, როგორც ალეგორიასა და პერიფრაზს, არ გააჩნიათ სპეციალური გრამატიკული მარკირები.

ტროპის ერთ-ერთ ნაირსახეობას სიმბოლო წარმოადგენს (ბერძ. *symbolon* – ნიშანი, მაუწყებელი). აღნიშნული ტერმინი ა. კვიატკოვსკის მიერ განიმარტება, როგორც მრავალმნიშვნელოვანი საგნობრივი სახე, რომელიც აერთიანებს შემოქმედის მიერ ასახული სინამდვილის სხვადასხვა პლანს, მათი ერთობისა და ნათესაობის საფუძველზე. ამ არცთუ ისე მარტივად გასაგები ფორმულირების შემდეგ ის ამბობს, რომ სიმბოლო ეფუძნება მოვლენათა პარალელიზმს და შესაბამისობათა სისტემას. მას გააჩნია მეტაფორული საწყისი და ა.შ. (А.Квятковский, 1966, 262).

ვინაიდან აღნიშნული განმარტება, ჩვენი აზრით, საკმაოდ ბუნდოვანია, საჭიროდ მივიჩნიეთ, აღნიშნული ტერმინის სხვა გააზრება მოგვეყვანა, რომლის მიხედვით სიმბოლო წარმოადგენს „საგნობრივ ან ვერბალურ ნიშანს, რომელიც პირობითად გამოსატავს რომელიმე მოვლენის არსებით მხარეს და რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს თვით სიმბოლოს ხასიათსა და ხარისხს. სიმბოლოს სახით, შეიძლება, წარმოდგენილი იყოს საგნები, ცხოველები, ცნობილი მოვლენები, საგანთა თვისებები, მოქმედებები და ა.შ. ასე, მაგალითად, ლოტოსი ინდუსებისთვის წარმოადგენს ღვთაებისა და სამყაროს სიმბოლოს, პურ-მარილი

– სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობის, დილა – ახალგაზრდობის, ცისფერი – იმედის სიმბოლოს და. ა.შ. /Словарь литературоведческих терминов, 1974, 349/. სიმბოლოს საფუძვლად უდევს გადატანითი მნიშვნელობა. ის, როგორც წესი, შეიცავს ფარულ შედარებას, რომელიც მას აკავშირებს ადამიანური ყოფის ამა თუ იმ მოვლენასთან, ისტორიული ხასიათის მოვლენებთან და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა სიმბოლოს ხელოვნებასა და პოეზიაში ენიჭება. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მხატვრული სახის ბუნების სპეციფიკით, ვინაიდან ამ უკანასკნელში თავისთავადაა ჩადებული პირობითობის გენი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთეულის საშუალებით ხდება ზოგადის გამოხატვა. სიმბოლოს მონათესავე ფორმას ალექორია წარმოადგენს. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სიმბოლო განასახიერებს განყენებულ, ზოგად იდეას კონკრეტულად, ალექორიაში კი ერთი კონკრეტული საგნის თვისება გადატანილია მეორე კონკრეტულ საგანზე. სიმბოლოსა და შედარების სიახლოვე მდგომარეობს შესაბამის კორელატებთან პირობით მიმართებაში, თუმცა ერთ შემთხვევაში ეს დამოკიდებულება ლატენტური ხასიათით, ხოლო მეორეში – ვერბალურით ვლინდება.

კიდევ ერთი ნაირსახეობა ტროპისა, რომელიც შედარებასთან გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს, არის ლიტოტესი (იხ. ბერძნ. *litotes* – უბრალოება, სიმცირე). ამ მოვლენის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ხდება საგნის ან მოვლენის განსაზღვრა მისი საპირისპირო ცნების უარყოფით. მას, აგრეთვე, განმარტავენ, როგორც შებრუნებულ ჰიპერბოლას. ლიტოტესი, როგორც აღვნიშნეთ, ისეთი სტილისტური ხერხია, რომელიც საგანს ან მოვლენას შემცირებულს წარმოსახავს, რაც, ბუნებრივია, სიტყვასიტყვით არ გაიგება. მაგ. „სუტკნეინა ისე მოიკუნტა, ისე მოიკუნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა“ /ი.ჭავჭავაძე /.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტოტესი, ისევე როგორც ტროპის ზემოთ განხილული ნაირსახეობები, წარმოადგენს მხატვრულ ხერხს, თავისებურ სტილისტურ საშუალებას, რომელიც არ არის გრამატიკულად მარკირებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეტყველო ნაკადიდან აღნიშნული მოვლენების გამოყოფა ხდება შინაარსობრივად და არა რომელიმე ენობრივი მარკიორის საშუალებით. სწორედ ეს ფაქტი გვეხმარება გავმიჯნოთ ტროპის ზემოთ განხილული ნაირსახეობები შედარებისგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტოტესს ხშირად შებრუნებულ ჰიპერბოლასაც უწოდებენ. ჰიპერბოლა (ბერძ. hyperbole – გადამტეხვა, გადაჭარბება), ისევე, როგორც ლიტოტესი, ტროპის სხვა სახეებისგან განსხვავდება არა იმით, რომ ნათქვამში იგულისხმება სხვა მნიშვნელობა, არამედ იმით, რომ ნათქვამში ასახული გაზვიადება ან შემცირება სიტყვასიტყვით არ გაიგება. ყურადღება გამახვილებულია ასახულის არსებით ნიშანზე. ადამიანის, მისი ქცევა-მოქმედების ან რომელიმე თვისების, აგრეთვე, საგნის ან მოვლენის გადაჭარბებულად წარმოდგენა მხატვრული გაზვიადებაა. მხატვრული გადმოცემის ჰიპერბოლური ხასიათი დამახასიათებელია საგმირო ეპოსისათვის. ისევე, როგორც მისი ანტიპოდი – ლიტოტესი, ჰიპერბოლაც არ არის ენობრივი თვალსაზრისით მარკირებული, თუმცა შინაარსობრივად ბევრი რამ აქვს საერთო შედარებასთან.

ტროპის კიდევ ერთი ნაირსახეობა, რომელთანაც საერთო აქვს შედარებას, არის ეპითეტი (იხ. ბერძ. epithetos – ზედდართული, დამატებული). ლიტერატურათმცოდნეობაში აღნიშნული ცნება გაგებულია, როგორც მხატვრული განსაზღვრება, პოეტური განმარტება, დახასიათება. საგნისა და მოვლენის თვისების ემოციური წარმოსახვა უპირატესად ზედსართავი სახელით ხორციელდება, რაც მის სპეციფიკას შეადგენს. ტროპის იმ ნაირსახეობებისგან განსხვავებით, რომელთაც ენობრივი ფორმა არ ჩამოუყალიბებიათ, ეპითეტი ახლოს დგას განსაზღვრებასთან, თუმცა მისგან იმით განსხვავდება, რომ სხვაგვარად ასახავს სინამდვილეს. თუ განსაზღვრება საგნის თუ მოვლენის ლოგიკურ და ობიექტურ კლასიფიკაციას ახდენს, ეპითეტი, პირიქით, გამოარჩევს, ხაზს უსვამს საგნისა და მოვლენის ძირითად მახასიათებელ ნიშანს და მეტაფორულად გამოსახავს მას. ამ გამოსახვაში ყოველთვის ჩაქსოვილია სუბიექტური კვალიფიკაცია თავისუფალი სიტყვათშერჩევის სახით, რომლის მხატვრული რაობა ავლენს შემოქმედის შესაძლებლობებს. ეპითეტი და შედარება კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტში იკვეთებიან. ისევე, როგორც მყარი შედარება, არსებობს ე.წ. „მუდმივი ეპითეტიც“, რომლის მაგალითადაც ა. და რ. ჭილაიებს მოჰყავთ შემდეგი შემთხვევები: მსუნაგი მელა, გაუმაძღარი მგელი, ტრიალი მინდორი, წუნია პატარძალი, ავი დედინაცვალი, ძუნწი ვაჭარი და ა.შ. (ა. და რ. ჭილაიები. 1984, 84).

როგორც ვხედავთ, მუდმივი ეპითეტის ცნება, შესაძლებელია, მყარ შედარებას დაუუკავშიროთ სტრუქტურული აღწარმოების თვალსაზრისით, რომელიც იმაში

მდგომარეობს, რომ ერთიცა და მეორეც მზა ფორმით გამოიყენება მეტყველებაში და მზა ფორმით ხდება მათი ტექსტობრივ სტრუქტურაში ინპლანტაცია. ბუნებრივია, არსებობს არამუდმივი ეპითეტებიც, რომელთაც უფრო მეტი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ და რომელთა მხატვრული სვლა მოულოდნელობაში მდგომარეობს. ასე, მაგალითად, „ვაჟაკაციური გაქროლება“, „მგლოვიარე ბაღბა“, „მოდარაჯე მწუხრი“ და ა.შ. ამის პარალელურად არსებობს, აგრეთვე, არაენობრივი შედარებაც, თუმცა ამის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი.

ტროპის კიდევ ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს სინეკდოქე (იხ. ბერძ. *sinchdoche* – თანაფარდობა, შეფარდება). ამ სტილისტური ფიგურის არსი შემდეგნაირადაა გაგებული: სინეკდოქეში ერთი ცნება შეცვლილია მეორით რაოდენობრივი დამოკიდებულების საფუძველზე. სინეკდოქეს შინაარსს ქმნის:

ა) ნაწილის ხმარება მთელის ნაცვლად. მაგალითად:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი – სრულად ქართლის მტერი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი.“

(დ.გურამიშვილი).

ბ) მთელის ხმარება ნაწილის ნაცვლად:

„ნეტავი იმას, ვისაც კი

მადლიერი ყავს ქვეყანა“ (ვაჟა ფშაველა)

გ) მრავლობითის ხმარება მხოლობითის ნაცვლად, ან პირიქით.

მაგალითად: რუსთაველები, შექსპირები, ბაირონები და სხვ.

დ) ზოგადი ცნების ხმარება კონკრეტულის ნაცვლად. ორატორულ მეტყველებაში სინეკდოქე გამოყენებულია დაცინვის მიზნით (მხოლობითი სახელისა და გვარის მრავლობითში გამოყენებით. მაგ. ლუარსაბ თათქარიძეები, პავლიკ მოროზოვეები და ა.შ.).

სინეკდოქეს მეტონიმის ერთ-ერთ ნაირსახეობადაც მიიჩნევენ. ისევე, როგორც ტროპების უმრავლესობა, სინეკდოქეც, შედარებისგან განსხვავებით, ენობრივად მარკირებული არ არის, თუმცა ამ უკანასკნელთან საერთო აქვს თანაფარდობის, ანუ ელემენტთა შეპირისპირების იდეა. რაც შეეხება მეტონიმას, რომლის ერთ-ერთ სახედაცაა მიჩნეული სინეკდოქე, იგი უფრო ფართო ცნებაა. მეტონიმიაში (იხ. ბერძ. *metonymia* – გადარქმევა, სახელის შეცვლა) იგულისხმება ტროპის ისეთი ნაირსახეობა, როდესაც ხდება ერთი სიტყვის ჩანაცვლება მასთან დაკავშირებული (ლოგიკურად) სიტყვით. სხვაგვარად რომ

ვთქვათ, ეს ისეთი სტილისტური ფიგურაა, როდესაც მოვლენა ან საგანი აღინიშნება სხვა სიტყვებისა და ცნებების საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ მეტონიმიაში შენარჩუნებულია ამ მოვლენებს შორის დამაკავშირებელი ნიშნები.

მაგ.: „ერთ-ერთი სხეული – წითელკაბიანი –
ლიტერატურაზე მელაპარაკა”

(მ. მაჭავარიანი)

მეტონიმი „სხეული წითელკაბიანი” ქალის მეტონიმურ აღნიშვნას წარმოადგენს და, მეტაფორისაგან განსხვავებით, ინარჩუნებს გარკვეულ მოტივაციას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეტონიმის შინაარსობრივი კომპონენტები ერთმანეთთან სემანტიკურ კავშირს ინარჩუნებენ.

ტროპული მეტყველების ერთ-ერთ ნაირსახეობას გაპიროვნება ანუ პერსონიფიკაცია წარმოადგენს (ლათ. *persona* –სახე, პიროვნება *da facere* –კეთება). მხატვრული გამოსახვის აღნიშნული ხერხისათვის დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანურება. უსულო საგანი გაპიროვნებაში წარმოდგენილია როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. ზოგიერთი მკვლევარი მას მეტაფორის კერძო ნაირსახეობად აღიქვამს და განსხვავებას მხოლოდ მოქმედების არეალში ხედავს. გაპიროვნების მოქმედების სფერო ხასიათდება იმით, რომ მასში გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები, მაშინ, როდესაც მეტაფორაში ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე. გაპიროვნებას, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც ხალხურ სიტყვიერებაში, სადაც ფანტასტიკურობის, ანიმიზმის, ალეგორიულობის გამოვლინას ემსახურება, ასევე – ლიტერატურაშიც, სადაც მხატვრულობისა და სახეობრიობის გამაძლიერებელ საშუალებას წარმოადგენს.

სამეტყველო ფიგურებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეტაფორას. ძალზე იშვიათია ისეთი მოვლენა, რომელიც აზრთა ასეთ უსასრულო სხვადასხვაობას წარმოშობს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოვლენის შესწავლა ღრმა ანტიკურობას უკავშირდება, მეცნიერებამ დიდად ვერ წაიწია წინ მის გადაწყვეტაში. პრობლემის აქტუალობას და მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მის შესახებ მსჯელობაში მონაწილეობდნენ კაცობრიობის ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეები, როგორებიც არიან არისტოტელე, პლატონი, კანტი, ჰეგელი,

ნიცშე, შოპენჰაუერი, კასირერი, ორტეგა ი გასეტი, რასელი, პასკალი და ა.შ . თუნდაც ეს მოკლე ჩამონათვალი საკმარისია მოვლენის აქტუალობის ხარისხის დასადგენად.

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა აღნიშნულ კოჰორტას ფილოსოფიისა და შემეცნების პრობლემებისადმი ინტერესი აერთიანებს, რაც მეტაფორასთან მიმართებაში შემდეგი სახით ვლინდება. ერთი მხრივ, ის ეწინააღმდეგება კლასიკურ ლოგიკას და, აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტებას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი საშუალებით ივსება ენობრივი ლაკუნები და ხდება ახალი ცნებებების ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ რამდენიმე მოსაზრებას, რომელთაც, ფაქტობრივად, ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი გააჩნიათ. ასე, მაგალითად, თომას ჰობსი თვლის, რომ მეტყველების უპირველესი დანიშნულება აზრის გამოხატვაა და ამ თვალსაზრისით მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვაა მნიშვნელოვანი, ვინაიდან მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობის ვერიფიკაციაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, მეტაფორული და გადატანითი მნიშვნელობები ენის მთავარ დანიშნულებას ეწინააღმდეგება. ჰობსი წერდა: „ადამიანის გონების ნათელს შინაარსიანი სიტყვები წარმოადგენს, რომლებიც წინასწარ განთავისუფლებულია ყოველგვარი ორაზროვნებისაგან ზუსტი დეფინიციების საშუალებით. განსჯა არის ნაბიჯი, ცოდნის ზრდა – გზა, ხოლო კაცობრიობის კეთილდღეობა – მიზანი. მეტაფორები და ორაზროვანი სიტყვები კი, პირიქით, მოციმციმე სინათლის (ცეცხლის) მსგავსია და ამიტომ მათი საშუალებით მსჯელობა ნიშნავს ურიცხვ უაზრობას შორის ხეტიალს. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ მათ მიყვავართ უთანხმოებასა, აღშფოთებასა და ზიზღთან (Гиннс Т. , 1936,62)

ასევე სკეპტიკურად არის განწყობილი და ენის არასრულყოფილების გამოხატულებად მიაჩნია სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ცნობილ ინგლისელ ფილოსოფოსს ჯონ ლოკსაც. მისი აზრით, ლექსემების ასეთი სახით გამოყენება გულისხმობს მცდარი აზრების შთაგონებას, ვნებების აღძვრას და ამით გონების შეცდომაში შეყვანას, რაც სინამდვილეში წმინდა წყლის ტყუილს წარმოადგენს. „უაზრობაა ჩივილი მოტყუების ხელოვნებაზე, თუკი ადამიანები პოულობენ სიამოვნებას იმაში, რომ მოტყუებულები იყვნენ” (Локк Дж. , 1985, 567) .

სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე დგას თანმედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა ი გასეტი. მეტაფორას ის განიხილავს,

როგორც თითქმის ერთადერთ საშუალებას, “დაიჭიროს” და შინაარსობრივად განსაზღვროს აბსტრაქციის მაღალ ხარისხში აყვანილი ობიექტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ მეტაფორა გზას უხსნის ლოგოეპისტემის ცნებით კატეგორიად ჩამოყალიბებას. როგორც ორტეგა ი გასეტი აღნიშნავს, „ჩვენს წარმოდგენებზე გონების შესახებ დამოკიდებულია ჩვენი კონცეფცია სამყაროს თაობაზე, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს ჩვენს მორალს, ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს ხელოვნებას. გამოდის, რომ სამყაროს უზარმაზარი შენობა, რომელიც სიცოცხლითაა აღსავსე, ეფუძნება პაწაწინა და ჰაეროვან სხეულს” (Ortega -и -Гассет Хоце, 1990 ,77).

განსხვავებით ნიცშესაგან, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა მეტაფორის და, საერთოდ, ადამიანური შემეცნების შეასაძლებლობა, გამოიკვეთა მეტაფორის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებაც. ასე, მაგალითად, ერნსტ კასირერი, ნიცშესაგან განსხვავებით, რომელსაც აზროვნების ხერხები მეტაფორამდე დაჰყავდა (აქედან მომდინარეობს მისი სკეპტიკური დამოკიდებულება შემეცნების შესაძლებლობის მიმართ), განასხვავებს მეტაფორული მოღვაწეობის ორ სფეროს: მეტაფორულს (მითო-პოეტურს) და დისკურსიულს (ლოგიკურს). ამ უკანასკნელის გზა კონცეფტისაკენ შეიცავს რიგ თანმიმდევრულ გადასვლას კერძო შემთხვევიდან უფრო და უფრო ფართო კლასებზე. იღებს რა საწყის წერტილად საგნის ამა თუ იმ ემპირიულ თვისებას, აზრი გადაივლის ყოფიერების მთელ სფეროს (აქედან – ტერმინი „დისკურსიული მეტყველება“), სანამ საძიებელი კონცეფტი არ მიაღწევს განსაზღვრულობას. სწორედ ასე ყალიბდება, ე. კასირერის აზრით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცნებები. მათი მიზანია, „შეგრძნებათა რაფსოდია” გადააქციოს კანონთა კრებულად. დისკურსიული აზროვნებისგან განსხვავებით, სამყაროს „მეტაფორულ ათვისებას” (რომელსაც ე. კასირერი მითოლოგიურსა და ენობრივსაც უწოდებს) საწინააღმდეგო მიმართულება გააჩნია: მას დაჰყავს კონცეფტი ერთ წერტილამდე, ერთიან ფოკუსამდე.

როგორც ვხედავთ, მეტაფორის გნოსეოლოგიური პოტენციალის შეფასებისას მეცნიერები განსხვავებულ აზრებს გამოთქვამენ, თუმცა ერთი რამ უდავოა – სკეპტიკურად განწყობილი სპეციალისტებიც კი აღიარებენ მეტაფორის უდიდეს როლს ადამიანის ცხოვრებაში. თვით ისეთ უდიდეს „ანტიმეტაფორისტსაც” კი, როგორცაა ფრიდრიხ ნიცშე, თანგრძნობით მოჰყავს არისტოტელეს შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანი კარგად უნდა დახელოვნდეს

მეტაფორებში. მათი (მეტაფორების) შექმნის უნარი შეუძლებელი, გადაიღო სხვისგან. ეს ნიჭიერების ნიშანია. კარგი მეტაფორის შექმნა ნიშნავს მსგავსების შემჩნევას. (Аристотель , 1983, 14).

ის გაძლიერებული ყურადღება, რომელიც ჩვენ მეტაფორის ცნებას დაეუთმეთ, განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული მოვლენა არა მარტო უშუალო კავშირშია შედარებასთან, არამედ ზოგიერთ (და საკმაოდ ხშირ) შემთხვევაში მეცნიერები მათ გაიგივებასაც ცდილობენ.

მეტაფორასთან დაკავშირებულ კონცეფციებში სამი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: ინტერაქციონისტული, სუბსტიტუციური და შედარებითი. პირველი თვალსაზრისი, რომელიც ჩამოყალიბებულია მაქს ბლეკის მიერ, შვიდ ძირითად მოთხოვნას ეფუძნება: 1. მეტაფორულ მსჯელობას ორი სუბიექტი გააჩნია: მთავარი და დამსწრე; 2. უმეტეს შემთხვევაში უმჯობესია, ეს სუბიექტები განვიხილოთ, როგორც სისტემები და არა როგორც გლობალური ობიექტები; 3. მეტაფორის მექანიზმი მდგომარეობს იმაში, რომ მთავარ სუბიექტს ემატება „ასოცირებულ იმპლიკაციათა სისტემა“, რომელიც დამხმარე სუბიექტთანაა დაკავშირებული; 4. აღნიშნული იმპლიკაციები, ჩვეულებრივ, სხვა არაფერია, თუ არა ზოგადად მიღებული ასოციაციები, რომლებიც მოსაუბრეთა შეგნებაში დაკავშირებულია დამხმარე სუბიექტებთან. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს არასტანდარტული იმპლიკაციებიც, რომლებსაც ad hoc ადგენს ავტორი; 5. იმპლიციტური სახით მეტაფორა შეიცავს ისეთ მსჯელობას მთავარ სუბიექტზე, რომელიც წესით თან სდევს ხოლმე დამხმარე სუბიექტს. ამის მეშვეობით მეტაფორა გამოარჩევს, გამოყოფს და სისტემაში მოჰყავს მთავარი სუბიექტის ცალკეული, სრულიად განსაზღვრული მახასიათებლები და იგნორირებას უკეთებს დანარჩენებს; 6. აღნიშნულ მოქმედებას თან ახლავს ისეთი ძვრები სიტყვათა შინაარსში, რომლებიც მიეკუთვნება იმავე ოჯახს ან სისტემას, რომელსაც – მეტაფორული გამოთქმა .ზოგიერთი ასეთი ძვრა, თუმცა არა ყველა, შესაძლებელია იყოს მეტაფორული გადატანა; 7. არ არსებობს არავითარი რეგლამენტაცია შინაარსობრივი ძვრების აუცილებლობასთან დაკავშირებით, არ არსებობს, აგრეთვე, ზოგადი წესი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა აგვეხსნა, თუ რატომ ხდება, რომ ზოგიერთი მეტაფორა მკვიდრდება და ზოგი – არა (მაქს ბლეკი 1990,168).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მიზნად ისახავს, გადალახოს სუბსტიტუციური მიდგომის „ნაკლოვანებები“, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მაინც

რჩება აღნიშნული თეორიის გავლენის ქვეშ. მოკლედ ჩამოვყალიბოთ სუბსტიტუციური თეორიის არსი. ამ მიმართულების ძირითად პოსტულატად ითვლება ის, რომ მეტაფორული გამოთქმა ყოველთვის ეკვივალენტური პირდაპირი მნიშვნელობით გამოსახული ნათქვამის ნაცვლად გამოიყენება. ამაგდროულად, აღნიშნულ მიმართულებას მიაკუთვნებენ, აგრეთვე, თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი წინადადება, რომელიც მეტაფორას შეიცავს, განიხილება, როგორც სუბსტიტუტი წინადადებისა პირდაპირი მნიშვნელობით.

მოვიყვანოთ მეტაფორის განსაზღვრის მცდელობებს აღნიშნული სკოლის ფარგლებში. ასე, მაგალითად, რ. უეტლი მეტაფორად მიიჩნევს სიტყვას, რომელიც ჩაენაცვლება მეორე სიტყვას მსგავსება-ანალოგიის საფუძველზე, რომლითაც ისინი აღსანიშნს უკავშირდებიან (Wately R ,1846 , 280) .

ოქსფორდის თანამედროვე ლექსიკონში არსებული განმარტების მიხედვით, მეტაფორა არის სამეტყველო ფიგურა, რომელიც განისაზღვრება იმით, რომ სახელი ან დესკრიციული გამონათქვამი გადადის ისეთ ობიექტზე, რომელიც განსხვავდება იმ ობიექტისგან, რომელსაც მიესადაგება ეს გამონათქვამი, თუმცა გარკვეულ ასპექტში მათ შორის ანალოგია არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბსტიტუციური თეორიის მიხედვით, მეტაფორის ფოკუსი მიმართულია იმ მნიშვნელობის გადმოსაცემად, რომლის გადმოცემა პირდაპირი გზითაც შეუძლებელია. ავტორი მას ანაცვლებს, ხოლო მკითხველის ამოცანას უკუშებრუნების ოპერაციის განხორციელება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მეტაფორის გაგებას კოდის გაშიფრვას ან ამოცანის ამოხსნას ადარებენ. სუბსტიტუციურ თეორიას ამაგრებს, აგრეთვე, ის, რომ მეტაფორის საშუალებით ხორციელდება ენობრივი ლაკუნების დაფარვაც, ახალი დასახელებების შემოტანა ან ახალი მნიშვნელობების ჩადება ძველ სიტყვებში (კატაქრეზა). სუბსტიტუციური თეორიის ოპონენტები ეკამათებიან მის მომხრეებს მეტაფორის ლოგიკურ სრულყოფილებასთან დაკავშირებით და მას თავისებურ ენობრივ სამკაულად მიიჩნევენ, რომლის მიზანსაც გართობა და ესთეტიკური სიამოვნების გამოწვევა წარმოადგენს. რ. უეტლის აზრით, მეტაფორის გამოყენება „ნათელი და პირდაპირი გამოსახვის საშუალებიდან გადახრას წარმოადგენს“ (Wately R 1846 , 45) .

ბუნებრივია, რომ მსგავსი თეორია არ უტოვებს ადგილს მეტაფორას ფილოსოფიურ ლიტერატურაში. სუბსტიტუციური თეორია, რომელიც

მეტაფორულ გამონათქვამს განიხილავს, როგორც მისი პირდაპირი მნიშვნელობის ტრანსფორმაციას, წარმოადგენს კერძო შემთხვევას სახითი მეტყველების ზოგადი თეორიისა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სამეტყველო ფიგურა, რომელიც სემანტიკურ ცვლილებას განიცდის, პირდაპირი მნიშვნელობის ტრანსფორმაციის შედეგია. ასე, მაგალითად, ირონიის შემთხვევაში ავტორი ამბობს იმის საწინააღმდეგოს, რასაც გულსხმობს. ჰიპერბოლის შემთხვევაში აზვიადებს მის მნიშვნელობას და ა.შ. რაც შეეხება ტრანსფორმაციის ხასიათს, აღნიშნული თეორიის (რომელსაც შედარებითს უწოდებენ) მომხრეები მის საფუძვლად ანალოგიას ან მსგავსებას მიიჩნევენ. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თუკი ერთ-ერთი გამონათქვამი თავისი მნიშვნელობით ეკვივალენტურია მეორისა, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოხატული, მკითხველს (რომელიც ჩასწვდა აღნიშნული ანალოგიის ან მსგავსების არსს) შესაბამისი კონტექსტის მეშვეობით სრულიად არ გაუჭირდება ავტორის საწინააღმდეგო მიმართულებით წასვლა და თავდაპირველი პირდაპირი მნიშვნელობის აღდგენა. მეტაფორის შედარებითი თეორიის მიმდევრები მეტაფორას განიხილავენ, როგორც ელიფსურ ანუ შეკუმშულ შედარებას. ამ თეორიის მიხედვით, მეტაფორული გამონათქვამი, შესაძლებელია, შეიცვალოს ეკვივალენტური შედარებით. აღნიშნული თვალსაზრისი, გარკვეულწილად, შეიძლება მეტაფორის სუბსტიტუციური თეორიის ნაირსახეობად მივიჩნიოთ. საინტერესო აზრს მეტაფორისა და შედარების შესახებ რ. უეტლი შემდეგნაირად გამოთქვამს:

„შედარება მეტაფორისგან მხოლოდ ფორმითაა განსხვავებული: შედარების შემთხვევაში მსგავსებას მტკიცებითი ხასითი აქვს, ხოლო მეტაფორის შემთხვევაში მსგავსება იგულისხმება“. (Wately R , 1846, 61). მსგავს პოზიციაზე დგას ა. ბენიც, რომლის მიხედვითაც მეტაფორა წარმოადგენს შედარებას, რომელიც იმპლიციტურად თვით სიტყვის ან გამონათქვამის გამოყენებით. როდესაც ჩვენ განვიხილავთ მეტაფორის თავისებურებებს – მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ჩვენ შეზღუდულები ვართ სიტყვის ან, საუკეთესო შემთხვევაში, შესიტყვების ფარგლებით” (Bain A. 1887,156).

მსგავსება მეტაფორასა და შედარებას შორის, რომელიც საფუძველი გახდა, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი იდენტიფიკაციის მცდელობისა, სრულიადაც არ ნიშნავს მათ იგივეობრიობას. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები გააჩნიათ შედარებასა და მეტაფორას და რაში ვლინდება მათი სპეციფიკა?

მეტაფორის ტრადიციული თეორია მეტაფორის წარმოშობის სხვადასხვა ხერხს გამოყოფდა და მეტაფორაში გულისხმობდა თავისებურ ენობრივ საშუალებას, კონტექსტური ძვრებისა და სიტყვების ჩანაცვლების შედეგს, რომელიც, ამავდროულად, ეფუძნება იდეების ურთიერთქმედებასა და კონკრეტულ ცვლას. მეტაფორულია თვით აზრი, რომელიც შედარების გზით ვითარდება და მის ბაზაზე ფორმირდება თვით მეტაფორა. აივორ რიჩარდსის აღნიშნული მოსაზრება ძალზე ნათლად მიუთითებს განსახილველი ცნებების ურთიერთკავშირს. მეტაფორასთან კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს ამუღავნებს ხატოვანი შედარება. კომპარატიული ელემენტების „როგორც“, „თითქოს“, „მსგავსად“, „წააგავს“ და ა.შ. შეკვეცა ხშირ შემთხვევაში მეტაფორის შექმნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად განიხილება. ნ. არუთინოვას აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსგავსების წინადადების: Эта девочка похожа на куклу = Эта девочка _ как кукла = Эта девочка _ настоящая кукла იგივეობრიობის წინადადებად გადაქმნასთან. შესაბამისად, ფორმალური და სემანტიკური განსხვავება მეტაფორასა და ხატოვან შედარებას შორის აღნიშნულ ლოგიკურ მიმართებებს შორის არსებულ სხვაობას უკავშირდება (Арутюнова Н.Д., 1998, 27). სხვაობა ამ მოვლენათა შორის ვლინდება, აგრეთვე, იმაში, რომ შედარება მიუთითებს ერთი ობიექტის მეორესთან მსგავსებას, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელი მუდმივს თუ დროებითს, ჭეშმარიტს თუ წარმოსახვითს, რომელიმე ცალკეული ასპექტით განსაზღვრულს თუ გლობალურ თვისებას, მაშინ, როდესაც მეტაფორა გამოხატავს მყარ მსგავსებას, რომელიც ხსნის საგნის არსს და მის კონსტანტურ თვისებას წარმოადგენს. ამიტომაც, რომ მეტაფორული გამონათქვამებისთვის არ არის ტიპური ადგილისა და დროის გარემოების გამოყენება. არ ამბობენ „შენ ახლა დათვი ხარ“, ან „წინა კვირას ის იყო კურდღელი ტყეში“. საწინააღმდეგოდ ამისა, დროითი ან ლოკალური შეზღუდვა სრულიად ბუნებრივია შედარებითი კონსტრუქციისათვის: „იმ წუთში ის გამძვინვარებულ ვეფხვს წააგავდა“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ელიფსურ თეორიას უჭერს მხარს, რომლის მიხედვითაც მეტაფორა შეკუმშული შედარებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის დონალდ დევიდსონის მოსაზრებები, რომელიც ორ ძირითად სირთულეზე ამახვილებს ყურადღებას. პირველ შემთხვევას ის შემდეგ გარემოებას უკავშირებს: თუ მეტაფორა ელიფსურ შედარებას წარმოადგენს, მაშინ ის

ექსპლიციტურად გვეუბნება იმას, რასაც გვეუბნება შედარება, ვინაიდან ელიფსი შეკუმშვის ფორმაა და არა პერიფრაზის ან მინიშნებისა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში მეტაფორული შეტყობინების არსი სცილდება შესაბამისი შედარებით გამოხატული გამონათქვამის შინაარსობრივ ფარგლებს. შედარება პირდაპირ ამბობს სათქმელს, უბრალოდ აფიქსირებს მას. შედარება ამბობს, რომ არსებობს მსგავსება და გვიტოვებს შესაძლებლობას, თვითონ ვიპოვოთ საერთო ნიშანი ან ნიშნები. მეტაფორა ექსპლიციტურად არ ამტკიცებს მსგავსებას, მაგრამ, თუ ჩვენთვის ნათელია, რომ საქმე მეტაფორასთან გვაქვს, მაშინ აუცილებელი ხდება ამ საერთო ნიშნების მოძიება. ამავედროულად, სრულიად არ არის აუცილებელი სწორედ ის ნიშნები მოვიძიოთ, რასაც შესაბამისი შედარება გულისხმობს. შედარება ხმამაღლა გვამცნობს მსგავსების შესახებ და ამიტომ აქ გაცილებით რთულია, მეტაფორისგან განსხვავებით, რაიმე სხვა მნიშვნელობის არსებობა. შედარების შემთხვევაში ჩვენ აღვნიშნავთ, რომ აღვიღოთ აქვს პირდაპირ გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ორი საგანი ერთმანეთს ჰგავს. შემდეგ ჩვენ განვიხილავთ მათ და ვადგენთ, თუ რომელი სახის მსგავსება შეესაბამება მოცემულ კონტექსტს. ენობრივი მნიშვნელობის კონცეფტი უნდა ხსნიდეს, თუ რა შეიძლება იქნას გამოხატული სიტყვების მეშვეობით, მაგრამ შედარების სავარაუდო ხატოვანი მნიშვნელობა, ფაქტობრივად, ვერაფერს ხსნის: ის არ წარმოადგენს სიტყვის დახასიათებას, რომელიც თავდაპირველად და კონტექსტისგან დამოუკიდებლად გააჩნია და არ ეფუძნება არც ერთ ლინგვისტურ ტრადიციას, გარდა იმისა, რომელსაც საქმე აქვს ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან. აღნიშნული მიმართება უშუალო კავშირშია იმ მეორე სირთულესთან, რომელსაც დონალდ დევიდსონი ეხება. ეს არის განსახილველი კონცეფტების დამოკიდებულება ჭეშმარიტების ცნებასთან. როგორც ცნობილია, ყველაზე თვალშისაცემი სხვაობა მეტაფორასა და შედარებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ შედარებები ჭეშმარიტია, ხოლო მეტაფორათა უმრავლესობა – მცდარი. „დედამიწა ნამდვილად წააგავს ბურთს ან ბადროს,” „ასირიელები მგლების მსგავსად შექვრნენ ქვაბულში”. მაგრამ, თუკი შევეცდებით, აღვნიშნოთ შედარებები მეტაფორებით შევცვალოთ, მაშინვე მივიღებთ არაჭეშმარიტ გამონათქვამებს: დედამიწა ჰგავს ბურთს ან ბადროს, მაგრამ არ არის, მწერალი ტოლსტოი ჰგავდა ბავშვს, მაგრამ არ იყო ბავშვი. ხშირად მხოლოდ მაშინ, როდესაც წინადადება ჩვენ მიერ აღიქმება როგორც არაჭეშმარიტი, ჩვენ მას მეტაფორის სტატუსს ვანიჭებთ და სიღრმისეული

იმპლიკაციების მოძიებას ვცდილობთ. სწორედ ამიტომ მიიჩნევს დონალდ დევიდსონი უდავოდ იმ ფაქტს, რომ მეტაფორული გამონათქვამების უმრავლესობა არაჭეშმარიტია, ხოლო, რაც შეეხება შედარებებს, ავტორის აზრით, ისინი ტრივიალურად ჭეშმარიტია. მეტაფორის აშკარა მცდარობა თავისებურ ნორმას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დ. დევიდსონი მიიჩნევს, რომ ვერც თეორეტიკოსი, რომელიც ცდილობს მეტაფორის ახსნას მასში ჩადებული დაფარული მნიშვნელობის მოძიების გზით და ვერც კრიტიკოსი, რომელიც ცდილობს ექსპლიციტურად გამოხატოს ეს შინაარსი, ვერ აცნობიერებენ არჩეული გზის მცდარობას, ვინაიდან შეუძლებელია აღნიშნული მეთოდებით პრობლემის გადაჭრა. მეორე მხრივ, ავტორს დასაშვებად მიაჩნია მეტაფორის ახსნისა და ინტერპრეტაციის მცდელობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენ შეიძლება ვერ შევამჩნიოთ მეტაფორაში ის, რაც შეუმჩნეველი არ დარჩება უფრო განათლებულ და დაკვირვებულ მკითხველს. უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსი თავისებურ კონკურენციას უწევს მეტაფორის ავტორს. იგი ცდილობს, თავისი ვერსია უფრო გამჭვირვალე გახადოს და, ამავდროულად, ადამიანებში გამოიწვიოს იმის მსგავსი შეგრძობა, რომელიც მათზე ორიგინალმა მოახდინა.

ამ ამოცანის განხორციელებისას კრიტიკოსი ერთდროულად მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას მეტაფორის სილამაზეს, სიზუსტეს და მასში დაფარულ თავისებურ და განუმეორებელ ძალას (Девидсон Д., 1990, 190-192).

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ მოგვეყვანა მეტაფორისა და შედარების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებული ყველაზე ავტორიტეტული მოსაზრებები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, საკვლევი ობიექტის სპეციფიკა დაგვეზუსტებინა. სამეტყველო ფიგურებთან შეპირისპირებამ გვაჩვენა, რომ შედარებას აღნიშნულ მოვლენებთან აერთიანებს გადატანითი მნიშვნელობის ინტეგრალური სემა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ტროპში “გადატანითობის” ხარისხი სხვადასხვაგვარია. სხვებთან შედარებით, ეს თვისება მინიმალურია საკვლევი ობიექტში, ვინაიდან ტრანსფორმაციის პროცესი, ფაქტობრივად, ზედაპირზეა და არ საჭიროებს არავითარ ტვინის ჭყლეტას. შედარება წარმოადგენს ორი ობიექტის თავისებურ ინტერაქციას, რომლის პროცესშიც ადგილი აქვს ერთ-ერთი კომპონენტის დახასიათებას მეორის ამა თუ იმ ნიშნის საფუძველზე. სხვა სამეტყველო ფიგურებისგან განსხვავებით, შედარებას შესაბამისი გრამატიკული მარკერები შეიძლება გააჩნდეს. ამ

თვალსაზრისით აღნიშნული მოვლენა სცდება მხატვრული ხერხის, სამეტყველო ფიგურების მნიშვნელობის ფარგლებს და პრეტენზიას აცხადებს ენობრივი სისტემის კომპონენტობაზე. სპეციფიკურია რეფერირების შედარებისეული მექანიზმი. განსხვავებით ისეთი სამეტყველო ფიგურებისგან, როგორებიცაა მეტაფორა, ირონია, ალეგორია, პარაფრაზი და სხვა, შედარება შეიძლება ჭეშმარიტების შკალაზე შეფასდეს დადებითი ნიშნით. ის კონსტატაციას ახდენს, რომ ესა თუ ის მოვლენა ჰგავს მეორეს, რაც ძალზე ადვილად შეიძლება დადასტურდეს. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ შედარებას განსაკუთრებული ბუნება გააჩნია, რაც შესაბამის კვლევის მეთოდოლოგიას მოითხოვს. ვიდრე შედარების ენობრივ სტატუსზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევაჯამოთ ზემოთ თქმული:

1. ენისა და კულტურის პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვარწმუნებს, რომ შედარება ორ ძირითად ასპექტში განიხილება – როგორც გარკვეული შემეცნებითი ოპერაცია და როგორც თავისებური სამეტყველო ფიგურა. პირველ შემთხვევაში აქცენტირებულია მოვლენის გნოსეოლოგიური პოტენციალი და ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული პროცედურის გამოყენების რეგლამენტაციაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში წინა პლანზე წამოწეულია შედარების ესთეტიკური პოტენციალი.

2. აღნიშნულ შეხედულებათა სინთეზირება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეული სახის შემეცნებით ოპერაციასთან, რაც ერთ შემთხვევაში წმინდა ლოგიკური, ხოლო მეორეში ლოგიკურ-ესთეტიკური გზით ხორციელდება.

3 შედარების, როგორც სამეტყველო ფიგურის სპეციფიკა მის ენობრივ პოტენციალში და თავისებურ რეფერენციაში ვლინდება, რაც განასხვავებს მას სხვა სამეტყველო ფიგურებისგან.

ექსკურსმა მომიჯნავე სფეროებში დაგვარწმუნა, რომ შედარების, როგორც მეცნიერული ფენომენის განსაზღვრა წარმოუდგენელია მისი ენობრივი სტატუსის განსაზღვრის გარეშე. შევეცადოთ შევიმუშავოთ შედარების ლინგვისტური ანალიზის მექანიზმი.

§4 მეარი ენობრივი შედარების ენობრივი მარკირება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედარებას სპეციალური ენობრივი მარკიორები გააჩნია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, ვისაუბროთ მისი ლინგვისტური კვალიფიკაციის აუცილებლობაზე. ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მიგვითითებს შედარების გამოსატვის სხვადასხვა საშუალებაზე, რომელთაგანაც წამყვანი როლი ეკისრება შესაბამის გრამატიკულ კავშირებს: “როგორც”, “მსგავსად”, “თითქოს”, “ვითარცა”, “ისევე როგორც” და მსგავსების თანდებულებს: „ვით“, „ებრ“. საუბარია, აგრეთვე, ვითარებითი ბრუნვის განსაკუთრებულ როლზეც (გ.ფშაველა: „შორს მოსჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდედავითა“). თუმცა მიგვაჩნია, რომ შედარების მნიშვნელობას თანდებული “ვით” გამოხატავს და არა ვითარებითი ბრუნვა. გამოთქმულია, აგრეთვე, მოსაზრება, რომ მიმართების გამომხატველ ზმნიზედებს „მეტად“, „ნაკლებად“ და ა.შ. შედარების წარმოება შეუძლიათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ლექსემები აღნიშნულ მნიშვნელობას მხოლოდ კავშირ “ვიდრესთან” კომბინაციაში (რომელსაც შედარებითი მნიშვნელობის სემა გააჩნია) იძენენ.

მყარი ენობრივი შედარებები ასევე ფორმალისებურია რუსულსა და ინგლისურ ენებშიც. როგორც ცნობილია რუსულში ეს არის კონსტრუქცია ფორმანტებით «как», «словно» და როგორც ლ.ლებედევა აღნიშნავს «конструкции с творительным сравнения (*стоять столбом, извиваться ужом, губы сердечком, свернуться калачиком*), с формами сравнительной степени прилагательных (*лицо мрачнее тучи, платок белее снега, задача проще пареной репы*) со сложными прилагательными, включающими в себя элементы – подобный и образный (*громopodobный голос, дугообразные брови*), с лексическими элементами похож, походить на кого-, что-либо, подобный кому-, чему-либо и др. (*она похожа на мокрую курицу, он подобен флюгеру*) и, наконец, с оборотами, вводимыми сравнительными союзами (*он хитер как лиса, дома растут как грибы после дождя, в комнате темно как в погребе*) (Лебедева Л.А., 2003, 3).

უფრო მარტივადაა საქმე ინგლისურ ენაში, სადაც თავისებური უნიფიკაცია მოხდა და შედარების გამოსატვის უზურპაცია თითქმის ერთპიროვნულად ფორმანტმა “like”-მა და “as”-მა მიისაკუთრეს, რომელთაც პერიოდულად, შეიძლება “than”, ან “as if “ ჩაენაცვლოს აღნიშნული ფუნქციით. (შეად. - “A simile is a figure of speech that directly compares two different things, usually by employing the words "like", "as", or "than"), (W ilstach F.G.).

შედარების ძირითად ფორმანტებად ინგლისურში შეიძლება აღნიშნულ ფორმანტებიანი კონსტრუქციები მოგვევლინოს, თუმცა შედარების გამოხატვის თავისებურ ნაისახეობად ზოგიერთი ზედსართავის ხარისხის ფორმებსაც მიიჩნევს, მაგრამ ასეთი პოზიცია გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. ისეთი ფორმები, როგორებიცაა, მაგალითად, მოთეთრო და უთეთრესი, თავის თვისებას შიდაკატეგორიულ ოპოზიციაში ამჟღავნებენ და არ ქმნიან შედარებას, როგორც სამეტყველო ფიგურას. შესაბამისი სურათი გვაქვს ინგლისურშიც სადაც “degrees of comparison” არ წარმოადგენენ შედარების, როგორც სამეტყველო ფიგურის, მარკორებს. შიდაკატეგორიული ოპოზიცია გამოხატავს ამა თუ იმ თვისების ტრადიციას და საერთო არაფერი აქვს სამეტყველო ფიგურებთან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ფორმანტების საშუალებით სხვადასხვა შედარების შექმნა, ახალი წარმონაქმნების ღირებულება, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ზოგი შედარება დიდი პოპულარობით სარგებლობს, ზოგი, შესაძლებელია, სრულიად მიუღებლად იქნეს მიჩნეული, ხოლო ზოგი მხოლოდ კონტექსტუალურად იყოს გამართლებული. ლინგვისტიკის ისეთმა დარგმა, რომელსაც ფრაზეოლოგია ჰქვია, ყურადღება მიაქცია მოვლენათა ისეთ ჯგუფს, რომელსაც რეგულარული ხასიათი ჰქონდა და რომელიც შესაბამისი სამეტყველო ფიგურეს – შედარების სახით იყო წარმოდგენილი. თუ გადავხედავთ ფრაზეოლოგიურ ლექსიკოგრაფიას, ადვილად შევამჩნევთ, რომ აღნიშნული ტიპის ლექსიკონებში გარკვეული ადგილი აქვთ მიჩნეული კლიშირებულ შედარებებს. მათი აღწარმოებადობა, ანუ განმეორებადობა, საკმაოდ სერიოზულ არგუმენტს წარმოადგენს მყარი შედარებების ფრაზეოლოგიურ სისტემაში მოსათავსებლად. სახეზეა ყველა პარამეტრიც, რომლითაც ფრაზეოლოგიზმი განისაზღვრება: შემადგენელი კომპონენტების სემანტიკური შერწყმა, ტროპული ბუნება, ფორმის სტაბილურობა და მზა ფორმით ფუნქციონირება, რაც იმის საფუძველს წარმოადგენს, დაისვას საკითხი მყარი შედარების ენობრივი სტატუსის შესახებ. ბუნებრივია, ეს არ ეხება ისეთ შედარებებს, რომელთაც მხოლოდ ერთჯერადი და კონტექსტუალურად გამართლებული გამოყენება აქვთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია მათ ენობრივი სტატუსი მივანიჭოთ, ვინაიდან ერთჯერადობა პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლის საფუძველზეც ხდება ფრაზეოლოგიზმების გამოყოფა-გამეორებადობა-აღწარმოებადობა. აქედან გამომდინარე, ენობრივ ანუ მყარ შედარებად ჩვენ მივიჩნევთ ისეთ შედარებას,

რომელსაც აქვს ფრეზოლოგიზმისთვის დამახასიათებელი მყარი სტრუქტურული ორგანიზაცია, შემადგენელი კომპონენტების რეგულარული ხასიათი და რომელიც აღწარმოებადობით ხასიათდება. ამის საპირისპიროდ, არსებობს შედარების განსხვავებული ტიპი, რომელიც შემადგენელი კომპონენტების ვარიანტულობით ხასიათდება და რომელიც შედარებისთვის დამახასიათებელი სპეციალური ფორმანტების სახით მარკირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი შედარების შექმნისას ვიყენებთ არა ენაში არსებულ მზა ფორმას, არამედ ვახორციელებთ გარკვეული სახის შემოქმედებით აქტს, რომლის დროსაც მოვლენათა გარკვეული სახით დაკავშირება (შედარება) ხორციელდება და რომლის დროსაც ავტორის ფანტაზია თავისუფალია და არ არის დეტერმინებული მზა სტერეოტიპით.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება შედარების ლინგვისტური ანალიზის პროცესში. პირველი მიმართულება შეისწავლის აღნიშნულ მოვლენას ფრაზეოლოგიური სისტემის ფარგლებში და ორიენტირებულია შედარების მყარ ფორმაზე. მეორე შესაძლებელ მიმართულებად, შესაძლებელია, შედარების ენობრივი მარკირების და მათი ტექსტობრივი აქტუალიზაციის პროცესის შესწავლა ვივარაუდოთ. ბუნებრივია, ორივე მიდგომას აქვს თავისი პერსპექტივა და თავისი ევრისტიკული პოტენციალი, მაგრამ წინამდებარე ნაშრომისთვის უფრო აქტუალურს პირველი მიმართულება წარმოადგენს. ენობრივი, ანუ მყარი შედარება არა მარტო ენის ფრაზეოლოგიური ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, არამედ, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, წარმოადგენს თავისებურ კულტუროლოგიურ ნიშანს, რომლის საშუალებითაც ინტრაკულტურული ხედვის სპეციფიკაც შეიძლება დადგინდეს. რაც შეეხება მეორე მიდგომას, მის პერსპექტივას ტიპოლოგიურ კვლევასთან მიმართებაში ვხედავთ, რაც საშუალებას მოგვცემს, შედარების ფენომენის უნივერსალური ბუნება გავარკვიოთ. ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ, განგვესაზღვრა ის სფერო, რომელიც შედარების ფენომენის ლინგვისტური ანალიზისთვის ყველაზე შესაფერი იქნებოდა და ასეთად ფრაზეოლოგია მივიჩნიეთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ამ სფეროთი არ განისაზღვრება შედარების ლინგვისტური კვლევის არეალი, ვინაიდან შედარების მრავალი ნაირსახეობა არ წარმოადგენს მყარ შესიტყვებას და, შესაბამისად, მათი ანალიზის სფერო სცდება ფრაზეოლოგიის ფარგლებს. ასეთი შედარებები, მიუხედავად მათი

შემადგენელი ლექსიკური კომპონენტების ვარიაციულობისა, შესაბამის მარკორებს ეყრდნობიან და მათთან კომბინაციაში ქმნიან შედარებით მნიშვნელობებს. უნდა აღინიშნოს, რომ მყარი ენობრივი და ვარიაციულკომპონენტიანი შედარებები, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა. განსხვავებას ქმნის მხოლოდ სტრუქტურის ლექსიკური არანუიერება, რაც ერთ შემთხვევაში მყარი შესიტყვებითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორეში – ცვლადი ლექსიკური კომპონენტებით. განსხვავებულია აღნიშნული ტიპის შედარებების კულტუროლოგიური პოტენციალიც, რამაც, გარკვეულწილად, განსაზღვრა ჩვენი ინტერესი სწორედ მყარი ენობრივი შედარებების მიმართ. ჩვენ თავიდანვე აპრიორულად მივიჩნევდით დებულებას იმის შესახებ, რომ თავისი მნიშვნელობით მყარი ენობრივი შედარება ენობრივი იერარქიის ფარგლებით არ განისაზღვრებოდა. ამის დასამტკიცებლად შევეცადეთ, აღნიშნული მოვლენა უფრო ფართო კონტექსტში განგვეხილა, ვინაიდან აღწარმოებადი ელემენტების გამოყენება ენობრივთან ერთად კულტურული კომპეტენციის არსებობას გულისხმობს. სანამ აღნიშნული დებულებების დასაბუთებას შევუდგებოდეთ, რასაც შემდეგი თავი ეძღვნება, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ აღნიშნული თავის დასკვნები:

1. ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულების ფარგლებში ხორციელდება კომპლექსური ინტერსტრატული ერთეულების შემოტანა, რომლებიც შინაარსობრივ პლანში დაკავშირებულნი არიან როგორც ენობრივ მნიშვნელობასთან, ასევე, კულტურულ შინაარსთან. კომპლექსური ლინგვოკულტუროლოგიური ერთეულის სამი შესაძლო დეფინიციიდან, ჩვენი ემპირიული მასალიდან გამომდინარე, უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინ „ლოგოპისტემას“, რომელიც ენისა და კულტურის კორელაციის გარდა, ხაზს უსვამს ცოდნის რეპრეზენტაციის ფაქტორს.

2. ლოგოპისტემის ტიპობრივ ნაირსახეობას წარმოადგენს კომპარატული ლოგოპისტემა ანუ მყარი ენობრივი შედარება. ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, ის წარმოადგენს სამეტყველო ფიგურას, დაფუძნებულს ლოგიკურ ოპერაციაზე, რომლის დროსაც ხდება საგნებისა და მოვლენების შეფარდება-შეპირისპირება მსგავს ნიშან-თვისებათა ერთიდან მეორეზე გადატანის საფუძველზე და რომელიც მანიფესტირდება შესაბამისი ენობრივი მარკორების სახით.

3. შედარების, როგორც შემეცნებითი ოპერაციის, განხილვა, მეორე მხრივ კი, მისი სამეტყველო ფიგურასთან დაპირისპირება ნათლად წარმოაჩენს აღნიშნული ფენომენის დიდ „კულტუროგენულ“ პოტენციალს, რაც ვლინდება ნებისმიერი ენის ცნებითი აპარატის ჩამოყალიბებაში შეტანილ წვლილში და, აგრეთვე, სამყაროს ემოციური წვდომის სრულყოფაში.

4. შედარების ლინგვისტური ბუნების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ფრაზეოლოგიზაციის ხარისხს, რომლის მიხედვითაც უნდა გაიმიჯნოს მყარი ენობრივი შედარებანი და ინდივიდუალურ-ავტორისეული შედარებანი. თუ პირველის ანალიზის სფეროდ ფრაზოლოგია უნდა ვივარაუდოთ, მეორე ლექსიკურ სემანტიკასა და გამონათქვამის თეორიას უნდა მივაკუთვნოთ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვენი ინტერსების სფერო მყარ ენობრივ შედარებებს უკავშირდება, რაც განპირობებულია აღნიშნული მოვლენის ადგილით ამა თუ იმ კულტურაში. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ ფრაზეოლოგიის სფერო ის სფეროა, სადაც ყველაზე მეტად ვლინდება ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა. უკვე მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ თარგმანის თეორია ყველაზე რთულ სფეროდ ფრაზეოლოგიას მიიჩნევს. ამ სირთულის სათავეები სწორედ ამ სფეროს სპეციფიკაში მდგომარეობს, რაც სპეციალურ ანალიზს მოითხოვს.

თავი 3

თავი 3. ადამიანი სამყაროს ეთნოენობრივ ხატში” (უნივერსალური პორტრეტი და მისი ნაციონალურ-სპეციფიკური ვარიანტები) . მყარი ენობრივი შედარებები როგორც კონცეფტ “ადამიანის” ეთნოენობრივი ინტერპრეტაციის ემპირიული ბაზა

ადამიანის შესახებ ინფორმაციის წყაროები საკმაოდ მრავალფეროვანია. ესაა ანტროპოცენტრიზმზე ორიენტირებული მეცნიერებები , ესაა წინა თაობების გამოცდილება , ესაა ჩვენი უშუალო დაკვირვებები . მიუხედავად სარწმუნოების სხვადასხვა ხარისხისა , მათ გააჩნიათ ინტერესის საერთო ობიექტი , რომელიც არაერთგვაროვან მიმართებაშია მათ მიზნობრივ პროგრამებთან . ბუნებრივია

განსხვავებულია კვლევის ობიექტის შესახებ ინფორმაციის მიღების მეთოდოლოგია , რომელიც დაკავშირებულია ინტერესთა შესაბამის სფეროსთან. ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს ინტერესთა კერძო სფერო , რომელიც არ არის სამყაროს ენობრივი სურათის ასახვასთან და ეთნოსის ენობრივ ცნობიერებასთან დაკავშირებული . ჩვენ გვაინტერესებს ეთნოენობრივი სტერეოტიპები , რომელიც შეიცავენ ინფორმაციას ადამიანის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს , რომ კომპარატიული სტერეოტიპები დაკავშირებული არიან “ადამიანის ყველა რელევანტურ მახასიათებელთან,ჩვენი ვარაუდით შესაძლებელია აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით მივიღოთ ეთნოენობრივი აქსიოლოგიური შკალა,რომელიც საშუალებას მოგვცემს აღნიშნული ფენომენი კულტურის სიბრტყეში განვიხილოთ. სხენებული ამოცანა გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობის გამოვლენას,რომლებიც “ადამიანის “ ფენომენს განსაზღვრავენ. ამგვარი მიდგომისას ადამიანი წარმოდგენილია როგორც თავისებური სისტემა,რომლის აღწერაც გულისხმობს როგორც მის მაკონსტრუირებელ ელემენტებს და მათ კავშირებს სტრუქტურის ფარგლებში,ასევე ამ სისტემის ფუნქციონირების თავისებურების გამოვლენას სიცოცხლის პროცესში . კონცეფტ “ადამიანთან” დაკავშირებულ კომპარატიულ ლოგოეპისტემებს ანუ მყარ ენობრივ შედარებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სამყაროს შესახებ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის სისტემატიზაციაში. როგორც პროფ. ნ.შვედოვა აღნიშნავს ,ადამიანი სახელდების მთელ სისტემაში წარმოგვიდგება როგორც პიროვნება,რომელსაც შესაბამისი დანიშნულების ენობრივი საშუალებებით შეუძლია შეადაროს და დააკავშიროს სიგნიფიკატები , მოახდინოს მათი კლასიფიკაცია და შეაფასოს დენოტატი» (Шведова Н.Ю., 1988, 14).

ანტროპოცენტრიზმის , როგორც კვლევის განსაკუთრებული პრინციპის ,სპეციფიკა მდგომარეობს იმაში , რომ კვლევის ობიექტები შეისწავლება ადამიანის სასიცოცხლო მოღვაწეობაში მათი როლისა და დანიშნულების მიხედვით ადამიანის პიროვნების განვითარებისა და სრულყოფის პროცესში. ადამიანი ხდება ამა თუ იმ მოვლენათა ათვლის წერტილი , ის ჩართულია ანალიზში და განსაზღვრავს მის პერსპექტივებსა და საბოლოო მიზნებს .” (Курьякова Е.С., 1995, 51). კონცეფტოსფერო “ადამიანი” ამ უკანასკნელს განსხვავებული პოზიციებიდან განიხილავს -სხვა ადამიანებთან ,რეალური სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან ,საზოგადოებასა და მის ინსტიტუტებთან

პიროვნების ინტელექტუალურ და პრაქტიკულ საქმიანობასთან და ა.შ. მიმართებაში ადამიანი ხასიათდება ფიზიკური და ფსიქიკური ,ეთიკური და ესთეტიკური მახასიათებლების მიხედვითაც. როგორც ცნობილია ,ადამიანი არის ცოცხალი სისტემა,რომელიც ფიზიკურისა და სულიერის,ბუნებრივისა და სოციალურის ,მემკვიდრეობით მიღებულისა და და ცხოვრებაში შექმნილის ერთიანობას წარმოადგენს .სამყაროს სურათის ფორმირებისას ადამიანის ფსიქიკური მოღვაწეობის ყველა მხარე იღებს მონაწილეობას - შეგრძნებებითა და წარმოდგენებით დაწყებული , აზროვნებითა და თვითშემეცნებით დამთავრებული. ადამიანი გვევლინება როგორც ბიოლოგიური, ინტელექტუალური ,სულიერი და სოციალური პიროვნება . ადამიანი შეიგრძნობს სამყაროს , აცნობიერებს მას, აძლევს გარკვეულ ინტერპრეტაციას, ასახავს მას ,ქმნის შესაძლო სამყაროებს და ა.შ.

კონცეფტოსფერო “ადამიანის “ სტრუქტურირება ეფუძნება შიდასისტემურ კავშირებს .რომლებიც ასახავენ ადამიანის არსებობის სხვადასხვა მხარეს : ფიზიკური არსებობა , ინტელექტუალური მოღვაწეობა,სულიერი მოღვაწეობა და სოციალური საქმიანობა. .საკვლევი მასალის ინტერპრეტაცია ხდება ოთხი ველის ფარგლებში:

- : 1 ველი -“ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება “
- 2 ველი -“ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება”
- 3 ველი -“ადამიანი როგორც სულიერი არსება”.
- 4 ველი -“ადამიანი როგორც სოციალური არსება.

კონცეფტოსფერო “ადამიანი” შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილის სახით,რომელიც შესაბამისი ველების საშუალებით ასახავს საკვლევი ფენომენის სხვადასხვა მხარეს.


კონცეფტოსფერო “ადამიანი “

1.ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება ↓	ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება ↓	ადამიანი როგორც ↓ სულიერი არსება
---	--	--

ადამიანის გარეგნული	ინტელექტუალური მახასიათებლები	მორალური თვისებები	ფსიქიკურ- ფსიქოლოგიური
------------------------	----------------------------------	-----------------------	---------------------------

მხარე თვისებები	და	და თვისებები	მასხასიათებლები
--------------------	----	--------------	-----------------

გარეგნული მიმზიდველობა	გარეგნული არამიმზიდველობა	გამსახვებელი თვისებები	სააზროვნო აქტივობის შეფასება	აზროვნების უნარი	ადამიანის თვისებები სააზროვნო აქტივობის	დადებითი ნიშან -თვისებები	უაყოფიეთი ნიშან-თვისებები	სიტუაციით გარემოებებით	და
------------------------	------------------------------	------------------------	------------------------------------	------------------	--	---------------------------	---------------------------	---------------------------	----



პირველი მიკროველი “ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება “ ასახავს ბიო-ფიზიოლოგიურ ანუ ბუნებრივ ნიშან -თვისებათა ერთობლიობას.ადამიანის გარეგნობის აღწერა გულისხმობს სტატიკური ანატომიური დეტალებისა და გარეგნული ნიშნების ფიქსაციას, რომლებიც პიროვნებას გამოარჩევენ. ამ ველის კოგნიტური მოდელი ეფუძნება მხედველობით აღქმას,რაც ადასტურებს თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორიების მონაცემებს,რომელთა მიხედვით სენსორული მონაცემების 80%-ზე მეტი მხედველობის ორგანოებზე მოდის.

აღნიშნული ველი სისტემურად ასახავს ადამიანის გარეგნულ თვისებებს, მის ფიზიკურ თავისებურებებს.

მეორე მიკროველი - “ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება” – საკვლევ ფენომენს ინტელექტუალურ მოღვაწეობასთან მიმართებაში განიხილავს, რომელიც უკავშირდება ადამიანის ლაპარაკისა და გაგების სამყაროს ხედვისა და აღქმის, მოქმედებების დაგეგმვის, ფანტაზირებისა და განსჯის და ა.შ. უნარს. იმ ძირითად სისტემებზე საუბრისას, რომლისგანაც “იქმნება” ადამიანი, ინტელექტის სფეროში გამოყოფენ ისეთ ქვესისტემებს, როგორცაა, ცოდნა, რწმენა, გაგება, მეხსიერება და სხვა, რომელითაც სპეციალური ორგანოები “ემსახურებიან” (Апресян Ю.Д., 1996, 48).

სამყაროს შეცნობისა და გარდაქმნის პროცესი შეუძლებელია საკუთარი მოქმედებების, საქციელის, აზრების გაცნობიერების გარეშე. შეგნებული მოქმედებები, რომლებიც ადამიანის ქცევის ძირითად მოტივს წარმოადგენენ, მჭიდროდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ისევე როგორც წარმოსახვა და ფანტაზია, როგორც ადამიანის შემოქმედებითი საწყისის გამოვლინება, რომელიც სამყაროს შეცნობისა და გარდაქმნისკენ მიისწრაფის. ადამიანის გონებრივი მოღვაწეობა რთული პროცესია და წმინდა სახით არ არსებობს. ის გადახლართულია ფსიქიკურ პროცესებთან (შეგრძნებებთან, აღქმებთან), რომლებიც ადამიანს საგანთა და მოვლენათა არსის წვდომაში ეხმარება. ნ.კონდაკოვის მიხედვით - ადამიანის შემეცნების დიალექტიკის ფორმულა შემდეგნაირია: «изучив конкретное, человек создает абстрактное, а затем от абстрактного восходит к конкретному, обогащенному знанием абстрактного» (Кондаков Н.И., 1975, 11).

მეცნიერები თვლიან, რომ ცნობიერება მოიცავს სინამდვილის აღქმის მთელ პროცესს, თავის შემადგენლობაში აქცევს სამყაროს აღქმის ემოციურ, ესთეტიკურ, ნებელობით ფორმებს.

ცნება “ფიქრი” შედის გონებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა სიტყვაში, ამიტომ მოცემული ველის ერთეულთა მნიშვნელობა იქმნება ამ სემანტიკური კომპონენტისა და მნიშვნელობის დამატებითი ელემენტით, რომელიც მოცემული სიტყვისთვის სპეციფიკურია. ველის ინგარიანტული მნიშვნელობაა ფიქრის, განსჯის, აზრის გამოთქმის უნარის გამოვლინება.

მესამე ველი - “ადამიანი როგორც სულიერი არსება” - ადამიანს წარმოგვიდგენს როგორც არსებას, რომელსაც ხელეწიფება თავისი ნების გამომჟღავნება

ემოციური შეფასების გაკეთება, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების გამოხატვა.

პიროვნების სულიერი თვისებების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება სოციალური ცხოვრების ზეგავლენით იქმნება. სოციალურსა და სულიერ (ზნეობრივ) ურთიერთობებს შორის რთული ურთიერთდამოკიდებულებაა: ზნეობრივი შედის სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში როგორც ნაწილი მთელში. სოციალურ ურთიერთობათა ცვლასთან ერთად ჩნდება ადამიანის ახალი სულიერი მახასიათებლები.

პიროვნების ზნეობრივ (სულიერ) და სოციალურ თვისებათა გამიჯვნის სირთულემ გარკვეული პირობითობის კვალი დაამჩნია ადამიანის სულიერი თვისებების ამსახველ ლექსიკურ ერთეულებს. აღნიშნული ველის ინვარიანტული მნიშვნელობა უკავშირდება პიროვნების სულიერ მახასიათებლებს.

მეოთხე ველი - “ადამიანი როგორც სოციალური არსება” -ასახავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანის დამოკიდებულებას საკუთრებისადმი, შრომისადმი, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტების და ორგანიზაციების და “სოციალურ ქცევას” მიმართ. როგორც საზოგადოების წევრი ადამიანი ხვდება მისი განვითარების ზოგადი კანონების მოქმედების არეალში და ამყარებს სხვადასხვა სახის ურთიერთობას. აღნიშნული ველის გამოყოფისას ჩვენ სოციალურობის ფართე გაგებიდან გამოვდივართ, რაც გულისხმობს ადამიანის სამყაროსთან, ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების მთელ სპექტრს. ნებისმიერი ადამიანის ფსიქიკა საფუძველშივე სოციალურია, საზოგადოება არ არსებობს პიროვნებებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების გარეშე, ამიტომ ურთიერთობა ადამიანური ურთიერთობების თავისებური სკოლა და ადამიანის როგორც სოციალური არსების ჩამოყალიბების საფუძველია.

ტემპერამენტში, ქცევის ფორმებსა და ცხოვრების წესში, ხასიათის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებში ვლინდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა თავისებურება. პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებში თავს იყრის სოციალურად ღირებული ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა და გათავისდება ხალხის მიერ ურთიერთობის მეშვეობით.

ინდივიდი საზოგადოებაში ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს, არის სხვადასხვა სოციალური სიტუაციის მონაწილე, რომლებიც ქცევის ნორმებსა და

ენობრივ კოდებს შეიცავენ . მეცნიერებაში ცნობილია ენის სოციალური ფუნქციონირების წესები , როგორცაა სამეტყველო აქტები და სტრატეგიები (ჯ.სერლი) ,მიმართვის წესები (ს.ერვინ-ტრიპი),დისკურსის წესები (უ.ლაბოვი), რომლებიც სოციალური ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტებს ასახავენ. სემანტიკურ სტრუქტურაში ასახული სოციალური კომპონენტი სტატუსთა განსხვავებაზე ანუ სოციალურ როლების ასიმეტრიაზე შეიძლება მიგვითითებდეს. შესაძლოა ტერმინ “სოციალური კომპონენტი” უფრო ფართე გაგებაც - საზოგადოებაში ადამიანების ადგილის მითითება.

ველი “ადამიანი როგორც სოციალური არსება “ინვარიანტულ მნიშვნელობად მიგვაჩნია ადამიანის კავშირი სოციოსფეროსთან ,რაც განსაზღვრავს მის მიმართებებს ადამიანებთან და მოვლენებთან.

ამრიგად კონცეფტოსფეროში “ადამიანი “გამოყვავით ოთხი მიმართულება,რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისიდან ახასიათებენ ადამიანს- ბიოლოგიურ, ინტელექტუალურ, სულიერ და სოციალურ პლანში. თითოეულ ჯგუფში თავისი შიდა გრადაცია არსებობს,რომელიც შემდგომ დეტალიზაციაში აისახება (იხ.სქემა) და საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად ადეკვატურად დავახასიათოთ განსახილველი კონცეფტი. თუ ჩვენ ემპირიულ მასალას დავუბრუნდებით უნდა აღვნიშნოთ ,რომ კომპარატიული ლოგოეპისტემები საკმაოდ ინფორმატიულნი არიან კონცეფტ “ადამიანის დახასიათებისთვის ,ვინაიდან ასახავენ ეროვნული კულტურით დეტერმინირებულ ხედვას და შეფასებას .ნებისმიერი შეფასება შეიცავს როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ საწყისს ,მყარ ენობრივ შეფასებაში მოცემული შეფასება მის სოციალურ შინაარსზე მიგვითითებს,რაც ენობრივი ნიშნით ფიქსირდება.მეორე მხრივ კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებისას ადამიანი სუბიექტური შინაარსით ამდიდრებს მას. ეს ორი ტენდენცია სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს,პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ. თავდაპირველად კომპარატიული ლოგოეპისტემები როგორც ინდივიდუალურ-საავტორო შედარებები გვეკვლინებიან,რომლებიც გარკვეულ პირობებში ზოგადენობრივ სტატუსს იღებენ. მეორე მხრივ, მათი კონკრეტულ სიტუაციაში და კონკრეტული ინტენციით გამოყენება მათ არატრივიალურ ხასიათს აძლევს . როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენის ცოდნა სამყაროს კონცეფტუალიზაციას გულისხმობს , ამასთანავე , იდეების კონფიგურაცია , რომელიც მოცემულია მშობლიური ენის სიტყვებში ,მოლაპარაკის მიერ აღიქმება როგორც თავისთავადი და მას უჩნდება ილუზია,

რომ ასე „ამგვარადაა მოწყობილი სამყარო. სწორად ამ ილუზიის დაძლევის საშუალებას იძლევა საკვლევი ენების შეპირისპირებითი ანალიზი .კომპარატიული სტერეოტიპების კროს-კულტუროლოგიური ანალიზი დაკავშირებულია კულტურული მნიშვნელობების გამოვლენასთან,რომელიც ენობრივ ერთეულებში და სტრუქტურებშია აკუმულირებული. ერის კულტურული პრიორიტეტების გამოვლენა და მათი საშუალებით მენტალობის სპეციფიკური ნიშნების დადგენა საკვლევი კულტურების შესაბამისი ფრაგმენტების შეპირისპირების გზით ურთიერთგაგების მოდელის შემუშავებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ნებისმიერი ენის ანტროპოცენტრულობის იდეას თუ დაეუბრუნდებით,უნდა აღვნიშნოთ,რომ მყარი ენობრივი შედარებებში მოცემული შეფასებითი ასპექტი საშუალებას გვაძლევს პიროვნების დახასიათებაში ეთნოსის დამოკიდებულება დავინახოთ. ამ “სიდრმისეულ “ დონეზე შეიძლება გამოვლინდეს მნიშვნელობა,რომელიც ცნობიერების პერიფერიაზე „ქვეცნობიერის სფეროში იმყოფება.

ნებისმიერი შეპირისპირება გარკვეული პროცედურებისა და პრინციპების დაცვას მოითხოვს.წინამდებარე მასალასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია :

1) სხვადასხვა კულტურის კომპარატიული ლოგოეპისტემების შედარების საფუძვლის დადგენა ;

2)შესაპირისპირებელ ერთეულთა ექვივალენტურობის კრიტერიუმების დადგენა;

3) მყარ ენობრივ შედარებებში მოცემული ადამიანის ამა თუ იმ თვისების შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია ეთნოსის აქსიოსისტემასა და კულტურასთან მიმართებაში;

4)კულტურათმორისი ექვივალენტების და სპეციფიკური ნიშნების არსებობის მიზეზების დადგენა.

სხვადასხვა კულტურის კომპარატიული ლოგოეპისტემების შედარების საფუძველს კონცეფტ “ადამიანის “ სქემის სახით ზემოთ მოყვანილი მოდელი წარმოადგენს. მიგვაჩნია,რომ „მიუხედავად პარამეტრების შემდგომი დეტალიზაციის შესაძლებლობისა,აღნიშნული სქემა საკმაოდ ადეკვატურად ასახავს ადამიანის ფენომენის იმ პარამეტრებს ,რომლებიც მთავარია და მისი ბუნების განმსაზღვრელია.აღნიშნული სქემა წარმოადგენს კონცეფტოსფერო “ადამიანის” მაკონსტრუირებელ ნიშანთა ერთობლიობას .

სხვადასხვა კულტურის კომპარატიული ლოგოეპისტემების შედარების საფუძველს ადამიანის ფენომენის უნივერსალობა წარმოადგენს. სპეციფიკური ენობრივი სუბსტანციები, რომლებიც გამოხატავენ მის თვისებებს, საშუალებას გვაძლევენ უნივერსალობის ნაციონალურ-სპეციფიკური გამოვლინება დავაფიქსიროთ.

რაც შეეხება შესადარებელ ერთეულთა ექვივალენტობის კრიტერიუმების დადგენას, ამას ჩვენ ვაკავშირებთ ანალოგიური ტიპის (კონსტრუქციული და სახისმეტყველებით პლანში) კომპარატიული ერთეულების არსებობასთან, რომლებიც ერთიანდებიან შფასებითი მნიშვნელობის სიახლოვით. აღნიშნული მასალის შეპირისპირებითი ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვანია ადამიანის ამა თუ იმ თვისებების შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, რაც გულისხმობს ადამიანის კონკრეტული პარამეტრებთან დაკავშირებული ინფორმაციის განზოგადებას და მასზე ერთიანი წარმოდგენის ჩამოყალიბებას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ადამიანი კომპარატიულ შედარებებში ყოველთვის წარმოდგენილია როგორც შეფასების ობიექტი, შესაძლებელი ხდება შეფასება - დამოკიდებულებების საშუალებით გამოვავლინოთ კულტურისთვის დამახასიათებელი აქსიოლოგიური პარამეტრები.

შეპირისპირება გულისხმობს აგრეთვე იმ კრიტერიუმების გამოვლენას, რომლებიც შეაძლებლობას მოგვცემენ შესადარებელ ერთეულებში საერთო და განმასხვავებელი ნიშნების არსებობის მიზეზები დავადგინოთ.

ანალიზმა გვაჩვენა, რომ მყარ ენობრივ შედარებათა მსგავსება მატერიალური სამყაროს ერთიანობის და ადამიანური აღქმის უნივერსალური ხასიათის გარდა, შესაძლოა შესადარებელი კულტურებისთვის საერთო მესამე წყაროსთან იყოს დაკავშირებული. არ არის გამორიცხული აგრეთვე კულტურათა კონტაქტირების შედეგებიც.

რაც შეეხება განსხვავებებს ისინი შეიძლება სამყაროს პოეტური აღქმის არაერთგვაროვნების ან ადამიანის დახასიათებისთვის გამოყენებულ ნიშან-თვისებათა სხვაობით იყვნენ განპირობებული. განსაკუთრებით საინტერესოა სხვაობა, რომელიც ეთნოენობრივ ცნობიერებასთან არის დაკავშირებული. ის, როგორც წესი, შეუძნეველია ინტრაკულტურულ ურთიერთობაში, მაგრამ აშკარა ხდება კულტურათშორისი შეპირისპირებისას.

შეპირისპირების ოპერატიული ერთეული-მყარი ენობრივი შედარება - წარმოადგენს კომპარატიულ სტრუქტურას, რომელსაც შესადარებელ ენებში

საერთო ფუნქცია და მნიშვნელობა გააჩნია . მიუხედავად იმისა ,რომ აღნიშნული ენები განსხვავებულ ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნება ,მყარ ენობრივ შედარებებს ერთიანი ლოგიკური სტრუქტურა უდევთ საფუძვლად,რომელიც სამ კომპონენტს მოიცავს: 1)შედარების თემას ანუ საგანს ; 2)შედარების საყრდენს ; 3)შედარების მაკავშირებელ წევრს. შედარების საგანი ,რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს,ზოგიერთ შემთხვევაში ,როგორც ჭარბი ინფორმაციის შემცველი,შეიძლება გამოტოვებულ იქნას. შედარების საყრდენი როგორც წესი არსებითი სახელით ან სუბსტანტივირებული სიტყვით გამოიხატება და შეფასებით მნიშვნელობას შეიცავს,შედარების მაკავშირებელი წევრი ზმნით ან ზედსართავი სახელით გადმოიცემა და მიუთითებს იმ საერთოზე რაც დანარჩენ ორ წევრს გააჩნია.განსხვავებით საყრდენი კომპონენტისაგან ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მაკავშირებელი წევრის გამოტოვებაც .ასე მაგალითად კონკრეტულ სიტუაციაში,“ჰერაკლესავით ძლიერი ბავშვის” ნაცვლად შესაძლოა “ჰერაკლესავით ბავშვი” ითქვას,რაც განპირობებულია კონსტრუქციის სტერეოტიპულობით და ენობრივი შედარების ფონობრივი ხასიათით.

შეპირისპირებითი კვლევის დროს სამივე კომპონენტი შეიძლება შესაბამისი კულტურის ეთნოენობრივი სპეციფიკის მატარებელი იყოს.შედარების ობიექტის პოზიციაში შეიძლება სხვადასხვა ეთნოენობრივი სპეციფიკური რეალია აღმოჩნდეს,თუ გავითვალისწინებთ იმას,რომ შედარების აქტი შედარების ობიექტის საფუძველზე ვითარდება,შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ მისი როლი კომპარატიული შედარების შინაარსის გაგებისას.სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ არ ვიცით რას რას ვადარებთ რთულია ნათელი წარმოდგენა გვქონდეს შინაარსზე . ეთნოენობრივი სპეციფიკა ,როგორც წესი ,ნაკლებადაა დამახასიათებელი მაკავშირებელ წევრისათვის . ადამიანის დამახასიათებელ თვისებებს უნივერსალობისკენ სწრაფვა ახასიათებს,რაც განაპირობებს შეფასებითი კრიტერიუმების დაახლოვებას სხვადასხვა კულტურაში,თუმცა ,მეორე მხრივ,უნივერსალიზაციის პრინციპს უნიკალიზაციის პრინციპი უპირისპირდება,რომელიც მიისწრაფის მოვლენის უმცირეს სპეციფიკასაც კი გაუსვას ხაზი. ამ საპირისპიროდ მიმართულ ტენდენციათა ერთიანობა და ბრძოლა განაპირობებს ახალი ფორმების ძიებასა და დამკვიდრებას.

თავისი დანიშნულებით მაკავშირებელი წევრი სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს,ვინაიდან მისი შინაარსის გაცნობიერების გარეშე

შედარების საგნისა და საყრდენი კომპონენტის დამოკიდებულება სრულიად გაუგებარი იქნება.

ინფორმაციულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრიადის მესამე წევრს-შედარების საყრდენს. გარდა იმისა, რომ ის გამოდის რემის ფუნქციაში და გვაჩვენებს ახალსა და რელევანტურს შეტყობინებაში, ის ქმნის ფაქტიურად პოეტურ სახეს და შეიცავს შეფასებით მნიშვნელობას. ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი ყველაზე ხშირად აღნიშნულ პოზიციაში გვხვდება. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მყარი ენობრივი შედარების სამივე კომპონენტს შეიძლება ჰქონდეს ეთნოსპეციფიკური მნიშვნელობა სწორედ ამ ელემენტთა მთლიანობა ქმნის მხატვრულ სახეს სამყაროს ეთნომენტალური ხედვის სურათს. შეპირისპირების პრინციპების განსაზღვრის შემდეგ გადავიდეთ უშუალოდ ანალიზის პროცესზე.

დავუბრუნდეთ კონცეფტოსფერო „ადამიანის“ ეთნოენობრივი ბუნების აღწერის მოდელს, დავიწყოთ მისი ბიოლოგიური ბუნების აღწერიდან, რომლის უნივერსალურობა სეკუტიკოსებშიც კი არ იწვევს ეჭვს.

§1. ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების“ ინტერპრეტაცია გულისხმობს ანატომიური დეტალების, გარეგანი ნიშნების და სხვა ანალოგიური მახასიებლების ფიქსაციას გარემო სინამდვილის სხვა მოვლენებთან შედარების გზით. კონკრეტული მასალის ანალიზი გვაჩვენებს, რომ შედარების საყრდენი წევრის პოზიციაში, შესაძლებელია, სხვადასხვა სახის მოვლენა იყოს გამოსახული: 1) ბუნების მოვლენები, 2) ბუნების ობიექტები, 3) ცხოველები, 4) მცენარეები, 5) დროის მონაკვეთები, 6) პრეცედენტული პიროვნებები, მოვლენები, მითოლოგიური და ფოლკლორული პერსონაჟები, სხვადასხვა არტეფაქტები და ა.შ. კონკრეტული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საყრდენ წევრს დიდი ინფორმაციული პოტენციალი აქვს. ის საშუალებას გვაძლევს, ცალკეული ოპოზიციური სტრუქტურის მიღმა დავინახოთ როგორც ზოგადი და უნივერსალური მხარე, ასევე – მათი აღქმის ეროვნულ-სპეციფიკური თავისებურებები.

სომატური ლექსიკა სხვადასხვა კულტურაში ხშირად სიმბოლურად გაიაზრება და სხვადასხვა კლიშირებული სახით გვევლინება. სხეულის ნაწილები ფიგურირებს, პირველი ლურსმული წარწერებიდან დაწყებული, სოციალური ემბლემებით დამთავრებული. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ორგანოთა უმეტესობა მხოლოდ 100-150 წლის წინ გახდა ცნობილი პროფესიონალთათვის და, ბუნებრივია, ვერ შევიდა ანდაზებში, მყარ ენობრივ შედარებებსა და სხვადასხვა სახის კლიშირებულ გამონათქვამში. ამით აიხსნება ის დისპროპორცია, რომელსაც ადგილი აქვს სომატოსფეროში შემაჯავლი ერთეულების ენობრივ ფიქსაციაში.

„ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება“ შეიცავს შედარებითი კომლექსის შემადგენლობაში შემაჯავალ რიგ სომატურ კონცეფტს. მიუხედავად ადამიანის ანატომიური აგებულების უნივერსალური ხასიათისა, ქართული, რუსული და ინგლისური მყარი ენობრივი შედარებების ინტერპრეტაციული ნაწილი, შეიძლება, ერთმანეთს არ ემთხვეოდეს.

იმის გამო, რომ ენამ სომატოსფეროს მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები გამოიყენა კომპარატიულ შედარებებში, ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ ისეთ სომატიზმებს, რომლებიც შესაბამის კომპარატივებში აისახა. შევადაროთ ამ უკანასკნელებში ასახული ადამიანის გარეგნობის ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა: 1) თმა, წვერი, უღვაშები; 2) თვალები; 3) თავი; 4) ტუჩები; 5) მუცელი; 6) კბილები; 7) კანი; 8) სახე (სახის ფერი); 9) ფეხები; 10) ცხვირი; 11) ხელები, თითები, ხელისგული; 12) ტანი, ფიგურა; 13) ყურები; 14) ყელი, კისერი; 15) ლოყები; 16) შინაგანი ორგანოები; 17) ზოგადი შთაბეჭდილება გარეგნობის შესახებ; 18) გარეგნობა.

სომატურ ელემენტებთან დაკავშირებულ მყარ ენობრივ შედარებებში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს თმის საფართან დაკავშირებულ კომპარატივებს. სხვადასხვა კულტურაში, მაგალითად, კელტებში, თმა განასახიერებდა სამეფო ძალაუფლებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ებრაელებში გრძელი გაშლილი თმა სიქალწულისა და გაუთხოვარი ქალის სტატუსზე მიუთითებდა. თმები თავზე დაკავშირებული იყო ინდივიდუალურ სულთან და სასიცოცხლო ენერგიასთან. ამით იხსნება მოჭრილი კულულების შენახვის ჩვეულება რიგ კულტურაში. ძველ საბერძნეთში მიცვალებულის თავზე თმის შეჭრით მის სულს მიწისქვეშა სამყაროში უშვებდნენ. საინტერესოა, რომ სხვადასხვა რელიგიაში თმის შეჭრა ღვთისადმი მორჩილებისა და მატერიალური

სამყაროსგან განდგომის სიმბოლოს წარმოადგენდა, ისევე, როგორც მოკლე ნაწნავი ჩინელებისთვის. ამავდროულად, თმების დაგლეჯა და შეკვეცა მწუხარების ნიშანიც იყო. თმის ფერსაც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნდა – წითური თმები ასოცირდებოდა დემონურ ძალებთან, ღია ფერისა მზის ძალაუფლების სიმბოლო იყო, ხოლო შავი – საერო ძალაუფლების. ინგლისურ კონცეფტოსფეროში თმა დაკავშირებულია მრავალ არქეტიპულ წარმოდგენასთან.ის წარმოადგენს ადამიანსა და გარესამყაროს შორის საზღვარს,რის გამოც მასზე შეხება ადამიანის პიროვნული სივრცის დარღვევად აღიქმება. ასე,მაგალითად,გამონათქმა “to get in smb’s hair” აღნიშნავს სხვის ვიტალურ სივრცეში შეჭრას და უკიდურესი გაღიზიანების გამოწვევას.შესაბამისად, “to lose one’s hair“ მდგომარეობიდან გამოსვლას,შიდა ჰარმონიის დარღვევას გამოხატავს.ინგლისელთათვის თმას დამცავი ფუნქცია გააჩნია,ამიტომ გამონათქვამი - “not to harm hair of smb.’s head” - ვინმეს თავიდან თმის არ ჩამოვარდნას და ზრუნვა-დაცვას უკავშირდება.

ცნობილია, რომ თმებთან ასოცირდება რიგი სიმბოლური ქმედებისა. ასე, მაგალითად,გამონათქვამი “tear one’s hair out” გვაჩვენებს,რომ მწუხარების გამოხატვის ისეთი ფორმა,როგორიცაა თავზე თმების დაგლეჯა ტიპური იყო ინგლისელთათვისაც. ასევე ტიპურია მათთვის წითური თმის სიმბოლიკა,რასაც გამონათქვამი - „as Judas hair“ ადასტურებს. შემთხვევითი არ არის, რომ იუდას თმები, დემონური ძალების მსგავსად, ინგლისელთათვის წითური ფერისაა.

ინგლისური ენა მიგვითითებს კიდევ ერთ არქეტიპულ წარმოდგენაზე, რომელიც უკავშირდება თმას. კერძოდ, რომ გაშლილი თმები, თუ არ გამოხატავდა მწუხარებას, ზედმეტად თავისუფალ ქცევად აღიქმებოდა. ასე, მაგალითად, “let down one’s hair” ნიშნავს ზედმეტი პირობითობისთვის ანგარიშის გაწვევაზე უარის თქმას.

როგორც ვ. მასლოვა აღნიშნავს, რუსეთში თმას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ფეხმძიმე ქალებს ეკრძალებოდათ თმის შეჭრა, ვინაიდან თმასთან დაკავშირებული იყო დამცავი ფუნქცია. იმავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ბავშვს ერთ წლამდე არ ჭრიდნენ თმას.

ხალხურ პოეზიაში მოჭრილი ნაწნავი ქალიშვილს არცხვენს. მკვლევრის აზრით, რუსულმა ენამ ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეული შემოინახა,

რომელთაც საფუძვლად თმის შესახებ სხვადასხვა არქტიპული წარმოდგენა უდევს:

1) ის ძალის, გამოცდილების – «до седых волос», «до корней волос»; 2) მესხიერების და ნების სამყოფელია – «волосы стали дыбом» (ძლიერი შიშის დროს, როდესაც ნების პარალიზება ხდება) – (შეად. ინგლ. “the hair stand on end “). ქვეცნობიერ დონეზე ეს არქტიპები ახლაც განსაზღვრავენ ადამიანების ქცევას: მსჯავრდებულებს თმას კვეცენ, თითქოს ამით მათი ნების პარალიზებას ახდენენ. ძველ დროში სღავეები ბიჭებს ჭაბუკობაში გადასვლისას კრეჭდნენ, დღემდე თმას ჭრიან ბერად აღკვეცისას, ხოლო ჯარში გაწვეულებს მთლიანად პარსავენ. ეს თმასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ არქტიპზე ლაპარაკობს, რომლის არსიც ცხოვრების შეცვლაში მდგომარეობს. როგორც ვ. მასლოვა აღნიშნავს, ადრე რუსეთში მოჭრილ თმას წვავენ. თმის ცეცხლში ჩაყრა ერთგვარი მსხვერპლშეწირვა იყო რუსული ფოლკლორის პერსონაჟის საამებლად, რომელსაც „домовой“ ეწოდებოდა. არსებობდა კიდევ ერთი ჩვეულება: მოჭრილი ან სავარცხელზე დარჩენილი თმის გადაყრა არ შეიძლებოდა. ითვლებოდა, რომ, თუ მათ ჩიტები გამოიყენებდნენ თავიანთი ბუდეებისთვის, ან მომუშავე მექნიზმების სიახლოვეს აღმოჩნდებოდა ეს ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახებოდა.

ძველი სღაგური ენიდან აღებული ფრაზეოლოგიური კალკა „თმის ღერი არ ჩამოუვარდება თავიდან“ ნიშნავს, რომ ადამიანს ზიანი არ მიადგება. აქ მოიაზრება არქტიპი „თმა=ადამიანის ჯანმრთელობას“ (მასლოვა ვ., 2004,134.) თმა, აგრეთვე, რიტუალური და ზემოქმედებითი აქტების ძირითად ელემენტს წარმოადგენს (იხ. მისნობასა და სხვა საკრალურ ქმედებებში თმის ფართოდ გავრცელებული გამოყენება). საინტერესოა ,რომ ინგლისელი (ისევე, როგორც რუსი) ჯადოსანი ქალები საკრალურ ქმედებისას თმებს იშლიდნენ, მამაკაცები კი რიტუალურ ქმედებებს წვერის საშუალებით ასრულებდნენ.

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ახლობლებს მისი დახმარება სჭირდებათ, ქართულ ფოლკლორში გმირი თმის ღერის დაწვით გამოწვეული იმპულსის შედეგად იღებს.

საქართველოშიც მოჭრილი ნაწნავი, ისევე, როგორც გაშლილი თმა, სამარცხვინოდ ითვლებოდა. „წმიდა შუშანიკის წამებაში“ მას განზრახ უშლიან თმას, რომ შეარცხვინონ. მსგავსი ქმედება შეიძლება ვნახოთ თენგიზ აბულაძის ფილმში „ნატვრის ხე“, სადაც მთავარ გმირს თმაგაშლილს სვამენ ვირზე.

გრძელი ნაწნავის ქონა როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ და ქართულ ფოლკლორში სილამაზის ნიშანი იყო. საინტერესოა სამივე ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ეპიზოდი, როდესაც მზეთუნახავი გმირს ნაწნავს ჩაუგდებს, რომლითაც ის აუღებელ სიმაგრეზე ადის.

თმის კონცეფტი რუსულ კომპარატიულ-ფრაზეოლოგიურ სისტემაში სხვადასხვა ოპოზიციური ერთეულის საშუალებით ხასიათდება. ასე, მაგალითად, თმის ფერი შედარებულია თოვლთან, ჩალასთან, ძელ-ქორთან, კუპრთან, ნახშირთან და ა.შ. . (волосы белые, как снег; волосы светлые, как солома; седая, как лунь, борода; волосы черные, как вороново крыло), ფორმა – ბატკანთან, პუდელთან, ზანგთან (волосы, кудрявые, как у барашка; ...как у пуделя; ...как у негра), მდგომარეობა – თექასთან, ქალთევზასთან, დიაკვანთან, ტყის სულთან – «леший», სელთან, ბუმბულთან, ცხენის ფაფართან, მავთულთან, ჯაგართან (волосы, спутанные как войлок; волосы, распущенные как у русалки; борода, заросшая как у дьячка (попа, лешего); волосы, мягкие как лен (пух, шелк); волосы, жесткие как конская грива (провода, щетина).

ქართულ და ინგლისურ შესაბამის მასალასთან შედარებამ დაგვანახა ბევრი კომპარატიული შედარების მსგავსება („აბრეშუმით რბილი თმა/თოვლივით თეთრი თმა / ბატკანივით ხვეული თმა“, “hair as soft as silk/ hair as white as snow,/as aigrette/ as curly as lamb და ა.შ. საინტერესოა, რომ “ზანგივით ხუჭუჭი თმის” ნაცვლად თანამედროვე ინგლისური ზანგის ნაცვლად იყენებს სიტყვა „black“-ს .

მეორე მხრივ, განსხვავებათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ სახეთა არაერთგვაროვნება, რომელიც, ძირითადად, ორ ნაირსახეობაში ვლინდება: 1) ლაკუნარული ტიპის სახეებში, რომლებიც ცნობიერებაში არსებობენ, როგორც პოტენციურად შესაძლებლები; 2) ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკაზე დაფუძნებულ სახეებში, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისობები სხვა კულტურაში.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ტიპის შედარებები: „волосы мягкие, как лен“, “hair like a Mexican “.

მითითებული მყარი შედარებები არ საჭიროებენ განსაკუთრებულ ძალისხმევას აღსაქმელად, რადგან თვითონ მოვლენა (თმა, რომელსაც სელის სირბილე გააჩნია, ან მექსიკელისთვის დამახასიათებელი ვარცხნილობა და ა.შ.). ცნობილია განსახილველი კულტურებისთვის, თუმცა მსგავს შედარებებს

შესაბამის ენებში განსხვავებული ენობრივი სტატუსი გააჩნიათ. მაგალითად, ქართულისთვის და რუსულისთვის ისინი ენობრივი ცნობიერების ფაქტს არ წარმოადგენენ.

რაც შეეხება ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკაზე დაფუძნებულ სახეებს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მათ არ გააჩნიათ შესაბამისობები სხვა კულტურაში. ასე, მაგალითად, მყარი შედარებები «зараста (обраста) как леший» или «волосы, распущенные как у русалки » ადამიანებში, ვისაც წარმოდგენა არა აქვს, ვინ არიან რუსული ფოლკლორის აღნიშნული პერსონაჟები, არ იწვევს ერთგვაროვან რეაქციას. ასევე, გაუგებარია არაქართველისთვის გამოთქმა „ტალავერივით თმა“. ცნება „ტალავერი“ დაკავშირებულია ქართულ სინამდვილესთან, ხოლო „ტალავერივით თმა“ ისეთ ვარცხნილობას აღნიშნავს, რომლის შემთხვევაშიც გრძელი თმა გვერდიდან გადავარცხნილია ისე, რომ სიმელოტე დაფაროს.

თმის საფართან დაკავშირებულ მყარ შედარებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წვერ-ულვაშს. წვერი ძველ სამყაროში ღირსებას, მამაკაცურ საწყისს, სიბრძნესა და სიმამაცეს განასახიერებდა.

იკონოგრაფიაში მეფეები, გმირები, ბრძენნი გამოსახულნი არიან წვერით.

ისევე, როგორც თმა, ძველ სლავებთან წვერიც დამცავი ფუნქციის მატარებლად ითვლებოდა, წვერზე მოქაჩვა კი – დიდ შეურაცხყოფად (იხ. რუს. ანდ. „норода дороже головы“). საინტერესოა, რომ რუსეთის ევროპეიზაცია პეტრე პირველმა წვერით დაიწყო, რამაც ბოიართა დიდი აღშფოთება გამოიწვია. მეფის რუსეთში კატორღელებს ნახევრად პარსავდნენ წვერს, რაც, ასევე, უდიდეს დამცირებად ითვლებოდა. ქართულ ფოლკლორულ ტრადიციაში წვერი ასევე დამცველ ფაქტორად ითვლებოდა. ფოლკლორის გმირი არსენა გრძნეულ სიზმარში ნახულობს, თუ როგორ იღებავს სისხლით წვერს, რაც მის მიერ მოსალოდნელ უბედურებად აღიქმება.

ინგლისშიც და რუსეთშიც წვერი მამაკაცური საწყისის სიმბოლოდ ითვლებოდა, ამიტომ ჭაბუკობიდან შემდეგ პერიოდში გადასვლის მთავარ ატრიბუტად ფოლკლორული ტრადიცია წვერს მიიჩნევს. („норода еще не отросла“, შეად. ინგლ. “A breadless boy would teach old man”).

წვერი ინგლისელთათვის სიბრძნეს, ღირსებასა და სიმამაცეს განასახიერებდა. (“Chins without beards deserve no honour“, “To be king of his own beard“, “ A beard is a symbol of courage“). მეორე მხრივ, ინგლისელები ხაზს უსვამდნენ წვერის ფაქტორის პირობითობასაც (“Wisdom is in the head and not in the beard” ,”If

wisdom is measured by the size of the beard than the goat is a philosopher king”), ვინაიდან გარეგნული ფაქტორი (წვერი) ყოველთვის არ გამოხატავს მოვლენის არსს. საინტერესოა, რომ განსხვავებით საქართველოსგან, ევროპაში თავდების სახით წვერის და არა უღვაშის ღერს ტოვებდნენ. ცნობილია, რომ სამი ღერი წვერი ევროპაში ხშირად ბეჭდის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. უღვაში ევროპაში წვერ-უღვაშის კომპლექსის ნაწილი იყო და მისი აქცენტირება ნაკლებად ხდებოდა. ინგლისელთათვის მის არააქტუალობას ისიც ადასტურებს, რომ თვით ტერმინი „moustache” ფრანგულ ნასესხობას წარმოადგენს.

უღვაში ქართულ ფოლკლორში მნიშვნელოვანი ფენომენის მას იყენებენ თავდებად. უღვაშის შერცხვენა დიდ სირცხვილთანაა გაიგივებული. მას შეეძლო დიმილის არსი „დაემაღა”. აქედან – გამოთქმა „უღვაშებში ჩაცინება”, ანუ ირონიულად გაღიმება.

წვერთან და უღვაშთან დაკავშირებული კომპარატივები საკვლევ კულტურებში მსგავსსა და განსხვავებულ ვარიანტებში გვევლინება. ემთხვევა, მაგალითად, „თოვლივით თეთრი წვერი” /beard as white as snow"/ „борода, белая как снег”; „თხასავით წვერი”/“beard like billy goat”/ „козлиная борода”.

კულტურათა განსხვავება გვაძლევს სხვაობას – რუსულ და ქართულ წვეროსან თოვლის პაპას ინგლისურში სანტა კლაუსი შეესაბამება, რომელიც ნელ-ნელა ამ კულტურებშიც შემოდის. /„თოვლის პაპასავით წვერი”, ”борода как у Деда Мороза“, “beard like Santa Klaus”.

უღვაშებთან დაკავშირებულ კომპარატივებში, ფაქტობრივად, მხოლოდ ინტერნაციონალიზმები გვხვდება – სტალინივით / ჰიტლერივით / ჩაპლინივით უღვაშები, თუმცა არსებობს ნაციონალურ-სპეციფიკური ვარიანტებიც – «усы как у казака», ”mustache like Frank Zappa”, „იმერელი აზნაურივით უღვაში” და ა.შ.

ვერც ინგლისურ, ვერც ქართულდა ვერც რუსულ მყარ შედარებებს შორის ვერ აღმოვაჩინეთ წარბებთან დაკავშირებული მაგალითები.

როგორც აღვნიშნეთ, თმის საფართან დაკავშირებულ მყარ შედარებებში ბევრი ინტერნაციონალიზმია: „ჰიტლერივით უღვაშები”, „სალვადორ დალივით უღვაში”, „ფიდელ კასტროსავით წვერი”, „ბიტლებივით თმები”, „სკინჰედით ვარცხნილობა” და ა.შ. სამივე კულტურაში თმა სასიცოცხლო ძალებთან და ენერჯიასთან იყო დაკავშირებული . თმის დაკარგვა სასიცოცხლო ძალების

დაკარგვასაც ნიშნავდა, ამიტომ თმის უქონლობა ხშირად დაცინვის საგანს წარმოადგენდა. იხ. «лысый как попка младенца / как Хрущев», „bald as an egg” / billiard ball“ , „მუხლისთავივით მელოტი”.

ნებისმიერი ენის სომატოსფეროში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი კონცეფტ „თვალეზ” უჭირავთ, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ კომპარატიულ შედარებებშიც მას გამორჩეული ადგილი შეესაბამება. სიკვდილის მითოლოგიური სიმბოლოები, როგორც წესი, დაკავშირებულები არიან უხილავობასთან. ცოცხლები ბრმანი არიან მკვდრების მიმართ და პირიქით. „გულის თვალად” წოდებული მისტიკური მესამე თვალი სხვადასხვა კულტურაში დაკავშირებულია სხვადასხვა ცნებასთან: ინდუიზმში – შივას ძღვევამოსილებასთან, ბუდიზმში – შინაგან ხედვასთან, ისლამში – ზებუნებრივ ნათელმხილველობასთან.

შივას შუბლზე გამოსახულ მესამე თვალს შინაგან თვალსაც უწოდებენ. მას უპირისპირდება ავი თვალი (იხ. „ავ თვალს არ ენახებო”). ისლამში ესაა ბოროტების დამანგრეველი ძალების სიმბოლო. ანტიკურობაში ავი თვალის სიმბოლო იყო მედუზა გორგონა, რომლის დაჟინებული მზერა ადამიანებს ქვად აქცევდა. პერსევსმა სარკე გამოიყენა და მედუზას მზერამ თვითონ მედუზა განგმირა. ამ მითს უკავშირდება თვალისგამოსახულებიანი ბოროტი თვალის ამრიდებელი თილისმის შემოტანა. შუასაუკუნეებში სატანის საწინააღმდეგო თილისმად ნალი ითვლებოდა, ამიტომ თვალეზის ნაცვლად ავსულს ნალს უხატავდნენ. „თვალეზის ქცევა” სხვადასხვა კულტურაში არაერთგვაროვნად არის გაგებული. ასე, მაგალითად, აფრიკელებისთვის თვალეზის დახრა პატივისცემის ნიშანია. ინლისელთათვის კი ასეთად აღიქმება პირდაპირი მზერა. კამბოჯელი თვლის, რომ თვალეზში ჩახედვა ადამიანის შინაგან სამყაროში შეჭრას ნიშნავს. მათთან კარგ ტონად ითვლება თვალის არიდება. აზიაში არ არის მიღებული, რომ ქალმა პირდაპირ უყუროს თვალეზში მამაკაცს და ა.შ.

რუსულ ფოკლორულ ტრადიციაში თვალეზს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. როგორც ვ. მასლოვა აღნიშნავს, ისინი უძველესი მითოლოგიის საფუძველს წარმოადგენენ, რომელმაც სათავე დაუდო რამდენიმე ჩვენს დრომდე შემორჩენილ მეტაფორას, “თვალი=ღვთაებას”. ენა აფიქსირებს თვალეზის არაჩვეულებრივ უნარს: მისი გუბები მოძრაობაშია, აქედან – მოძრაობის აღმნიშვნელი ამდენი ზმნის შეთავსება სიტყვასთან „თვალეზი”. «ОКИНУТЬ

глазами», «обвести глазами», «отвести глаза», «скользить глазами», «смерить глазами», «обшарить глазами», «проводить глазами», «приковать глаза». თვალები წარმოადგენს ორგანოს, ყურების ინსტრუმენტს, ამიტომ აგვდის თვალები შუბლზე გაკვირვებისგან; თვალები ფართოდ იღება, როდესაც ჩვენ არაცნობიერად ვცდილობთ, მათი მეშვეობით ინფორმაციის მაქსიმუმი მივიღოთ;

თვალს ვჭუტავთ, როდესაც რაღაცას ვაკვირდებით, ასევე, აზრის მაღალი კონცენტრაციისას; თვალს ვარიდებთ «отводим глаза» სხვის გამკიცხველ მზერას და ამით ვიცავთ თავს მისი ურყოფითი ზეგავლენისგან.

საინტერესოა, რომ მზე და მთვარე მრავალი ხალხის მითოლოგიაში ღვთაების თვალებად ითვლებოდა.

ვ. მასლოვას აზრით, სწორედ ასეთ გაგებას უკავშირდება გამოთქმა «хозяйский глаз» (რაიმეზე სანდო ზედამხედველობა), без глаза (без присмотра) (Маслова В.А., 2004, 133).

კიდევ ერთ მითოლოგემასთან – „თვალი-ადამიანი“ დაკავშირებულია ფრაზეოლოგიზმების მთელი პარადიგმა: «глаз наметан» (გამოცდილ ადამიანზე), «глаз отдыхает» (მაყურებლისთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებაზე), «глаз радуется» (სასიხარულო მოვლენაზე, რომლის დანახვაც შეიძლება), «глаза обманываются» (როდესაც დანახულის სინამდვილეში ეჭვი შეგაქვს), «глаза загорелись» (ადამიანის ძლიერ სურვილზე); (ასევე, იხ. მეტაფორები «глаза говорят», «глаза забегали», «глазам стыдно», «глаза завидующие, руки загребущие» (ადამიანის გაუმაძღრობაზე).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამყაროს შესახებ ინფორმაციის 80% ადამიანი თვალების საშუალებით იღებს, რაც მათთვის იდუმალი მაგიური ძალის მიწერის მიზეზი გახდა. რუსეთში ბოროტად ელაში თვალი ითვლებოდა. ავი თვალის რწმენა, ვ. მასლოვას აზრით, მაშინ გაჩნდა, როდესაც, ძველების აზრით, სამყარო სულებითაც იყო დასახლებული. დღემდე, როდესაც თავს ცუდად ვგრძნობთ, ვამბობთ, „ვიღაცამ გაგოთვალა“, „თვალი მეცა“, „ვიღაცამ ცუდად შემოგვხედა“. ძველების ადათის მიხედვით, საუბრისას მოსაუბრისთვის თვალებში უნდა გეცქირა, თვალი არ უნდა მოგეშორებინა, მოტყუების ტაქტიკამ კი გააჩინა გამონათქვამი “для отвода глаз”. ტყუილთანაა, ასევე, დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები: «замазать глаза», «пускать пыль в глаза».

საინტერესოა, რომ თვალის დამცავი ფუნქცია დაკავშირებული იყო მფარველ-ამულეტების ფორმასთან, რომლებიც სხვადასხვა ძვირფასი მეტალისა და ქვისგან მზადდებოდა და შესაბამისად გამოიყურებოდა.

თვალები ფერის (საყრდენი სიტყვები ცისფერი, ლურჯი, მწვანე), ფორმის (მრგვალი, წვრილი), მდგომარეობის(ანათებს, უელავს, უბრწყინავს) მიხედვითაც ხასიათდება. დარდება ბუნების ობიექტებთან (глаза, блестящие как утрення роса), ცხოველებთან (глаза, зеленые как у кошки; глаза, горящие как у волчицы; глаза, красные как у кролика; глаза, как у гуся /მწვანეზე/), მცენარეებთან (глаза, синие как васильки; глаза, зеленые как крыжовник), ფრინველებთან (глаза, как у филина, глаза как ястреба, ... как у совы, ... круглые как у птицы) და ა.შ.

ინგლისურში ფართოდ გახედილი თვალები "make a big eyes" ინფორმაციის სისწორესთან და სანდობასთან იყო ასოცირებული – "sharp eye" შორსმჭვრეტელობასთან, შეად. რუს „острый глаз“; საკუთარი თვალებით ნანახი ეჭვს არ იწვევს: «своими глазами видал» ; "believe as one's eye", ცალი თვალთ შეხედვა უყურადღებობას გამოხატავს – „Одним глазом взглянуть” - "cast one's eye over smth". დასუჭული თვალებით გაყოლა ნდობის უმაღლეს ხარისხს მოწმობს – «Идти куда-то с закрытыми глазами».

სხვადასხვა კულტურაში თვალის ფერს განსხვავებული სემანტიკა გააჩნია.

ასე, მაგალითად, რუსულში და ქართულშიც მწვანე ფერის თვალები რომანტიკულად აღიქმება. ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა აქვს თვალის ფერთა სიმბოლიკას ინგლისურში: ცისფერი უკავშირდება შეყვარებულობასა და უმანკობას,წითელი – დემონურობას,ცრემლსა და უკიდურეს სიბრაზეს,მწვანე ეჭვიანობას.ის უარყოფითი კონოტაცია ,რომელიც ინგლისურში მწვანე თვალებმა შეიძინა,შექსპირთან არის დაკავშირებული,რომელმაც ეჭვიანობას მწვანეთვალება ურჩხული «a green-eyed monster» უწოდა.

“თვალის” კონცეფტთან დაკავშირებულ კომპარატიულ ერთეულთა მასალასთან შედარება მნიშვნელოვან სიახლოვეს გვიჩვენებს როგორც შეფასებით ნაწილში, ისე შედარებების თემატიკურ და საყრდენ კომპონენტთა შეფარდებაში. ასე, მაგალითად, თვალის ფერი ქართულსა და რუსულში დარდება ცასთან, ზღვასთან, კურდღელთან, ყვავთან, და ა.შ. ფორმა ასოცირდება ნუშთან, ბუსთან, ჭოტთან, კიბორჩხალასთან. თვალების გამომეტყველებასთან დაკავშირებული შინაგანი მახასიათებლები უკავშირდება ხავერდს, სისუფთავეს, სინათლეს და ა.შ.

ზოგადი კომპარატიული მნიშვნელობების გარდა, არსებობს ისეთიც, რომლებიც არ ემთხვევა. რუსულ კომპარატიულ სისტემაში აკუმულირებულია

ზოგიერთი კომპარატიული ელემენტი, რომელიც არ არის არც ქართულში და არც ინგლისურში . ასე, მაგალითად, კონსტრუქციები «глаза, темные как вишни», «глаза как кора дуба, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ორივე ენაში, არ იღებს მათში ენობრივ სტატუსს. ქართული რესპონდენტისთვის, შესაძლოა, გაუგებარი იყოს შედარება: «глаза умные, как у Василисы Премудрой», ისევე, როგორც რუსისთვის გამოთქმა „თვალეზამოღამებული“ ან „ვირივით ჭკვიანი თვალეზი“, ვინაიდან რუსის ცნობიერებაში ვირი ვერანაირად ვერ ასოცირდება ჭკუასთან..

რუსული ფოლკლორული ტრადიციისგან განსხვავებით, ქართულში შეიმჩნევა „თვალეზის“ გარკვეული დაკნინება. მაგალითად, ქართულ გამონათქვამში „თითქოს თვალეზში აქვს ჭკუა“ ხაზგასმულია, რომ ის, რაც ლამაზია, ყოველთვის როდია ჭეშმარიტი.

გამონათქვამში ” eyes like gimlets / lasers” ხაზი აქვს გასმული იმას, რომ თვალეზს შეუძლიათ ბურღივით / ლაზერივით შეაღწიონ სხვის შინაგან სამყაროში. მეორე მხრივ, ისევე, როგორც რუსულში და ქართულში, ინგლისურშიც ყველაზე სანუკვარი შედარებულია თვალის ჩინთან – “charish as apple of one’s eye.” თვალეზი, როგორც სულის სარკე, ადამიანის შინაგან მდგომარეობას გამოხატავს. შეიძლება, გიჟურნი იყვნენ – («like craters of Mars»), გამოშტერებულები – («like a doll’s eye»), ან ბრწყინავდნენ – «shine like diamonds».

ასეთივე ნეგატიური შეფასება ეძლევათ თვალეზს კონსტრუქციაში «like cat’s eye» (კატის ჭრელი თვალეზი ქართულშიც ნეგატიურ კონოტაციას უკავშირდება). თვალეზი, რომელიც აერთიანებს შინაგან და გარე სამყაროს, შეიძლება, უცხო სხეულის შემოჭრას ვერ იტანს. აქედან გამოთქმა – “feels like sand in eye”, ან, შეიძლება, აგრესიასა და საფრთხეს ასახავდეს “eyes like cyanide”.

სომატოსფეროში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი უჭირავს კონცეფტს „თავი“. საყრდენი კომპონენტების ხასიათს რომ მივადევნოთ თვალეზი, რომელთა ფონზეც ხასიათდება აღნიშნული კონცეფტი, შეიძლება, მოცემულ სიტყვასთან დაკავშირებულ მოვლენათა ფართო სპექტრი დავინახოთ. თავი ხასიათდება ფორმის და ზომის საშუალებით (მრგვალი, დიდი, ოთხკუთხედი), მასში ტვინის ქონა-არქონით (სავსე, ცარიელი) და ა.შ.. საყრდენი შედარების როლში შეიძლება სინამდვილის განსხვავებული მოვლენები გამოდიოდნენ, ძირითადად, მრგვალი ფორმის მქონე (საზამთრო, ბილიარდის ბურთი, გლობუსი,

ლუდის ქვაბი). თავის არასწორი ფორმა შედარებულია ნესეთან, კიტრთან. მელოტი თავი – ბილიარდის ბურთთან, კვერცხთან, მუხლთან. საინტერესოა ისეთი, ერთი შეხედვით, არაქართული კომპარატივები „ბონის ძაღლივით თავი“ ან „ასტრახანის საზამთროსავით თავი“, რომლებიც, მართალია, რუსულ რეალიებს ეფუძნებიან, მაგრამ მყარ ენობრივ შედარებას რუსულში, ქართულისგან განსხვავებით, არ ქმნიან. მისი სემანტიკური გააზრება მნიშვნელოვნად განსაზღვრა ფიზიოლოგიურმა სტატუსმა, რომლის მიხედვითაც ის წარმოადგენს ორგანოს, რომელიც აზროვნებას მართავს. ამიტომაც, რომ ჭკვიან ადამიანს „თავი აბია მსრებზე“ (შეად. »ГОЛОВА НА ПЛЕЧАХ« ან „have a head on one's shoulders“), ხოლო სულელს ცარიელი თავი აქვს. შედარება გვაჩვენებს, რომ საკვლევი კულტურებში შეიმჩნევა როგორც მსგავსი, ასევე, განსხვავებული მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც ნაციონალურ-კულტურულ სპეციფიკას გამოხატავენ. ემთხვევა, მაგ., „ნესვივით თავი“, „გლობუსივით თავი“ და ა.შ. განსხვავებულია „რუმბივით თავი“, „გაჭყლეტილი ნავთის ბიდონივით თავი“, „ნაბუქსავებ პაკრიშკასავით თავი“ და ა.შ.

საკვლევი კულტურების ფოლკლორულ ტრადიციებში თავი მიიჩნევა ადამიანის უმნიშვნელოვანეს ორგანოდ, რომელიც საშუალებას აძლევს მას, იაზროვნოს. ამგვარი თვისებით დაჯილდოებულ ადამიანს რუსები უწოდებენ: «ясная (светлая) голова», ხოლო მას, ვისაც ეს არ გააჩნია, «без царя в голове», «у него ветер в голове», «каша в голове», «без головы на плечах». შესაძლებელია, „თავიან ადამიანს“ თავბრუ დაეხვეს – «голова пойти кругом», ან „სრულიად დაკარგოს თავი“ – «совсем потерять голову». განსაკუთრებით ხშირად ეს ემართებათ შეყვარებულებს, რომლების მართვის მთავარ ორგანოდ თავის მაგივრად გული იქცევა.

„თავი“ გვევლინება როგორც აზრთა ლოკალიზაციის ადგილი (ср. „пришло в голову“). თუკი რომელიმე პრობლემა ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და, ამავდროულად, რთული გადასაწყვეტია, რუსები იყენებენ გამოთქმას «голова болит» о чем-то. საინტერესოა, რომ კონსტრუქცია არ გამოიყენება, როდესაც საქმე ეხება ადამიანის განცდებს, ვინაიდან განცდების ლოკალიზაციის ადგილს მათ ცნობიერებაში გული წარმოადგენს: «сердце болит» (шемит, ноет, сжалось) или «душа болит за» кого-то.

თავი წარმოადგენს მესხიერების ორგანოს (см. «держатъ в головѣ», «вылетело из головы», «выкинуть из головы»). ამ თვალსაზრისით, რუსული ენობრივი მოდელი ქართულის მსგავსია („თავიდან ამომივარდა“, „თავიდან ამოიგდე“ , „თავში ვერაფრით ჩაუღდე“).

შედარება გვიჩვენებს, რომ რუსულ, ქართულ და ინგლისურ კომპარატიულ შედარებებში შეიძლება აღმოვაჩინოთ როგორც დამთხვევები, ისე – განსხვავებები. ასე, მაგალითად, რუსული „თავის“ შესაბამისად, ქართულში და ინგლისურში შეიძლება გვქონდეს „ტვინი“. რუსულ „ломать над чем-нибудь голову“-ს ინგლისურში და ქართულში შეესაბამება „to cudgel one’s brains over something“ (რამეზე ტვინის ჭყლეტა) . თუმცა, ქართულში გვაქვს პარალელური ფორმაც – „თავს იმტვრევს“. მოტანილი შემთხვევის გარდა, არ ემთხვევა ეროვნულ-სპეციფიკური კომპონენტების შემცველი შედარებები.

მეორე მხრივ, ემთხვევა ისეთი შედარებები, როგორებიცაა: საზამთროსაგით (მრგვალი) თავი, ნესვივით თავი, საცეროვით თავი. ინგლისურში რუსული «уйти с головой в работу»-ს შესაბამისი იქნება «to have one’s heart in one’s work» (სამუშაოში არა თავით, არამედ გულით ჩაფლობა). განსხვავებულია, აგრეთვე, თავის დაბანა, რასაც, ქართულისა და რუსულისგან განსხვავებით, ინგლისურში თმების დაბანა შეესაბამება «to wash one’s hair». რაც შეეხება გამოთქმას «to wash one’s head», ის გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და ვინმეს გაცუცურაკებას ნიშნავს.

ინგლისურ ენობრივ სურათშიც თავი აზრის სათავსოა. ის, შეიძლება, იყოს ცარიელი “not to have brains on one’s head”, ან საგსე ქვებით “have a rocks on one’s head”, ან ქარით “have e wind in the head”. მასში, შეიძლება, რამე ჩაიდოს “to put ideas on one’s head”, ან ამოღებულ იქნას “get smb.out of one’s head”. სიჩლუნგის ნიშნებად ითვლება, აგრეთვე, სირბილე “soft in the head” ან კარტოფილთან და ბანანთან შედარება “potato/banana head.”. საცერთან და ნახვრეტთან შედარება “head like a sieve /hole“ მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს თავიდან ინფორმაციის გადინების პრობლემა.

უნდა აღინიშნოს, რომ შუბლი, როგორც თავის კომპონენტი, კომპარატივებში არ დაფიქსირდა.

როგორ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის ინტელექტუალი ცხოვრება, რომლის ცენტრსაც თავი წარმოადგენს, ოპოზიციურ მდგომარეობაშია ადამიანის

ემოციური ცხოვრების ცენტრთან – „გულთან“. სამყაროს რუსულ ენობრივ სურათში მოცემულ კონცეფტთან დაკავშირებულია ფრაზეოლოგიზმების მთელი რიგი, თუმცა მყარი შედარებების ლექსიკონები არ აფიქსირებენ არც ერთ კომპარატიულ შედარებას კომპონენტით „გული“. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხებიდან ჩანს, რომ ყველაზე ხშირად იხმარება „сердце, как у ребенка“. კომპონენტ „გულის“ შემცველ სხვა ვარიანტებს ძალზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გააჩნიათ. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია შედარებითი კონსტრუქციები აღნიშნული კომპონენტით. ასე, მაგალითად, «словно кошки скребут на сердце», «словно нож вонзили в сердце», «сердце словно обросло мхом», «словно сердце упало», «будто сердце разрывается», «сердце будто кровью обливается».

საინტერესოა, რომ ანალოგიური მოვლენა ქართულ ენაშიც შეიმჩნევა („გულზე დანის დაცემასავით“, „თითქოს გულზე ნისლი შემოაწვა“, „თითქოს გულზე მოეშვა“, „თითქოს გულიდან ლოდი ააცალეს“, „თითქოს გული მოებჯინა ყელში“). გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ, კომპონენტ „გულის“ შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიმრავლის მიუხედავად («золотое сердце», «каменное сердце», «чистое сердце», «доброе сердце» и т.д.), კომპარატიულ შედარებებში, ფაქტობრივად, არ გვხვდება ამ კომპონენტიანი მოდელი.

რუსულ ენაში პროდუქტულია მყარი ენობრივი შედარებები სემანტიკური კომპონენტით „კბილები“, რომელიც შედარებულია: ა) ცხოველებთან («зубы ровные», «как у лошади», «острые, как у волка», «как у акулы», «как у рыбы», «как у хорька», «как у кабана», «редкие, как у старого зверя»); ბ) მცენარეებთან («зубы редкие, как деревья»); გ) ფოლკლორულ და მითოლოგიურ პერსონაჟებთან («зубы, как у Бабы Яги», «зубы острые, как у вампира»); დ) შრომის იარაღებთან («зубы острые, как нож», «как сверло»); ე) კონკრეტული პროფესიის, ასაკის წარმომადგენლებთან («зубы ровные, как у дантиста», «как у актрисы», «как у фотомодели», ზ) არტეფაქტებთან («зубы, как вставные», «как подпиленные», «как расческа», «как нити»); თ) ძვირფასეულობასთან («как жемчуг», «как алмаз»);

ინგლისურ ტრადიციაში კბილები რამდენიმე მნიშვნელობას უკავშირდება: საშიშროებას (“armed to the tooth”), ცხოვრებისეულ გამოცდილებას (“to cut one’s teeth in smth.”), მუქარას (“show one’s teeth”), სიძულვილის გამოწვევას (“put smb’s teeth on edge”). კბილებთან დაკავშირებული კომპარატივები ასოცირდება ქათამთან

(სიმეჩხრის მიხედვით “scarce as a hen’s teeth”), დანასთან, სამართებელთან, პირანიასთან (სიმახვილის მიხედვით “sharp as a knife/razor, as piranha”), სპარტანელთან (ჯანმრთელობის მიხედვით “as Spartan”), ბრილიანტთან (ელვარების მიხედვით “as diamonds”).

ინგლისურისთვის სპეციფიკურია შედარებები: “teeth as a tack / as Angelina Jolie / Spartan”. უნივერსალურია კბილების დაკავშირება ზვიგენტან, ცხენთან, ვამპირთან, დანასთან, სამართებელთან (“teeth like shark / horse / vampire / knife / razor”).

ქართული ტრადიცია, საერთო საკლასიფიკაციო პარამეტრების დამთხვევის შემთხვევების გარდა, შედარების საყრდენ კომპონენტად იყენებს ლექსემებს „თაგვივით“, „ბროლივით“, რომლებიც შესაძლებელია რუსულშიც, თუმცა ამ უკანასკნელს არ მიუჩნევია საჭიროდ მათთვის ენობრივი სტატუსის მინიჭება.

ფოლკლორულ ტრადიციაში კბილები დაკავშირებულია საშიშროებასთან («точить на кого-либо зубы»), ძალასთან («не по зубам», «вооруженный до зубов»). ინგლისურსა და რუსულ ფოლკლორში ითვლება, რომ მიწაში ჩაფლული კბილებიდან შეიძლება მეომრები ამოიზარდონ. საინტერესოა, რომ ქართველები და ინგლისელები, ისევე, როგორც ძველი სლავები, ამოღებულ კბილებს სპეციალურად ინახავდნენ, არ ყრიდნენ. ასევე, ცნობილია სარძევე კბილების შენახვის ისტორიაც.

სომატურ კომპონენტთა შორის კომპარატიულ შედარებებში წარმოდგენილია „კანი“. ყურადღება, ძირითადად, ეთმობა მის ფერს, რომელიც სხვადასხვა მოვლენებთან არის შედარებული: ა) ჩიტებთან და მწერებთან («черный, как ворон», «как галка», «как грач», «как жук»); ბ) შრომის იარაღებთან («как наждак», «как терка»); გ) ბუნებრივ ობიექტებთან («кожа, белая как мрамор», «как алебастр»); დ) სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან («кожа черная, как у эфиопа», «кожа черная, как у негра», «как у цыгана»); ე) არტეფაქტებთან («черная, как сапог», «как атлас»).

ინგლისურში ითვლება, რომ კანი ადამიანის გარე საზღვარს წარმოადგენს (“to go all out skin”). თხელი კანი ადამიანის შინაგან სამყაროში ადვილად შეღწევის საშუალებას აძლევს მტერს (“to have a thin skin”), ხოლო სქელი არ აძლევს ადამიანს საშუალებას, იყოს მგრძობიარე (“to have a thick skin”).

მგრძობიარობის მიხედვით კანი შედარებულია სენსორთან (“like sensors”), უხეშობით – ქვეწარმავლის ტყავთან (“like snake”), სირბილით – კარაქთან (“like butter”), ელვარებით – ვარსკვლავთან (“like star”). თეთრი კანი შედარებულია რქესთან, მარმარილოსთან, თოვლთან, სიკვდილთან (“white as milk / marble / snow / death”), შავი – ყვავთან, ნახშირთან, მელანთან, ღამესთან (“skin as black as a raven / as cool / as ink / as night”). როგორც ვხედავთ, ამ მნიშვნელობათა დიდი ნაწილი ქართულშიც არსებობს.

განსხვავებით ინგლისურისგან, ქართული ენა კანის ბროლთან შედარებით გამჭვირვალობის აქტუალიზაციას ახდენს – „კანი გამჭვირვალე, როგორც მთის ბროლი“, სითეთრეს უკავშირებს ბამბის ქულას („ბამბის ქულასავით თეთრი კანი“), არაუანს და მის ნაირსახეობას – ყაიმაღს, („არაუანივით/ყაიმაღივით გოგო“), სიყვითლეს – სანთელს («სანთელივით ყვითელი»), ქარვასა და კომშს („კომშივით ყვითელი“, „ბიისფერი“), სიშავეს – ნახშირს („ნახშირივით შავი“), სიუხეშეს – ქათმის კანს („ქათმის კანივით ხორკლიანი“).

ფოლკლორულ ტრადიციაში, როგორც რუსულში, ასევე, ქართულშიც, კანი არ წარმოადგენს აქტიურ კონცეფტს. კანთან დაკავშირებულია ადამიანის გარე საზღვრის გაგება. ამიტომ, როდესაც ადამიანი ძალიან გასუქდება, მასზე იტყვიან „კაცი საკუთარ ტყავში ვერ ეტევაო“. იხ. გამოთქ. «из кожи вон лезть»). კანი წარმოიხდება, როგორც ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რომელიც ადამიანის გარეგნობას განსაზღვრავს (იხ. გამონათქ. «ни кожи, ни рожи», რაც უმხო ადამიანს ნიშნავს.)

საინტერესოა, რომ ქართული ენა ლექსიკურადაც არჩევს კანს და ტყავს – სქელს, უხეშს უწოდებს ტყავს, ხოლო რბილს – კანს.

ადამიანის კანთან დაკავშირებულია სახე და ფერი. სახის ფერი რუსულში შემდეგი ვარიანტებითაა წარმოდგენილი: «лицо, покрасневшее как бурак», «...как помидор», «лицо белое, как алебастр», «...как мел», «...как слоновая кость», «...как мука», «лицо смуглое, как у араба», «...у цыгана», «...как у эфиопа», «...как у ворона».

პამიდურის, ჭარხლის, ცარცის, ბოშის, ყვავის კომპარატიული მნიშვნელობა ქართულსა და ინგლისურშიც აღინიშნება (“blush as red as a tomato”/“beet”; “white as a chalk”, “swarthy like Gipsy“, “black like raven”).

ინგლისურში, ისევე, როგორც რუსულში, სახე პიროვნულობას გამოხატავს (“save a face” – რეპუტაციის შენარჩუნებას, ხოლო “loss of the face“ - დაკარგვას

ნიშნავს. შეად. „сохранить лицо“, „потерять лицо“. სახე სულის სარკეა, ამიტომ ამბობენ ინგლისელები “a good face is a letter of recommendation” ,”the face is the index of the heart”).

სახე, რომელიც, პირველ რიგში, ფორმის მიხედვით ხასიათდება, სამივე კულტურისთვის წარმოადგენს თავისებურ დისპლეის, რომელზედაც აისახება ადამიანის შინაგანი და ემოციური მდგომარეობა («лицо круглое, как луна», «...как шар»; «лицо неподвижное, непроницаемое как маска...», «...как у мертвеца», «...как гипсовая маска»; «лицо бледное, как смерть», «...как полотно», «...как мел», «...как стенка»; «...красное, как помидор», “face like a full moon”, “face round as a ball ”, “sphinx – like face”, “face like a flint”, “as poker face”, “complexion pale as death”, “fresh as jasmin” , “red as a crawfish”, . face as long as fidele/ face like a baby's/ face like she'd eaten a lemon; as flat as a iron /pancake/ sheet / tire “).

ავადმყოფური გარეგნობა ხასიათდება შემდეგი შედარებების საშუალებით («лицо, пожелтевшее как лимон», «...как шафран»; «...белое, как воск», «...как слоновая кость», «...как тень», “face pale as ghost”, “yellow as mustard”, “white as death “ , “black like ebony”). ჯანმრთელი ადამიანის ფერს ადარებენ ვაშლს («лицо румяное, как яблочко», “florid as garden”), ქალიშვილს («лицо румяное, как у девушки», “face rosy as winter apple/peony/bride “). მოხუცის სახეს – შემწვარ ვაშლს და ქიშმიშს («лицо брюзглое и морщинистое, как печеное яблоко», “face wrinkle like Gran / raisin”).

ბუნებრივია, ქართულში არ არის შედარებები, რომლებიც რუსულ სპეციფიკურ რეალიებთან არის დაკავშირებული («лицо, круглое как блин»), ისევე, როგორც ინგლისურსა და რუსულში არ არის შედარება - „ბიასავით ყვითელი“, „ზაფრანისფერი სახე“, „ქალაღლივით (მკვდარივით) .

“გაფითრებული სახე“, „სანთელივით ჩამომდნარი“), რომლებიც გამოსატყვევ იმავე ემოციებსა და მდგომარეობას: აღელვებას – „ყაყახოსავით (ჭარხალივით) გაწითლდა“; ავადმყოფობას – „ცვილივით ყვითელი“; ჯანმრთელობას – „ქალიშვილივით დაუღაჟა“. სახის ფორმა ქართულშიც შედარებულია მთვარესთან - „სავსე მთვარესავით სახე“; მონეტასთან – „შაურიანივით მრგვალი სახე“. შესადარებელ კულტურებში სახე დისპლეის მსგავსად წარმოაჩენს ინფორმაციას ადამიანის მდგომარეობის , სულიერი მდგომარეობა/სიმშვიდის და ა.შ. შესახებ.

ღლებედევას ლექსიკონში ლოყები წარმოდგენილია მაგალითებით: : «обвислые, как у бульдога» , «толстые, как у хомячка». ლოყებს პოზიტიური

შეფერილობაც გააჩნდათ: «румяные щеки» სილამაზისა და ჯანმრთელობის ნიშანს წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ რუსეთში წითელი ლოყები ჯანმრთელობისა და სილამაზის პირველ მაჩვენებლად ითვლებოდა, ხოლო ჩაცვენილი – ავადმყოფობის. ფრაზეოლოგიზმებში ლოყები ხაზს უსვამენ კეთილდღეობას, სიამოვნებას – «за обе щеки уписывать» მაღიანად მირთმევას გამოხატავს, ხოლო «раздуть щеки» გულისხმობს სურვილს, რომ დაანახოს სხვებს პიროვნების მნიშვნელოვნება და კეთილდღეობა.

ინგლისურ ენაში ლოყები, აგრეთვე, ჯანმრთელობისა და სილამაზის მაჩვენებლად აღიქმება. “cheek like roses”. ლოყები იუმორით შედარებულია ბურუნდუკს “cheeks like chipmunk“, ვუდსტოკის ჰიპის – “like Woodstock hippie”. ასევე, სპეციფიკურია მათი შედარება Prince Harry-სთან, Mike Honcho-სთან, Anjelina Jolie-სთან და “bongo drum-თან”.

ქართულ ენაში მყარი შედარებები საბაზო კომპონენტით „ლოყა“ მცირედ პროდუქტულია. დადასტურდა მხოლოდ ორი შემთხვევა: „თურაშაული ვაშლივით“ და „მეზურნესავით ლოყები“, რაც წმინდა ქართულ რეალიებს უკავშირდება.

ქართული ეთნომენტალური ცნობიერებისგან განსხვავებით, რუსული კონცეფტ ცხვირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

რუსულ ფოლკლორულ ტრადიციაში ცხვირი დაკავშირებულია სულის ადგილმდებარეობასთან. სწორედ ამ არქეტიპზეა აგებული ნ. გოგოლის მოთხრობა «Нос». შეად., აგრეთვე, გამოთქმა «с носа», სადაც ეს უკანასკნელი ადამიანს გულისხმობს. აღნიშნულ კონცეფტს ხშირად იუმორისტულ კონტექსტში იყენებენ: «Говорить себе под нос», «дальше собственного носа не видеть», «из-под носа утащить», экзамены «на носу». ინგლისელები ცხვირს უკავშირებენ ადვილად ხელმისაწვდომ და მარტივი მოვლენის მნიშვნელობას («as plain as the nose on your face»). საინტერესოა, რომ რუსულ გამოთქმას «водить за нос» ინგლისურში შეესაბამება «to pull the wool over somebody's eyes», ანუ თვალეზე ბინდის ჩამოფარება.

მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ კულტურებში ცხვირს არ გააჩნია ერთმნიშვნელოვანი კულტურული სიმბოლიკა, ჩამოყალიბდა ტრადიცია, დაუკავშიროთ მას ცნობისმოყვარეობის სიმბოლოს გაგება („რაიმეში ცხვირის ჩაყოფა“, „совать нос в чужие дела“, “to stick one's nose into other people's affairs”).

ცხვირი ამბიციურობის და აღღლიანობის მაჩვენებელიცაა: “look down one’s nose at smb.”(შეად. ცხვირის აბზეკა), ”have a nose for smth.” (რაიმეს ყნოსვით გრძნობა).

ინგლისურში ცხვირი მარტორქასთან, ხორთუმთან, არწივთან, დრაკონთან არის შედარებული: “nose like rhinoceros / elephant trunk / eagle / dragon.“

რუსულ კომპარატიულ შედარებებში ცხვირი ძირითადად ფორმის (горбинкой, крючком, крупный) და ზომის მიხედვით ხასიათდება (маленький как пуговица, пуговкой). საყრდენ წევრად გამოდიან არტეფაქტები («нос, как пуговица»): ფრინველები («нос, как у филина», «как у ястреба», «как у орла») ,ცხოველები («нос, как хобот слона»), სპორტის წარმომადგენლები («нос, как у боксера»), ლიტერატურული პერსონაჟები («нос, как у Сирано», «нос, как у Буратино»).

საინტერესოა, რომ კომპარატიულ შედარებათა თითქმის ყველა აღნიშნული ტიპი არის ქართულშიც.

რუსულისგან განსხვავებით, ქართველების ცნობიერებაში პატარა ცხვირი რუსთან („რუსივით ცხვირპაჭუა“) ასოცირდება, გრძელი და თხელი – მელიასთან („მელიასავით ცხვირი“), მოკაუჭებული – არწივთან და ქორთან, დეფორმირებული – მოკრივესთან. სპეციფიკურია, აგრეთვე, შედარება „ცხვირმოჭრილივით“, რაც ბოროტმოქმედის დასჯის წესს უკავშირდება.

ყური წარმოადგენს გარე სამყაროდან ინფორმაციის მიღების ორგანოს, ამიტომ მასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, ძირითადად, დაკავშირებულია რაიმეს გაცნობიერების უნართან : «туг на ухо», ”close one’s ear to smth” - ცუდად ესმის; «во все уши слушать» - ძალზე ყურადღებით მოსმენა; «краем уха слушать» - უყურადღებოდ მოსმენა; «мимо ушей пропустить» - უყურადღებოდ დატოვება. მიუხედავად იმისა, რომ ყურები თავზეა განლაგებული, ეს არის ობიექტი, რომელიც მხედველობის არეს მიღმა რჩება: «как своих ушей не видать». ყურები უფრო ხშირად, ვიდრე თვალები, მონაწილეობენ ვიდაცის საიდუმლოების გახსნაში: «и у стен есть уши» - ”walls have ears”; «наострить уши» - «to pick up somebody’s ears»; «имеющий уши да услышит» .

ყური გამოხატავს, აგრეთვე, რაიმეს უკიდურეს ხასიათს: «влюбиться по уши» - “to be over head and ears in love”; «быть по уши в работе», «до ушей покраснеть», «улыбка до ушей».

კომპარატიული მნიშვნელობებიდან უნივერსალურია «уши, как локаторы», „ლოკატორებივით ყურები“. რუსულში წარმოდგენილია სპეციფიკური ვარიანტები: «уши, как вареники», «уши, как лопухи», ინგლისურში – “ears like a hawk/a bat/spyderman/dishes/mule/an elf/prince William”.

ქართულში ყური შეიძლება „ხახვის ფურცელივით“ თხელი, „ვირის ყურებივით გრძელი“, „ბუერას ფოთოლივით განიერი“ იყოს.

ენა განასახიერებს ურთიერთობას, ინფორმაციის გადაცემას: «язык проглотить» - ჩუმად ყოფნა; «на языке вертится» - «the word is on the tip of my tongue» - ენა ექავება; «язык не повернется сказать» - სათქმელად გამბედაობა არ ჰყოფნის. ენა, როგორც ორგანო, ხშირად დაკავშირებულია ზედმეტ ლაპარაკთან, ჭორიკანობასთან. აქედან მოდის უარყოფითი მნიშვნელობა: «языком трепать», «злые языки страшнее пистолета», «что у трезвого на уме, то у пьяного на языке», «язык до добра не доведет», «one’s tongue runs before one’s wit», “better the foot slip than the tongue”. სამაგიეროდ, პოზიტიურია «язык до Киева доведет» - «a clever tongue will take you anywhere», «держат язык за зубами». ჭორიკანებს აქვთ «длинный язык», «язык без костей». ენა რუსულში დაკავშირებულია სიზარმაცესთან, ჭარბსიტყვაობასთან და გემოს შეგრძნებასთან: «не торопись языком, а спеши делом». «попробовать на язык”.

ინგლისელები ენას სიგრძისა და სიძვარის მიხედვით მწყემსის მათრახს ადარებენ: “a tongue as long as a stock-whip”, “tongue like a knife”, სიტკბოთი – შაქარყინულს: “like a candy”, შხამიანობის მიხედვით – ქვეწარმავალსა და ხელიკს “like snake/lizard”.

ქართულში ადამიანი შეიძლება ენამოთაფლულივით, ენადაბმულივით, ენაგაკრეფილივით, ენაჩავარდნილივით, ენაგალესილივით იყოს, რაც სპეციფიკურია მხოლოდ მისთვის.

ვ. მასლოვას აღნიშვნით, წარმართ სლავებში ფეხები დემონთა კუთვნილებად ითვლებოდა: «Сам черт ногу сломит» (მოუწესრიგებელ, მიყრილ-მოყრილ ადგილზე), «как левая нога хочет» (неизвестно как, как попало), «встать с левой ноги» (иметь плохое настроение), აქ ლექსემას უწმინდურ ძალასთან აქვს საქმე; «земля горит под ногами» (საშიშ ადგილზე), «почва колеблется под ногами» (სახიფათო, გარკვეველ მდგომარეობაზე). რუსულში სიტყვა „Нога“ მთლიანად ქვედა კიდურის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო ინგლისურში ქვედა კიდური ორ ზონად იყოფა და

შესაბამისად აღინიშნება ორი სიტყვით: leg (ზედა ნაწილი) და foot (ქვედა ნაწილი).

ფეხი სინქარისა და მოძრაობის სიმბოლოს გამოხატავს და ხშირად უპირისპირდება თავს, როგორც მენტალურ საწყისს : «дурная голова ногам покою не дает» - “little wit in the head makes much work for the feet” , «в ногах правды нет».

ფეხების რაოდენობა დაკავშირებულია მდგრადობის ცნებასთანაც: «конь о четырех ногах, да и тот спотыкается»; და, პირიქით, «нужен, как собаке пятая нога». ქუსლი, როგორც ფეხის ნაწილი, აღნიშნავს ძალაუფლებას. ინგლისურში : “to be beneath smb.’s foot”. ქუსლი დაკავშირებულია რისკთან, ავანტიურასთან: «пятки горят», «пятки сверкают, когда убегают», «ахиллесова пята» .

მარჯვენა და მარცხენა ფეხისა და ხელის სიმბოლიკა მსგავსია ევროპულ კულტურებში: «встать с левой ноги» - «to get up with one’s left foot foremost». მარცხენა ფეხის მდგომარეობა საქმეების არასწორ განვითარებასა და ცუდ განწყობას უკავშირდება . ჩვეულებრივ , ადამიანი მარჯვენა ფეხითუნდა დგებოდეს . მუხლები ხშირად მორჩილების, სიმხდალის, მონობის მნიშვნელობას უკავშირდება: «на коленях просить», «лучше умереть стоя, чем жить на коленях».

ლ. ლებედევას აზრით, კომპონენტ „ფეხის“ შემცველ თითქმის ყველა რუსულ და ბელორუსულ ფრაზოლოგიზმს უარყოფითი შეფერილობა აქვს. ყველა უწმინდური არსება რუსების წარმოდგენაში კოჭლი იყო. რუსულ ზღაპრებში მათ ფეხის გულები არ ჰქონდათ, დათვის გარეგნობით მოვლენილ ტყის სულს (у лешего) ფეხი ხის ჰქონდა, მიწის მიერ შობილ მითოლოგიურ პერსონაჟებსაც ცუდი ფეხები აქვთ (ვ. მასლოვა 2004, 136).

ნეგატიური შეფერილობა აქვთ კომპონენტ „ფეხის“ შემცველ სხვა ფრაზოლოგიზმებსაც: «брать ноги в руки», «в ногах валяться», «унести ноги» და სხვ. ეს დაკავშირებულია უძველეს რუსულ არქეტიპთან – „ფეხები ეშმაკის კუთვნილებაა“. ამ არქეტიპთან დაკავშირებულია უამრავი გამოთქმა, სადაც ფეხი პირდაპირ არ სახელდება, მაგრამ გამოიყენება მასთან ასოციაციურად ან ფუნქციონალურად დაკავშირებული სიტყვები: „კვალი“, „გზა“, „ნაბიჯი“ და ა.შ.

ჩვენი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს პეიორატიული შეფერილობა ნარჩუნდება მყარ შედარებებშიც. (იხ. ყველა შედარების, რომელიც დაკავშირებულია სიტყვასთან „ფეხები“, ნეგატიური შეფერილობა: «ноги как ватные», «ноги деревянные», «ноги будто приросли к полу/к земле», «ноги как чужие», «ноги как у

гусыни лапы», «ноги толстые, как бутылки», «ноги как обрубки», «ноги тонкие, как палки», «...как спички», «длинные, как жерди»).

ქართულ ენობრივ ცნობიერებაში მოცემულ ლექსემას არ გააჩნია ასეთი ცალსახა პეიორატიული მნიშვნელობა.

ქართულში შესაძლებელია მასთან დაკავშირებული დადებითი ასოციაციებიც. ასე, მაგალითად, არსებობს გამოთქმა „ფეხის დალოცვა“, „ბედნიერ ფეხზე შემოსვლა“. საქართველოში მეკვლეს საახალწლოდ სპეციალურად იწვევენ. ასეთი კაცის ოჯახში შემოსვლა ახალ წელიწადში წარმატების გარანტიაა. მიუხედავად კომპონენტ „ფეხის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმების სიმრავლისა, ჩვენ აღნიშნული ლექსემის შემცველი მხოლოდ რამდენიმე მყარი შედარება მოვიძიეთ, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ენობრივ სტატუსზე: „მაკარონივით /ასანთივით წვრილი ფეხები“, „ყანჩასავით /ბაღერინასავით გრძელი ფეხები“.

ინგლისურში ფეხთან დაკავშირებულია მდგრადობისა და დამოუკიდებლობის გაგება: “to stand on one’s feet”, “to find one’s feet“ ფეხზე დადგომას და საზოგადოებაში ადგილის პოვნას აღნიშნავს. მარჯვენა ფეხით ადგომის ანალოგიაა “to start on the right foot”, ხოლო მარცხენათი – “get off on the wrong foot”.

კომპარატივებში ფეხთან დაკავშირებით ინგლისური foot-ს და leg-ს იყენებს, რომელთაც აღარებს ჯოხს და რკალს “feet like a sticks”, “leg like bow“.

ცალსახად ნეგატიური შეფერილობის მქონე ქვედა კიდურებისგან განსხვავებით, რუსული ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში ზედა კიდურები რამდენიმე არქექტივის სიმბოლიზებას ახდენენ. „ხელი“ ითვლება ძალაუფლების, უფლების, ძალის სიმბოლოდ («иметь руку», «правая рука», «иметь длинные руки»).

ხელი წარმოადგენს სიმდიდრის სიმბოლოს, მატერიალური დოვლათის მოპოვების იარაღს («греть руки»). ცნობილია, რომ ხელთან დაკავშირებული ექსტემის საშუალებით რუსეთში ბევრ რიტუალურ ქმედებას ახდენდნენ: აკურთხებდნენ, იფიცებდნენ, და ა.შ. («положа руку на сердце», «ударить по рукам»).

კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმებში ხელები შედარებულია სხვადასხვა რეალიასთან: ა) ცხოველებთან («руки, как у гориллы»); ბ) ჩიტებთან («руки, как у

гуся лапы»); გ) არტეფაქტებთან («руки, тонкие как спички», «как лопата»); დ) მცენარეებთან («руки, тонкие как соломинки») და. ა.შ .

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსემა „ხელი“-ს შემცველი ქართული შედარებები, ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა რუსულს (შეად. „ნიჩბებივით ხელები“, „გორილასავით ხელები“, „ლერწმის ღერებივით / ასანთივით წვრილი მკლავები / თითები“).

ხელი, რომელსაც უკავშირდება ისეთი სემები, როგორებიცაა ურთიერთობა , ოსტატობა, მოქმედება , გაცვლა - პრაქტიკულად უნივერსალურ სიმბოლოს წარმოადგენს .ხელებს ,როგორც წესი, ენდობიან : «взять в свои руки» - “to take something in hand , «взять себя в руки» - “to take oneself in hand”, «из рук выпустить». ხელი საქმიანობის,ოსტატობის და სამუშაოს ხარისხის განმსაზღვრელი: «золотые руки», «руки опустились», «из рук валится» «из рук вон плохо», «руки не доходят до чего-то», «руки чешутся», «не покладая рук», გაცვლისა და ურთიერთობის გამომხატველია: «из рук в руки», «из первых/вторых рук» - «at first / second hand». ხელები მონაწილეობს მრავალ ცხოვრებისეულ მოვლენაში მოვლენაში: ნიშნობა («просить чьей-то руки» -“to seek smb’s hand in marriage”, «предложить руку и сердце» - “to offer smb. one’s hand”),მშვიდობის ნიშნად ხელის ჩამორთმევა. მხრები განასახიერებენ შრომას,მოვალეობას,ტვირთს «взвалить что-то на плечи» , «по плечу».რუსულში მის მხრებზეა – «На плечах у него семья»),ხოლო ქართულში-მის კისერზეა მთელი ოჯახი .დახმარებისას მხარში ამოუდგებიან – «подставить свое плечо».როდესაც პრობლემა იხსნება,ამბობენ: «с плеч долой», «как гора с плеч свалилась».საინტერესოა,რომ ინგლისურში არ გვხვდება მხრების სიმბოლიკასთან დაკავშირებული გამკლავების მნიშვნელობა.ხელი არის დამცველი და დამსჯელი ძალა ,მისი იარაღი.ხელი არის უზენაესი ხელისუფლების სიმბოლო.ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ხელი უფლის მარჯვენას განასახიერებდა,რომელიც ღრუბლებიდან გამოჩნდებოდა.ძველთაგანვე არსებობდა რწმენა,რომმეფეთა და წმინდანთა ხელებს განმკურნებელი ძალა ჰქონდათ.ინგლისურ კომპარატივებში ხელი წარმოდგენილია შემდეგი ვარიანტებით - “hands as weapons/as long as one’s arms / like gorilla/”; “hands as thin as a rake /as a rail “.

ტუჩებს ინგლისურში სიამოვნების წყაროს უკავშირებენ - “lips like a sugar/honey/candy/ Lips as a enjoyment“. ისევე, როგორც რუსულში და ქართულში,

აქაც ტუჩები დაკავშირებულია ფერთან - “lips as red as blood”, ყვავილებთან - “lips like rose”, ცნობილ ადამიანებთან “lips as Kim Kardashian”.

ტუჩები, რომელთაც რუსულში სხვადასხვა მყარი ეპითელი გააჩნიათ: «червленые», «бантиком» და ა.შ., მყარ კომპარატივებში შედარებულია ძაფთან («губы, как ниточки»), აღუბალთან («как спелые вишни»), ხასიათდება ზანგის მეშვეობით («толстые, как у негра»).

ქართულში ტუჩები, ასევე, შედარებულია ზანგთან – „ზანგის ტუჩებივით“ (გადმობრუნებული/დიდი), ვარდის ფურცელთან, მარწყვთან, მარჯანთან, ძოწთან, ღალთან.

რუსული ენის სომატოსფეროში კომპონენტ „ტანის“ შემცველი შედარებები საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. ისინი, უმეტესად, ხასიათდებიან მოცულობის, სიგრძის, სიბილვე/სიმაგრის მეშვეობით. შედარების საყრდენი წევრის როლში რეალობის სხვადასხვა მოვლენა გვევლინება: ა) ცხოველები («длинный, как жираф», «огромный, как слон»); ბ) ფრინველები («длинноногий, как цапля», «высокий, как каланча»); გ) მცენარეები («тонкий, как тростинка»); არტეფაქტები («как коломенская верста», «как жердь», «как шест»); ე) ზღაპრული და ფოლკლორული პერსონაჟები («круглый, как колобок», «тощий, как Кашей»); ვ) მწერები («тонкая в талии, как оса»).

მსგავს მოვლენას ადგილი აქვს ქართულ ენაშიც, სადაც ადამიანის სხეული დახასიათებულია: ა). მცენარის („ალვასავით“, „ლერწამივით“, „ტირიფივით“); ბ). ცხოველის („ლორივით“, „ტახივით“); გ) ხალხური ზღაპრების პერსონაჟების („დევივით“); დ) არტეფაქტების („კაკლის საბერტყი ჯოხივით“, „ფიცარივით ბრტყელი“, „ბურბუმელასავით ჰაეროვანი (სიფრიფანა)“ მეშვეობით.

ანალოგიურ მოვლენას ვაღევენებთ თვალს ინგლისურ ენაშიც, რომელშიც ტანი შეიძლება ხასიათდებოდეს მცენარის (“slim as poplar”); ცხოველის და მწერის (“slim as wild dear/ ant/wasp”); იაპონელი გოგონების (“like Japanese girls”) მეშვეობით;

უნდა აღინიშნოს, რომ სხეულის ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა ჭიპი, მუცელი, ზურგი, არ გვხვდებიან მყარი ენობრივი შედარებების ლექსიკონებში, თუმცა გვხვდებიან ფრაზეოლოგიზმებში (იხ. «пуп земли», «гнуть спину», «не щадя живота (жизни)»). სქელი ადამიანი ხასიათდება, როგორც «как квашня», «как свинья», «как бочка», «как боров», ხოლო გამხადრი, როგორც «как драная кошка»,

«как спичка», «как Кашей», «как вобла», «как живые мощи», «как мумия», «как скелет», «как щепка».

ტანადობა შედარებულია: «с тростником», «с былинкой», «с девочкой», «с ливанским кедром», მოხრილობა კი «со столетним стариком», «с древней старухой»; არპროპორციულობა – «с коломенской верстой», «с жирафом», «с шестом», «с цаплей», მოხდენილობა – «с точностью» და ა.შ.

სხეულთან დაკავშირებული ქართული მყარი შედარებები სხვადასხვა ერთეულებით რეალიზდება. დადებითები დაკავშირებულია ჭიანჭველასთან, ალვის ხესთან, საროსთან – კვიპაროსთან; უარყოფითი – ღორთან, ხართან, ასანთის ღერთან, მუმბასთან, ჩონჩხთან. რუსულში „шея“ ოდითგანვე სილამაზის ნიშნად ითვლებოდა. ის აგვირგვინებდა ადამიანის კორპუსს, მაგრამ მყარ ენობრივ შედარებებში, ძირითადად, ნეგატიური კონოტაციებითაა წარმოდგენილი («шея как у быка», «как у бугая», «как у гуся»).

რუსულისა და ინგლისურისგან განსხვავებით, ქართული ენა განასხვავებს ყელსა და კისერს. ამ უკანასკნელს, ძირითადად, ნეგატიური კონოტაციები გააჩნია („ჟირაფით“, „წეროსავით“, „კამეჩით“, „ხარივით“ კისერი). ყელი, როგორც წესი, პოზიტიურ კონტექსტში გამოიყენება (“ხოხბის ყელივით / გედივით ყელმოდერებული“).

ინგლისურში კომპარატიული “neck” უკავშირდება წიწილას / სპილოს ძვლის კოშკს/დახვეულ ხალიჩას (“neck like chicken / ivory tower / rolled up carpet“), ხოლო პოზიტიური კონოტაციები – გედს, ევა მენდესს (like swan /Eva Mendes”) .

ანალიზი ადასტურებს, რომ ფრაზეოლოგიზმი-სომატიზმები, ძირითადად, ნეგატიური კონოტაციების მატარებლები არიან. საკვლევი კულტურების სომატიზმების უმრავლესობაში ნეგატიურ კონოტაციათა დომინირება შეიძლება აიხსნას ქრისტიანული მსოფლმხედველობის თავისებურებებით, რომელიც მატერიალურ საწყისს უპირისპირებს სულიერს. სხეული წარმოდგენს მხოლოდ სულის სათავსოს და მთელი ძალისხმევა სულის გასაძლიერებლად უნდა იყოს მიმართული. სხეულის სილამაზემ შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანს სულიერი მისიის განხორციელებაში, ის არის მისი სისუსტის, ვნებებზე დამოკიდებულების მიზეზი. ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ენობრივ ცნობიერებაში, რაც გახდა მიზეზი სომატიზმებში უპირატესად უარყოფითი კონოტაციების არსებობისა.

ველში „ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება“ შედის სემანტიკური იდენტიფიკატორი „ადამიანის გარეგნობა“, რომელიც ზოგად შთაბეჭდილებას ქმნის მის შესახებ.

გარეგნობით მიღებული ზოგადი შთაბეჭდილება ქართულში სხვადასხვა მოვლენასთან მიმართებაში ხასიათდება : „ღმერთივით / დედოფალივით, გაზაფხულივით / სურათივით / ატმის ყვავილივით მშვენიერი“; „საფრთხობელასავით / ყვავივით / ეშმაკივით / ცოდვასავით საშინელი“.

რუსულში პოზიტიური დამოკიდებულება უკავშირდება შემდეგ გამოთქმებს: «красив как бог», «прекрасная как королева (принцесса)», «как куколка», «как майский день», «как майская роза», «как маков цвет», «как жених», «как картинка».

გარეგნობით გამოწვეული უარყოფითი შთაბეჭდილება მოცემულია მაგალითებში: « как смертный грех», «как ведьма», «как трубочист», «как чертенок», «как нищенка», «как попугай», «как пугало огородное», «как чучело (гороховое) », «как седло на корове» – « как корове седло».

ინგლისური კულტურა მშვენიერის აღქმას კნუტს, კარგ დღეს, გოგონას და სურათს უკავშირებს (“ as pretty as a kitten / nice day / young girl / picture“).

ნეგატიური დახასიათებისთვის ინგლისური ენა იყენებს შემდეგ კომპარატივებს –“ like the back end of a bus / fine as frog hair / cute as a bug’s ear / as ugly as sin” - ცოდვასავით საშინელი.

უნივერსალურია ისეთი კომპარატივები, როგორებიცაა: „ქალღმერთივით ლამაზი“, „დედოფალივით მშვენიერი“, „თოჯინასავით მორთული“, „ბუხრის მწმენდავივით“, „მათხოვარივით ჩაცმული“. ბუნებრივია, არსებობს ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკაც. ასე, მაგალითად, ქართულში პოპულარულია ატმის ყვავილთან („ატმის ყვავილივით მშვენიერი“ (შეად. „ატმის ხესავით აფეთქებული“, „ატმის რტოსავით“) , კოკორთან („ვარდის კოკორივით“) შედარება. გვხვდება, აგრეთვე, მიცვალებულთან („საკუბოვედ გამოწყობილი“) და ვაჭრის ცოლთან („სოვდაგრის ცოლივით“) შედარების შემთხვევები.

თამარ მეფე ქართველისთვის სილამაზის განსახიერებას და ერთგვარ ეტალონს წარმოადგენს (იხ. „თამარ მეფესავით ლამაზი“). როგორც რუსულში, ასევე, ინგლისურსა და ქართულშიც ზომასთან შესაბამისობა და მოხდენა ესთეტიკურ ნორმას წარმოადგენს – «одежда сидит

как влитая»; „ზედგამოჭრილივით აზის“, fit like a glove / like a ball of wax / as a fiddle/as a flea “ (ზუსტად მორგებული)

შეუსაბამობა დაკავშირებულია უგემოვნობასთან, უფორმობასთან და ა.შ. უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს უსუფთაობა, მოუწესრიგებლობა, სიბინძურე («как изжеванная», «грязный, как трубочист», «как ворона», «как нищий»; ” fine as frog hair/cute as a bug’s ear”; “stick out like a sore thumb”; “He looks like a second-hand car salesman./ He looked like death when they found him”; „ჩვარივით / ძონძივით / ნათხოვარივით / ტომარასავით ჰკიდია;” „უხდება როგორც ვირს კრიალოსანი /უნაგირი“ და ა.შ.

აღნიშნულ ქვეჯგუფში შედის ადამიანის ფიზიკური თვისებებისა და უნარის აღმნიშვნელი მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც რუსულში სხვადასხვა მოვლენების საშუალებით ხასიათდება. კარგი მხედველობა ასოცირდება კატასთან («видеть в темноте как кошка»), არწივთან («глаз как у орла»), სიბრმავე – თხუნელასთან («слепой как крот»). სმენა, ასევე, უკავშირდება კატას («слух как у кошки»), ხოლო მისი უქონლობა – როჭოს («глух как тетерев»), კუნძს («глухой как пень»).

ჯანმრთელობა და ძალა ასოცირდება კამეჩთან, ხართან, კვიცთან, ბუღასთან, დათვთან, გმირთან – ილია მურომეცთან; ამტანობა – აქლემთან და ჯორთან. მოქნილობა, მოძრაობის უნარი უკავშირდება ვერცხლისწყალს («живой как ртуть»), ხვიარას («подвижный как вьюн»), ხვლიკს («юркий как ящерица»), მაიმუნს (« как обезьяна»), მოუქნელობა – დათვს («неуклюжий как медведь»), სელაპს («неуклюжий как тюлень»). ყნოსვა დაკავშირებულია ძაღლთან («нюх как у охотничьей собаки»), ხმა – იერიქონის საყვირთან («как иерихонская труба»), კასრთან («голос как из бочки»). სიმტკიცე ასოცირდება მუხასთან («крепкий как дуб»), კლდესთან («как скала»), ხოლო სიმსუბუქე – ბუმბულთან («легкий как перышко», «легкая как пушинка»).

ქართულ კულტურაში ბევრი აღნიშნული კომპარატივი ფიქსირდება, თუმცა წარმოდგენილია სპეციფიკური ხედვაც. ასე, მაგალითად, ხმა მიმსგავსებულია ტაშტთან (ტაშტივით ხმა), ჯანმრთელობა – სტამბოლის კაჟთან, სიმსუბუქე – თოვლის ფიფქთან, ამტანობა – მგლის მუხლთან.

საინტერესოა, რომ რიგი მახასიათებლისა დაკავშირებულია შესაბამის გოტემურ წარმოდგენებთან და ფოლკლორულ სახეებთან. როგორც ქართულ,

ასევე, რუსულ ფოლკლორულ ტრადიციაში ცხენს, დათვს და მგელს პოზიტიური კონოტაციები გააჩნიათ.

საინტერესოა, რომ ინგლისური ენა იზიარებს მრავალ დახასიათებას : კარგი მხედველობა ასოცირდება კატასთან («to see like cat»), არწივთან («like eagle»), ქორთან (“ like a hawk “), სიბრმავე წარმოდგენილია თხუნელასთან, ბკველთან, ხვლიკთან, ღამურასთან მიმართებაში—“as blind as a mole / as a snake /lizard/chicken / bat; სიმუნჯე დაკავშირებულია კლდესთან და ხართან: “ As dumb as rocks/ As dumb as an ox;” სმენა უკავშირდება ნეემიას / კატას («to hear as Nehemiah /cat »), სიერუე - ჯორს, კარის ჩარჩოს, მაიმუნს, ინდაურს, თხუნელას, ცხენს: “deaf as a doorpost/ as a post / as monkey /turkey /mule/ horse“; ჯანმრთელობა და ძალა –წვიმას, ტყავს, ხარს, ძროხას, სპილოს, ხარს, ვიოლინოს, კლდეს, სიკვდილის ძლევა მოსილებას, ღომს- “right as rain /as tough as leather ; He's as strong as a ox /cow/elephant /bull as fit as a fiddle / , steady as a rock / powerful as death / As powerful as a lion“; ავადმყოფობა და სისუსტე წარმოდგენილია პარადიგმით – რომელშიც შედის ღორი, უირავი, ჰიენა, ძაღლი, ბავშვი- “She’s as sick as a pig/ giraffe/ hyena /dog; As powerless as an infant;” ამტანობა დაკავშირებულია აქლემთან და ჯორთან. “He was as tough as a bull / donkey” ხოლო მოქნილობა, მოძრაობის უნარი უკავშირდება ვერცხლისწყალს (“like mercury”), ხვლიკს (“ like lizard ”), მაიმუნს (“ as monkey”), სწრაფი ცვალებადობა – პარადიგმას –მანგუსტი, მეთოდოლოგია, ბრიუს ლი, ბამბუკი, ტანმოვარჯიშე, აბრეშუმი, კატა, ბალერინა - “agile like mongoose/methodology /Bruce Lee /flexible as bamboo/ gymnast/ silk/ cat/ ballerina.”

მოუქნელობა, ასევე, პარადიგმატული ვარიანტებითაა წარმოდგენილი – “as clumsy as a pig /dog / cow /ox; as stiff as a corpse / stick / board / needle.

ენოსვა, ტრადიციულად, ძაღლთანაა დაკავშირებული (“scent like dog”). უნივერსალიას წარმოადგენს „იერიქონის საყვირივით“ ხმაც. როგორც ვხედავთ, უნივერსალურ სახეებთან ერთად გვაქვს სპეციფიკურიც – “to hear as Nehemiah,” “deaf as a doorpost “, “ agile like mongoose” და ა.შ.

ასაკი შედარებულია სამყაროს, პაპას, ქანდაკებას, მთებს - “as old as the world /grandpa /a statue /the hills “.

ადამიანის ფიზიკურ მახასიათებლებში მნიშვნელოვანია რეაქციის და მოძრაობის სისწრაფე, ეს უკანასკნელი ფართო პარადიგმითაა წარმოდგენილი (running like a top/// run like the wind/like a bat out of hell / like the clappers /quick as a flash /

like a cheetah /as fast as a speeding bullet/ as quick as a wink/ as quick as lightning/ as quick as silver as quick as thought /as quick as a wink / as quick as a lizard /cat /tiger/ as quick as car. ასევე, ფართოდაა წარმოდგენილი ნელი რეაქცია : as slow as a whale/ sloth / bug / molasses in January / as a tortoise/ snail /turtle / three-legged cheetah.

ადამიანის მნიშვნელოვან მახასიათებლად მისი ფიზიკური მახასიათებლები გვევლინება. ფიზიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი ინგლისური, რუსული და ქართული კომპარატივები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ. ასე, მაგალითად, წამოხტომა სამივე შემთხვევაში დამდულერასთან არის დაკავშირებული («вскакивать как ошпаренный», „დამდულრულივით წამოვარდნა“, „like a scalded“), ჩაჭიდება – ტკიპასთან («вцепиться как клещ» “grab the tick as”, „ტკიპასავით ჩაჭიდა“), ბრძოლისუნარიანობა ასოცირდება ლომთან – («сражаться как лев» „იბრძვის, როგორც ლომი“), ადამიანის ზომა შედარებულია მთასთან, სპილოსთან, ბეჭემოთთან, ხართან – «огромный как гора / как слон / бегемот / бык - “He is as high as a / hill / as huge as an elephant, hippo / bull. “

მეორე მხრივ, შედარების საყრდენ წევრს, რომელიც, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს სინამდვილის სხვადასხვა მოვლენით, შეუძლია ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა გამოხატოს. ისეთი კომპარატივების გაგება, როგორებიცაა: «свистеть как Соловей-разбойник», „ლეკურ ხმალივით მისვლა“, შესაბამისი კულტურის ცოდნის გარეშე ძნელი გასაგებია.

კომპარატივებში ასახულ ფიზიკურ მოქმედებებს, ძირითადად, ნეგატიური კონოტაციები გააჩნიათ. რუსული ზმნები «вылетать», «выскакивать» დაკავშირებულია საცობთან (იხ. ”საცობივით გაგარდნა“), რაც ნეგატიურ შეფერილობას იწვევს, ისევე, როგორც ზმნა «пыхтеть» («пыхтеть как паровоз»), «дымить» («дымить как паровоз»), «налетать» («налетать как саранча»).

საინტერესოა, რომ ფიზიკურ მოქმედებებთან დაკავშირებული რუსული 57 მაგალითიდან მხოლოდ რამდენიმე შედარებას გააჩნია (მაგ., «плавать как рыба») პოზიტიური მნიშვნელობა.

ადამიანის უმნიშვნელოვანეს თვისებად, ასევე, მოიაზრება სამყაროში გადაადგილების უნარი. აქაც რიგი ანალოგიებისა აღინიშნება: («бегать, высунув язык, как собака» – „ძალივით ენაგადმოგდებული სირბილი“; «бродить как лунатик» – მთვარეულივით დაეხეტება“ - “wander like sleepwalker”; «ползть как черепаха» – „კუსავით მიბობლავს“ - “crawl like turtle”, “swim like dolphin “).

უნდა აღინიშნოს, რომ მოძრაობის ზმნებთან დაკავშირებული კომპარატივების უმრავლესობას ირონიული შეფერილობა ახასიათებს. შესადარებელ კულტურებში დაგმობილია უმიზნო, უაზრო გადაადგილება («Бегать, высунув язык, как собака / как автомат как бешеный / как оглашенный / как ошпаренный / как угорелая кошка»; “to run like a dog/mad/scalded cat “; «Бродить как домовый / как лунатик/ как привидение/ как неприкаянный» “wander like sheep/a lonely cloud/ as ghost “; «Вертеться как волчок / как пескарь/ на сковороде / как юла как сорока на колу / как черт перед заутреней», ”turn like a barge /devil / crazy / leaves /single wheel / doorknobs”; «Вскакивать как ванька-встанька / как встрепанный / как обваренный / как обожженный»; “jump up like shadow / ninja / an idiot / Mexican bean / LeBron James”).

ასევე, მიუღებელია ვინმეს მოულოდნელი გამოჩენა («ворваться (влетать) как буря /вихрь / как ураган» - “burst like rockets /bomb / soap bubble”; ”blow like wind / dust / Beckham”, «вырасти как из-под земли», «выползть как тараканы из щелей» - “to crawl like a prisoners / serpent / dog / worm / rockstar”), იძულებითი მოქმედება («идти как на костер как на пытку / как на службу / как на смертную казнь / как на эшафот» - “to go as a torture /as a death penalty / as a sentence”), ან ჩუმი, მალული გადაადგილება («красться (пробираться) как вор / как кот» - “sneak like cat / ninja / sam fisher / hobbit ”) .

სახუმარო-ირონიულ ტონშია შეფერილი „ცოცვაც“ («лазать как обезьяна.../ как циркач.../ как акробат»; “climb like monkey / acrobat”). ბევრი მყარი ენობრივი შედარება ნაციონალურ-სპეციფიკურ რეალიას შეიცავს («домовой», «ванька-встанька», «чурбан»), რაც ართულებს უცხოელების მიერ მათ აღქმას.

ფიზიოლოგიური მდგომარეობა ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს წარმოადგენს. მას ისეთივე უნივერსალური საფუძველი გააჩნია, როგორც სომატიზმებს, რაც, ბუნებრივია, ვლინდება მათთან დაკავშირებული ასოციაციების სიახლოვეში. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს, როდესაც რუსული და ქართული კომპარატივები სრულ ანალოგიას ამჟღავნებენ. ასე, მაგალითად, დაღლილობა შეიძლება გამოხატული იყოს გამოწურულ ლიმონთან (ლიმონით გამოწურული) და მიცვალებულთან შედარებით (მკვდარივით წოლა); სიცივის შეგრძნება –ყინულთან (ყინულივით ცივი) ; სიცხის – მღუღარესთან (მღუღარეგადასხმულივით); შიმშილის – მგელთან (მგელივით მშიერი); კანკალის

– ციებ-ცხელებასთან (ციებიანივით კანკალი); ჯანმრთელობის – ხართან (ხარით ჯანზე ყოფნა). უნივერსალურთან ერთად გვხვდება ნაციონალურ-სპეციფიკური შედარებები. მაგალითად, ჯანმრთელობა რუსულში შედარებულია კიტრთან – («быть как огурчик»). ასევე, სპეციფიკური შედარება «как сидорову козу», «голова трещит как пивной котел», «дрожать как осиновый лист», «как цуцик», «как медведь в берлоге», «как суслик в норке», «как у Христа за пазухой», «трезвый как стеклышко», «холодный как лягушка» и т.დ.

შესაბამისად, სპეციფიკურია ქართული კომპარატივები, რომლებიც ფიზიოლოგიურ მდგომარეობას აღნიშნავენ: („აღმურივით მოედო“, „ბაჩუნაანთ ხბოსავით“, „გამოუქნელი მოზვერივით“, „გაცვეთილი კბილივით უძღური“, „გულზე დანის დაცემასავით“, „თითქოს გული გადმოვარდა ბუდიდან“, „თითქოს კუჭი უხმება შიმშილით“, „მარტის მამალივით“, „სულწასულივით მოქცევა“, „ფხასავით ყელზე ადგას“ და ა.შ.).

ასევე, უნივერსალურიცაა და სპეციფიკურიც ინგლისური მყარი შედარებები, რომლებიც ფიზიოლოგიურ მდგომარეობას აღნიშნავენ: კანკალი დაკავშირებულია ვერხვის ფოთოლთან, ბაჭიასთან, ბაყაყთან, ყვავილთან – “tremble like an aspen leaf / rabbit / frog / flower”; მოუთმენლობა შედარებულია ბიჭთან, ყვავილთან, ქართან “impatient as boy/flower/wind”. ფართო პარადიგმა გააჩნია სიმთვრალეს (ტრიტონივით, ლორდივით, კვერცხივით, დოლივით, ქლოესავით, სკუნსივით – “pissed as a newt / as drunk as a lord / full as a goog / as tight as a drum / drunk as Chloe / drunk as a skunk “, თუმცა არც ერთი არ ემთხვევა არც რუსულს და არც ქართულს. შიმშილის პარადიგმაში (დათვივით, მგელივით, ცხენივით, ღორივით, ბეჭემოტივით “as hungry as a bear/ as a wolf / as horse / pig / cow / as a hippo “) მხოლოდ მგელივით და ღორივით მშვიერი ემთხვევა. სიმაძღრე უკავშირდება კვერცხს, შალითას , ქვაბს – “full as goog / as tick / kastrull” და განსხვავებულ სპეციფიკას ასახავს.

ასევე, ფართოდ არის წარმოდგენილი სიკვდილი , რომელიც შედარებულია კარის ლურსმანთან ,კარის სახელურთან, დრონტთან, კართოფილთან, ეშმაკთან, პიკულთან, ქაშაყთან, იულიუს კეისართან, ცხვართან, დედოფალ ანასთან, სკუმბრიასთან, მოსესთან – “as dead as a doornail / dead as a doorknob / as dead as the dodo/ as dead as a potato / the devil /pickle / as a herring / as Julius Caesar / as mutton / as Queen Anne/ as dead as a mackerel / as Moses“, და რომელიც, ასევე, არ ემთხვევა

რუსულსა და ქართულს.

სრულიად განსხვავებულ სახეებზეა აგებული დაღლილობა, რომელიც განავალს, კაკტუსს, წიწილას, თაგვს, სათამაშო დათვს უკავშირდება – “tired as shit / cactus / chicken / mouse / teddy bear”.

გარკვეული ანალოგი შეინიშნება სიცვიისა (ნაყინვით, ყინულებით, სამარესავით საფლავით ცივი – “as cool as ice cream/ his skin was as cold as ice/ /tomb/grave” და სიცხის შეგრძნებასთან დაკავშირებულ კომპარატივებში (ცეცხლივით, ჯოჯოხეთით, მზესავით – “as hot as fire/hell/sun”), თუმცა სრულიად განსხვავებულია მაგალითები (როკაპის ძუძუსავით, პიკულებით, კიტრივით ცივი; ტეხასის ამინდით /ჭიქა ჩაისავით ცხელი – cold as a witch's tit / pickle / as cool as a cucumber”, “hot as Texas weather / cup of tea”.

ნერვული, აღგზნებული მდგომარეობა დაკავშირებულია ჩიტთან, კატასთან, ფოცხვერთან – “as nervous as a bird / a cat / a lynx”. ნერვიული გაღიზიანება ვლინდება თავმოჭრილი წიწილასავით უთავბოლო სირბილში – “run around like a chicken with its head cut off”, პომიდორით გაწითლებაში – “As red as a tomato”, შიშა და გაფითრებაში, as timid as a rabbit / hare/ like death warmed over / to avoid like the plague”; “as white as a snow paper / ghost / sheet / explosion”.

გაბრაზება ინგლისურში უკავშირდება სხვადასხვა მოვლენას, რომელთაგანაც მხოლოდ ხარი და ლომი ემთხვევა ქართულსა და რუსულს – “angry as hippo/ raging bull/ roaring lion/ like dry ice in hot water”, სამაგიეროდ, სიბრაზის გარეგნული გამოვლინება – გამწვანება – თუ არ ჩავთვლით სახეების სხვაობას ენებში, ანალოგიას პოულობს ქართულსა და რუსულში – “anger as green as a tree / leaf / grass”.

ბავშვივით ძილი უნივერსალიას წარმოადგენს – “to sleep like a baby”, სპეციფიკურია მორივით ძილი – “sleep like a log”.

გაოფლიანება დაკავშირებულია ღორთან – “sweat like a pig”, ხოლო ტკივილი – ჯოჯოხეთთან და კრუნხვებთან – “pain as hell/like cramps”.

ველი „ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება“ ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ველთან „ადამიანი, როგორც ინტელექტუალური არსება“, რომლის ანალიზზეც ახლა გადავდივართ.

§ 2. ადამიანი, როგორც ინტელექტუალური არსება

ინსტინქტური ადამიანიდან შეგნებულ ადამიანზე გადასვლამ, რომლის აზროვნებაც უკვე აბსტრაქტული, ლოგიკური გახდა, ადამიანის განვითარებაში ახალ ეტაპს დაუღო სათავე. უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნებითი პროცესები სტერილური სახით არ არსებობენ. ისინი გადაჯაჭვულნი არიან ფსიქიკურ პროცესებთან (შეგრძნებებთან, აღქმასთან), რაც ადამიანს მოვლენებისა და საგნების არსში წვდომაში ეხმარება. განსახილველი ველის ინვარიანტულ მნიშვნელობას წარმოადგენს ფიქრის, აზროვნების, განსჯის უნარის ქონა, გამოვლენა, აზრის გამოთქმა. როგორც ველში „ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება“, აქაც უარყოფით დახასიათებათა რაოდენობა საგრძნობლად სჭარბობს დადებითს. განსაზღვრებათა ფართო პარადიგმა გააჩნია, მაგალითად, სიტყვას „ГЛУПЫЙ“ – „ГЛУПЫЙ, КАК БРЕВНО“, „...КАК ПЕНЬ“, „...КАК ПРОБКА“, „...КАК ГУСЬ“. საკმაოდ ფართოა სისულელესთან დაკავშირებული კომპარატივების სპექტრი ინგლისურში. სისულელე დაკავშირებულია საცერივით გონებასთან – “have a mind like a sieve“, ჯაგრისთან – “daft as a brush“, სხვადასხვა ფრინველთან, ცხოველთან და საგანთან “as silly as a turkey/goose/ chicken /monkey/ as calves/ as a sheep / as a goat /; thick as a brick / as two short planks; dumb as a fish; as stupid as a sloth/ as a log / as an oak. გარდა კომპონენტებისა “silly”, “stupid”, “daft”, “dumb”, გვხვდება სიტყვა “mad”, რომელსაც ერთმნიშვნელოვანი პეიორატიული მნიშვნელობა არ გააჩნია; “mad as a march hare /a hatter) /as mad as a hornet/ storm /May day /bee / mad as a March hare.” სპეციფიკურია შემდეგი შედარებები: “mad as a cut/mad as a hatter” (მექუდესავით). ინტელექტუალურ გრადაციაში, აღნიშნულ მახასიათებელთან შედარებით, უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება პრიმიტიული ადამიანი “easy as falling off a log“, ”as simple as a child”.

სიბრძნე როგორც რუსულში, ისევე, ინგლისურში დაკავშირებულია გველთან („мудрый, как змий” “as wise as snake“), სოლომონთან („мудрый, как Соломон” “as wise as Solomon”), ბოროტ ძაღასთან („умный, как дьявол”, ”wise as devil“), („умный, как бес“) და ა.შ. ინგლისურისთვის სპეციფიკურია ჭკვიანი ადამიანის შედარება ცხენთან, ლომთან, ვეფხვთან - “as wise as a horse /lion /tiger”. გამჭრიახი ადამიანი მთელ რიგ მოვლენასთან კავშირში ხასიათდება – “as smart

as a wolf / fox / teacher / whip,” ის ჭიკარტივით მოსაზრებულია (“sharp as a tack”), წიგნივით კითხულობს სხვის აზრებს (“read (someone) like a book”), გონებაამახვილია, როგორც სამურაის ხმალი – “mind is like a samurai’s sword“. გონებრივი შესაძლებლობები რუსულში ხასიათდება ღრუბლის („вбирать, впитывать в себя как губка“), დამახსოვრების ან ცოდნის უნარის («знать, как „Отче наш“, „помнить, как таблицу умножения,“ „знать, как свои пять пальцев“) - ჟირაფის („доходить, как до жирафа“) მეშვეობით. კარგად ახსნის უნარი ან არსში წვდომა, ისევე, როგორც ინგლისურში, გამოიხატება შედარებით „растолковать, как дважды два четыре“, „ясно, как божий день“, „ясно, как апельсин“, “as plain as a pikestaff / as the nose on one's face / as sure as eggs are eggs / clear as crystal “.

გონიერი თავი ხუმრობით შედარებულია „საბჭოების სახლთან“ („голова умная, как Дом Советов“), ცარიელი კი – საცერთან („голова (память), как решето“). ადამიანის ინტელექტუალური ბუნების დახასიათება ბევრ რამეში უნივერსალურია, რაც ქართული ენიდან მოყვანილი მაგალითებითაც დასტურდება („ხუთი თითივით იცის“, „გამრავლების ტაბულასავით ახსოვს“, „მამაო ჩვენოსავით“ გაზეპირებული აქვს“, „ორჯერ ორივითა“, „სოლომონ ბრძენივითა“, „მელასავით ცბიერი“, „გველივით ბრძენია,“ „ბატივით სულელი“, „ნამდვილი ბატი“). საინტერესოა, რომ რუსულშიც და ქართულშიც პოპულარულია სულელი კაცის ხის მასალასთან შედარება: „глупый, как пень“, „глупый как полено“, „глупый как пробка“, „ხისთავიანია“, „პარკეტისთავიანია“, „კუნძივითა“ და ა.შ.). არსებობს ადამიანის ინტელექტის დახასიათებასთან დაკავშირებული მყარი შედარებების ეროვნულ-სპეციფიკური ვარიანტებიც. ასე, მაგალითად: „ვირის ტვინნაჭამივით“, „კოდელ ნინოსავის“, «как в афишу коза», «понимать как свинья в апельсинах». საინტერესოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არის სოფლები, რომელთა მკვიდრნიც, მეზობლების თვალსაზრისით, სიჩუნგის ეტალონს წარმოადგენენ. მაგალითად, ქართლში ამბობენ: „მოხისელივით სულელი“, იმერეთში – „ოკრიბელივით სულელი“, სამეგრელოში: ჯვარელივით ან ხორგელივით, კახეთში – ბოდბელივით, სვანეთში – ლაბსყადელივით. ჭკუის თავისებურ ანალოგად, ხშირ შემთხვევაში, ემშაკობა მიიჩნევა, რაც სამივე ენაში მელას უკავშირდება. ინგლისურ პარადიგმაში შედის, აგრეთვე, “ as sly as a turtle / fox / hare / rabbit / coyote “.

როგორც ცნობილია, ინტელექტუალური საქმიანობა თავის თავში სამეტყველო საქმიანობასაც მოიცავს, რადგანაც სწორედ მისი საშუალებით ვიღებთ პირველად ინფორმაციას ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების შესახებ. სიტყვასთან მთელი სამყაროა დაკავშირებული. ამ მხრივ საინტერესოა ინგლისური მყარი ენობრივი შედარება - “as good as word”.

მეტყველებასთან დაკავშირებულ არქეტიპებზე რომ ვისაუბროთ, საერთო ფასეულობების კონსტატაცია მოგვიწევს: ა). ნათქვამი უნდა იყოს მოკლე; ბ). გასაგები ; გ). საამო მოსასმენი. მაღალი შეფასება ეძლევა სიჩუმისა და თავშეკავების უნარს.

საუბრის წარმოების წესები ფოლკლორის მასალაზე დაყრდნობით კარგადაა შესწავლილი ი.როუდესტვენსკის მიერ „ამიტომ ეკონომიის მიზნით, მხოლოდ წყაროზე მივუთითებთ (Ю.В.Рождественский, «Введение в общую филологию», М., 1978). ენამოსწრებული ადამიანი ფუტკარივით იკბინება “sting like a bee“, მისი ენა ბასრია, როგორც დანა, ისარი, სამართებელი. (“ He is as sharp as a /tack /knife /dart /arrow /as a razor “). მეტყველებასთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებების ანალიზი გვიჩვენებს ენის მატარებელთა ამა თუ იმ სამეტყველო აქტის ტიპთან ურთიერთობის ხასიათს. პოზიტიურად შეფერილი დახასიათებები დაკავშირებულია: a) საუბრის აღქმისგან მიღებულ სიამოვნებასთან („речь приятная, как музыка“, „как ручеек“, „как воркование голубки“, „sing like a bird“ „ნაკადულივით რაკრაკებს“, „ჩიტვიით ჭიკჭიკებს“); b) გასაგებობასთან („говорит, как пишет“, “clear as bell“, „говорить, как по писаному“); g) გულახდილობასთან („говорить, как на духу“, „как на исповеди“, “Sincere as at confession”); d) დამაჯერებლობასთან („речистый, как Цицерон” _ “speak like Cicero“, „ნამდვილი ციცერონია “); e) საკუთარ სიტყვებზე პასუხისმგებლობასთან („сказать, как ножом отрезать“, „как топором отрубить“, “talk like an apothecary“, „მოჭრა და დაამთავრა“); v) ენამოსწრებულობასთან („язык как бритва“, ”as a razor“, „ნესტარივით იგესლება “).

უფრო მრავალრიცხოვანია ნეგატიური შეფერილობის მქონე მყარი შედარებები. მსგავსი მდგომარეობა დაკავშირებულია როგორც მეტყველების ფორმასთან, ისე – მის შინაარსთან.

განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს უაზრო, უშინაარსო საუბარი, რომელიც კაჭკაჭის ჭახჭახთან („трещать как сорока“, „chatter like magpie“, „ნამდვილი კაჭკაჭია“) და ავადმყოფის, მთვრალის ან გიჟის ბოდვასთანაა შედარებული („бормотать, как в бреду“ – “mumbling like a sick/a drunk/crazy“, „სისულელეს ბოდვას“). საუბრის მანერა ხასიათდება შემდეგი შედარებებით: „говорить как заведенная машина“, „как заведенная шарманка“, „говорить, как будто каша во рту“, „как в трубу“, „как из бочки в бочку“, „как трещотка“, „a parrot –like speech“, „talk like Irish“/“pirate/physicist“, „რადიოსავით ჩაირთო.“ „თითქოს მოხარშული კარტოვილი უდევს პირში“. ხმა ხასიათდება, როგორც: „как иерихонская труба“, „как из-под земли“, „как патока“, „as loud as Thunder“, მომაბეზრებელი საუბარი შედარებულია ბუხის ან კოდოს ბზუილთან. („жужжать как назойливая муха“, „зудеть как комар“ “squeal like a stuck pig” ,” გაჭკედილი ღორივით ჭყვიტინებს“.

არაბუნებრივად ხმამაღალი საუბარი, ყვირილი შედარებულია სხვადასხვა მოვლენასთან: „кричать как в лесу“, „кричать как глухой“, „...как за язык повешенный“, „...как на базаре“, „...как на пожаре“, „...как оглашенный“, „...как полоумный“, „...как зарезанный“, „как резаный поросенок“, „cry as a newborn“, „shouting like crazy /an ass/ an idiot/ camping“; „რა ცოფიანივით ღრიალებ?“ „რა დაკოდილი ხარივით ბლავი?“

შეუგნებელ ადამიანთან საუბარი კედელზე ცერცვის შეყრასავით ან კედელთან საუბარივითაა – “like talking to the wall“. დუმილი იწვევს ორგვაროვან რეაქციას – გაღიზიანებას (თუ გსურს, ადამიანს რაიმე ინფორმაცია დასტყუო) და პატივისცემას ადამიანის ნებისყოფის მიმართ (როცა შეუძლებელია, მას რაიმე დააცდენინო თავისი ნების საწინააღმდეგოდ). დუმილი ხასიათდება შემდეგი შედარებების საშუალებით: „молчать, как будто язык проглотил“, „как воды в рот набрал“, „молчать как каменный“, „как немой“, „как пень“, „как убитый“, „как сфинкс“, „как сын“, „как партизан на допросе“ – “mute as a statue /as a fish/an enemy/a child“, ”speechless as a stone“/as silent as the grave / as the dead /thought/the stars“, „ქანდაკებასავით უტყვია“, „ენა გადაყლაპა“, „მუნჯივითაა.“

საინტერესოა, რომ ქართული ენა ბევრ შემთხვევაში იმეორებს სამეტყველო აქტივობასთან დაკავშირებულ შეფასებებს. მსგავსია ისეთი შედარებები, როგორებიცაა „დაკოდილი გოჭივით ჭყვიის“, „დაკოდილი ხარივით ბლავის“, „კასრივით ხმა“, „ბუღბუღივით ხმა“, „იერიქონის საყვირივით“, „კაჭკაჭივით ენაჭარტალა“, „ბაზრის ქალივით ენაჭარტალა“, „ჭიხინებს ცხენივით“,

„ქანდაკებასავით ღუმს“ და ა.შ. მეტყველების ის პრინციპები, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით, აქტუალურია ქართული კულტურისთვისაც, თუმცა თვით მხატვრული სახის სტრუქტურა შეიძლება განსხვავებული იყოს. ასე, მაგალითად, სპეციფიკურია გამოთქმები: „ღრიალებს ჩოჩელი კაცივით“, „ქვევრივით ხმა“, „თითქოს კოდალას ენა უჭამია“, „თითქოს მღუმარების ანგელოზმა გადაუფრინა“, „თითქოს ქალი გასჩენოდა“, „ჭიანჭველანაჭამ დათვივით ბუტბუტებს“, „გლახა ჭრიაშვილივით არ ამთავრებს ლაპარაკს“, „ჭიანურსავით გააბამს“ და ა.შ. აღნიშნული გამოთქმების სპეციფიკურობა ეროვნულ-კულტურულ რეალიათა უნიკალურობასთან („ჭიანური“, „ქვევრი“), ხალხის ცხოვრების სპეციფიკასთან (მაგ. როდესაც ქალიშვილის დაბადება, გარკვეულ მიზეზთა გამო, დიდ აღფრთოვანებას არ იწვევდა) და სამყაროს განსაკუთრებულ ხედვასთანაა დაკავშირებული („თითქოს მილიციონერი დაიბადა“ – „АНГЕЛ МОЛЧАНИЯ ПРОЛЕТАЕТ“).

ადამიანის ინტელექტუალურ მახასიათებელთა შორის მნიშვნელოვანია იუმორის გრძნობა, რომლის უქონლობაც ინგლისელთათვის გერმანელთანაა დაკავშირებული – “as humorless as a German“, საქართველოში – სვანთან. ადამიანის ინტელექტი უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის სულიერ ბუნებასთან და, ხშირ შემთხვევაში რთულია გავმიჯნოთ ადამიანის ინტელექტუალური და სულიერი მახასიათებლები.

განვიხილოთ, თუ როგორ ხასიათდება ადამიანის სულიერი ბუნება მყარი ენობრივი შედარებების მიერ.

§ 3. ადამიანი, როგორც სულიერი არსება

ფსიქიკური აქტივობის სფეროში ადამიანი დაჯილდოებულია ხასიათის თვისებებითა და გრძნობებით. ამ ველში ადამიანი წარმოდგენილია, როგორც არსება, რომელსაც შეუძლია ნების გამოხატვა, მოვლენების ემოციური შეფასება და ა.შ. მორალური თვისებები და სულის (და არა ფიზიოლოგიური) მდგომარეობა ხასიათდება სინამდვილის სხვადასხვა გამოვლინების მეშვეობით.

„ადამიანი, როგორც ინტელექტუალური არსება“ განუყოფელია „ადამიანისგან, როგორც სულიერი და სოციალური არსებისგან“, რაც

დასტურდება ამ ველების სიახლოვითა და გარკვეულ ერთეულთა ერთერთშედწევადობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხშირ შემთხვევაში კომპარატივი შეიძლება ადამიანს სულიერადაც, ინტელექტუალურადაც ან სოციალურადაც ახასიათებდეს. ასე, მაგალითად, „სიკეთე“ სულიერი მახასიათებელიცაა და სოციალური პოზიციაც, „ემმაკობა“ კი შეიძლება, ინტელექტის გამოვლინების ფორმად ან სოციალური ქცევის ნაირსახეობად მოგვევლინოს.

„ადამიანი, როგორც სულიერი არსება“ მარკირებულია როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ნიშნებით. პოზიტიურად შეფერილ ნიშნთვისებათა შორის უნდა აღინიშნოს:

სიკეთე, პატიოსნება, სიმართლე და გულწრფელობა: „добрый как ангел“, ”kind as book/as summer/as beer after spirits“; ”ანგელოზივით კეთილი“, ”as good as one’s word/ as honest as the day / as Abe (ლინკოლნის მეტსახელი) / straight as a die / right as a trivet / as rain” – „წვიმასავით მართალი“, “She’s as straight as stick / rod / arrow / bullet “ ;

სულიერი სიწმინდე და უმანკოება: “as pure as the driven snow / As pure as winter snow / bell / as a lily / As pure as faith / as clear as crystal“, „чистый как ангелочек“, „наивный как ребенок“, „თოვლივით სპეტაკი“, „невинный как дитя“, „непорочный как младенец“, “as innocent as a lamb”, “clean as a whistle”, “As harmless as a dove.” „ბტრედივით უწყინარი,“ „ნაკადულივით წმინდა,“ „ბავშვივით უმანკო,“ „ანგელოზივით უცოდველი“;

სულიერი სიმაღლე და სიღრმე: „He is as high as a tower / hill / skyscraper / kite, „მყინვარწვერივით სპეტაკი“, He’s as deep as a well / sea / mine / ocean.“;

სულიერი სიმაღლის ერთ-ერთი მაჩვენებელია ერთგულების უნარი: „преданный (верный), как пек“, “true as steel,” “as good as one’s word“;

სულიერი მშვენიერება, სითბო, სენტიმენტალურობა, გულჩვილობა, მგრძობიარობა: “As pretty as a picture / As pretty as a paint” /, „ласковый как ребенок“, „добрый как теленок“, “endearing as a cat / dog / adult / screen persona“; “As warm as bunny / love / toast / fire,” „დედასავით თბილი“, “cry like a baby / cry like a little girl;” “as sensitive as a flower“;

სულიერი სიძლიერე, შეუდრეკლობა, ნებისყოფა, შეუპოვრობა და სიმამაცე: “He’s as tough as steel /iron/nails /crocodile“; - „твердый как сталь“ „крепкий как кремь“,

„стоять как скала“; - “(as) hard as nails/ steady as a rock” / „კლდესავით მაგარი,” „კლდესავით უდრეკი.” : („храбрый как лев”), “as brave as a tiger / bull / bear / lion “ - „ლომვიით უშიშარი”/ „უშიშარი, ვითარცა უხორცო“;

სულიერი სიძლიერის გამოვლინებაა რწმენის, მოთმინების და სულიერი სიმშვიდისა და წონასწორობის შენარჩუნების უნარი: “As patient as hours / As patient as Job” - იობივით მომთმენი ; ”trust as strong as steel/ like mirror”; “as silent as the dead/ as the grave / as quiet as a ape/sheep/owl /mouse / As placid as duck-pond“;

სულიერი სიფაქიზის გამოვლინებაა კდემამოსილება, მორცხვობა, მორჩილება, თავმდაბლობა: ”as meek as a lamb /as meek as a mouse“; - „кроткий как ангел”, „тихий как голубка”, „покорная как овечка”, „тихий как агнец”, „смирный как ягненок”; “gentle as a dove / a lamb” - „кроткий как ягнёнок”, “like a sleeping baby”/ “like a lamb (sheep) “ - „შესაწირი ბატკანივით”, „застенчивый как барышня”, „скромная как красная девица“; “like a cat in a strange garret / ; She’s as red as a rose / heart / blood ; quiet as a lamb /as a mouse/ as meek / as a lamb;”

თავისუფლებისმოყვარეობა: „вольный как ветер”, „свободный как птица”- “free as a bird / as a wind / an air /; He’s as free as a monkey /eagle / snake / bird” „ჩიტივით/ ქარივით თავისუფალი“;

უარყოფითი შეფასებები, ფაქტობრივად, სიმეტრიულია პოზიტიურისა და საპირისპირო თვისებებს ახასიათებს:

ბოროტება, უპატიოსნობა, არაგულწრფელობა, არაპირდაპირობა: „злой как цепной пес... как ведьма... как оса”, „коварный как демон” - „as cruel as a wolf / She’s as wicked as a criminal / witch / official / banker ” , “dishonest like snake,unfair as hell, as straight as a round-about” ;

სულიერი სიბინძურე და მანკიერება: “rude as hell / filthy as memadein / public toilet / dirty as socks“;

სულიერი სიმაბლესე და ზედაპირულობა: “ mean as hell / as strype’ed snake, low as hell / superficial as internet / as Kate Gosselin“;

სულიერი სიმახინჯე, გულცივობა, შეუბრალებლობა: as ugly as sin. She’s as cool as a river / ice cream /pickle /cucumber, He is as dry as a dust / popcorn / desert bone;

სულიერი სისუსტე, არამდგრადობა, არასაიმედოობა, სიმხდალე: „трусливый как заяц”, „пугливый как лань”, „бояться как баба”, „как маленький”», „податливый как воск”, like death warmed over , avoid like the plague, as timid as a rabbit / hare; “changeable

as the weather “, “ изменчивый, как погода “, «как хамелеон», «как флюгер»;

ურწმუნობა, მოუთმენლობა, სულსწრაფობა: „недоверчивый как Фома“- “doubting as Thomas”., “impatient as wind / Rock Star”;

მოღალატეობა „как Иуда“ - „a traitor like Judas“.

უნდა აღინიშნოს, რომ მყარ შედარებებში ასახული სულიერი ფასეულობების სისტემა უნივერსალურია და ქართულშიც დასტურდება. შეინიშნება პირდაპირი დამთხვევებიც („добрый как ангел” – „ანგელოზივით კეთილი“, „безобидный как агнец” – კრავივით უწყინარი“: “like a lamb”, „верный как пес” – „ძაღლივით ერთგული”, “faithful as dog / as a good book”, „непорочный как дитя”, ”pure as child”, „ბავშვივით უმწიკვლო“ ; „недоверчивый как Фома” – „თომასავით ურწმუნო“, “doubting as Thomas” .

გარკვეული მიზეზებით გამოწვეული დამთხვევების გარდა, შეინიშნება, აგრეთვე, ეროვნულ-სპეციფიკური შედარებებიც (მაგ.: „გეზელქორივით ამაყი“, „დედაბრიანთ ხარივით ზარმაცი“, „ოთარაანთ ქვრივივით“, „ვირზე ნაჯდომივით“), რომლებიც გარკვეულ არქეტიპებს უკავშირდება.

ადამიანის სულიერი სახის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს სულის გამოვლინების ფორმები წარმოადგენს, რომლებიც მის მდგომარეობას, განწყობას, გრძნობა-მდგომარეობას და ა.შ. გამოხატავენ. აღნიშნული ჯგუფი წარმოდგენილია მყარი შედარებებით, რომლებიც ახასიათებენ როგორც დადებით, ასევე, უარყოფით მდგომარეობას.

მოძრაობა წარმოადგენს გარე ატრიბუტს, რომელიც მიუთითებს შინაგან მდგომარეობაზე. რუსულ ენაში, მაგალითად, შეიძლება იარო, იხეტიალო: „как очумелый”, “like crazy”, „как ошалелый/шалевой”, “as spacey,” „как побитая собака”, “like wipping dog” „как помешанный”, „like a madman”, „как потерянный”, “as to be lost”, „как пришибленный”, “as dejected”, „как пьяный”, “how runk ”, „как в угаре”, “as in haze”, „как в воду опущенный”, ”as down in the mouth”, „как в лихорадке”, ”is in a fever”, „как туча”, ”as a cloud”.

საინტერესოა, რომ ლ.ღებედევა ვერ აფიქსირებს აღნიშნულ ზმნებთან დაკავშირებულ ვერც ერთ დადებით ემოციას. ნეგატიური მდგომარეობის პრევალირება შეიმჩნევა ზმნა „чувствовать” ატრიბუტებთან მიმართებაში: „чувствовать себя как в темном лесу” (“შეად.ინგლ. “feel as in a dark forest”); „как на

иголках” (“as on pins and needles”), „ как на похоронах” (“ as for the funeral”) , „как на гвоздях”, (“as on the nails”), „как на горячих углях” (“how to hot coals”), „как разъяренная тигрица” (“ like a enraged tigress”), „ как в тюрьме” (“as in prison”), „как на экзамен”, (“ as in the exam”).

დადებით მიმართებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ: „чувствовать себя как дома” , (“feel as home”), „чувствовать себя как рыба в воде” (“feel like a fish in water”). უანალოგოა „чувствовать себя как у тещи на блинах”. ზმნა „быть” საშუალებით გამოხატული მდგომარეობა კომპარატივებში, ასევე, ძირითადად უარყოფით მიმართებებს გამოხატავს: „быть как мокрая курица”...“as a wet hen”; „как туча”- “as a cloud”; „как убитый” – “both killed”; „как в воду опущенный”. ისეთი უარყოფითი მდგომარეობა, როგორც არის ბრაზი – „злиться как цепной пес” – “mad as a dog chain”, დაღვრემილობა - „угрюмый как демон” – “moody like a demon”; „мрачный как бирюк” - “gloomy as hell /as night“; წყენა – „надуться как мышь на крупу”, „надуться как суч”- “pout like an owl”; სიშლეგე - „разъяренный / взбешенный как тигр” – “furious as tiger” ენაცვლება დადებითად შეფერილებს – სიხარულს, მხიარულებას, ბედნიერებისა და კმაყოფილების შეგრძნებას: „как маленький, как малое дитя, как на свадьбе”-” jolly as a sandboy / happy as a lark / happy as Larry / happy as a clam / happy as a pig in shit / like a kid in a candy store /dove / baboon / pleased as Punch /as a dog with two tails/ as a peach / a plum / a pickle”.

ბედნიერების შეგრძნება შეიძლება სიცილ-ხარხარში („смеяться как безумный, как сумасшедший” – “laughing like crazy”) და სიხარულისგან გაბრწყინებაში გამოიხატოს - „сиять от радости” – “shine with joy”; „как именинник” - “as a birthday”...„как солнышко” - “,like the sun“.

აღნიშნული მნიშვნელობების სპექტრი დამახასიათებელია ქართული მყარი შედარებებისთვისაც. შეინიშნება, აგრეთვე, იზომორფულ ერთეულთა დიდი რიცხვი, რომლებიც ემთხვევა ფორმითაც და ლექსიკური მიმართების თვალსაზრისითაც. ასე, მაგალითად, „ვეფხვივით გამძვინვარებული“ - ”furious as tiger, „ცხენივით ჭიხვინებს“, „ბავშვივით ტირის“ - “cry like baby,” „ბავშვივით უხარია”-”happy as a child “, “გიჟივით /შეშლილივით იცინის“ - ”laughing like crazy“ და ა.შ. ეროვნულ-სპეციფიკური შედარებები დაკავშირებულია სპეციფიკურ რეალობათან („გახურებული თონესავით “, „თითქოს დუშაში მოუვიდა “ , „

თახამოყრილივით “, „ თელეთის გლახასავით “) , ასევე , ყოფის თავისებურებასთან.

ანალიზი აჩვენებს , რომ ადამიანი , როგორც სულიერი არსება, საკმარისად სრულად ხასიათდება მყარი შედარებების მეშვეობით . ადამიანის სულიერი ორგანიზაციის უნივერსალურობა გამოიხატება როგორც ინგლისური, ქართული და რუსული მყარი შედარებების შეფასებითი სკალისა და სახეთა სისტემის სიახლოვით, ასევე, შედარებით კონსტრუქციათა ლექსიკური შედგენილობითაც . ვნახოთ, როგორი მდგომარეობაა მეოთხე მიკროველში.

§ 4. ადამიანი, როგორც სოციალური არსება

მოცემულ ველში ადამიანი წარმოდგენილია ადამიანებთან, ცხოვრების წესთან, სოციალურ ქცევასთან დამოკიდებულებაში. საზოგადოებაში ცხოვრებისას , როგორც ცნობილია, ადამიანი ექცევა მისი განვითარების კანონების ფარგლებში , ხდება „სოციალური“ , შედის სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობაში , რომელიც მის საზოგადოებრივ მდგომარეობას აყალიბებს. გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენელ ინდივიდთა თავისებურება გამოიხატება მათ ცხოვრების წესში, ქცევის ფორმებსა და მანერებში, ხასიათისა და ტემპერამენტის თავისებურებებში. ველის – „ადამიანი, როგორც სოციალური არსება“ – სემანტიკური ინვარიანტია საზოგადოებრივი ადამიანი, რომელიც ვლინდება სოციალურ აქტივობასთან (ქცევა საზოგადოებაში), ადამიანებთან დამოკიდებულებასა (გრძნობები-დამოკიდებულება) და ცხოვრების წესთან (საცხოვრებელ პირობებთან) მიმართებაში.

საზოგადოებაში ქცევის წესების ცოდნა, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს ადამიანის სოციალიზაციის დონეს, რაც იმ მყარი შედარებების სისტემაშიც აისახა, რომლებიც ადამიანის სოციალურ სტატუსს ახასიათებენ. ინგლისური და რუსული ენების ზემოთ აღნიშნულ ველებში უარყოფით მახასიათებელთა რიცხვი სჭარბობს დადებითს. ასე, მაგალითად, შედარებები „бросаться как коршун/ как пес /как собака“ - “throw like kite”, „ქორივით დააცხრა“ გმობენ აგრესიულ ქმედებას. ასეთივე ნეგატიურ დახასიათებას აძლევენ აბეზარობას, შემაწუხებლობას („пристать как банный лист / как репейник / как смола / как с ножом к

горлу,” – “As persistent as mosquito / annoying as fly“), მლიქვნელობას (“bendy as a snake” / „как уж на сковородке” გამოქნილი ღვედივით), ქედმაღლობას („распускать хвост как павлин” - “proud as a peacock / stuffed like a turkey” - „надутый как индейский петух”, „надменный как индюк” – “ As proud as Lucifer/ as a peacock / as a lion / tiger /elephant /stuffed like a turkey”, უკომპრომისობას („быть как пауки в банке” - ”be like a spiders in the bank“, “to behave in a cat-and-mouse way”), მრუშობას („шляться как мартовский кот”, „порхать как мотылек”, „менять как перчатки” – “She’s as wicked as a criminal /witch / official / banker”; „развратный как де Сад”), სიცრუეს („врать как сивый мерин” - ”to lie as politicians”), ბუზღუნს („ворчать как старый дед” - ”grumble as old man”), თავის დაძვრენას („извиваться как выюн / как червь / как береста на огне” - “squirm as loach”), შეუფერებელ და უღირს ქცევას („вести себя как слон в посудной лавке / как слепой щенок / котенок” - ”behave like a bull in a china shop / like a blind kitten , like a bludge / to behave like blackguard / like charlatan/ like an animal ”), ვულგარულობას და ღანძღვას („плеваться как верблюд”, „ кричать как базарная торговка / как ломовой извозчик / как сапожник” - ”spit like a camel / swear like a troper / shout as vendor”), მანჭვა-გრეხას („кривляться как обезьяна”- “ape as a schoolgirl”), მიმბაძველობას („подражать как обезьяна” - ”imitate as parrot”). ქცევა ხასიათდება საყრდენი წევრების მეშვეობით. ასე, მაგალითად, „вести себя как баба / как заговорщик / как мальчик / как помешанный / как скот / как миленький / как китайский болванчик / как нищий / как сыч / как сирота казанская / как неродной / как в гостях / как цыганка”, ”to behave like woman / like a conspirator / a boy / like a crazy /chinese idol / a beggar / orphan / gypsy “.

ნებისმიერი ერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქცევის კულტურას. ქცევის ეტიკეტი უშუალოდ დააკავშირებული ერის ღირებულებათა სისტემასთან, რომლის ბირთვული ნაწილი უნივერსალურობისკენ მიისწრაფის. არ არის კულტურა, რომლისთვისაც მისაღები იყოს უხეშობა, ფამილარობა, ეჭვიანობა (“suspicious as a cat“ - „ревнивый как Отелло”), არაკომუნიკაბელობა და ბრაზიანობა (“as sour as lime / crab / vinegar ; sulky as a bear/ as surly as a bear”)

ქცევის ეტიკეტის დარღვევა, ზემოთ აღნიშნული შემთხვევების გარდა (აგრესია, შემაწუხებლობა, ქედმაღლობა, უკომპრომისობა, მრუშობა, სიცრუე, ბუზღუნი, თავის დაძვრენა, შეუფერებელი ქცევა, ვულგარულობა, მანჭვა-გრეხა, მიმბაძველობა), მყარ ენობრივ შედარებებში შემდეგნაირადაა

წარმოდგენილი: სუფრასთან უკულტურო ქცევა – “to eat like a pig / like a horse” / ”to drink like a fish”; ხმაურიანობა: “ As noisy as a herd of elephants. / as calm as a millpond ;”

თავხედობა, უზრდელობა: “as bold as brass / as saucy as the wave/ as bold as as lion”, «нахальный как трубочист», “as common as dirt”; ვულგარულობა: „плеваться как верблюду”, „кричать как базарная торговка / как ломовой извозчик / как сапожник - “rude as prisoner / teenager / pirate “; უხეშობა: “tough as a bull”; თხუპნიაობა: “like a tip “ - ”грязный как трубочист”; სიჯიუტე: “He’s as stubborn as a horse / mule / dog /cow / goat .She is tough as a bull /steak / bullet / as tough as leather/ as nails/ as old boots”; თავშეუკავებლობა: “breed like rabbits” - «болтливый как базарная баба». ზოგადად სამარცხეინო ცუდი საქციელი - “like taking candy from a baby / as **shameless** as sin / as a nude statue.”

ბუნებრივია, ნებისმიერი კულტურისათვის არსებობს საზოგადოებაში ქცევის სტანდარტი. პოზიტიური შეფასებები აისახა შემდეგ მყარ ენობრივ შედარებებში: სამაგალითოა ჯენტლმენივით ქცევა – “ To behave like a gentleman;” თავაზიანობა – “as gentle as lord “, თავშეუკავებელი და გაწონასწორებული ქცევა – “talk like an apothecary / sober as a judge“; წესრიგიანობა, პუნქტუალობა / სიზუსტე, საიმედოობა – “like a clock / precise and thorough as a surgeon / As punctual as springtime”, He is as regular as a doorman / banker / clockwork / doctor”; მზრუნველობა – «беречь как святыню” / “charish as sacred;” საკუთარი თავის რწმენა - «вести себя как хозяин / как у себя дома» - “behave as a host/behave at home”); მხიარულება – “jolly as a sandboy ; as merry as a grig”.

ქცევის აქსიოლოგია ქართულ ენაში სრულიად ემთხვევა რუსული და ინგლისური მყარი შედარებებით ასახულ ფასეულობებს. განსხვავდება მხოლოდ ენობრივი ხატოვნება, თუმცა გხვდება სრული დამთხვევებიც. ასე, მაგალითად: „ცხვრის ტყავში გადაცმული მგელივით“ – „словно волк в овечьей шкуре” - ”wolf in the sheep’s clothing “, „მათხოვარივით“ - „как нищий” - ”like a beggar”, „ველურივით მოქცევა“, „შემღლივით მოქცევა“ - “behave like savage / like madman” და ა.შ.

აგრესიული ქცევა ხასიათდება: „ლეკური ხმალივით მისვლა“ (შეად. „налетать как коршун“- “to fight like cats and dogs / watch like a hawk”), ხოლო აგრესიული პიროვნება - „მამლაყინწასავით” (შეად. “hot as pepper“- „задиристый как петушок;” მომაბეზრებლობა – „ბუზივით ტრიალი“- «назойливый как муха» - „annoying as a fly“. ქლესობა: „მონასავით შესციცინებს“, ქედმაღლობა-სიამაყე: „მწვანე კიტრივით

მოაქვს თავი”. შეუგუებლობა: „მარტოკაცივით დადის“, ჭირვეულობა: „მარტში დაბადებულებით“. სპეციფიკურია შედარებები „ქიზიყელივით“, „ნიახურის ფონივით“, „ნასახლარის ნარივით ირყევა“ და ა.შ.

ნებისმიერი საქციელი გარკვეულ სოციალურ ფონთანაა დაკავშირებული, ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ როგორ ავლენს თავს ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში.

მეორე მიკროველი ადამიანებს ურთიერთქმედების ფორმებით, მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულებით ახასიათებს. მოცემული ჯგუფი, პირველ მიკროველთან შედარებით, გაცილებით დაბალანსებულია, რადგან დადებითი მახასიათებლები საგრძნობლად ფართოდაა წარმოდგენილი. პირველ რიგში, პოზიტიური შეფასებები პოზიტიურ ბირთვულ ელემენტებთანაა დაკავშირებული: რწმენასთან („верить как в господа бога” - ”believe in the lord as” - „სწამს, როგორც ღმერთის”), ზრუნვასთან („беречь как святыню / как зеницу ока” - ”cherish as sacred / as treasure” - „თვალის ჩინივით უფრთხილდება”), სიყვარულთან („любить как родного отца / родную мать / как родного / как родного сына / как родную дочь” – “love like father / mother / brother /sister / as their own daughter” - „უყვარს საკუთარ მამასავით /დედასავით /ახლობელივით / შვილივით”), პატივისცემასთან („уважать как родного отца” - ”respected as father” - „პატივს სცემს საკუთარ მამასავით“), იმედთან („надеяться как на бога”-”hope in God as” - „მოელის ღვთის წყალობასავით“), აღტაცებასთან („смотреть как на чудо / богиню” - ”look at how God / regard as a miracle“ - „შესცქერის როგორც სასწაულს”), საჭიროებასთან , განსაკუთრებულ მიმზიდველობასთან („притягивать как магнит” - ”serves as magnet” - „ანდამატივით იზიდავს”) .

საინტერესოა, რომ ზოგიერთი პოზიტიური ბირთვული ელემენტი ამბივალენტურია და კომბინაციაში უარყოფით ემოციებსაც გამოხატავს. ასე, მაგალითად, „любить” შესიტყვებაში „любить как собака палку” - ”love like a dog stick” - „უყვარს, როგორც ვირს მათრახი“ ან „нужен” კომბინაციებში: „как козе баян” / „как мертвому припарка” / „как прошлогодний снег” / „как рыбе зонтик”/„как собаке пятая нога” – “like fish needs umbrella / as idle as a painted ship upon a painted ocean “ - „ სჭირდება მარშანდელი თოვლივით / როგორც ვირს კრიალოსანი ”.

ამბივალენტური ბირთვული კომპონენტების გარდა, არის კომპარატივები, რომლებიც წმინდა ნეგატიურ მნიშვნელობათა ფართო სპექტრითაა

წარმოდგენილი. ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია სოციალური აგრესია, რომელსაც განსხვავებული მიმართულება და ინტენსიობა გააჩნია. განსაკუთრებით დახვეწილი ფორმები აქვს აგრესიას ლეტალური კომპონენტით. შეიძლება, უბრალოდ, მოკლა („убить как собаку” - ”kill like roaches” - „ქათამივით დაკლა”), შეიძლება, დაახრჩო: („задушить как цыпленка” - ”choke like a chicken” - „დახრჩო წიწილასავით /კნუტივით”), გაჭყლიტო: („раздавить как клопа”, „как мокрицу / как червяка,” - “crush like a bug / like a paper cup” - „გაჭყლიტა ჭიკედასავით/ტარაკანივით“), დახვრიტო/ჩაცხრილო („застрелить как бешеную собаку”, „подстрелить как куропатку” - ”shoot like a terrorist / pigs “ - „ძაღლივით მიაცხრილო”), დააკლა: („прихлопнуть как муху” - ”knock like a hell” - „ქათამივით დააკლა”), ჩაფლა/ჩამარხო: („зарыть как собаку” - “bury him like a cat feces” - ”ძაღლივით ჩამარხო”).

უფრო „ჰუმანურია” აგრესიის გამოვლინების სხვა ფორმები: ცემა („избить как собаку”, „драть как сидорову козу” - “beat like a drum/a rented mule/an ugly baby” - „ურტყამს რუსის ბარაბანივით”, „ბავშვივით მიტყიპა”), ნჯღრევა („трясти как грушу” - “shake like caveman /leaf / Polaroid picture” ,”ანჯღრევს კოქტეილივით “), დასახინრება („изувечить/изуродовать как бог черепаху” - “maim like land mines/social media”,), დევნა - („гонять/травить как зайца” - ”chase as serpent”, “დასდევს სულთამსუთავივით “).კომპარატივები კომპონენტით დასახინრება ქართულში ვერ მოვიძიეთ.

აგრესიის გამოვლინებისას ადამიანი შეიძლება ეცეს, დააცხრეს (налететь / наскочить - „наброситься как лютый зверь” „налететь как коршун / как ястреб / вирхь” - ”descend like hawk / wild beast / whirlwind”; ქარაშოტივით თავს დააცხრა / მეხივით თავს დაეცა - “strike like thunder “), ჩააფრინდეს („вцепиться / впиться как клещ” - ”grab the tick as” - „ქორივით ჩააფრინდა”), აგრესიის გამოვლინების ნაკლებად ინტენსიურ ფორმას წარმოადგენს “ვიზუალური აგრესია” ბირთვული კომპონენტით „смотреть/установиться” („смотреть как бык на красное / как сыч / как удав на кролика / как солдат на вошь” - ”მიყურებს მგელივით /როგორც ხარი წითელს / მამის მკვლელებივით” - “stare as boa constrictor at rabbit / like a ram at new gate”) და „გერბალური აგრესია” (გამოლანძვრა, გაათახვა - „изругать как собаку”, „поучать

как мальчишку” - „პატარა ბავშვივით გამოლანძღა/ისე გამოლანძღა, რომ მტკვარი ვერ გარეცხავს” - ”revise like a dog / tutor as a boy”).

კომპარატიულ შედარებათა სისტემაში წარმოდგენილია აგრესიაზე დაცვითი რეაქციაც. „шарахаться / бегать как от чумы”, „бояться как огня / как черт ладана”, „прогнать как собаку”, „избегать как прокаженного / как чумы”, „отмахиваться как от надоедливой мухи”, „пройти как мимо стенки” – “run like the plague / avoid like a lepper/ fair like the plague / afraid as hell of incense / dismiss as of annoying flies”.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იგივე ბირთვული კომპონენტი შეიძლება გამოხატავდეს პოზიტიურ და ნეგატიურ რეაქციას. ასე, მაგალითად, ზმნას „обращаться“ („обращаться как с королевой /обращаться как со скотиной / как с собакой / половой тряпкой “- ”treated like a queen/ treated like cattle from/like a dog/as a doormat”). იგივე ეხება ზმნას „относиться” (შეად. : „относиться как к родной дочери” и „относиться как Ленин к буржуазии”).

ქართული მყარი შედარებები, რომლებიც ფრაზეოლოგიური ხატის სტრუქტურის კონსტრუირებას ახდენენ, როგორც უნივერსალურ, ასევე, სპეციფიკურ თვისებებს ავლენენ. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები (სიყვარული, პატივისცემა, რწმენა და ა.შ) საერთოა სხვადასხვა კულტურისთვის, რაც მათ დახასიათებაშიც ვლინდება. ფაქტობრივად, იდენტურია ბევრი პოზიტიური სახე. „თვალისწინებით უფრთხილდება“, „საკუთარი შეილივით უყვარს“, „ჰაერივით სჭირდება“, „ანდამატივით იზიდავს“, „როგორც ღმერთის, ისე სჯერა“ და ა.შ.). ანალოგიურია მრავალი უარყოფითი მნიშვნელობა („ქორივით დააცხრა“, „ძალღივით ჩააკლა“, „უყურებს, როგორც ხარი წითელს“, „როგორც მახრჩობელა – კურდღელს“, „ბავშვივით ჭკუას არიგებს“, „ცეცხლივით ეშინია“, „ძალღივით გააგდო“, „კეთროვანივით გაურბის“, „ტკიპასავით აეკრა“ და ა.შ.). ეროვნულ-სპეციფიკურ მყარ შედარებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ რუსული: „смотреть как на шута горохового”, „нужен как козлу баян”, „драть как сидорову козу”, ქართული : „ნაცარქექიასავით“, „ირაო საქონელივით“, “როგორც დაბალი ღობე“ და ა.შ.

ადამიანთა ურთიერთმიმართების სოციალური შეფასება ისევე დეტერმინირებულია საზოგადოებრივი ცნობიერებით როგორც ქცევა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის უნარს მიუსადაგოს საკუთარი

მოქმედებები გარემო სინამდვილეს, ხოლო შეფასება არის სოციალური ქცევის რელევანტურობის განსაზღვრა საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებათა სისტემის შესაბამისად. მიუხედავად ხასიათის უდიდესი გავლენისა ქცევაზე, სოციალურ ღირებულებათა სისტემა ცდილობს თვით ხასიათი მოაქციოს გარკვეულ ნორმატიულ ჩარჩოებში. ხშირად ეს განაპირობებს ასიმეტრიას პიროვნების ხასიათსა და ქცევას შორის. ასე, მაგალითად, თავხედობა შეიძლება იყოს პიროვნების ხასიათის ნაწილი, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში ის შეიძლება გამოვლინდეს ამ თვისებას სრულიად მოკლებულ განსხვავებულ ადამიანის ქცევაშიც. ერთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანებთან ზოგადი მიმართების პრინციპს, ხოლო მეორე შემთხვევაში - კონკრეტული სიტუაციით განპირობებულ ქცევას. კომპარატივები ასეთ ნიუანსებს არ განასხვავებენ, ამიტომ ქცევასთან და სოციალურ ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული კომპარატივები ფაქტობრივად ერთ ენობრივ მასალას იყენებენ.

ვინაიდან ენობრივი მასალა ხშირ შემთხვევაში ემთხვევა, ეკონომიის მიზნით არ გავიმეორებთ იმ მაგალითებს, რომლებიც ზემოთ გვაქვს მოტანილი .

სოციალურ კომუნიკაციაში უარყოფითი პარტნიორობა, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია ნეგატიური შეფასებებით, რასაც საზოგადოებაში გულცივობა, უგრძობლობა ადამიანებთან მიმართებაში, შეუბრალებლობა, სიმკაცრე, გაუტანლობა, უხეშობა, აბეზრობა, არააკურატულობა, არასაიმედოობა, ცვალებადობა, უხეშობა, უემოციობა, თავხედობა, ქლესობა, შემაწუხებლობა, ვულგარულობა, უკომპრომისობა, პრანჭვა - გრეხა და ა.შ. იწვევს (მაგ. იხ. ზევით) . უარყოფითად მარკირებულ სოციალურ შეფასებებში ამ ჯგუფისთვის სპეციფიკურია შემდეგი მაგალითები :

საზოგადოებისთვის უსარგებლობა, უფუნქციობა – “as useless as tits on a bull / as much use as a chocolate fireguard , ცრუმორწმუნეობა superstitious as sailors”;

უმწეობა, უსუსურობა - “ As powerless as an infant / like a bitten child”;

არასასურველობა “as welcome as a skunk at a lawn party”; საზოგადოებისთვის მიუღებელი უსიამოვნო ადამიანი –“ lower than a lizard / politician / chair / snake’s belly / laugh like a hyena ; as hard as nails , pretty as a car crash ; სოციალური

არაქმედითუნარიანობა და უსაქმურობა : as busy as a cat on a hot tin roof ;

უკონტროლო და არასწორი აღზრდა , უხერხემლობა “ to grow like Topsy (

უპატრონოდ გაზრდა) /spineless as a jelly fish “ ;

ამბივალენტურია ორიგინალობა .განსხვავებულობა “ As like as an apple to an oyster”, უცნაურობა “ as queer as clockwork “, იდუმალება “secret as thought “, რადგან კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება პოზიტიური და ნეგატიური მნიშვნელობა ჰქონდეს .

პოზიტიური სოციალური შეფასებები ხაზს უსვამენ მეგობრობას , წესიერებას, პატიოსნებას , თავშეკავებულობას, პირდაპირობას , მტკიცე ხასიათს , სერიოზულობას, პუნქტუალობას, სიზუსტეს, საიმედოობას, თავაზიანობასა და აღერსიანობას , წესრიგიანობას , პრინციპულობას , შეუვალობას , შრომისმოყვარეობას , გულისხმიერებას , თანაგრძნობის უნარს, ერთგულებას.

მიკროველი “ადამიანის სოციალური სტატუსი” მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ცხოვრების წესით , რისი დახასიათებაც მყარი ენობრივი შედარებების მეშვეობით საინტერესო სურათს გვიხატავს. პოზიტიური შეფასებები რუსულში დაკავშირებულია ცხოვრების კარგ პირობებთან („жить как в раю “, „жить как король / королева“, „жить как человек“), პიროვნულ დამოუკიდებლობის შეგრძნებასთან („вольный как ветер“), კომფორტთან („жить как белый человек“), დაცულობის და სტაბილურობის შეგრძნებასთან („жить как у Христа за пазухой“, „жить как за каменной стеной“), სიმდიდრესთან („дом как полная чаша“, „жить как Крез“) , სოციალურ სტატუსთან („жить как царица“, „вести себя как барин“). ნეგატიური შეფასებები უფრო ფართოდაა წარმოდგენილი და საპირისპირო მოცემულობებს ასახავს. ნეგატიურ რეაქციას იწვევს: ცუდი საცხოვრებელი პირობები – „жить как в аду“, „дом / квартира как проходной двор“), უიღბლობა („вести как утопленнику / как висельнику“), პიროვნული თავისუფლების არქონა („быть как привязанный / как прикованный / как арестант“), საზოგადოებიდან ნებით განდგომა („жить как медведь в берлоге / как монах / как суслик в норке / спрятаться как улитка в раковину / как отшельник / как бирюк / как сыч / как филин“), უსუფთაობა და უწესრიგობა – нечистота и неуютность быта („жить как в хлеву / как дикарь / как свинья / как скот / как собака / как на вокзале / как на бивуаках / как на постоялом дворе“), სიზარმაცე („жить как байбак / барин / как птица небесная“, „как Обломов“), დიდი წარმოდგენა, ზედმეტი თვითშეფასება - “მბრძანებლობს რაიკომის მდივანივით / იბღინძება ინდაურივით “.

ცხოვრების წესთან დაკავშირებული ფასეულობათა სისტემა ქართულში და ინგლისურში ბევრ ანალოგიას აღმოაჩენს. ასე, მაგალითად იდენტურია ფრაზეოლოგიური შედარებები „ქარივით თავისუფალი-“ «free as the wind »; „მეფესავით /თავადიშვილივით ცხოვრობს“ - «to live like king /lord»; „პატიმარივით ცხოვრება“ - «to live like prisoner»; „ველურივით ყოფნა“ - «to live as a savage» ; ვირივით /მონასავით მუშაობა“ - «to work as a donkey/ as a slave » და ა.შ.

ცხოვრების კარგი პირობები და კომფორტი ინგლისურში შედარებულია ლორდის და ხალიჩაში მყუდროდ მოკალათებულ ბაღლინჯოს მდგომარეობასთან - “ to live like lord / snug as a bug in a rug “ , ხოლო ქართულში – ფაშასავით ,შაჰინშაჰივით ბატონივით ცხოვრებასთან .სპეციფიკურია კომპარატივი “ შავი დედალივით გაკეთდა “.

თავისუფალი ცხოვრება ქართული პარადიგმისგან განსხვავებით (“ქარივით / ჩიტივით /არწივივით თავისუფალი “) ინგლისურში მაიმუნს და გველსაც მოიცავს -“ as free as a monkey / eagle / snake / bird “;

უსაფრთხოების ,დაცულობის და სტაბილურობის შეგრძნება ინგლისელთათვის ტრადიციულ ფორმულიდან გამომდინარე-“ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა” - სახლს უკავშირდება. სპეციფიკურია ზართან , მკვდარი ლომის წვერიდან ბაღის ამოგლეჯის უსაფრთხოებასთან და სამარის დაცულობასთან შედარება -“safe as houses /sound as a bell / save like pulling dead lions by the beard / secure as the grave”; “ციხე-გალავანივით დაცული”;

სოციალური სტატუსი ,სოლიდურობა შედარებულია პრინცესასთან , სტატუსის შესაფერის ქცევასთან და მუხასთან როგორც სოციალური მდგრადობის სიმბოლოსთან - « like a princess», «behave like a lord / stately as an oak” ; (შეად. ქართ. / შაჰინშაჰივით / ბატონივით / ფაშასავით “)

სტაბილურობის არქონით გამოწვეული აფორიაქება ორივე ენაში შედარებულია ვულკანზე ცხოვრებასთან ,დენტის კასრთან ,თევზის უწყლოდ ყოფნასთან («like live a volcano / how to live on powder keg”, "He flopped like a fish out of water”;

წარუმატებელი ,უიღბლო პიროვნება ინგლისურში დამახვირდალ ადამიანს უკავშირდება («take as a drown man / »,ქართულში ამ სემანტიკის მყარი ენობრივი შედარება ვერ მოვიძიეთ .

სიმდიდრე წარმოდგენილია შემდეგი ვარიანტებით –“ შიოს მარანივით , კრეზივით, როტშილდივით , როკფელერივით “;

შრომისმოყვარეობა ,როგორც სოციალური აქტივობის საყოველთაოდ მიღებული ფორმა,ვლინდება შემდეგნაირად - “ ფუტკარივით მშრომელი /ოთარაანთ ქერივით მშრომელი “ ; სიღარიბე მტრედთან, ინდაურთან , წიწილასთან , ეკლესიის თავთან იობთან, ჩხიკვის სიშიშველესთან ასოცირდება: “as poor as a dove / turkey / chick / church mouse / as Job / naked as a jaybird “ ;კატა მოუკვდება ხელში, კობიაანთ სუფრასავით;

იძულებითი და მძიმე შრომა ღორის გაოფლიანებასთან, ძაღლის და ეშმაკის შრომასთან არის დაკავშირებული- “ sweat like a pig /to work like a dog/ like the devil. „ვირივით მუშაობს”, “რკინის ტაბიკივით უდელშია ჩაკრული “

ცხოვრების ცუდი პირობები შედარებულია მომთაბარის, ჯოჯოხეთის, გამავალ ეზოს ,ქარში სანთლის მდგომარეობასთან - “to live like nomads / «live as hell», /flat as troughfare / to live like a candle in the wind. “ჯოჯოხეთივით , გახურებულ თონესავით,ჩაჩნებივით, ციგნებივით ცხოვრება

მძიმე მდგომარეობაში ყოფნა ისეთივე რთულია როგორც ხარისთვის, ვეფხვისთვის, დათვისთვის ,ლომისთვის გზის გადაჭრა, როგორც ძაღლისთვის პაპანაკებაში და ნიუ –იორკში ყოფნა- “ to be as cross as a bull / tiger / bear / lion / like a dog in heat / like a dog in New York ”, თითქოს ღომს ბატკანი გამოსტაცა,გულზე დანის დაცემასავით,თითქოს თოკი წაუჭირეს ყელში,ფოსტის ცხენივით დარბის, მარტობა საფლავთან, მარტოხელა ღრუბელთან და განდევილთან მიმართებაში გაიაზრება solitary as a tomb / as lonely as a cloud/ to live like hermit “გალოკილი თითივით მარტო დარჩენა ; ტოროლასავით , ბერივით მონაზონივით , თხუნელასავით ; თავისუფლების არქონა ჯაჭვთან , პატიმართან , მიბმულივით ყოფნასთან არის დაკავშირებული («to be as chained /as prisoner/as attached).ყმასავით,მოჯამაგირესავით,მონასავით,დაბმული ძაღლივით დაჩაგრული ადამიანი – “დაბალი დობესავითაა ” , „ზარმაცი - დედაბრიანთ ხარივით, ნაცარქექიასავით ,კოდალასავით უსტვენს, იღბალი-კამათელს და ძაღლის ბედს უკავშირდება ,რაც სრულიად მოკლებულია ლოგიკას .(“ თითქოს დუშაში მოუვიდა”,ძაღლის ბედი აქვს”).

მათხოვრობა ,უქნარობა გამოიხატება სპეციფიკური კონსტრუქციებით-“თელეთის გლახასავით”, “პატარძალივით ჯდომა”.

თავი 4 ლოგოეპისტემა და კულტურათშორისი კომუნიკაციის
ჰარმონიზაციის პრობლემები

სხვადასხვა კულტურის ადამიანების ურთიერთგაგების გზების ძიება კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს , რომლის გადაწყვეტაც პიროვნების , ენისა და კულტურის ურთიერთქმედების შესწავლას მოითხოვს. ანტროპოცენტრისტულ კვლევას ადამიანი აინტერესებს არა ზოგადად ,არამედ როგორც ადამიანი ენაში , რადგანაც ენა ერთადერთი საშუალებაა შევადწინოთ მენტალობის დაფარულ სფეროში , და სწორედ ენაში ვლინდება სამყაროს სემანტიკის ალგორითმი , რომელიც ჩადებულია ამა თუ იმ კულტურაში . ადამიანი და საზოგადოება ისტორიის ხანგრძლივი განვითარების პროდუქტებია , რომლებიც წინამორბედთა კოლექტიური გამოცდილების აკუმულირებას ახდენენ , ხოლო ენა ამთლიანებს თაობათა კავშირს და კოლექტიური გამოცდილების ინფორმაციულ საცავს წარმოადგენს. კულტურათშორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის ერთ-ერთ საყურადღებო მიმართულებად კროს-კულტურული კვლევები ჩამოყალიბდა ,რომლებმაც საშუალება მოგვცა (ჩვენს შემთხვევაში) მყარ ენობრივ შედარებებში ასახული კულტუროლოგიური ინფორმაცია შესაბამისი ენობრივი სოციუმების ცხოვრებასთან კავშირში დაგვეჩვენა. კონცეფტ „ადამიანთან ” დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებების კონფრონტაციულმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვეჩვენა სიღრმისეული კავშირი შესაბამის ენობრივ ფაქტებსა და კულტურებს შორის . როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ვ. რამიშვილი , „ - კულტურათა კომუნიკაცია უპირველესად კულტურულ ღირებულებათა ურთიერთობაა. ორი კულტურის მიმართება არის ორი ღირებულებათა სისტემის მიმართება. მეორე კულტურის გაგება ნიშნავს ამ კულტურის ნორმების ,ტრადიციების , ცხოვრების წესის საფუძველმდებარე ღირებულებათა სისტემის გაგებას,რომელიც არის ამ კულტურის მსოფლმხედველობის გამოხატულება “ (ვ . რამიშვილი , 2009 ,511) . მყარი ენობრივი შედარებები ჩვენ განვიხილეთ არამარტო როგორც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი ლოგოეპისტემები ,არამედ, როგორც შესაბამის კულტურის ინფორმაციული თეზაურუსში შედწევის საშუალება. ”ადამიანის “ ფენომენის უნივერსალობამ შესაძლებლობა მოგვცა შეპირისპირება რელევანტურ

საფუძველზე დაგვეყარებინა . ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ოთხივე საკლასიფიკაციო პარამეტრს უნივერსალური ხასიათი გააჩნია და ადამიანს ბიოლოგიური , ინტელექტუალური , სულიერი და სოციალური პოზიციებიდან ახასიათებს. მართალია შეფასება უნივერსალური სემანტიკური და კომუნიკაციური კატეგორიაა , მაგრამ მისი კონკრეტული შინაარსი ყოველთვის დეტერმინირებულია შესაბამისი კულტურის მსოფლხედვით და აქსიოლოგიური შკალით. მყარი ენობრივი შედარებები ადამიანის ამა თუ იმ თვისების შეფასებისას ყურდნობიან საზოგადოებაში მიღებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს , რომლებიც შესაძლოა არ ემთხვეოდნენ სხვა კულტურაში მიღებულ წარმოდგენებს და შესაძლოა გახდნენ წინაღობები კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში . წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონცეფტ “ადამიანთან “ დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებების კროს-კულტურული ანალიზი და ქართული , რუსული და ინგლისური კომპარატიული ლოგოპისტიკების უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნების დადგენა . კულტურათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ დებულებად ითვლება ის, რომ ყველა კულტურას თავისი ლოგიკა , თავისი წარმოდგენა გააჩნია სამყაროზე. ის , რაც ღირებულია ერთი კულტურისათვის , შესაძლოა სრულიად უმნიშვნელო იყოს - მეორისთვის. ამიტომ კულტურათშორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის ერთ – ერთ უმთავრეს პირობას კონტაქტური კულტურის პატივისცემა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი გამოიხატება არამარტო მეორე კულტურისადმი ინტერესის გამოვლინებაში , არამედ აღნიშნული კულტურის ზოგიერთი თავისებურების ცოდნაში. კულტურათშორისი კომუნიკაციის წარუმატებლობის თვალსაზრისით საინტერესოა შემთხვევა , რომელმაც საკმაოდ დიდი აღშფოთება გამოიწვია დასავლეთის ქვეყნებში. თავისი რომანის - “მშვიდობით , იარაღოს “ ერთ-ერთ ეპიზოდში ერნესტ ჰემინგუეი წმინდა პეტრეს ადარებს ვინმე დი მაჯიოს მამას. “ - წმინდა პეტრეც მეთევზე იყო , ისევე როგორც დიდი დი მაჯიოს მამა ” . ევროპელთათვის და არამარტო ევროპელთათვის (მით უმეტეს თანამედროვე თაობისთვის) ბევრი არაფრის მთქმელია დი მაჯიოს სახელი , რის გამოც ამგვარმა შედარებამ მკითხველთა გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია და თავისებურ მკრეხელობადაც იქნა აღქმული . რაც შეეხება ამერიკელებს , რომელთა “კერპთაყვანისცემლობა” საყოველთაოდაა ცნობილი, მათთვის თავისი კარიერის ზენიტში მყოფი ბეისბოლის ვარსკვლავი საყოველთაო პატივისცემისა

და აღტაცების ობიექტია, რომელიც პოპულარობით არ ჩამოუვარდება თვით წმინდანსაც. ამავდროულად დი მაჯიოს სახელი ამერიკელთათვის დაკავშირებული იყო კინოვარსკვლავ მერლინ მონროსთან , რაც მის პიროვნებას (როგორც მერლინ მონროს ქმარს) კიდევ უფრო დიდ ავტორიტეტს სძენდა . უაღრესად მნიშვნელოვანი ამერიკელთათვის იყო ისიც , რომ დი მაჯიო , ისევე როგორც მერლინ მონრო , ამერიკული სოციალური მითის (დაბალი სოციალური ფენის წარმომადგელის მიერ წარმატებული კარიერის გაკეთება) ხორცშესხმის მაგალითებს წარმოადგენდნენ . მოყვანილი მაგალითი ნათლად ადასტურებს შეფასებითი კრიტერიუმების დეტერმინირებულობას შესაბამისი კულტურით . კულტურათა და შეფასებათა არაერთგვაროვნება დადასტურდა იმ ემპირიული მასალითაც , რომელიც ჩვენ ქართული , ინგლისური და რუსული წყაროებიდან მოვიხმეთ. ნებისმიერი შეფასება ორ პოლარულ წერტილს შორის-უარყოფით (ნეგატიურ) და დადებით (პოზიტიურ) შეფასებას შორის თავსდება. გვაქვს აგრეთვე ამბივალენტური შეფასებები , რომლებიც კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება ან პოზიტიური ან ნეგატიური მნიშვნელობით მოგვევლინოს. კულტურული სივრცის ტრანსნაციონალიზაციის ტენდენცია, რომელიც გლობალიზაციის თანმდევ მოვლენად უნდა ჩაითვალოს , ბუნებრივია , განაპირობებს კულტურათშორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის მოთხოვნილებას. კულტურათა ახალი კონტაქტური ველი განსაზღვრავს გლობალურ (ინგლისურ) კულტურასთან ინტრაკულტურული ღირებულებებისა და აქსიოლოგიის შეჯერებას . მყარი ენობრივი შედარებების კროს-კულტურული ანალიზისას გამოიკვეთა უნივერსალური ტენდენციები , რომელთაც საფუძვლად სრულიად განსხვავებული მიზეზები უდევთ. აქტიურად მიმდინარე კულტურული სივრცის ტრანსნაციონალიზაციის ტენდენციამ განაპირობა გლობალურ საინფორმაციო სივრცეში სხვადასხვა კულტურის ჩართვა. ერთიანმა საინფორმაციო ველმა კი განაპირობა საერთო პრეცედენტული ველი. ასე, მაგალითად , ამერიკული კულტურის ბევრი წარმომადგენელი, რომელთა შესახებ ინფორმაცია (ჩაკეტილი საზოგადოების პირობებში) პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო , დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი და მისაღები გახდა, ამიტომაც მოხდა ინტერნაციონალიზაცია ისეთი მყარი ენობრივი შედარებებისა , როგორცაა , “ფრენკ ზაპასავით უღვაშები “ , “ შვარცნეგერივით ტანი “ და ა.შ . ინგლისური ენა მშობლიურია და სახელმწიფო ენის სტატუსი გააჩნია მრავალ ქვეყანაში ,თუმცა ეს სრულიად არ

განაპირობებს ამ ტერიტორიებზე მყარი ენობრივი შედარებების იდენტიფიკაციას . სხვაგვარად რომ ვთქვათ , მიუხედავად იმისა რომ ინგლისური ენა მშობლიურია ამერიკელთათვისაც , ინგლისელთათვისაც და ავსტრალიელთათვისაც , არსებობს მყარი ენობრივი შედარებები , რომლებიც სპეციფიკურია ცალკეული მათგანისთვის . ასე , მაგალითად, ამერიკელთათვის ტიპურია გამოთქმები “ as easy as ABC “ , “ as phony as a three-dollar bill “ , ინგლისელთათვის სპეციფიკურია – “ as pleased as Punch “ , “ grow like Topsy “ . ინგლისურენოვანი სამყაროს ისეთი წარმომადგენლებისთვის , როგორცაა ავსტრალია , სპეციფიკურია მყარი ენობრივი შედარებები – “ full as a gook “ , “ as dead as a mackerel ” . საინტერესოა , რომ ინტრაკულტურული ღირებულებების დინამიკა განაპირობებს ეტალონური ობიექტების ცვლას. ასე , მაგალითად, 90-ან წლებში სისწრაფის ეტალონად მიჩნეული იყო ბენ ჯონსონი ,რაც იმ პერიოდის მყარ შედარებაშიც აისახა - “ as fast as Ben Johnson “ . შემდგომი თაობისთვის სამაგალითოდ იქცა ჯეკ რობინსონი , რაც ასევე აისახა კომპარატივში - “ sooner than Jack Robinson “ .

მიუხედავად ეტალონების დინამიკისა ამა თუ იმ კულტურის მყარი ენობრივი შედარებები ზოგჯერ ინახავენ ისეთ ცნებებსა და რეალიებს ,რომლებიც ისტორიზმების კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. ინგლისურ მყარ ენობრივ შედარებაში შემავალი ფორმანტი “dodo” აღნიშნავს გადაშენებულ ფრინველს დრონტს, რომლის არსებობაც ინგლისელთა უდიდესმა უმრავლესობამ არც კი იცის. თუმცა სიტყვა შემონახულია კონსტრუქციაში – “ as dead as the dodo “.

ქართული მონარქიის არსებობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დასრულდა , თუმცა დღემდე შემორჩენილია გამოთქმა “მუხრან-ბატონივით “, ასევე ისტორიას ჩაბარდა ისეთი მოვლენა ,როგორცაა, კურტნის მუშა ,თუმცა შემოგვრჩა გამოთქმა “კურტნის მუშასავით” . ისტორიულმა ვითარებამ სრულიად შეცვალა რიგი პიროვნებისადმი დამოკიდებულება . ასე, მაგალითად ,საბჭოთა პროპაგანდის ისეთი პოპულარული ფიგურა ,როგორც იყო პავლიკ მოროზოვი დღეს უზნეობისა და ოჯახის დაღატაკის სიმბოლოდ იქცა , ამიტომ გამოთქმაში - “ как Павлик Морозов ” დღეს ერთმნიშვნელოვანი ნეგატიური დამოკიდებულება იკითხება.

კულტურათმორისი კომუნიკაციის პროცესში ხშირად ხდება საკუთარი კულტურის ღირებულებების გადატანა სხვა კულტურაზე , რაც ზოგ შემთხვევაში გაუგებრობის მიზეზიც შეიძლება გახდეს . ასე , მაგალითად

ინგლისურ კულტურაში ბრძენის პარადიგმა , ქართულთან და რუსულთან საერთო ელემენტების გარდა , სრულიად განსხვავებულ ობიექტებს მოიცავს

“ as wise as a / horse / lion / tiger / owl “.

თუ აღნიშნულ მნიშვნელობებს რუსულში ან ქართულში გადმოვიტანთ , რთული წარმოსადგენი არ იქნება იმ ადამიანის რეაქციის წარმოდგენა , რომლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ცხენს , ლომს, ვეფხვს ან თუნდაც ბუს (რიგ კულტურაში სიბრძნის სიმბოლოს) ადარებენ .

ანალიზმა გვაჩვენა , რომ სამივე კულტურაში არსებობს მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც როგორც სტრუქტურულ , ასევე შეფასებით ნაწილში დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ . ამგვარი სიახლოვის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს . ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ კულტურული სივრცის ტრანსნაციონალიზაციის ტენდენცია , რომელიც ფაქტიურად გაგრძელებაა გლობალიზაციის პროცესის ადრეული მცდელობებისა . ანტიკურმა კულტურამ , ქრისტიანობამ , იუდაიზმმა , ისლამმა , კომუნისტურმა იმპერიამ, შესაბამისი ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ინფორმაციული სივრცის თავისებური (ნაწილობრივი) გლობალიზაცია მოახდინეს , რაც საერთო პრეცედენტული ტექსტების არსებობაში გამოიხატა, რომლებიც საერთო წყაროდან იღებენ სათავეს.

შესაბამისად გასაკვირი არ არის, რომ ბევრ მყარ ენობრივ შედარებას , რომელიც ჩვენ შემთხვევაში ბიბლიურ და ანტიკურ წყაროებს უკავშირდება , სრული ანალოგები მოეძებნა რუსულსა და ინგლისურ კომპარატივებში . „ as wise as Solomon „, «мудрый как Соломон», ”სოლომონით ბრძენი “, “like a lamb to the slaughter „, „ как овечка на заклание “, “დასაკლავი ბატკანივით „ , „doubtful as Thomas „, «недоверчивый как Фома»,”ურწმუნო თომასავით „ , „სფინქსივით სახე , „ face like sphinx „(sphinx –like face” “), „ лицо как у Сфинкса „ და ა.შ.

მყარ ენობრივ შედარებათა მსგავსება საერთო წყაროს გარდა მატერიალური სამყაროს ერთიანობასა და ადამიანური აღქმის უნივერსალურ ხასიათთანაც არის დაკავშირებული. არც ინგლისელს , არც რუსს და არც ქართველს არ გამორჩენია ფუტკრის და ჭიანჭველის საოცარი აქტივობა , რაც მყარ ენობრივ შედარებებშიც აისახა და პოზიტიურ თვისებას - შრომისმოყვარეობას დაუკავშირდა. აღქმის უნივერსალობის მსგავსი შედეგების გარდა გასათვალისწინებელია აგრეთვე ცალკეულ კულტურათა კონტაქტების

შედევად შემოსული მყარი ენობრივი შედარებები. ასე , მაგალითად , რუსულ-ინგლისური კონტაქტების შედეგად შემოვიდა კომპარატივი – „ Like A Rolling Stone ”, ქართულ – ინგლისური კონტაქტების შედეგად გაჩნდა კონსტრუქცია – “smelly as skunk “ , ხოლო ქართულ – რუსული კონტაქტების შედეგად – «смелый как партизан » და ა.შ. კულტურათა კონტაქტირების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი შედარებები , როგორცაა ინგლისურის გავლენით ქართულსა და რუსულში შემოსული „ლილიპუტივით „ , «как лилипут » , ან რუსულიდან ქართულში შემოსული - ”ბურატინოსავით ცხვირი „ .

ბუნებრივია , ზემოთ აღნიშნული შემთხვევები სრულიადაც არ ქმნიან წინაღობებს და გაუგებრობებს კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში .

ამ უკანასკნელის დროს ერთმნიშვნელოვნად აღიქმება შედარებები –ლომივით მამაცი”, „brave as lion” ან «смелый как лев » , ვინაიდან კომპარატივის საფუძველს წარმოადგენს თვისება , რომელიც განმსაზღვრელია ლომის ბუნების დახასიათებისას და შეესაბამება სამივე კულტურის ხედვას .

ასევე უნივერსალურია ისეთი სოციალური მოვლენა ,როგორცაა , მაგალითად , მათხოვრობა და შრომისმოყვარეობა , ამიტომ მსგავსი და გასაგებია შემდეგი შედარებები - „ მათხოვარივით“ - , „ как нищий ” - ” like a beggar ” ,ან „ფუტკარივით მშრომელი „ , «трудолюбивый как пчела» , “as beasy as beer „ .

აღნიშნული ტიპის შემთხვევები კულტურათშორის კომუნიკაციაში დადებით როლს თამაშობენ და ხელს უწყობენ ურთიერთგაგების პროცესს . ამასთანავე არის შემთხვევები, როდესაც თითქოსდა მსგავს კომპარატივებს განსხვავებული აქსიოლოგია გააჩნიათ. როგორც უკვე აღვნიშნეთ , იდეების კონფიგურაცია , რომელიც მოცემულია მშობლიური ენის მყარ ენობრივ შედარებებში , მოლაპარაკის მიერ აღიქმება როგორც თავისთავადი და მას უჩნდება ილუზია, რომ ასე , ამგვარადაა მოწყობილი სამყარო . მსგავსი მოვლენა კულტურათშორის კომუნიკაციაში ხშირად უარყოფით როლს თამაშობს . ასე , მაგალითად , ინგლისური „ ambitious ” ინგლისურში პოზიტიურადაა მარკირებული , რაც არ შეესაბამება მის ქართული და რუსული შესატყვისების ნეგატიურ შეფერილობას , ამიტომ აღნიშნულკომპონენტთანმა მყარმა ენობრივმა შედარებებმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს კომუნიკაციის პროცესში .

საინტერესოა შეფასებითი კრიტერიუმების ძვრები . სოროსის ფონდის საქმიანობა პოსტსაბჭოთა სივრცეში თავდაპირველად ლამის მესიანურ მოვლენად შეფასდა . ქართულში და ინგლისურში შედარების ობიექტი „სოროსი „ არ აისახა მყარ ენობრივ შედარებაში. ამისგან განსხვავებით , ვ.მასლოვა რუსულში აფიქსირებს შედარებას „სოროსივით გულუხვი „ , რომელიც თავდაპირველად პოზიტიურ ტონალობაში იყო შეფერილი , თუმცა ძალიან მალე აღნიშნულმა კომპარატივმა „ტროას ცხენის „ პარადიგმაში გადაინაცვლა ,რაც რუსულ მენტალობაში ამერიკელი ქველმოქმედის საქმიანობის ხასიათის გადააზრებას და ნეგატიურ შეფასებას დაუკავშირდა (ვ.მასლოვა , 2004, 186) .

როგორც ცნობილია , შეფერვები კულტურათმორის კომუნიკაციაში გამოწვეულია შესაბამისი კულტურების ეთნოენობრივი ცნობიერების არაერთგვაროვნებითაც .

ადამიანის ფენომენთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებები , რომლებიც კულტურის სპეციფიკურ ხედვას ასახავენ , შესაძლოა გაუგებრობის წყაროდ იქცნენ . მყარი ენობრივი შედარებების ეთნოკულტურული სპეციფიკა კომპარატივის სტრუქტურული ერთეულების ენობრივ გაფორმებაში ვლინდება. სპეციფიკური შეიძლება იყოს საგნები და მოვლენები, რომელიც მხატვრულ სახეს ქმნიან , ასევე საგნები და მოვლენები , რომლებიც შედარების ობიექტს წარმოადგენენ და შედარების გამოხატვის საშუალებებიც . გარკვეული ეთნოსის საზოგადოებრივ – ისტორიული გამოცდილება , მისი ცხოვრების წესი , კულტურა სპეციფიკურ შეფერილობას აძლევენ გარემო სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს , რითაც გავლენას ახდენენ სამყაროს ეთნოენობრივ სურათზე.

ერთი და იგივე ობიექტი ან მოვლენა საკვლევ კულტურებში შეიძლება რამდენიმე ვარიანტით იყოს წარმოდგენილი ,მაგ. კისერი შეიძლება დახასიათდეს როგორც „ ჟირაფივით „, „წეროსავით“, „ კამეჩივით „, „ ხარივით „. განსხვავება მხოლოდ მაშინ ქმნის წინააღმდეგობას კულტურათმორის კომუნიკაციაში , როდესაც გვაქვს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შედარების მაკონსტრუირებელ ლექსემების შეფასებით ნაწილთან . როგორც უკვე აღნიშნეთ , რუსულისა და ინგლისურისგან განსხვავებით, ქართული ენა განასხვავებს ყელსა და კისერს. ამ უკანასკნელს, ძირითადად, ნეგატიური კონოტაციები გააჩნია , ხოლო ყელი, როგორც წესი, პოზიტიურ კონტექსტში გამოიყენება ,რაც გასათვალისწინებელია

სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, რომელთაც განსხვავებული აქსიოლოგია გააჩნიათ .

